

# მიკრობიოლოგიური ტერმინების განმარტებითი ლექსიკონი

შემდგენლები:

**მანონ გაბელაშვილ-ბრეგაძე  
იზოლდა რუსაძე**

ლექსიკონში განმარტებულია ორი ათას შვიდასამდე ის უცხო ტერმინი, რომელიც გვხვდება მანონ გაბელაშვილ-ბრეგაძის სახელმძღვანელოში „მიკრობიოლოგია“.

ლექსიკონი დახმარებას გაუწევს ბიოლოგიისა და ეკოლოგიის სპეციალობების და სამედიცინო ფაკულტეტის სტუდენტებს, მომავალ მედიკოსებსა და საკითხით დაინტერესებულ პირებს.

**რედაქტორები:** **ღარმჯან ხაჭაპურიძე** – მედიცინის  
მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

**მანანა მიქაძე** – პედაგოგიკის  
მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

**რეცენზენტები:** **თეიმურაზ მგალობლიშვილი** –  
სრული პროფესორი

**ნანა კვიციანიძე** – მედიცინის  
მეცნიერებათა დოქტორი

წიგნის გამოცემაში ფინანსური მხარდაჭერისათვის ავტორ-შემდგენლები მადლობას უხდებიან და-ძმა **ნატალია** და **გიორგი რუსაძეებს**.

# რედაქტორებისათვის

„მიკრობიოლოგიის ტერმინების განმარტებითი ლექსიკონი“ ძირითადად განკუთვნილია უმაღლესი სასწავლებლის სამედიცინო ფაკულტეტის სტუდენტებისათვის. ის არის „მიკრობიოლოგიის“ სახელმძღვანელოს ლექსიკონი.

მიკრობიოლოგია თავისი განვითარების მთელ მანძილზე და ამჟამადც ექსპერიმენტალური მეცნიერებაა. ამ დარგში წარმატებული კვლევა სწორედ ექსპერიმენტალური მიდგომით მიიღწევა. თეორიული მასალის შესწავლის შემდეგ მეთოდური ხერხების ათვისება – ეს არის მიზანი, რომელსაც ეს საგანი და მ. გაბელაშვილ-ბრეგაძის მიერ გამოცემული „მიკრობიოლოგია“ ემსახურება. ეს სახელმძღვანელო აუცილებელია საექიმო აზროვნების ფორმირებისათვის.

მკურნალმა ექიმმა რომ სწორად დასვას საბოლოო დიაგნოზი და დანიშნოს ანტიბიოტიკოთერაპია და იმუნოთერაპია, უპირველეს ყოვლისა, ამისთვის საჭიროა მიკრობიოლოგიური გამოკვლევების ჩატარება, ე. ი. კლინიკური დიაგნოზის დასმა. ამ მიზნით გამოყენებული ყველა უცხო სიტყვაა გაშუქებული „მიკრობიოლოგიის ტერმინების განმარტებით ლექსიკონში“.

ეს ლექსიკონი საშუალებას მისცემს სტუდენტ-ახალგაზრდებს ადვილად აითვისონ თანამედროვე უმაღლესი სასწავლებლების პროგრამით გათვალისწინებული მასალა, რომელიც მოცემულია „მიკრობიოლოგიის“ სახელმძღვანელოში. ლექსიკონში ქართულ ენაზე თითოეული ადამიანისათვის მისაწვდომი ენით არის განმარტებული ყველა უცხო ტერმინი, რომელიც საგნის შესასწავლადაა საჭირო და, რომელსაც გვერდს ვერ აუვლიდა ავტორი.

უფრო მეტიც: აქ ყველა სტუდენტისათვის ადვილად გასაგებად არის წარმოდგენილი და განმარტებული სამედიცინო ბაქტერიოლოგიის, სამედიცინო ვირუსოლოგიის, სამედიცინო მიკოლოგიისა და სამედიცინო პროტოზოოლოგიის ტერმინები. აგრეთვე, ფარმაკოლოგიისა და სტომატოლოგიისაც, რადგანაც ყოველი პროფიზორი უნდა იცნობდეს სტერილიზაციის, დეზინფექციის, ასეპტიკისა და ანტიასეპტიკის საკითხებს, ანტიბიოტიკოთერაპიისას შესაძლო გართულებებს, როგორცაა ალერგია, ინტოქსიკაცია, დისბაქტერიოზი და სხვა. სტომატოლოგიაში

კი აქ ვხვდებით სტომატოლოგიური დაავადებების მიკრობიოლოგიისა და იმუნოლოგიის სათანადო ტერმინებს. ასე ვთქვათ, სახელმძღვანელო და ლექსიკონი ერთმანეთს ავსებენ და ლექსიკონის გარეშე სტუდენტი დიდი სირთულის წინაშე დარჩება.

ვფიქრობთ, „მიკრობიოლოგიის ტერმინების განმარტებითი ლექსიკონი“ სასარგებლო იქნება არა მარტო სტუდენტების, არამედ იმ ახალგაზრდა მეცნიერ-მუშაკებისთვისაც, რომლებმაც თავიანთი კვლევის ობიექტად სამედიცინო სფერო აირჩიეს.

**დარეჯან ხაჭაპურიძე** – მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

**მანანა მიძაძე** – პედაგოგიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

# წინასიტყვაობა

„მიკრობიოლოგიის ტერმინების განმარტებითი ლექსიკონი“ არის ავტორ-შემდგენელთა პირველი ცდა, ქართულად განმარტონ მიკრობიოლოგიის დარგების (ზოგადი, სამედიცინო, ვეტერინარული, სასოფლო-სამეურნეო, რადიაციული, ტექნიკური, გეოლოგიური, მიკროორგანიზმთა ეკოლოგია და სხვა) ტერმინები, რომლებიც გამოყენებულია მანონ გაბელაშვილ-ბრეგაძის სახელმძღვანელოში „მიკრობიოლოგია“. აქვე ვხვდებით სამედიცინო მიკრობიოლოგიის დარგების: ვირუსოლოგიის, ბაქტერიოლოგიის, პროტოზოოლოგიის, მიკოლოგიის, იმუნოლოგიის, კოსმოსური მიკრობიოლოგიის, სანიტარული მიკრობიოლოგიის ანუ მიკროორგანიზმთა ეკოლოგიის ტერმინებსაც, რომლებიც აქ ამომწურავადაა წარმოდგენილი და შეძლებისდაგვარად განმარტებული.

საგანი „მიკრობიოლოგია“ ისწავლება ბიოლოგიის სპეციალობის III და სამედიცინო ფაკულტეტის ყველა სპეციალობის II კურსებზე. რამ განაპირობა ამ ლექსიკონის შექმნა?

მანონ გაბელაშვილ-ბრეგაძის „მიკრობიოლოგიის“ რეცენზირების დროს გაჩნდა აზრი, თავი მოგვეყარა და განგვემარტა ყველა ის უცხო სიტყვა, რომელიც ამ სახელმძღვანელოში არის გამოყენებული.

მიუხედავად იმისა, რომ „მიკრობიოლოგიას“ საკმაოდ სერიოზულად ნამუშევარი, წლების მანძილზე სათუთად ამოწერილი და დაკვირვებით განმარტებული არაერთი სიტყვა ახლდა, ასეთი მცირე მოცულობის ლექსიკონი სრულყოფილად მაინც ვერ ასახავდა მოცემულ ტერმინებს. ახალგაზრდები მხოლოდ აქ განმარტებული სიტყვებით აღვილად ვერ შეისწავლიდნენ პროგრამულ მასალას. არადა მიკროორგანიზმების ცოდნა ხომ მარტო სპეციალისტების საქმე არაა, ის ყველა პროფესიის ადამიანისათვის არის საჭირო.

საგნის შესწავლის გაადვილების მიზნით გადავწყვიტეთ, შეგვედგინა ლექსიკონი, რომელიც ზუსტად ამოწურავდა „მიკრობიოლოგიაში“ მოცემულ ტერმინოლოგიას, მით უფრო, რომ ჩვენი სტუდენტები ამავედარი განმარტებითი ლექსიკონებით განებივრებული არ არიან. თითქმის არა გვაქვს ამა თუ იმ საგანში ანალოგიური ლექსიკონი.

ძნელია, შექმნა რაიმე ნაკლის გარეშე. მით უფრო, განმარტებითი ლექსიკონი.

უცხოურმა ტერმინმა განმარტების დროს შესაძლებელია ზუსტად ვერ ამოწუროს სიტყვის შინაარსი, მაგრამ გარკვეულ კონტექსტში ის გასაგები იქნება დაინტერესებული ყველა პირისათვის. ამ სახითაც ეს ლექსიკონი დახმარებას გაუწევს მომავალ მედიკოსებს. გარდა ამისა, მას გამოიყენებენ სხვა პროფილის უნივერსიტეტების სტუდენტებიც, რომლებიც მედიცინის ამა თუ იმ დარგს ეუფლებიან.

ავტორ-შემდგენლები მადლობით მიიღებენ ყველა საქმიან შენიშვნას და გაითვალისწინებენ მას ლექსიკონის განმეორებითი გამოცემის დროს.

**ივოლდა რუსაძე** – ასოცირებული პროფესორი



- აბუს კონდენსორი** – (ლათ. *condenso* ვასქელებ, ვამკვრივებ) – ღინზა ან ღინზების სისტემა, რომელიც თავს უყვრის სინათლის სხივებს და მიმართავს მათ გასანათებელი საგნისაკენ; სინათლის მიკროსკოპის ერთ-ერთი ოპტიკური ნაწილი (გამანათებელი).
- აბზიმები** – (ფერმენტ-ანტისხეულები) – სპეციფიკური ანტისხეულების საფუძველზე დამზადებული იმუნობიოლოგიური პრეპარატები.
- აბიოტური ბარემო** – ადგილმდებარეობისათვის დამახასიათებელი ეკოლოგიური რეჟიმი მოცემულ ფიზიკურ-გეოგრაფიულ პირობებში. წარმოადგენს ბიოცენოზისა და ფიზიკური გარემოს საფუძველს.
- აბიოტური ფაქტორები** – არაცოცხალი ბუნების ფაქტორები (ტემპერატურა, ჰაერი, შეფარდებითი ტენიანობა, ნალექები, ქარი, ნიადაგის თვისებები და სხვა), რომლებიც დიდ გავლენას (პირდაპირს, ირიბს) ახდენენ ცოცხალ ორგანიზმებზე.
- აბორტი** – [ბერძნ. *abortus* – მუცლის მოშლა, მუცლის მოწყვეტა] – ორსულობის ნაადრევი შეწყვეტა და საშვილოსნოდან ნაყოფის გამოძევება ორსულობის 28 კვირის შესრულებაამდე. აბორტი უნდა განვასხვაოთ ნაადრევი მშობიარობისაგან, როდესაც იბადება სიცოცხლისუნარიანი ნაყოფი.
- აბორტიული ინფექცია** – ინფექცია, რომლის გამომწვევი აგენტი არ მრავლდება ორგანიზმის ბუნებრივი რეზისტენტობის ან შექმნილი სპეციფიკური იმუნიტეტის გამო.
- აბორტიული ორბანო** – რედუცირებული, განუვითარებელი ორგანო, რომელსაც დაკარგული აქვს ფუნქცია.
- აბორტიული ტრანსფორმაცია** – ფაგის მიერ მოტანილი ბაქტერიადონორის დნმ-ის ფრაგმენტი, რომელიც არ ჩაერთვება ბაქტერიარეციპიენტის ქრომოსომაში. ამის გამო შეიძლება აღნიშნული ფრაგმენტი დაიკარგოს შთამომავლობაში.
- აბსანსი** – [ფრანგ. *absence* არყოფნა] – გონების უეცარი ხანმოკლე დაბინდვა, დამოკლება.

- აბსცესი** – [ლათ. *abscessus*] – ჩირქის დაგროვება რომელიმე ორგანოში ან ქსოვილში. შემოფარგლული ჩირქოვანი ანთება. ვითარდება ორგანიზმში ჩირქმბადი მიკრობის მოხვედრის ან რომელიმე დაავადების (პნევმონია, ტრამვა) გართულების შედეგად. ქსოვილში მოხვედრილი მიკრობი იწვევს ანთებას და ქსოვილის კვდომას. მკვდარი ქსოვილის ადგილზე წარმოიქმნება ჩირქოვანი ღრუ, რომელიც საღი ქსოვილებისაგან კაფსულით გამოიყოფა. დამახასიათებელია მაღალი ტემპერატურა, შემცივნება, ოფლიანობა, საერთო სისუსტე, ლეიკოციტოზი, ერთორციტების დაღუქვის სინქარის მომატება.
- აბარ-აბარი** – [მაღაიური *agahr-agahr* ლაბა] – მცენარეული ლაბა, რომელიც მიიღება ზღვის ზოგიერთი (წაბლა, წითელი) წყალმცენარისაგან. ძირითადად შედგება პოლისაქარიდებისაგან. გამოიყენება საკვებ არედი სოკოების, ბაქტერიებისა და სხვათა დასათესად ლაბორატორიაში კულტივირებისას. იყენებენ, აგრეთვე, საკონდიტრო წარმოებაში მარმელადისა და ხილის თათარის დასამზადებლად.
- აბამოზონია** – [ბერძნ. *agamos* შეუღლებული და *gonas* – დამატება] – უჯრედის უსქესო გამრავლება გაყოფის ან დაკვირტვის გზით.
- აგენტი** – [ლათ. *agens agentis* – მოქმედი] – სამედიცინო ტერმინოლოგიის მიხედვით არის მოქმედი მიზეზი, რომელიც იწვევს სხვადასხვა მოვლენას ბუნებაში, ადამიანის ორგანიზმსა და მიკროორგანიზმში და სხვ. მაგალითად, ფიზიკური აგენტი, ქიმიური აგენტი, ბაქტერიოციდული აგენტი.
- აგუნებითი ფაზა** – ცოფის კლინიკური მიმდინარეობის საინკუბაციო პერიოდის ერთ-ერთი ფაზა, რომლის დროს ადამიანს უჭირს სუნთქვა, ადგილი აქვს ხორხისა და ყელის სპაზმებს. ვითარდება აეროფობია – ცოფის ერთ-ერთი ყველაზე დამახასიათებელი სიმპტომი.
- აგლუტინატი** – აგლუტინაციის რეაქციის შედეგად უჯრედების ან ნაწილაკების ზედაპირზე აღსორბირებული აგრეგატი (აგლუტინატი), რომელიც გამოიყოფა ნალექის სახით.
- აგლუტინაცია** – [ლათ. *agglutinatio* – შეწყობა] – სისხლში შეწოვილი ბაქტერიების, სისხლის ფორმიანი ელემენტე-

ბის (განსაკუთრებით წითელი ბურთულების) და სხვათა გუნდებად შეწებება და დალექვა. აგლუტინაციას იწვევენ განსაკუთრებული ნივთიერებები – აგლუტინინები (სპეციფიკური ანტისხეულები), რომლებიც გროვდება ადამიანისა და ცხოველის სისხლში ინფექციურ დაავადებათა და იმუნოზაციის შედეგად. აგლუტინაციის რეაქციას დიდი მნიშვნელობა აქვს მრავალი ინფექციური დაავადების (მუცლის ტიფი, ბრუცელოზი და სხვა) დიაგნოსტიკისათვის, სისხლის ჯგუფების დასადგენად, მიკრობთა სახეობისა და ტიპების დიფერენცირებისათვის და სხვა.

**აბლუტინინი** – ნივთიერება, რომელიც გროვდება სისხლში რომელიმე ინფექციური დაავადების ან აცრის დროს და იწვევს აგლუტინაციას.

**აბლუტინოსკოპი** – (ლათ. agglutatio – შეწებება, ბერძნ. skopeo – ვხედავ) – ხელსაწყო აგლუტინაციის რეაქციის დაკვირვებისა და შეფასებისათვის.

**აბონია** – [ბერძნ. agonia – ბრძოლა] – ორგანიზმის სიკვდილისწინა მდგომარეობა, სულთმობრძავის მდგომარეობა.

**აბრანულიციტი** – agranulocytus (ბერძნ. a უარყ. ნაწ. ლათ. granulocytus იხ. გრანულოციტი) – სისხლის თეთრი უჯრედები (ლეიკოციტები), რომელთა ციტოპლაზმა არ შეიცავს მარცვლებს.

**აბრაზია** – [ბერძნ. a (უარყ. ნაწილაკი) და grapho – ვწერ] – წერის უნარის დაკარგვა სრულად ან ნაწილობრივ (თავის ტვინის დაზიანების გამო).

**აბრეგაცია** – aggregatio შეერთება-მიერთება – მსგავსი უჯრედების შეწებება მრავალუჯრედიან წარმონაქმნად – აგრეგატად. უჯრედის აგრეგაციის უნარი დამოკიდებულია გარემოს იონურ შემადგენლობასა და ტემპერატურაზე. ზოგიერთი მონაცემით, – იმ სპეციფიკური ცილოვანი ბუნების მქონე ნივთიერებებზედაც, რომლებიც უჯრედის ზედაპირზე ჩნდება და მათ შეწებებას აიოლებს.

**აბრეგაცია უჯრედიან** – უჯრედების შეწებება მრავალუჯრედიან წარმონაქმნად (აგრეგატად).

**აბრეგია** – [ლათ. aggressio – შეტევა] – თავდასხმა.

**აბრეგინები** – aggressina (ლათ. aggressio შეტევა, თავდასხმა) – ბაქტერიული წარმოშობის ნივთიერებანი; უკავშირდებიან სპეციფიკურ ანტისხეულებს, აფერხებენ ბაქტერი-

თა ფაგოციტოზსა და მოსპობას, ააქტიურებენ ბაქტერი-ათა მავნე მოქმედებას და ასუსტებენ ორგანიზმის თავდაცვის უნარს.

**აბრობაქტერიები** – ბაქტერიების ჯგუფი, რომლებიც წარმოქმნიან გალებს (მცენარის ორგანოთა ქსოვილების არანორმალური ზრდის შედეგად წარმოქმნილ გამონაზრდებს მეტეკების, კოჟრების, ნაოჭისა და სხვათა სახით) მცენარის ფოთლებზე.

**აბროცენოზი** – მცენარეთა თანასაზოგადოება, რომელიც შექმნილია ადამიანის მიერ მეტ-ნაკლებად ხანგრძლივი დროით.

**აღამიანის ემბრიონი** – აღამიანის ჩანასახი.

**აღამიანის იმუნოლოგიის ვირუსი** – შექმნილი იმუნოდეფიციტის (შიდსის) ეთიოლოგიური აგენტი. იხ. აივ.

**აღამსიტი** – [საკ. სახ.] – მომწამვლელი ნივთიერება, რომელიც აზიანებს სასუნთქი ორგანოების ლორწოვან გარსს (იწვევს ცხვირის ცემინებას).

**ადაპტაცია** – 1. [ლათ. adaptatio – შეგუება, შეწვობა] – ორგანიზმის შეგუება გარემო პირობებთან არსებობის შესანარჩუნებლად. ვლინდება ორგანიზმის აგებულების თავისებურებებსა და ფიზიოლოგიური რეაქციების ხასიათში. 2. გრძობის ორგანოს შეჩვევა გარემოსთან. მაგალითად, თვალის ადაპტაცია და ა. შ.

**ადაპტოზები** – მცენარეული და ცხოველური წარმოშობის რთული ქიმიური ნივთიერებები, აგრეთვე, ხელოვნურად სინთეზირებული ან კონსტრუირებული ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებები. ადაპტოზები ზრდიან ორგანიზმის რეზისტენტობას. აქვთ მოქმედების ფართო სპექტრი.

**ადაეკვატუმი** – (ლათ. adaequatum – ვადარებ, ვათანაბრებ) – რაიმეს სრული შესატყვისი, სრული შესაბამისი.

**ადენიტი** – [ბერძნ. aden – ჯირკვალი] – ლიმფური ჯირკვლების ანთება.

**ადენილატციკლაზა** – ფერმენტი, რომელიც ზრდის წვრილი ნაწლავების კედლის შეღწევადობას; ამის გამო სანათურში სითხის გამოსვლა ძლიერდება. ადგილი აქვს დიარეას.

**ადენოვირუსები** – მარტივი ვირუსები adenovira (მრავლ.) ბერძნ. aden ჯირკვალი, ლათ. virus შხამი) – ვირუსების დიდი

ჯგუფი. აღმოჩენილია ადამიანის ადენოიდებისა და ნუ-შურების უჯრედებში, სადაც ადენოვირუსები ხშირად უმოქმედო მდგომარეობაში არიან. იწვევენ სასუნთქი გზების მწვავე კატარს, კონიუნქტივიტს, ენტეროკოლიტს, ატიპურ პნევმონიას და სხვა დაავადებებს. ადენოვირუსების ზომა 70-90 ნმ-ია, კარგად უძლებენ დაბალ ტემპერატურას და ანტიბიოტიკების მოქმედებას. მათი მავადებელი თვისებები ქრება ულტრაიისფერი სხივების გავლენით. ზოგიერთ ადენოვირუსს აქვს ონკოგენური აქტივობა. ადენოვირუსების 30-ზე მეტი ტიპი არსებობს.

**ადენოიდი** – (ბერძნ. aden ჯირკვალი, eidos – სახე) – ცხვირ-ხახის ლიმფოიდური ქსოვილის პათოლოგიური ზრდა. უმეტესად ავადდება 4-დან 10 წლამდე ასაკის ბავშვები. ავადმყოფებს ცხვირით სუნთქვა უჭირთ და პირი მუდმივად ღია აქვთ. ახასიათებთ, აგრეთვე, ქრონიკული სურდო, დუღუნა ხმა, მოუსვენარი ძილი, ყურადღებისა და მეხსიერების დაქვეითება და სხვ. მკურნალობა ქირურგიულია.

**ადენომა** – (ბერძ. aden ჯირკვალი და oma სიმსივნე) – პარკში გახვეული, მომრგვალო ფორმის კეთილთვისებიანი ჯირკვლოვანი სიმსივნე (სარძევე ჯირკვლის, ღვიძლის, ფარისებრი ჯირკვლის და სხვ.). ის ზოგჯერ გადაგვარდება ავთვისებიან სიმსივნედ. ამიტომ აუცილებელია ადენომის დროული ამოკვეთა.

**ადინამია** – [ბერძნ. adynamia – უძლურება] – ძალ-ღონის გამოცლა, სისუსტე, რაც გამოწვეულია ხანგრძლივი ავადმყოფობით, შიმშილით და სხვა.

**ადიუნქტი** – (ლათ. adjunctus მიერთებული, მიმატებული) – ვაქცინას მიმატებული ალუმინის ჰიდროქსიდი, ალუმინის ფოსფატი და სხვა ნივთიერება ვაქცინის იმუნოგენურობის ასამაღლებლად.

**ადრენალინი** – [ფრანგ. adrenaline] – ნივთიერება, რომელსაც გამოიმუშავენ თირკმელზედა ჯირკვალი. მიიღება სინთეზურადაც. არის სამკურნალო საშუალება.

**ადსორბენტი** – სხეული, რომლის ზედაპირზედაც ხდება ადსორბცია.

**ადსორბირება** – იხ. ადსორბცია.

**ადსორბცია** – (ლათ ad თან, zorbere ვშთანთქავ) – სითხის ან მყარი სხეულის ზედაპირული შრის მიერ აირადი გარემოდან

ან ხსნარიდან რომელიმე ნივთიერების შთანთქმა.

**ადჰეზია** – (ლათ. adhaesio – შეხრდა, შეწყება) – უჯრედების ერთმანეთსა და სხვადასხვა სხეულებთან შეწყების თვისება. შეხორცებითი – ორი შემხები სეროზული ზედაპირის (მაგალითად, პლევრის ფურცლების) შეხორცება უმთავრესად ექსუდაციის დროს.

**ადჰეზიის უნარი** – შეწყების უნარი.

**ადჰეზიის ფენომენი** – ადჰეზია-შეწყება, ფენომენი – phaenomenum (ბერძნ. phaenomenon მოვლენილი) – იშვიათი, უჩვეულო, განსაკუთრებული მოვლენა, ნიშანი, სიმპტომი. ე. ი. შეწყების მოვლენის გამოვლენა.

**ადჰეზინები** – მიკროორგანიზმის უჯრედებთან მიმავარებლები. მიკროორგანიზმი და უჯრედი ისე შეესაბამებიან ერთმანეთს, როგორც „გასაღები – საკეტი“. ახასიათებთ სპეციფიკურობა.

**ადრაცია** – ბუნებრივი განიავება, ვენტილაცია.

**ადროპი** – [ბერძნ. aer – ჰაერი და bios – სიცოცხლე] – ორგანიზმები, რომელთა არსებობისათვის აუცილებელია თავისუფალი ჟანგბადი. აერობებს მიეკუთვნება ყველა მცენარე, ცხოველი და მიკროორგანიზმების უმრავლესობა.

**ადროპიოზი** – [ბერძნ. aer – ჰაერი და bios – სიცოცხლე] – სიცოცხლე თავისუფალი ჟანგბადის პირობებში.

**ადროპული** – ბაქტერიები, რომლებიც ცხოველმყოფელობისათვის საჭიროებენ ჟანგბადიან გარემოს.

**ადროული ამონიზიპატორები** – აერობულ პირობებში ამონიფიკაციის პროცესის გამომწვევეები. იხ. ამონიფიკაცია.

**ადროპენული** – [ბერძნ. aer ჰაერი და genos წარმოშობა] – ჰაერით გადაცემული, ჰაერიდან მიღებული.

**ადროლი** – (ბერძნ. aēr ჰაერი. გერმ. Sole – კოლოიდური ხსნარი) – ჰაერში შეწონილი უწვრილესი ნაწილაკები (დრუბლის ან ბოლის ტიპისა). აეროზოლს იყენებენ მედიცინაში ინჰალაციის საშუალებით ორგანიზმში სამკურნალო პრეპარატების შესაყვანად, აგრეთვე, საღებავთექციოდ.

**ადროთერაპია** – [ბერძნ. aer ჰაერი და therapia – მკურნალობა] – ატმოსფერული ჰაერით მკურნალობა (ჰაერის აბაზანები).

**ადროსომა** – გაზით ანუ ჰაერით სავსე ვაკუოლი.

**ადროტაქსისი** – [ბერძნ. aēr ჰაერი და taxis რიგზე დაწყობა, განლაგება] – მიკროორგანიზმების ან მრავალუჯრედიან ორ-

განიზმთა უჯრედების (სპორების და სხვა) მოძრაობა ჟანგბადის წყაროსკენ.

**ამროზოზია** – (ბერძნ. *aēr* – ჰაერი, *phobia* – შიში) – ცოფის ერთ-ერთი ყველაზე დამახასიათებელი სიმპტომი. ჰიპერმგრძნობელობა ჰაერის მცირე მოძრაობაზედაც კი.

**ავილუზოზა** – ანტისხეულის თავისებურება, გვიჩვენოს ანტიგენისა და ანტისხეულის შეკავშირების სიმტკიცე. მაგალითად, M კლასის ანტისხეულებს აქვთ ანტიგენთან დამაკავშირებელი 10 ცენტრი. ე. ი. ახასიათებთ უმაღლესი ავიდურობა.

**ავირულენტოზა** – ზოგიერთი პათოგენური მიკროორგანიზმის შტამის უუნარობა, გამოიწვიოს დაავადება.

**ავირულენტუზი** – არაშხამიანი, ავადმყოფობის არაგამომწვევი (ითქმის მიკრობებზე).

**ავტოაბრმია** – თვითაგრესია.

**ავტოალერგია** – [ბერძნ. *autos* – თვით, *allergia* – ალერგია] – საკუთარი ქსოვილოვანი კომპონენტების – ავტოალერგენებისადმი განვითარებული ალერგია. მაგალითად, გარკვეულ პირობებში ალერგენად შეიძლება გადაიქცეს რევმატიზმის დროს გულის, ჰეპატიტის დროს ღვიძლის და სხვა ქსოვილები.

**ავტობაზია** – [ბერძნ. *autos* – თვით და *gamos* – შეუღლება] – ერთუჯრედიანი ორგანიზმების ისეთი განაყოფიერება, როდესაც ერთმანეთს ერწყმის არა ორი უჯრედი, არამედ ერთ უჯრედში არსებული ორი ბირთვი. ასე ნაყოფიერდება, მაგალითად, ამება, რომელიც პარაზიტობს ადამიანის ნაწლავში.

**ავტოზაჰცინა** – [ბერძნ. *autos* თვით, ლათ. *infectio* ინფექცია] – ვაქცინა, დამზადებული იმ ავადმყოფისაგან აღებული ბაქტერიებით, რომლის სამკურნალოდაცაა იგი დანიშნული.

**ავტონომიზაცია** – ორგანიზმის თვითდასენიანება, რომელიც გამოწვეულია არა გარემოდან შეჭრილი, არამედ ორგანიზმში ძველი ავადმყოფობისაგან შემორჩენილი ბაქტერიებით. ზოგიერთ პირობებში ბაქტერიები ხელახლა ხდებიან ავადმყოფობის გამომწვევენი.

**ავტოკლავი** – [ფრანგ. *autoclave*] – 1. პერმანენტულად დახურული ლითონის ჭურჭელი, ხელსაწყო, რომელსაც იყენებენ საკვები არის, იარაღებისა და სხვათა სტერილიზაციისათვის. ამასთან ტემპერატურა ჩვეულებრივ აჰყავთ

+120°C-მდე. 2. ჰერმეტიკულად დახურული ჭურჭელი (ქვაბი), რომელსაც აცხელებენ მაღალი წნევის პირობებში.

**ავტოკლავიზაცია** – სტერილიზაცია ტენიანი ჰაერით წნევის ქვეშ.

**ავტოლიზი** – [ბერძნ. *autos* – თვით, *lysis* – დაშლა] – ორგანიზმის ქსოვილების დაშლა ამ ქსოვილებში არსებული ფერმენტების ზემოქმედებით. თვითდაშლა, თვითხრწნა და ა. შ. ნივთიერებათა, კერძოდ, ცილების დაშლა ორგანიზმის უჯრედში არსებული ფერმენტების ზემოქმედებით, რაც ხდება უჯრედის კვდომის დროს. კვდომა კი გამოწვეულია დაბალი ტემპერატურის მოქმედებით, უჯრედის გამოშრობით, ზოგიერთი მომწამვლელი ნივთიერების (ქლოროფორმის) მოქმედებით და ქსოვილების მექანიკური დაქუცმაცებით.

**ავტონომიუზი** – (ბერძნ. *autos* – თვით, *homos* წესი, კანონი) – თვითმარეგულირებელი.

**ავტოკლასტიკა** – ქსოვილების გადანერგვა სხეულის ერთი ნაწილიდან მეორეზე რომელიმე დეფექტის გამოსასწორებლად.

**ავტორეპროდუქცია** – *autos* – თვით, რეპროდუქცია – კვლავწარმოება. გენოტიპს, რომელიც უჯრედის გენეტიკური სტრუქტურათა რთული სისტემაა, აქვს ავტორეპროდუქციის, ე. ი. თვითწარმოქმნის უნარი.

**ავტოტროფი** – იხ. ავტოტროფული ორგანიზმები.

**ავტოტროფული ორგანიზმები** – ორგანიზმები, რომელთაც შეუძლიათ მათთვის საჭირო ორგანული ნივთიერების სინთეზი არაორგანული ნივთიერებებიდან (წყლიდან, მინერალური მარილებიდან, ნახშირორჟანგიდან) ფოტოსინთეზის (მწვანე მცენარეების) ან ქემოსინთეზის (ზოგიერთი ბაქტერიის) პროცესში.

**ავტოქოროზი** – (ბერძნ. *autos* თვით, *chthon* სამშობლო, მიწა-წყალი) – ადგილობრივი წარმოშობისა, დამოუკიდებელი.

**აზუმსტის ფილტრი** – თერმოლაბილური საკვები არეების გასასტერილებელი ფილტრი. ფილტრი დამუხტულია დადებითად, ბაქტერიებს უარყოფითი მუხტი აქვთ. გაფილტვრის მექანიზმი მდგომარეობს იმაში, რომ ფილტრის კედლები ახდენენ ბაქტერიების ადსორბირებას.

**აზოლოთიმიდი** – თიმიდის ანალოგი. მოქმედებს რეტროვირუსების, კერძოდ, აივის შემზღობით ტრანსკრიპტაზაზე. პრეპარატი ტოქსიკურია.

**ახოტის მჟავა** – (ახოტმჟავა) – ახოტის შენაერთი ჟანგბადსა და წყალბადთან. წარმოადგენს უფერულ სითხეს. მასში იხსნება ყველა ლითონი გარდა ოქროსა და პლატინისა.

**ახოტმაფიქსირებელი ბაქტერია** – (ახოტობაქტერი) – ნიადაგში თავისუფლად მცხოვრები აერობული ბაქტერიების ერთ-ერთი ჯგუფი; მათი საშუალებით ხდება ატმოსფეროს მოლეკულური ახოტის შეთვისება და ნიადაგის ახოტოვანი ნივთიერებებით გამდიდრება.

**ახოტობაქტერი** – ნიადაგის ბაქტერია, რომელიც ჰაერიდან ითვისებს ახოტს და ამდიდრებს ნიადაგს ახოტოვანი ნივთიერებებით. იგივეა, რაც ახოტობაქტერი (იხ. ახოტობაქტერი).

**ახოტობაქტერიონი** – სასუქის პრეპარატი, რომელიც შეიცავს ახოტობაქტერს.

**ახოტობენი** – იხ. ახოტობაქტერი.

**ახოტფიქსატორები** – მიკროორგანიზმები, რომლებიც ახდენენ ახოტფიქსაციას. მაგალითად: აერობული ახოტფიქსატორია Azotobacter chroococcum, ანაერობული ახოტფიქსატორი – Clostridium pasteurianum.

**ახოტფიქსაცია** – ატმოსფეროს მოლეკულური ახოტის ფიქსირებისა და ახოტოვანი შენაერთებში გადაყვანის პროცესი.

**ათაშანები** – იხ. სიფილისი.

**ათმრომა** – [ბერძნ. athere ფაფა] – კანის კეთილთვისებიანი სიმსივნე, რომელიც შეიცავს ცხიმოვან წვეთებსა და ფაფისებურ მასას.

**ათმროსკლეროზი** – გულისა და სისხლძარღვების სისტემის დაავადება.

**აივ-ი** – ადამიანის იმუნოდეფიციტის ვირუსი. 1983-1984 წლებში ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად აღმოაჩინეს ფრანგი ლ. მონტანიესა და ამერიკელი რ. გალოს ჯგუფებმა. იგი არის რნმ-ის შემცველი ლიმფოტროფული ვირუსი. იწვევს შიდსის (შემენილი იმუნოდეფიციტის სინდრომის) განვითარებას.

**აკლიმატიზაცია, აკლიმატიზირება** – [გერმ. Akklimatization] – ორგანიზმის შეგუება მისთვის ახალ, უჩვეულო კლიმატურ პირობებთან.

**აკმე** – [ბერძნ. akme მწვერვალი] – ავადმყოფობის განვითარების უმაღლესი მწვერვალი.

**აკომოდაცია** – თვალის უნარი, ნათლად გაარჩიოს საგნები სხვა-

დასხვა მანძილზე. ადამიანსა და უმეტეს ცხოველებში ხორციელდება თვალის ბროლის ფორმის ან მდებარეობის შეცვლით.

**აკუმულირება** – აკუმულაცია – 1. რისამე დაგროვება. 2. ორგანულ და მინერალურ ნივთიერებათა დაგროვება დედამიწის ზედაპირსა და წყლის ფსკერზე ქარის, წყლის, ვულკანის და სხვათა მოქმედების შედეგად.

**აკრიდინი** – ორგანული საღებავი. გამოიყენება ნუკლეინის მუცების განსაზღვრისათვის. გამოიყენება როგორც ანტისეპტიკი. აქვს ბაქტერიოციდული მოქმედება.

**აკრიძინი** – მაღარიის საწინააღმდეგო სინთეზური პრეპარატი, ქინაქინის შემცველი.

**აკროლონტური კბილა** – კბილები, რომლებიც არ ზის ფოსფორში და მიზრდილია ყბის ძვლის ნაპირებზე.

**აკროლინი** – [ლათ. acer (acris მწვავე და oleum – ზეთი)] – მომწამლავი ნივთიერება, მწვავე სუნის მქონე, უფერო, აქროლადი სითხე. ფორმალინთან შერეულს იყენებენ სადეზინფექციოდ.

**ალანინი** – ამინომჟავა. შედის ცილის შემადგენლობაში.

**ალაოს შაჰარი** – იხ. მალტოზა.

**ალბინიზმი** – [ლათ. albus – თეთრი] – მოცემული სახეობისათვის დამახასიათებელი ნორმალური პიგმენტაციის შეფერილობის უქონლობა, გამოწვეული ორგანიზმის შინაგანი ფაქტორებით, რომლებიც ხელს უშლიან პიგმენტების სინთეზს.

**ალბინოსი** – [ფრანგ. albinos] – ალბინიზმის ნიშნების მქონე მცენარე, ცხოველი ან ადამიანი.

**ალბუმინები** – [ფრანგ. albumine, ლათ. albumen – ცილა] – წყალში ხსნადი უმარტივესი ცილები. უმთავრესად გვხვდება ცხოველებში, მაგ.: კვერცხის, სისხლის, რძისა და სხვა ნივთიერებათა შემადგენლობაში. მცენარეებში დადასტურებულია მცირე რაოდენობით. დიდი გამოყენება აქვთ მრეწველობის სხვადასხვა დარგში (საკონდიტრო საქმეში, ღვინის წარმოებასა და საფეიქრო მრეწველობაში).

**ალბუმინურია** – [ლათ. albumen – ცილა და ბერძნ. uron – შარდი] – ცილის გამოყოფა შარდთან ერთად. აღინიშნება თირკმლის (ნეფრიტი, ნეფროზი, პიელონეფრიტი), გულისა და ინფექციურ დაავადებათა დროს ინტოქსიკაციის შემთხვევაში და სხვა. ალბუმინურია იშვიათად შეიძლება

განუერთარდეს ჯანმრთელ ადამიანსაც ფიზიკური გადატვირთვის (სპორტული შეჯიბრებების, ხანგრძლივი სიარულის) შედეგად.

**ალბუმოზები** – ცილების დაშლის შუალედი პროდუქტები.

**ალდეჰიდი** – [ლათ. al(cohol)dehyd (rogenatum) წყალბადგამოცლილი ალკოჰოლი] – ორგანული ნაერთი, რომელიც მიიღება სხვადასხვა სპირტისაგან ორი ატომი წყალბადის გამოცლის შედეგად.

**ალელი** – გენების წყვილი; ჰომოლოგიური ქრომოსომების ერთნაირ ლოკუსში ლოკალიზებული გენები, რომლებიც გამოხატავენ ერთი და იმავე გენის ალტერნატიულ მდგომარეობას.

**ალეიკემია** – სისხლის წარმოქმნელი ორგანოების დაავადება, რომელიც გამოხატულია სისხლის წარმოქმნელი ქსოვილების ზედმეტი გაზრდით.

**ალერგენი** – ალერგიული რეაქციების გამომწვევი ანტიგენი.

**ალერგია** – (ბერძნ. allos სხვა, ergon მოქმედება) – 1. მიკროორგანიზმის გაუკუღმართებული (გაზრდილი) სპეციფიკური რეაქცია ანტიგენთან (ალერგენტთან) განმეორებით კონტაქტზე. პირველად ტერმინი „ალერგია“ შემოიტანა ფრანგმა მეცნიერმა კ. პირკემ 1906 წელს; 2. ორგანიზმის შეცვლილი მგრძობელობა ამა თუ იმ ნივთიერების, ე. წ. ალერგენის განმეორებითი ზემოქმედების მიმართ. ალერგენის პირველადი მოქმედება ორგანიზმში იწვევს მის სენსიბილიზაციას, ე. ი. ალერგიულ მზადყოფნას. ლიმფოციტური ქსოვილში (ელენთა, ლიმფური კვანძები) გამომუშავდება ალერგენის მოქმედების „გამანეიტრალებელი“ ანტისხეულები. თუ იმავე ალერგენს განმეორებით შევიყვანთ ორგანიზმში, ანტისხეულების რაოდენობა მკვეთრად გაიზრდება. ალერგენისა და ანტისხეულების ურთიერთმოქმედების შედეგად გამომუშავდება ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებები (ჰისტამინი, ბრადიკინინი და სხვა), რომლებიც ზრდიან კაპილარების განვლადობას, აღწევენ მათ კედლებში, აღიზიანებენ ნერვულ რეცეპტორებს, აზიანებენ ქსოვილებსა და იწვევენ ანთებას. ალერგენის განმეორებითი შეყვანისას ვლინდება ორგანიზმის შეცვლილი რეაქცია, რაც უფრო ხშირად მისი მგრძობელობის მომატებით გამოიხატება.

**ალერგიზაცია** – ალერგიის გამოწვევა.

**ალერგიული დავადავა** – aegritudo allergia(ლათ. aegritudo – დაავადება, allergica – ალერგიული) – დაავადება, რომელიც გამოწვეულია ალერგენის განმეორებითი ზემოქმედების შედეგად. ალერგიული დაავადებები: შრატისმიერი ავადმყოფობა, ბრონქული ასთმა, თივისმიერი ცხელება, ჭინჭრის ცხელება, წამლისმიერი ალერგია და სხვა. ავტო-ალერგიული ბუნებისაა რევმატიზმი, რევმატიოიდული პოლიარტრიტი, დიფუზური გლომერულონეფრიტი. ზოგიერთი ინფექციური დაავადების (ტუბერკულოზის, ბრუცელოზისა და სხვა) დროს ალერგია დაერთვის ძირითად პროცესს. ალერგიული რეაქციის ერთ-ერთი გამოვლენაა ორგანოს ან ქსოვილის გადაწვევის შემდეგ განვითარებული ქსოვილოვანი შეუთავსებლობაც. მკურნალობა: ჰორმონული პრეპარატებით (კორტიკოსტეროიდებით), ანტიჰისტამინური ნივთიერებებით, სალიცილატებითა და სხვა. პროფილაქტიკა: ალერგენების არიდება. იმ დაავადებათა (მაგალითად, ქრონიკული ინფექციის კერების) მკურნალობა, რომლებიც ზოგჯერ ალერგიას იწვევენ.

**ალერგიული სინჯი** – გამოიყენება ზოგი ინფექციური დაავადების (ტუბერკულოზი, ბრუცელოზი, ტულარემია და სხვა) სხვადასხვა სახის ანტიგენებთან (ალერგენტთან) ჰიპერმგრძობელობის გამოსავლენად.

**ალერგოლოგია** – allergologia (ბერძნ. allos სხვა, ergon მოქმედება, logos მოძღვრება) – ალერგიულ დაავადებათა გამომწვევი მიზეზების, მათი განვითარების მექანიზმის, დიაგნოსტიკის, მკურნალობისა და პროფილაქტიკის შემსწავლელი მეცნიერება.

**ალექსიცი** – [ბერძნ. alexo ვიცავ] – სისხლის შრატში არსებული დამცავი ნივთიერება.

**ალვეოლა** – alveolus – ბუშტულა, ღრმული, ღარი – 1. ბუშტუკოვანი (ალვეოლური) ჯირკვლების ბოლო, სეკრეტის გამოყოფი ნაწილი; 2. ფილტვის ბრონქიოლების დაბოლოება, ეპითელიუმის უჯრედებით ამოფენილი და სისხლის კაპილარებით დაფარული ბუშტუკი, სადაც ხდება აირცვლა; 3. ყბის ძვლებში – ფოსო, რომელშიც კბილის ფესვი ზის (კბილბუდე).

**ალვეოლური კამრი** – ფილტვის ალვეოლებში მყოფი გაზების ნარევი.

**ალიმენტური** – საჭმლისა, საკვებისა.

**ალიმენტური ბზა** – საკვებითა და წყლით მიკრობების მოხვედრა საჭმლის მომწოდებელ ტრაქტში.

**ალიმენტური ჰიპერლიკემია** – [ბერძნ. hyper-ზე, მეტისმეტად და (იხ. გლიკემია)] – სისხლში შაქრის მომატება, რაც გამოწვეულია ნახშირწყლებით მდიდარი საკვების მიღების შედეგად.

**ალკალიზი** – (ლათ. alcali ტუტე) – ტუტიანობის მომატება სისხლსა და ორგანიზმის სხვა ქსოვილებში.

**ალკალიოზი** – (ლათ. alcali ტუტე და ბერძნ. eidios სახე) – ტუტისებრი ორგანული ნივთიერებანი, უმთავრესად მცენარეული წარმოშობისა. შეიცავენ აზოტს. გამოირჩევიან ძლიერი ფიზიოლოგიური მოქმედებით. მცირე დოზებით იყენებენ მედიცინაში.

**ალობენური** – (ბერძნ. allos – სხვა, gennao – დაბადება, წარმოშობა) – ჰომოგენური ქსოვილის გადანერგვა იმავე სახეობის სხვა ინდივიდში. მაგ., ალოგენური ტრანსპლანტაცია.

**ალოტრანსპლანტაცია** – (ბერძნ. allos სხვა, ლათ. trans იქით, იქითა, plantatio ნერგი) – ქსოვილებისა და ორგანოების გადანერგვა ერთი სახეობის ორგანიზმების ფარგლებში.

**ალოტროპია** – ერთი და იმავე ქიმიური ელემენტის არსებობა სხვადასხვა მარტივი ნივთიერებების სახით.

**ალოტრომოსომი** – იხ. სასქესო ქრომოსომები.

**ალოტრონები** – „გადმოსახლებულები“ – ორგანიზმები, რომლებიც დასახლებული არიან ამა თუ იმ ადგილზე, მაგრამ წარმოქმნილი არიან ევოლუციის პროცესში სხვაგან. მოცემულ ადგილზე ეს ორგანიზმები დასახლებული არიან მათი პირველადი გაფრცხლების ცენტრიდან განსახლების შედეგად.

**ალოტრონური** – (ბერძნ. allos სხვა, chthon სამშობლო, მიწა-წყალი) – განსახლების შედეგად ამა თუ იმ ფლორასა და ფაუნაში მოხვედრილი ორგანიზმები.

**ალოტრონური წარმოგადგენლები** – გადმოსახლებული ორგანიზმები. ევოლუციის პროცესში წარმოიქმნენ სხვაგან და ამჟამად დასახლებული არიან სხვა ადგილზე.

**ალტერნატივა** – (ფრანგ. alternative) – ორი ერთმანეთის საპირისპირო შესაძლებლობიდან ერთ-ერთის არჩევანის აუცილებლობა; მესამე შესაძლებლობის არარსებობა.

**ალტერნატიული** – იხ. ალტერნატივა, ალტერნატივის ხასიათისა; ორში ერთი აუცილებელი ან შესაძლებელი.

**ალტერნატიული ბზა** – კომპლემენტის აქტივაციის გზა.

**ალტერნატიული ემსარმია** – ამა თუ იმ ფაქტორის მოქმედების შეწყვეტის შემდეგ მიკრობული უჯრედების მიერ შექმნილი ნიშნების დაკარგვა და საწყის ფენოტიპზე დაბრუნება.

**ალტერნატიული ცვალებადობა** – იხ. ცვალებადობა თვისობრივი.

**ალფა ვირუსები** – ტოგავირუსების ოჯახის წარმომადგენლები. ისინი სისხლისმწოველი ფეხსახსრიანების კენის შემდეგ ხვდებიან სისხლის ნაკადში. იწვევენ ვირუსემიას და ნერვული უჯრედების დესტრუქციას.

**ალფა ინტერფერონი** – ლეიკოციტური ინტერფერონი, რომლის გამომუშავებაც ორგანიზმში მატულობს ვირუსული ინფიცირებისას.

**ალფა-ჰერპესვირუსები** – მარტივი ჰერპესის, ჩუტყვავილას და ე. წ. სარტყლისებრი ლიქენის, იგივე ჰერპეს-ზოსტერის ვირუსები.

**ამანტადინი** – გრიპის A ვირუსის სამკურნალო პრეპარატი.

**ამეზა** – [ბერძ. amoibe – ცვლილება, შეცვლა] – მიკროსკოპული ერთუჯრედიანი ცხოველი, რომელსაც არა აქვს მუდმივი ფორმა. ცხოვრობს წყალში. ზოგი სახეობა პარაზიტობს ადამიანისა და ცხოველის ნაწლავებში.

**ამეზიანი** – დაავადება, რომელსაც იწვევს ამეზა.

**ამეზისებრი მოძრაობა** – მოძრაობა, რომელიც ხორციელდება სხეულის მთელი შიგთავსის გადაღვრით, ე. წ. ცრუ ფეხების მიმართულებით, როგორც ეს დამახასიათებელია ამეზისათვის.

**ამიაკი** – ამონიაკი, მწვავე სუნის მქონე უფერული გაზი, რომელიც წარმოადგენს აზოტისა და წყალბადის ნაერთს (NH<sub>3</sub>). წყალში გახსნით მიიღება ნიშადურის სპირტი.

**ამიდეზი მჟავანი** – ორგანული მჟავების ნაწარმები, რომლებშიც ჰიდროქსილის ჯგუფი (OH) ჩანაცვლებულია ამინოჯგუფით (NH<sub>2</sub>).

**ამიდი ჯგუფი** – ამიაკის (NH<sub>3</sub>)-ის მოლეკულაში წყალბადის ერთი ატომის ჩანაცვლებით მიღებული ერთატომიანი ჯგუფი – NH<sub>2</sub>.

**ამილაზა** – ფერმენტი, რომელიც შლის სახამებელს და ხელს უწ-

ყოფს მის გარდაქმნას შაქრად. მოიპოვება ნერწყვში, კუჭკვეშა ჯირკვალში და სხვა.

**ამილოზა** – ბუნებრივი სახამებლის შემადგენელი ნაწილი. სახამებლიდან გამოყოფილი ამილოზა წარმოადგენს თეთრ, ამორფულ ფხვნილს, რომელიც ცხელ წყალში გამჭვირვალე ხსნარს წარმოქმნის. ეს ხსნარი იოდის რეაქტივის მოქმედებით ლურჯად იღებება.

**ამინები** – ამიაკიდან ნაწარმი ორგანული ნაერთები, რომლებშიც წყალბადის ატომები ჩანაცვლებულია ნახშირწყალბადის რადიკალებით.

**ამინოაზოტოტროფული** – აზოტზე მოთხოვნილების დაკმაყოფილება ატმოსფეროს მოლეკულური აზოტით.

**ამინომჟავები** – ორგანული ნაერთები (მჟავები), რომლებიც მოლეკულაში აუცილებლად შეიცავენ ამინოჯგუფებს და კარბოქსილის (მჟავას) ჯგუფს. ამინომჟავები შედიან ცილების შემადგენლობაში და მათ მონომერს წარმოადგენენ. ამინომჟავებს შეუძლიათ ერთმანეთთან შეერთება და ცილის მოლეკულის პეპტიდური ჯაჭვის წარმოქმნა.

**ამინოჰემატოტროფები** – მიკროორგანიზმები, რომლებიც კვების სათვის იყენებენ ორგანულ აზოტოვან შენაერთებს, მაგ.: ზოგიერთი ამინომჟავა, ვიტამინი და სხვა.

**ამიტოზი** – უჯრედის პირდაპირი დაყოფა. ამ დროს თანმიმდევრობით ხდება ჯერ ბირთვაკის, შემდგომ ბირთვის, ციტოპლაზმისა და ბოლოს მთელი უჯრედის ორად გაყოფა იმ რთული პროცესების გარეშე, რომლებიც მიმდინარეობს ე. წ. მიტოზის ანუ არაპირდაპირი დაყოფის დროს.

**ამონიაკი** – იგივეა, რაც ამიაკი.

**ამონიფიკაცია** – ბაქტერიების მიერ ორგანული აზოტოვანი ნივთიერებების დაშლის პროცესი, რომლის დროსაც წარმოიქმნება ამონიაკი. დიდი მნიშვნელობა აქვს ნიადაგის ნაყოფიერების შენარჩუნებისათვის.

**ამორფული** – უფორმო.

**ამორფივიტი კულტურები** – ერთი განსაზღვრული ჯგუფის მიკროორგანიზმთა კულტურა.

**ამაშტაცია** – ქირურგიული ოპერაცია. სხეულის დაავადებული პერიფერიული ნაწილის (მაგ., კიდურის) სრული ან ნაწილობრივი მოკვეთა.

**ამოქსიცილინი** – პენიცილინი ფართო მოქმედების სპექტრით.

**ანაბიოზი** – 1. ფარული სიცოცხლე. ორგანიზმის ცხოველმოქმედე-

ბის მაქსიმალური შენერება, რომლის დროსაც სიცოცხლის ყოველივე ხილვად გამოვლინებას ადგილი არა აქვს, მაგრამ შესაფერისი პირობების დადგომასთან ერთად მას აქვს ცხოველმოქმედების აღდგენის უნარი. ანაბიოზის მდგომარეობაში იმყოფება მშრალი თესლეები, დიდი სიმშრალის დროს მღიერები, ბევრი მცენარის სპორები და სხვა; 2. პროდუქტების დაკონსერვების ერთ-ერთი საშუალება, როდესაც იქმნება ისეთი პირობები, რომელიც ხელს უშლის მიკროორგანიზმების გამრავლებას (მაგ.: გაშრობა, გაყინვა).

**ანაბოლიზმი** – ბიოქიმიური რეაქციების ერთობლიობა, რომლებიც ახორციელებენ უჯრედის კომპონენტების სინთეზს.

**ანამეოზი** – ორგანიზმები, რომელთაც შეუძლიათ სიცოცხლე ჟანგბადის გარეშე. ასხვავებენ ანამეოზების ორ ჯგუფს: ობლიგატურ და ფაკულტატიურ ანამეოზებს.

**ანამეოზული ამონიფიკატორი** – ამონიფიკაციის მომხდენი ანამეოზული პირობებში. მიეკუთვნება: *Clostridium paraputrificum*, *Cl. bifermentans*.

**ანამეოზული სულფატრეფიცი** – ანამეოზულ პირობებში (უჟანგბადო გარემოში) გოგირდის აღდგენა.

**ანამეოსტატი** – ჰერმეტიზირებული თერმოსტატი, რომელშიც ახდენენ ანამეოზების კულტივირებას. ანამეოსტატიდან გამოდევნიან ჰაერს ან მას შეცვლიან ინერტული გაზით. ანამეოსტატი გამოიყენება ანამეოზების კულტივირებისათვის.

**ანალბეზია** – ტკივილის მგრძობიარობის დაკარგვა მაშინ, როდესაც შეხების მგრძობიარობა შენარჩუნებულია.

**ანალბეზია** – იხ. ანალგეზია.

**ანალიზი** – რაიმეს შესწავლა მისი ნაწილებად დაშლის გზით.

**ანალიზური** – ანალიზზე დამყარებული; რაც ანალიზს იყენებს.

**ანალური** – ყითა ნაწლავთან დაკავშირებული, მაგალითად, ანალური ჯირკვლები.

**ანალური ხვრელი** – უკანა სადინარი ხვრელი, რომლითაც ბოლოვდება საჭმლის მომწელებელი სისტემა.

**ანამნეზი** – ბერძნ. *anamnesis* – მოგონება – ავადმყოფის ან დაავადებული ადამიანების ახლობლების გამოკითხვით ავადმყოფობის შესახებ შეკრებილი ცნობები.

**ანატოქსინი** – *anatoxinum* (ბერძნ. *ana* უკან, *toxon* შხამი) – ტოქსინი, რომელსაც ფორმაალდეჰიდის ან სითბოს ზემოქმედებით დაკარგული აქვს შხამიანობა და შენარჩუნებული

აქვს ანტიგენური და იმუნოგენური თვისებები, რის გამოც ფართოდ გამოიყენება იმუნიზაციისთვის.

**ანაზაზა** – უჯრედის არაპირდაპირი დაყოფის ერთ-ერთი, სახელდობრ, მესამე ფაზა, რომლის დროსაც ქრომოსომები ერთმანეთს სცილება და პოლუსებისაკენ მიემართება.

**ანაფილაქსია** – (ბერძნ. ana უკუ, phylaxis დაცვა) – გაძლიერებული მგრძნობელობა, რომელიც უფითარდება ადამიანს ან ცხოველს მის ორგანიზმში (კანში, კანქვეშ, კუნთებში, სისხლში) უცხო ცილის – ანტიგენის (ანაფილაქტოგენის) განმეორებით (6-12 დღის შემდეგ) შეყვანისას. ანაფილაქსია ალერგიის თავისებური ფორმაა. სისხლში ანაფილაქტოგენის პირველად მოხვედრა იწვევს სპეციფიკური ანტისხეულების გამოშუშავებას და მიმდინარეობს შესამჩნევი კლინიკური მოვლენების გარეშე. ანაფილაქტოგენის განმეორებით შეყვანა იწვევს სწრაფ ანაფილაქსიურ რეაქციას. ანაფილაქსიის ტიპობრივი გამოვლინებაა ანაფილაქსიური შოკი: სისხლის წნევის დაცემა, აგზნებულობა, რასაც მოჰყვება ცენტრალური ნერვული სისტემის მოქმედების დათრგუნვა და სიკვდილი სუნთქვის ცენტრის დამბლის გამო. ანაფილაქსიის საწინააღმდეგოდ იყენებენ ადრენალინს, ეფედრინს, ანტიჰისტამინურ საშუალებებს, ჰორმონულ პრეპარატებს და სხვა.

**ანაფილაქსიური** – ალერგიის ძირითადი ტიპი.

**ანბომა** – კეთილთვისებიანი სიმსივნე, რომელიც შედგება სისხლძარღვების ან ლიმფის სადინარებისაგან.

**ანბსტრემი** – სივრცის ერთეული, უდრის სანტიმეტრის მესამილიონედს; იყენებენ სინათლის ტალღების სივრცის გასაზომად და სხვა (შვედი ფიზიკოსის Angström – ის გვარის მიხედვით).

**ანდრობენი** – ნივთიერება, რომელიც სტიმულს აძლევს მამაკაცის მეორეული სასქესო ნიშნების განვითარებას.

**ანემრიზმა** – (ბერძნ. aneuryno ვაგანიერება) – სისხლძარღვის შემოფარგლული გაგანიერება, მისი კედლის გამობერვა. ვითარდება არტერიებსა და ვენებში. განსაკუთრებით ხშირია აორტის ანევრიზმა.

**ანემრიზი** – ვიტამინი B<sub>12</sub>, რომლის ნაკლებობა იწვევს ნერვული სისტემის აშლილობას. საკვებში მისი ნაკლებობის დროს ვითარდება ისეთი დაავადებები, როგორცაა პოლინეურითი და ბერი-ბერი.

**ანემია, სისხლნაკლებობა** – (ბერძნ. an უარყოფითი, haima სისხლი) – დაავადებათა ჯგუფი, რომელსაც ახასიათებს ერთროციტებში ჰემოგლობინისა და სისხლში ერთროციტების რაოდენობის შემცირება. ნიშნებია: სისუსტე, კანის საფარვლისა და ლორწოვანი გარსების სიფერმკრთაღე, თავბრუს, მიდრეკილება გულის წასვლისადმი. ანემიას იწვევს: სისხლის დაკარგვა, სისხლის წარმოქმნის დაზღვევა და ერთროციტების გაძლიერებული დაშლა.

**ანემია ჰემოლიზური** – (anaemia იხ. ანემია, haima სისხლი, lysis დაშლა) – ერთროციტების გაძლიერებული დაშლით განპირობებული ანემია, მაგ.: მიკროსფეროციტული ანემია, ჰემოლიზური ანემია, მალარიის, სისხლის შეცდომით გადასხმის დროს და სხვ.

**ანესთეზია** – [ბერძნ. anaesthesia უგრძნობელობა] – ქირურგიული ჩარევის საჭიროების შემთხვევაში მგრძნობელობის დაკარგვა ან შესუსტება. რეცეპტორული ფუნქციების მოშლა ამა თუ იმ არეში. გაღიზიანება არ აღწევს ცნობიერებადღე.

**ანესთეზია ადგილობრივი** – anaesthesia localis [ბერძნ. anaesthesia იხ. ანესთეზია, ლათ. locus ადგილი] – ადგილობრივი მგრძნობელობის მოშლა სხვადასხვა საანესთეზიო ნივთიერებების (ნოვოკაინის, კოკაინის, დიკაინისა და სხვათა) მოქმედებით.

**ანთროპოგენეზი** – (ბერძნ. anthropos ადამიანი, genesis – წარმოშობა) – ანთროპოლოგიის ნაწილი, რომელიც შეისწავლის ადამიანის წარმოშობას.

**ანთროპოგენი** – თანამედროვე – დედამიწის გეოლოგიური ისტორიის მეოთხეული პერიოდი, რომელიც დღემდე გრძელდება.

**ანთროპოგენური** – ადამიანის მოქმედების მოღვაწეობის შედეგად შექმნილი. მაგ., ლანდშაფტი, მცენარეულობა, ნიადაგები, რელიეფი.

**ანთროპოგენური მცენარეულობა** – მცენარეულობა, რომელიც ადამიანის მიერაა შექმნილი.

**ანთროპოზოოლოგია** – ინფექციები, რომლებითაც ავადდებიან როგორც ადამიანები, ასევე – ცხოველები.

**ანთროპონოზი** – დაავადება, რომელიც დამახასიათებელია ადამიანისთვის.

**ანომალია** – anomalis [ბერძ. an – უარყოფითი ნაწილაკი, – თანაბარი] – არანორმალურობა; ნორმიდან გადახრა; კანონზომიერების დარღვევა, საერთო წესისაგან გადახვევა.

**ანოფელისი** – Anopheles [ბერძ. anopheles – უსარგებლო, მანვე] – მალარიის გამაერცვლებელი კოლო.

**ანოქსემია** – [ბერძ. an (უარყ. ნაწილაკი), ლათ. oxy (genium) ჟანგბადი და ბერძ. haima სისხლი] – ჟანგბადის ნაკლებობა სისხლში.

**ანოქსია** – [ბერძ. an (უარყ. ნაწილაკი), ლათ. oxy (genium) ჟანგბადი და ბერძ. haima სისხლი] – ჟანგბადის რაოდენობის შემცირება ორგანიზმში, მის ცალკეულ ორგანოებსა და ქსოვილებში.

**ანოქსიზმური ფოტოსინთეზი** – უჟანგბადო ფოტოსინთეზი, როდესაც არ ხდება მოლეკულური ჟანგბადის გამოყოფა, რადგანაც ელექტრონების დონორია H<sub>2</sub>S და ა. შ. ახასიათებს მეწამულ და მწვანე ბაქტერიებს.

**ანტაგონიზმი** – (ბერძ. antagonizma ბრძოლა) – საპირისპირო, საწინააღმდეგო მოქმედება ორგანიზმში, მაგ.: მომხრელი და გამშლელი კუნთების, სიმპათიკური და პარასიმპათიკური ნერვული სისტემის ან წამლის საპირისპირო მოქმედება ავადმყოფობის გამომწვევ საწყისზე და სხვა.

**ანტაგონიზმი მიკრობებისა** – ერთი მიკროორგანიზმის დათრგუნვა ან მოსპობა მეორე მიკროორგანიზმის ცხოველმოქმედების პროდუქტებით.

**ანტაგონისტები** – 1. კუნთები ან კუნთების ჯგუფი, რომლებიც მონაწილეობენ მოძრაობაში ერთიმეორის საწინააღმდეგოდ. მაგ.: მომხრელი და გამშლელი კუნთები. 2. მიკროორგანიზმები, რომლებიც მოქმედებენ დამწავრელად სხვა მიკროორგანიზმების სიცოცხლესა და განვითარებაზე.

**ანტიბაქტერიული ნივთიერებები** – ანტი – საწინააღმდეგო – ბაქტერიების საწინააღმდეგო ნივთიერებები.

**ანტიბიოზი** – ორგანიზმის მიერ ისეთი ნივთიერების გამოყოფა, რომელიც ზიანს აყენებს მეორეს. ზოგიერთი წყალმცენარე დიდ ზიანს აყენებს კიბოსნაირებს.

**ანტიბიოტიკები** – ბიოლოგიური წარმოშობის ნივთიერებანი, რომელთა სინთეზირება ხდება მიკროორგანიზმის მიერ. ანტიბიოტიკებს აქვთ უნარი ჩაახშონ ბაქტერიებისა და სხვა მიკროორგანიზმების ზრდა. ბევრ ანტიბიოტიკს

აქვს მიკრობების მოკვლის უნარიც. თითოეული ანტიბიოტიკი ხასიათდება სპეციფიკური ამორჩევითი მოქმედებით და მიკრობთა მხოლოდ ერთ გარკვეულ სახეობაზე მოქმედებს. მათ ფართოდ იყენებენ მედიცინაში, სოფლის მეურნეობასა და კვებისა და მიკრობიოლოგიური მრეწველობის სხვადასხვა წარმოებებში.

**ანტიბენეზია** – სისხლში უცხო ანტიგენებისა და აუტოანტიგენების ცირკულაცია.

**ანტიბენი** – (ბერძ. anti – წინააღმდეგ, genos გვარი, წარმოშობა) – მაღალმოლეკულური კოლოიდური ნაერთები, უმთავრესად მცენარეული, ბაქტერიული ან ცხოველური ცილები. კანქვეშ, კუნთებსა და სისხლში მათი შეყვანის შემდეგ ორგანიზმში წარმოიქმნება ანტისხეულები. ანტიგენს აქვს წარმოქმნილ ანტისხეულებთან სპეციფიკურ რეაქციაში შესვლის უნარი. ანტიგენური თვისებები ახასიათებს, აგრეთვე, გველის, მორიელის, ფუტკრის, ზოგიერთი ობობის შხამს. ერთი ცხოველის ცილა ანტიგენია იმავე სახის სხვა ცხოველისათვის. ამით არის გამოწვეული ქსოვილის გადანერგვისას ქსოვილოვანი შეუთავსებლობის რეაქცია იმ შემთხვევების გამოკლებით, როდესაც ქსოვილი გადანერგილია ერთკვერცხიანი ტყუპის ცილიდან მეორეზე.

**ანტიბენის ლიზისი რეაქცია** – ანტიგენის დაშლის რეაქცია.

**ანტიბენოზა** – ანტიგენის მოლეკულის უნარი, გაააქტიუროს იმუნური სისტემის კომპონენტები და შევიდეს სპეციფიკურ ურთიერთქმედებაში იმუნიტეტის ფაქტორებთან.

**„ანტიბენური დეპრესინატი“** – ანტისხეულის ანტიგენის მოლეკულის მცირე მონაკვეთთან ურთიერთქმედება, რომელსაც ეწოდება „ეპიტოპი“.

**ანტივირუსი** – სამკურნალო პრეპარატი, რომელიც წარმოადგენს მიკრობთა კულტურების ფილტრატს; ანტივირუსს უნარი აქვს, შეაჩეროს იმ მიკრობთა გამრავლება, რომელთა კულტურიდანაცაა მიღებული.

**ანტიკარიესული** – [ბერძ. anti – წინააღმდეგ, caries – ლპობა, კარიესი] – კარიესის საწინააღმდეგო.

**ანტიმიკრობული** – მიკრობების საწინააღმდეგო.

**ანტიმიკრობული იმუნიტეტი** – მიკრობსაწინააღმდეგო იმუნიტეტი. შექმნილი იმუნიტეტი, რომელიც მიმართულია სხვადასხვა მიკროორგანიზმის მიმართ. ასეთებია: ბაქტერიები, სპიროქეტები, რიკეტსიები და სხვა.

**ანტიმეტაბოლიტიზმი** – ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებანი, რომლებიც ხელს უშლიან ორგანიზმის ქსოვილებში ბუნებრივად წარმოქმნილი ნივთიერებათა ცვლის შუალედურ პროდუქტების – მეტაბოლიტების მოქმედებას.

**ანტირაბიული ანტიბიოტიკები** – (ბერძნ. anti – წინააღმდეგ, ლათ. rabies – ცოფი) – ცოფის საწინააღმდეგო საშუალებანი – პასტერის აცრები ფრანგი ბაქტერიოლოგის ლუი პასტერის (1822-1895) გვარის მიხედვით.

**ანტირაბიული გამაგლოზულინი** – ცოფის საწინააღმდეგო გამაგლოზულინი.

**ანტირაბიული ვაქცინა** – ცოფის ანუ ჰიდროფობიის საწინააღმდეგო ვაქცინა.

**ანტისეპტიკა** – antiseptics (ბერძნ. anti წინააღმდეგ, sepsis ლპობა) – ჭრილობაში შეღწეულ ან ჭრილობის გარე ინფექციასთან ბრძოლა სხვადასხვა ქიმიური საშუალებებით.

**ანტისეპტიკები** – ლპობის საწინააღმდეგო საშუალებანი; ქიმიური ნივთიერებები, რომლებიც ხელს უშლის ლპობის მიკრობების განვითარებას და სპობს მათ. ფართოდაა გამოყენებული ქირურგიაში, აგრეთვე, მშენებლობაში ხის ნაწილების, ტელეფონის ბოძების, შპალებისა და სხვათა გასაუფლებლად და ლპობისაგან დასაცავად.

**ანტისეპტიკური** – (ბერძნ. anti წინააღმდეგ, sepsis ლპობა) – მიკრობების მომსაობი საშუალებები.

**ანტისეპტუმი** – (ბერძნ. anti წინააღმდეგ, ლათ. corpus სხეული) – იმუნოგლობულინური ბუნების პროტეინები, რომლებიც წარმოიქმნიან ადამიანისა და ცხოველის ორგანიზმში ანტიგენის შეყვანის პასუხად და რომლებსაც ამ ანტიგენთან შეერთების სპეციფიკური უნარი აქვთ. ანტიგენის პროდუქციას აწარმოებენ B-ლიმფოციტები და პლაზმური უჯრედები.

**ანტიტოქსინები** – (ბერძნ. anti – წინააღმდეგ, toxikon შხამი) – ორგანიზმის იმუნური ანტისხეულები, რომლებიც უვნებელყოფენ მხოლოდ შესატყვის ტოქსინებს (შხამებს). ანტიტოქსინი ორგანიზმში გამომუშავდება ტოქსიკური ინფექციის (დიფთერია, ტეტანუსი და სხვ.) გადატანის ან ამ ინფექციის საწინააღმდეგო აცრების შედეგად.

**ანტიზაბოციტური** – [ბერძნ. anti – წინააღმდეგ, ბერძნ. phago – ვჭამ, ვშთანთქამ] – უცხო სხეულაკების ან სხვა უჯრედების შთანთქმის ვერ შეძლება.

**ანტიზაბოციტური ფაქტორები** – ფაქტორები, რომლებიც ამცირებენ ფაგოციტოზის პროცესის აქტიურობას. ანტიზაბოციტური ფაქტორებიდან ყველაზე მნიშვნელოვანია უჯრედის კედელზე ლოკალიზებული კაფსულა.

**ანტიჰემაგლოზინი** – ვირუსის გამანეიტრალებელი ანტისხეული.

**ანტირაბიული** – ალერგენი. გამოიყენება ციმბირის წყლულის დიაგნოსტიკაში.

**ანტირაბიული საწინააღმდეგო ვაქცინა** – ციმბირის წყლულის საწინააღმდეგო ვაქცინა.

**ანურია** – თირკმელების მიერ შარდის გამოყოფის შეწყვეტა.

**ანუსი** – უკანა ტანი, ყოთა anus – რგოლი, ბეჭედი – სწორი ნაწლავის ბოლო ნაწილი.

**არტა** – სისხლის მიმოქცევის დიდი წრის მთავარი არტერია, რომელიც იწყება გულის მარცხენა პარკუჭიდან ფრინველებსა და ძუძუმწოვარ ცხოველებში.

**აპენდიქსი** – ბრმა ნაწლავის დანამატი – ჭიანჭველი.

**აპენდიციტი** – აპენდიქსის – ბრმა ნაწლავის დანამატის (ჭიანჭველის) ანთება.

**აპლაზია** – [ბერძნ. a უარყოფითი, წინააღმდეგ და plasis წარმოქმნა] – სხეულის რაიმე ნაწილის ან ორგანოს თანდაყოლილი უქონლობა.

**არასეპტიკური** – ტიხრებით სეპტებად დაუყოფელი.

**არასეპტიკური ანუ ზოგადი ტრანსფუზია** – დნმ-ის ნებისმიერი ფრაგმენტის გადატანა ერთი ბაქტერიული უჯრედიდან მეორეში.

**არასეპტიკური ბაქტერიები** – სპორის არ წარმოქმნილები. უმთავრესად, ასეთებია კოკები. გამონაკლისია sporosarcina.

**არაცოცხალი ობიექტის მიკრობული დეკონტამინაცია** – არაცოცხალი ობიექტების განთავისუფლება მიკრობებისა და მათი მსვენებარე ფორმებისაგან. მაგალითად, სტერილიზაცია, დეზინფექცია.

**არბილოლი** – პრეპარატი, რომელიც მწვავე რესპირატორული დაავადებისას მიეწოდება ავადმყოფს სიმპტომურ თერაპიასთან ერთად.

**არბოვირუსები** – (ინგ. Arthropob borne viruses-ის შემოკლებული ვარიანტი, რაც ნიშნავს ფეხსახსრიანების ვირუსს) – ადამიანისა და ხერხემლიანების რნმ-ის შემცველი ვირუსები, რომლებიც გადაიტანებიან ფეხსახსრიანების (ტკიპების, კოლოებისა და სხვათა) საშუალებით. უფრო ხშირად იწვევენ ენცეფალიტებს.

**არბინინი** – ე. წ. შეუცვლელი ამინომჟავა. ღვიძლში მიმდინარე აზოტური ცვლის შუალედური პროდუქტი. არბინინის ცვლის დარღვევა შესაძლებელია ზოგიერთი მემკვიდრეობითი დაავადების განვითარების მიზეზი გახდეს.

**არბუმენტი** – (ლათ. argumentum მტკიცება) – 1. საბუთი, რომელიც მოჰყავთ რაიმეს დასამტკიცებლად.

**არმალი** – დედამიწის ზედაპირის გარკვეული უბანი, რომელიც უკავია ცოცხალი ორგანიზმების ამა თუ იმ სახეობებს.

**არემამტრი** – ხელსაწყო, რომლითაც არკვევენ სითხის სიმკვრივეს, მის ხვედრით წონას.

**არითმია** – გულის მოქმედების რითმის დარღვევა, რაც ჩვეულებრივ გამოწვეულია გულის კუნთებისა და ნერვების დაავადებებით.

**ართრიტი** – arthrit (ბერძნ. arthron სახსარი, itis ანთება) – სახსრების დაავადება, ვითარდება ინფექციური დაავადების, სახსრის კვების დარღვევის, ინტოქსიკაციის, ტრამვისა და სხვათა შედეგად. ზოგჯერ ართრიტი დამოუკიდებელ დაავადებად ჩამოყალიბდება, ზოგჯერ კი სხვა რომელიმე დაავადების გამოვლინებაა. ართრიტს ახასიათებს სახსრის სიწითლე, შესიება, ტკივილი, დეფორმაცია, ფუნქციის დარღვევა, ადგილობრივი ან საერთო ტემპერატურის მომატება და სხვ. ერთი სახსრის დაავადებას მონო-ართრიტი ეწოდება, რამდენიმე სახსრისას – პოლიართრიტი. წარმოშობის მიხედვით განარჩევენ ტრავმულ, ინფექციურ, ალერგიულ და დისტროფიულ ართრიტებს.

**არომატული პაქტერიები** – ბაქტერიები, რომლებიც ცხოველმოქმედების პროცესში წარმოქმნიან სასიამოვნო სუნის პროდუქტებს, უმთავრესად – ეთერებს.

**არტიზია** – სისხლძარღვი, რომლითაც სისხლი მიედინება გულიდან სხეულის ყველა ორგანოში, სხეულის პერიფერიულ ნაწილში.

**არტიზიული სისხლი** – სისხლი, რომელიც მდიდარია ჟანგბადით.

**არტიზოსკლეროზი** – არტერიების ქრონიკული დაავადება, რომლის დროსაც არტერიების კედლები სქელდება და მკვრივდება, რის გამოც სისხლის მიმოქცევა ფერხდება.

**არქაული მრს** – უძველესი ერა დედამიწის გეოლოგიურ ისტორიაში.

**არქაბაქტერიები** – ნაკლებად შესწავლილი პროკარიოტები, რომლებიც არსებობენ ექსტრემალურ პირობებში. ამ ჯგუფში აერთიანებენ: მეთანის წარმოშობ ბაქტერიებს, ექ-

სტრემალურ ჰალოფილებსა და თერმოაციდოფილებს.

**ასეპტიკა** – aseptica (ბერძნ. a უარყოფითი ნაწ., septikos ლპობის გამომწვევი) – ჭრილობის ინფექციებთან ბრძოლა. ჭრილობაში მიკრობების მოხვედრის ასაცილებლად საშუალებათა ერთობლიობა. გულისხმობს უშუალოდ ოპერაციისათვის საჭირო იარაღებისა და საგნების სტერილიზაციას. სტერილიზაციისათვის იყენებენ ფიზიკურ და ქიმიურ მეთოდებს – მაღალ ტემპერატურას (დუდილს, მოწვას), მაღალ ტემპერატურას და მაღალ წნევას ერთდროულად (ავტოკლავირებას), ულტრაიისფერ სხივებს. თეთრეულისა და შესახვევი მასალის სტერილიზაცია ხდება ავტოკლავში. საოპერაციო ოთახში არ უნდა იყოს ზედმეტი საგნები, არ უნდა იყვნენ გარეშე პირები. იქ მყოფთ უნდა ეკეთათ დოღბანდის ნიღაბი, რეზინის ხელთათმანები, ეცვათ სტერილური ხალათი და ფეხსაცმელი. პაერის გაუსწებოვნებისთვის იყენებენ ბაქტერიოციდულ ნათურას. ოპერატორისა და დამხმარე პირთა ხელების დამუშავებისთვის შემოდებულია სპეციალური მეთოდები. ლითონის იარაღების სტერილიზაცია ხდება 96°-იან სპირტში, პლასტმასის ნაკეთობისა (ხელოვნური საყლაპავის, სისხლძარღვისა და სხვ.) – ქიმიურ ნივთიერებაში, ოპტიკურსისტემიანი იარაღებისა (რექტოსკოპი, ცისტოსკოპი და სხვ.) – სულემში. ორგანოთა გადანერგვისას აუცილებელია პაერის სტერილიზაციაც.

**ასთმა** – გულის ხუთვა, რაც გამოწვეულია გულის ან ბრონქების დაავადებით.

**ასპი, ასპეზი** – სპორების მატარებელი ორგანო, რომელიც დამახასიათებელია ჩანთიანი სოკოებისათვის. ასკებში (ჩანთებში) ვითარდება ასკოსპორები (ჩვეულებრივ, 4-8).

**ასკოლის თერმოპრეციპიტაციის რეაქცია** – იმუნოლოგიური რეაქცია. ციმბირის წყლულის გამომწვევეს (B. anthracis) უჯრედის კედელში აქვს ლოკალიზებული სომატური პოლისაქარიდული ბუნების ანტიგენი. იგი თერმოსტაბილურია, არ იშლება დუდილისას. ეს თვისება გამოიყენება ასკოლის თერმოპრეციპიტაციის რეაქციის დადგმისას. ეს რეაქცია გამოავლენს ციმბირის წყლულის ანტიგენს სხვადასხვა მასალაში (გვამებში, ტყავში, ცხოველების ბეჭეში). საძიებელ ანტიგენს გამოყოფენ დუდილისას ექსტრაქციით.

**ასკობინის მჟავა** – ვიტამინი C; ორგანული ნივთიერება, რომელიც აუცილებელია ნივთიერებათა ცვლის ნორმალური მიმდინარეობისათვის ორგანიზმში. მისი ნაკლებობა იწვევს სურავანდით დაავადებას. ასკობინის მჟავათი მდიდარია ასკიდის, შავი მოცხარის ნაყოფები, ბოსტნეული, აგრეთვე, ფიჭვისა და ნაძვის წიწვები. ღებულობენ სინთეზურადაც.

**ასკოპირა** – სპორა, რომელიც ვითარდება ჩანთიანი სოკოების ჩანთებში (ასკებში).

**ასპარაგინი** – ასპარაგინის მჟავას ამიდი; დიდი მნიშვნელობა აქვს მცენარეებში აზოტოვან ნივთიერებათა გარდაქმნაში, როგორც მათი სინთეზის, ასევე დაშლის პროცესში. დიდი როლდენობით გროვდება გაღვივებულ თესვებში, ასევე – სატაცურის ფესურებში, საიდანაც წარმოდგება მისი სახელწოდება.

**ასპერგილუსი** – თბის სოკოს გვარი *Aspergillus*.

**ასკობინი** – აქტინომიცეტები ანუ სხივისებრი სოკოები, რომელთაც მუტაციით დაკარგული აქვთ სპორების წარმოქმნის უნარი.

**ასტინია** – ორგანიზმის საერთო სისუსტე, უღონობა.

**ასტიგმატიზმი** – თვალის ისეთი ნაკლი, როდესაც ადგილი აქვს სინათლის სხივის არასწორ გადატეხას. გამოწვეულია რქოვანას ან ბროლის არათანაბარი სიმრუდით. ამ დროს საგნის გამოსახულება ბუნდოვანია, ვინაიდან ბადურაზე ვერ ხდება სინათლის სხივების ერთ წერტილში (ფოკუსში) თავმოყრა.

**ასფიქსია** – გუდვა, ხუთვა, სუნთქვის შეჩერება, რაც გამოწვეულია ჟანგბადის ნაკლებობით და ნახშირორჟანგის ჭარბი დაგროვებით.

**ასციტ-აბარტი** – ასციტური სითხის (ნატიური ცილა) შემცველი აგარი.

**ასციტი** – ascitis (ბერძნ. askos ტომარა, წყლის გუდა) – მუცლის წყალმანკი, სითხის დაგროვება მუცლის ღრუში. ვითარდება გულის, თირკმელებისა და ღვიძლის დაავადებების, ტუბერკულოზური პერიტონიტის, ნაწლავთა გაუვალბობის, შიმშილით გამოწვეული შეშუპების, კარის ან ღვიძლის ვენებზე სიმსივნის დაწოლის, თრომბოზისა და სხვათა შედეგად.

**ატაქსია** – მოძრაობის კოორდინაციის დარღვევა, რაც ხშირად გამოწვეულია ნათხემის დაზიანებით ან ნათხემის ზურ-

გის ტვინსა და ნახევარსფეროებთან დამაკავშირებელი გზების დარღვევით.

**ატენუაცია** – (ლათ. attenuo – ვასუსტებ) – 1. ვირუსებისა და პათოგენური მიკროორგანიზმების პათოგენურობისა და ვირულენტობის ხელოვნური შესუსტება. ატენუირებულ ცოცხალ ვაქცინებს დაკარგული აქვთ ვირულენტობა, მაგრამ ინარჩუნებენ დაცვითი იმუნური რეაქციების გამოწვევის უნარს. ატენუირებული ვაქცინების კარგი მაგალითია ბცკუ და პოლიომიელიტის პერორალური ვაქცინა. 2. განზავება.

**ატენუირებული ვირუსი** – ატენუირებული ვირუსი, ე. ი. პათოგენობა შესუსტებული ვირუსი.

**ატიპური** – (ბერძნ. a უარყოფითი, typikos – ანაბეჭდი) – არატიპური, ატიპური (არატიპური მიტოზი, უჯრედი, ზრდა და ა. შ.) ატიპური უჯრედი (ჩვეულებრივზე დიდი ზომის, მრავალბირთვიანი) ხშირად სიმსივნური პროცესისთვისაა დამახასიათებელი.

**ატმოსფერო** – (ბერძნ. atmos ორთქლი, sphaira სფერო, ბირთვი) – 1. დედამიწის ან რომელიმე სხვა ციური სხეულის აირისებრი გარსი. 2. (გადატ.) ასეთი ან ისეთი გარემო პირობები, გარემოცვა. 3. წნევის საზომი ერთეული; უდრის წნევას, რომელიც წარმოიქმნება 760 მმ სიმაღლის ვერცხლისწყლის სვეტში.

**ატროფია** – [ბერძნ. a უარყოფითი, trophe – კვება] – 1. უჯრედების, ქსოვილების ან ორგანოს არანორმალური შემცირება ზომაში (ზოგჯერ მთლიანად გაქრობაც) საკვების ნაკლებობის ან ხანგრძლივი უმოქმედობის გამო. 2. რაიმე ან რისამე უნარის დაქვეითება, დაჩლუნგება, დაკარგვა.

**ატროფირება** – (ბერძნ. a უარყოფითი, trophe კვება) – რომელიმე ორგანოს ან ქსოვილის დაპატარავება (ზოგჯერ განღვავა) კვების დარღვევის გამო.

**ატვ** – აღენოზინტრიფოსფორმჟავას შემოკლებული აღნიშვნა.

**ავამეტიანი** – ამოქსიცილინისა და კლავულანის მჟავას საფუძველზე მიღებული კომბინირებული ანტიბიოტიკი.

**ავტოვაქცინა** და ავტოვაქცინა ერთი და იგივეა – autovaccinum (ბერძნ. autos თვით, ლათ vaccinus იხ. ვაქცინა) – ავადმყოფის მიერ გამოყოფილ პათოგენურ მიკრობთაგან მომზადებული ვაქცინა.

**აუტოიმუნური დაავადება** – რომელსაც იწვევს აუტოიმუნური რეაქციები ჯვარედინად მორეაგირე ანტიგენებთან, საკუთარ ნორმალურ ქსოვილებთან, რის შედეგადაც წარმოიქმნება ანომალური კლონები.

**აუტოიმუნური რმატიზმი** – ორგანიზმში მუდმივად მიმდინარე რეაქციები, რის შედეგადაც ხდება მომაკვდავი, დაავადებული, მოდიფიცირებული უჯრედების ელიმინაცია.

**აუტოინფექცია** ანუ ენდოგენური ინფექცია – (ბერძნ. Autos თვით, ლათ. infectio. იხ. ინფექცია) – დაავადება თავისივე მიკრობებით, რომლებიც ასენიანებენ ორგანიზმს მისი რეზისტენტობის დაქვეითებისას.

**აუტოსომები** – (ბერძნ. autos თვით, soma სხეული) – ჩვეულებრივი, არასასქესო ქრომოსომები. ადამიანის დიპლოიდურ ნაკრებში 22 წყვილი აუტოსომა და ერთი წყვილი სასქესო ქრომოსომაა.

**აუტონომები** – მცენარეული ჰორმონები (ფიტოჰორმონები); ფიზიოლოგიურად აქტიური ნივთიერებანი, რომლებიც წარმოიქმნებიან მცენარის ორგანიზმში და აქტიურად მონაწილეობენ ზრდისა და ფორმატწარმოქმნის პროცესში. დღეისათვის გამოყოფილია a და b აუქსინები, რომლებიც თავისი ქიმიური ბუნებით ერთფუძიან ოქსიმჟავეებს მიეკუთვნებიან.

**ავაზია** – მეტყველების უნარის სრული ან ნაწილობრივი დაკარგვა თავის ტვინის ქერქის ზოგიერთი უბნის დაზიანების შედეგად; მეტყველების მოშლილობა.

**ავინურობა** – ანტისხეულის ანტიგენთან სპეციფიკური ურთიერთქმედების ძალა ანუ მათი კავშირის ენერჯია.

**ავთები** – (ბერძნ. aphthai (apto) ავაალებ) – წყლულები – მტკივნეული, ზედაპირული, წვრილი პატარა მოყვითალო წყლულები პირის ღრუს, იშვიათად საშოს ლორწოვან გარსზე. ვითარდება, როგორც დამოუკიდებელი დაავადება ან რაიმე მწვავე დაავადების (თურქულის, გრიპის, განსაკუთრებით კუჭ-ნაწლავის დაავადებების) გართულდება. პირის ღრუს აფთების დროს დამახასიათებელია ტკივილი, ნერწყვის გაძლიერებული დენა, ღეჭვისა და ყლაპვის გაძნელება, ტემპერატურის აწევა, ლიმფური კვანძების შესივება. 5-7 დღის შემდეგ უნაწიბუროდ ხორცდება.

**ავტოვირუსები** – მიეკუთვნება თურქულის ვირუსი. 1898 წელს ეს ვირუსი შეისწავლეს ფ. ლეფლერმა და პ. ფროშმა.

იყო ადამიანის პირველი პათოგენური ვირუსი. არსებობს ამ ვირუსის შვიდი სეროტიპი.

**აქრომატული** – რაც სხივს არ შლის შემადგენელ ნაწილებად. მაგ.: აქრომატული ობიექტივი, აქრომატული მიკროსკოპი.

**აქსონი** – ნერვული უჯრედის მორჩი, რომელიც გამოდის გრძელი გამონაზარდის სახით ნერვული უჯრედიდან.

**აქტივირებული ლიმფოციტები** – გააქტივებული ლიმფოციტები.

**აქტივირებული მაკროფაგი** – უჯრედი, რომელსაც შეუძლია განახორციელოს თავისი ფუნქციები იმუნურ პროცესში.

**აქტინი** – კუნთოვანი ქსოვილის ცილა, რომელიც სხვა ცილასთან – მიოზინთან ერთად უზრუნველყოფს კუნთის შეკუმშვასა და მოდუნებას.

**აქტინომიკოზი** – ცხოველთა დაავადება, რომელსაც იწვევს აქტინომიცეტები ანუ სხივისებრი სოკოები. ავადდება ადამიანიც.

**აქტინომიცეტები** – სხივისებრი სოკოები. მიკროორგანიზმების ჯგუფი, რომელსაც გააჩნია ბაქტერიებისა და სოკოების ნიშნები. შედგება ერთუჯრედიანი სხივისებრ დატოტვილი გრძელი მიცელიუმისაგან. დიდი რაოდენობით გვხვდება ნიადაგსა და წყალში. მრავალი აქტინომიცეტი მონაწილეობს ნიადაგის ორგანული ნივთიერებების დაშლაში, ზოგი კი გამოყოფს ანტიბიოტიკებს. ცნობილია პარაზიტი ფორმებიც, რომლებიც იწვევენ დაავადება აქტინომიკოზს.

**აქტიური იმუნიტეტი** – ინფექციური დაავადების გადატანის ან ვაქცინაციის შედეგად ჩამოყალიბებული იმუნიტეტი, როდესაც ადამიანის ორგანიზმის იმუნური სისტემის აქტიური გარდაქმნა ხდება.

**აქცეპტორი** (ლათ. acceptans მიმღები) – რაიმეს მიღება.

**აცეტონი** – (ლათ. acetum ძმარი) – ორგანული ნაერთი, უფერო სითხე; დიდი გამოყენება აქვს ტექნიკაში.

**აციდიზიკაცია** – (ლათ. acidus – მჟავე) – წყალბად-იონთა კონცენტრაციის (pH) გადახრა მჟავე არისკენ.

**აციდოზი** – acidosis (ლათ. acidus მჟავე, ბერძნ. osis მდგომარეობა) – ორგანიზმში მჟავე – ტუტოვანი წონასწორობის დარღვევის ფორმა, რომელსაც ახასიათებს ანიონთა და კატიონთა თანაფარდობის გადახრა ანიონების მატებისაკენ. სიმჟავეების ჭარბი შემცველობა სისხლსა და სხვა ქსოვილებში.

**ატცილოზილია** – ორგანიზმის უჯრედების უნარი, შეიღებონ მჟავე საღებავებით.

**ატცილოზილური ბაქტერიები** – ბაქტერიები, რომლებიც ცხოვრობენ და ვითარდებიან მჟავე არეში (ძმარმჟავა და რძემჟავა ბაქტერიები).

**ატცილოზოზური ორბანიზმები** – ორგანიზმები, რომლებიც ნორმალურად იზრდებიან და ვითარდებიან მხოლოდ ტუტთან სუბსტრატზე (ურობაქტერიები, ბევრი კალცოფილი მცენარე).

**ატცილოზირი** – ციტომეგალოვირუსის სამკურნალო პრეპარატი. ვარიცელასა და ზოსტერის პრევენციისათვის სამკურნალო საშუალება. გამოიყენება ჰერპესვირუსებით გამოწვეული ინფექციების შემთხვევაში. ვირუსული ინფექციების საწინააღმდეგო პრეპარატი.

**ატრა** – ორგანიზმში ვაქცინის ან შრატის შეყვანა ავადმყოფობის თავიდან ასაცილებლად ან სამკურნალოდ.

**ახლომხედველობა** – თვალის დეფექტი, მხედველობის დარღვევა, რომლის დროსაც ადამიანი კარგად ხედავს ახლოს მყოფ საგნებს, ხოლო ცუდად (ბუნდოვნად) – შორს მყოფ საგნებს; გამოწვეულია თვალის კაკლის ზედმეტი წაგრძელებით; ამ შემთხვევაში შორეული საგნებიდან ანარეკლი სხივები გარდატეხის შემდეგ ერთდება არა ბადურაზე, არამედ – ბადურის წინ.



**ბაბეშ-ნეგრის სხეულაკი** – 1782 წელს ვ. ბაბეშისა და 1893 წელს ა. ნეგრის მიერ აღწერილი ცოფისაგან დაღუპულების თავის ტვინის ნეირონებში სპეციფიკური ჩანართები ანუ ბაბეშ-ნეგრის სხეულაკები. ჩანართებმა სახელწოდება მიიღო მეცნიერთა გვარების პატივსაცემად.

**ბაღურა** – 1. მცოხნავი ცხოველების, მაგ., პროხის კუჭის მეორე განყოფილება, რომელშიც ხდება საჭმლის დარბილება.

2. თვალის კაკლის შიგნითა (მესამე) გარსი, რომელიც შეიცავს შუქმგრძობიარე უჯრედებს.

**ბაზილოვის დაავადება** – ავადმყოფობა, რომელიც გამოწვეულია ფარისებრი ჯირკვლის ფუნქციის მოშლით (სისხლში ჰორმონი ჭარბად გამოიყოფა). დამახასიათებელია გადმოკაკლული თვალები, ჩიყვი, აჩქარებული გულისცემა და სხვა. 1840 წელს ეს დაავადება აღწერა გერმანელმა მეცნიერმა, ექიმმა ბაზელოვმა. ამ ექიმის პატივსაცემად დაავადებას **ბაზელოვის დაავადება** უწოდეს.

**ბაზოზილი** || **ბაზოზილი** – (ბერძნ. basis ფუძე, philia – სიყვარული), სისხლის თეთრი სხეულაკების – ლეიკოციტების ერთ-ერთი სახე, რომლის ციტოპლაზმის მარცვლები ძირითადი საღებავით მუქ ლურჯ ფერს ღებულობს.

**ბაზოზილია** – [ბერძნ. basis ფუძე, philia – სიყვარული] – ცხოველურ ან მცენარეულ უჯრედთა და ქსოვილთა უნარი, შეღებულ იქნენ ფუძე საღებრებით.

**ბაზოზილური ლეიკოციტი** – სისხლის თეთრი სხეულაკების – ლეიკოციტების ერთ-ერთი სახე, რომელსაც აქვს მსხვილმარცვლოვანი პროტოპლაზმა და იღებება ფუძესაღებავებით მუქ ლურჯ ფერად.

**ბალთები** – ორგანულ მატრიქსში მიკროორგანიზმთა გროვა.

**ბალზამი** – [ბერძნ. balsamon] – ზოგი მცენარის სქელი სურნელოვანი წვენი, რომელიც შეიცავს სხვადასხვა ფისსა და ეთეროვან ზეთებს.

**ბალზამირება** – გვამის გაჟღენთვა ნივთიერებებით, რომლებიც იცავენ გახრწნისაგან. იგივე ბალზამება, დაბალზამება, შემურვა.

**ბარბიტალი** – სამკურნალწამლო პრეპარატი, ძილის მომგვრელი და დამამშვიდებელი საშუალება. იგივე ვერონალი.

**ბარბიტურატები** – სამკურნალწამლო ნივთიერებანი – ძილისმომგვრელი, კრუნჩხვის საწინააღმდეგო და ნარკოტიკული მოქმედების მქონენი.

**ბარიერი** – (ფრანგ. barrière) – 1. ზღუდე, დაბრკოლება, რომელიც უნდა გადალახონ. 2. (გადატ.) რისამე, რაიმე მოქმედების შემაფერხებელი გარემოება.

**ბარიერული ფუნქცია** – ადამიანისა და ცხოველის ორგანიზმის უნარი, დაიცვას შინაგანი გარემო (სისხლი, ქსოვილური სითხე) ზოგიერთი გარეგანი ზემოქმედებისაგან განსაკუთრებული ფიზიოლოგიური სამარჯვეებით, ე. წ. ბარიერებით.

**ბაქტერიოპია** – მკურნალობა მაღალი ან დაბალი ატმოსფერული წნევით.

**ბაქტერიოტოლერანტული ბაქტერიები** – (ლათ. barus – წნევა, ლათ. tolerantia – შემწვარებლობა) – ბაქტერიები, რომლებიც იზრდებიან და მრავლდებიან როგორც ნორმალური ატმოსფერული წნევის პირობებში, ასევე – მაღალი წნევის დროსაც.

**ბაქტერია** || **ბაქტერიები** – ( Bacteriae – ჩხირი) – ჩხირი, რომელიც არ წარმოქმნის სპორას. ბერძნული სიტყვაა – Bacterium. არსებობს სხვადასხვაგვარი ბაქტერია: სფერული (კოკი), ჩხირისებრი (ბაცილა), სპირალური (სპიროქეტა, ვიბრიონი) და სხვა. ბაქტერია არის მიკროსკოპული ზომის, უმთავრესად – ერთუჯრედიანი, არასპოროვანი მიკროორგანიზმი.

**ბაქტერიამტარებლობა** – დაავადების გადატანის შემდეგ ორგანიზმში დარჩენილი მიკრობები. ავადმყოფის კლინიკური გამოჯანმრთელების შემდეგ გრძელდება ორგანიზმიდან გამომწვევის გამოყოფა.

**ბაქტერიების დაშლა** – ბაქტერიების უჯრედების გახსნა, დაშლა, რომელიც ხდება ბაქტერიების კულტურების დაძველებით, მაღალი ტემპერატურის ზემოქმედებით და ა. შ.

**ბაქტერიების დისტრიბუცია** – ბაქტერიების ცვალებადობა გარემო პირობების ზემოქმედებით, რაც მეტწილად იმაში გამოიხატება, რომ თავდაპირველად ერთგვაროვანი კულტურა წარმოქმნის ორ, მთელი რიგი თვისებებით განსხვავებულ, კოლონიას.

**ბაქტერიების კოლონია** – იხ. კოლონია ბაქტერიებისა.

**ბაქტერიოზოია** – [ბაქტერია და ბერძნ. raima სისხლი] – ბაქტერიების შეღწევა სისხლში, რაც ზოგჯერ მძიმე დაავადებას იწვევს. ბაქტერიოზოია დაერთვის მრავალ ინფექციურ დაავადებას. განსაკუთრებით ახასიათებთ ნაწლავთა ინფექციებს.

**ბაქტერიოზოზა** – ბაქტერიებით მოქმედება (რძეზე, ნიადაგზე, ტორფზე...).

**ბაქტერიოლოგია** – კოჟრის ბაქტერიების დატოტვილი ფორმები. წარმოიქმნება მოძრავი ჩხირებისაგან კოჟრის განვითარების შესაბამისად (ჩვეულებრივ, შემოდგომაზე).

**ბაქტერიოზიტი** – გოგირდის ბაქტერიების მწვანე პიგმენტი, რომელიც თავისი თვისებებით ქლოროფილს უახლოვდება.

**ბაქტერიოზი** – მცენარის დაავადება, რომელიც გამოწვეულია ბაქტერიებით.

**ბაქტერიოლიზი** – (ბერძნ. bakterion ჩხირი, cysis დაშლა) – ბაქტერიების დაშლა (გახსნა).

**ბაქტერიოლიზინი** – ფერმენტი, რომელიც იწვევს ბაქტერიული უჯრედების დაშლას.

**ბაქტერიოლოგია** – ბაქტერიოლოგიის სპეციალისტი.

**ბაქტერიოლოგია** – მეცნიერება, რომელიც შეისწავლის ბაქტერიებს, მათ მორფოლოგიას, ფიზიოლოგიას, სისტემატიკას, გავრცელებასა და პრაქტიკულ მნიშვნელობას.

**ბაქტერიოლოგიური გამოკვლევა** – ინფექციური დაავადებების გამომწვევის სუფთა კულტურის გამოყოფა და მისი შემდგომი იდენტიფიკაცია.

**ბაქტერიოლოგიური მარჩუი** – ბაქტერიული პრეპარატებისა და მიკრობების თესვისათვის გამოყენებული ხელსაწყო. იგი დამზადებულია პლატინის ან ნიქრომის 8-10 სმ სიგრძის მავთულისგან. მისი ერთი ბოლო მოხრილია და ქმნის წრეს, ხოლო მეორე ბოლო მეტალის სახელურშია ჩამაგრებული. ბაქტერიოლოგიურ მარჩუეს ფართოდ იყენებენ მიკრობიოლოგიურ პრაქტიკაში.

**ბაქტერიოლოგიური ნათურა** – ასხივებს ულტრაიისფერ სხივებს, მიკრობიოლოგიაში იყენებენ ბოქსში, სამედიცინო პრაქტიკაში კი – საოპერაციოსა და სამშობიარო სახლებში.

**ბაქტერიოპუპუზინი** – მეწამული ბაქტერიების წითელი ფერის პიგმენტების ჯგუფი.

**ბაქტერიოროზა** – სიმბიოზი უმაღლესი მცენარის ფესვებსა და ბაქტერიებს შორის. მაგ., პარკოსანი მცენარეების ფესვების სიმბიოზი კოჟრის ბაქტერიებთან.

**ბაქტერიოროლოგინი** – პიგმენტი, რომელიც აღმოჩენილია ბაქტერიებში.

**ბაქტერიოსკოპია** – ბაქტერიების კვლევა მიკროსკოპის საშუალებით.

**ბაქტერიოსტაზი** – ბაქტერიების გამრავლების უნარის დროებით შეჩერება.

**ბაქტერიოსტატიკური** – ბაქტერიების გამრავლების შემაჩერებელი ან შემანელებელი საშუალება, პრეპარატი.

**ბაქტერიოსტატიკური მოქმედება** – ქიმიური ან ფიზიკური ზემოქმედება, რომელიც იწვევს მიკრობების გამრავლების შეწყვეტას ან სრულ შეწყვეტას, მაგრამ არ ხოცავს მათ.

**ბაქტერიოტროფიზმი** – სიმბიოტროფიზმის ფორმა. მცენარის კვერბა სიმბიონტების – ბაქტერიების (მაგ., კოჟურის ბაქტერიების) მეოხებით.

**ბაქტერიოზაბი** – (ბერძნ. bakterion ჩხირი, phagos შთანთქმული) – ვირუსები, რომლებიც მრავლდებიან ბაქტერიებისა და სხივისებრი სოკოების უჯრედებში და იწვევენ მათ დაშლას – ლიზისს. ეს მოვლენა პირველად შენიშნა (1898 წ.) რუსმა მიკრობიოლოგმა ნ. გამაღვიმ.

**ბაქტერიოზაბია** – ცოცხალი ბაქტერიული უჯრედის ლიზისი ბაქტერიოფაგებით.

**ბაქტერიოქლოროფილი** – მეწამული ბაქტერიების პიგმენტი, რომელიც შედგენილობით ქლოროფილს უახლოვდება.

**ბაქტერიოქოლია** – მიკრობები ნაღველში.

**ბაქტერიოციდული** – საშუალებები, რომლებიც იწვევენ ბაქტერიების განადგურებას.

**ბაქტერიოციდულიზა** – ბაქტერიების მოსპობა. ფიზიკურ, ქიმიურ და ბიოლოგიურ ფაქტორთა თვისება, მოსპოს ბაქტერიები. ბაქტერიოციდულიზა ახასიათებს ადამიანისა და ცხოველის სისხლის შრატს (მასში განსაკუთრებული ნივთიერების – კომპლემენტის არსებობის გამო), ცრემლს, ნერწყვს, რომლებიც შეიცავენ ლიზოციმს. ბაქტერიოციდული მოქმედება ახასიათებს ანტიბიოტიკების დიდ ღოზებს. მცენარეებზე გამოყოფენ ბაქტერიოციდულ ნივთიერებებს – ფიტონციდებს, რომლებსაც იყენებენ საექიმო პრაქტიკაში.

**ბაქტერიოციტინები** – (ბერძნ. bakterion ჩხირი, ლათ. caedo კვლავ) – ნივთიერებები, რომელთაც ბაქტერიებისა და სხვა მიკროორგანიზმების მოსპობის უნარი აქვთ.

**ბაქტერიული ინფექცია** – ადამიანის კანის რეზისტენტობის დონის გამოსავლენი ერთეული.

**ბაქტერიული სასუქები** – პრეპარატები, რომლებიც შეიცავენ ბაქტერიების კულტურებს, მაგ., აზოტის მაფიქსირებელ ბაქტერიებს იყენებენ ნიადაგის აზოტით გასამდიდრებლად მოსავლიანობის გაზრდის მიზნით.

**ბაქტერიული ფილტრი** – რომელშიც ვერ გადიან ბაქტერიები, ფილტრის მცირე ზომის ფორების გამო.

**ბაქტერიოზაბია** – ბაქტერიების გამოყოფა შარდთან ერთად.

**ბაქტერიოციდი** – ნივთიერება, რომელიც ხოცავს ბაქტერიებს.

**ბაქტისუბტილი** – ბიოპრეპარატი, რომელიც გამოიყენება დისბიო-

ზების სამკურნალოდ. ის ხელს უწყობს ნორმალური მიკროფლორის აღდგენას.

**ბაქტერიზი** – კომბინირებული სულფანილ-ამიდური პრეპარატი; სინონ. ბისეპტოლი, სულფატონი.

**ბაცილა** || **ბაცილუზი** – ჩხირისებრი ბაქტერიები, რომლებიც სპორებს წარმოქმნიან. ლათ. bacillus ნიშნავს ჩხირს.

**ბაცილის მატარებელი ორგანიზმი** – ორგანიზმი, რომელიც ატარებს ავადმყოფობის გამომწვევ ბაცილებს. ხელს უწყობს გადამდებ სნეულებათა გავრცელებას.

**ბაცილოსანი** – პირი, რომელიც პათოგენური მიკრობების მტარებელი და გამომყოფია სათანადო დაავადების გამოუვლინებლად.

**BCG ვაქცინა** – კალმენტ-გერენის ბაცილა, რომელსაც ვაქცინის სახით იყენებენ ტუბერკულოზის საწინააღმდეგოდ. ბცუქმის იმუნიტეტს ტუბერკულოზური ინფექციების მიმართ.

**ბელადონა** – [იტალ. belladonna] – შხამიანი მრავალწლიანი ბალახოვანი მცენარე. მის ფოთლებსა და ფესვებს ფართოდ იყენებენ მედიცინაში (ტკივილების გასაყუჩებელ საშუალებად).

**ბენზოლი** – [ფრანგ. benzol] – უფერული საწვავი სითხე, რომელსაც იღებენ ქვანახშირის ან ნავთობის გამოხდით. იყენებენ საღებურების, ფეთქებადი ნივთიერებების, წამლების და სხვათა წარმოებაში.

**ბენტონი** – ზღვების, ტბებისა და სხვა წყალსატევების ფსკერზე მცხოვრები ორგანიზმების ერთობლიობა.

**ბენტოზაბი** – ცხოველი, რომელიც იკვებება ფსკერზე მცხოვრები ორგანიზმების ერთობლიობით (ბენტონით).

**ბენტონიტი** – [ინგ. bentonite გეოგრ. სახ.] – სათეთრებელი თიხა. იყენებენ ბენზოლის, ნავთის, ზეთების გასაწმენდად.

**ბერბერინი** – [ფრანგ. berberine] – ალკალოიდი, რომელსაც შეიცავს ბევრი მცენარე. განსაკუთრებით, კოჭახურის ფესვის ქერქი. გამოიყენება მედიცინაში.

**ბერთოლუს მაროლი** – ქლოროფან-მჟავე კალიუმის (თეთრი კრისტალური ფხვნილის) ძველი სახელწოდება. გამოიყენება მედიცინასა და ტექნიკაში.

**ბერთოლიდები** – ცვლადი შედგენილობის ქიმიური ნაერთები. ფრანგი ქიმიკოსის ბერთოლეს (1748-1822 წ.წ.) პატივსაცემად დაერქვა ეს სახელი.

**ბერი-ბერი** – ავადმყოფობა (ავიტამინოზი), რომელიც გამოწვეულია საკვებში ვიტამინი B<sub>1</sub>-ის ნაკლებობით.

**ბეტალაქტამური ანტიბიოტიკი** – ანტიბიოტიკების ჯგუფი, რომელთაც მიეკუთვნება პენიცილინი (პროდუცენტი Penicillium notatum, P. chrysogenum) და ცეფალოსპორინი (პროდუცენტი Cephalosporium).

**ბეტალაქტამაზები** – ფერმენტები, რომლებიც შლიან β-ლაქტამურ ანტიბიოტიკებს ლაქტამურ რგოლებად. მათ ანტიმიკრობული აქტივობა არა აქვთ.

**ბიფიტილირგაზული წყალი** – ორჯერ გამოხდილი წყალი.

**ბივალენტური ანტისხეულები** – (იგივე სრული ანტისხეულები). ისინი ანტიგენს არ უერთდებიან.

**ბიპარბონატი** – [ლათ. bis – ორჯერ და carbo (carbonis) ნახშირი] – ორნახშირშავა მარილი (მაგალითად: ნატრიუმის მარილი, კალციუმის მარილი). გამოიყენება მედიცინასა და ტექნიკაში.

**ბილივმდინი** – ნაღვლის ერთ-ერთი პიგმენტი, რომელიც წარმოიქმნება ჰემოგლობინის დაშლის დროს.

**ბილირუბინი** – ნაღვლის ერთ-ერთი პიგმენტი, რომელიც წარმოიქმნება სისხლის ფორმიანი ელემენტების დაშლის შედეგად.

**ბინალური** – ორმაგი, ორი ნაწილისაგან შემდგარი.

**ბინალური დაყოფა ანუ ბაყოფა** – უსქესო გამრავლების ხერხი, რომლის დროსაც ორგანიზმი იყოფა ორ, დაახლოებით ერთნაირ ნაწილად.

**ბინალური ნომენკლატურა** – მცენარის, ცხოველის ან მიკროორგანიზმის ორი სიტყვით (ჩვეულებრივ ლათინურით) დასახელება, რომელიც შემოიღო კ. ლინემ. ამ ორი სიტყვიდან პირველი აღნიშნავს გვარს, ხოლო მეორე – სახეობას.

**ბინოკულარული მიკროსკოპი** – მიკროსკოპი, რომელსაც აქვს ორი ოკულარი ორივე თვალისათვის.

**ბინოკულარული მხედველობა** – ორივე თვალით მხედველობა. ფრანგული სიტყვაა. ნიშნავს ორივე თვალით მხედველველობას, ე. ი. ჩვეულებრივ მხედველობას.

**ბიო** – [ბერძნ. bio – სიცოცხლე] – რთული სიტყვის პირველი შემადგენელი ნაწილი. ნიშნავს სიცოცხლის პროცესთან დაკავშირებულს. მაგ., ბიოსადგური, ე. ი. სიცოცხლის სადგური.

**ბიოაპკები** – [ბერძნ. bios – სიცოცხლე] – რთული სიტყვის პირველი შემადგენელი ნაწილი. ნიშნავს სიცოცხლის პროცესთან დაკავშირებულს. აპკი – თხელი ქსოვილი, რომელიც ყოფს ერთმანეთისაგან ღრუებს, კუნთის ქსოვილებს და სხვა. მაგალითად, ყურის აპკი.

**ბიოგენური** – [ბერძნ. bios – სიცოცხლე, gennaio – წარმოშობა] – ცხოველური ან მცენარეული წარმოშობის ქსოვილოვანი ნივთიერებანი.

**ბიოგენური ბარემო** – გარემო, რომელიც იქმნება არაცოცხალ გარემოზე ორგანიზმთა ზემოქმედების შედეგად.

**ბიოგენური ელემენტები** – ქიმიური ელემენტები, რომლებიც წარმოადგენს ორგანიზმის აუცილებელ შემადგენელ ნაწილს, რომელთა გარეშე წარმოუდგენელია ცოცხალი ორგანიზმის არსებობა. ესენია: ნახშირბადი, ჟანგბადი, აზოტი, წყალბადი, კალციუმი, ფოსფორი, გოგირდი და სხვა.

**ბიოგენური თეორია** – თეორია, რომლის მიხედვით ყველა ცოცხალი არსება მხოლოდ ცოცხალი არსებისაგანაა წარმოშობილი და სიცოცხლე მარადიულია.

**ბიოგენური მიბრტყი** – ბიოსფეროში მუდმივად მიმდინარე ბიოფილურ ელემენტთა მიმოქცევა, რაც იმაში მდგომარეობს, რომ ელემენტები ერთიდან გადადიან მეორე ორგანიზმში, შექმნენ – არაცოცხალ ბუნებაში და კვლავ – ორგანიზმში.

**ბიოგენური სტიმულატორები** – ბიოგენურად აქტიური ნივთიერებები, რომლებიც წარმოიქმნიან ორგანიზმში გარკვეულ პირობებში.

**ბიოგეოცენოზი** – მცენარეთა თანასაზოგადოება მასში არსებული ცხოველთა სამყაროთი (ზოოცენოზით), მიკროორგანიზმებით და დედამიწის ზედაპირის შესატყვისი მონაკვეთით მისთვის დამახასიათებელი მიკროკლიმატის, გეოლოგიური აღნაგობის, ნიადაგისა და წყლის რეჟიმის განსაკუთრებული თავისებურებებით. ყველა აღნიშნული კომპონენტი ქმნის ურთიერთ განმაპირობებელ ერთიან კომპლექსს.

**ბიოგეოლოგია** – ბიო (ბერძნ.) სიცოცხლესთან, ცხოვრების პროცესთან დაკავშირებული. ეკოლოგია ბერძნული სიტყვაა და სწავლობს ორგანიზმებისა და მათი გარემოს ურთიერთდამოკიდებულებებს. ბიოგეოლოგია ბიოლოგიის ერთ-ერთი დარგია.

**ბიოზარი** – ბიოლოგიური თვისებებით განსხვავებული. ერთი და იმავე სახეობის მიკროორგანიზმებში ზოგჯერ ხდება ვარიანტების გამოყოფა. ბიოლოგიური თვისებებით განსხვავებულ ინდივიდებს ბიოვარებს უწოდებენ, ე. ი. ბიოლოგიური თვისებების ცვლილება ხდება ერთი სახეობის ფარგლებში.

**ბიოკატალიზი** – ცოცხალ ორგანიზმში მიმდინარე ქიმიური რეაქციების დაჩქარება ფერმენტების მონაწილეობით.

**ბიოკოლოიდი** – ბიო – რთული სიტყვის პირველი შემადგენელი ნაწილი, რომელიც აღნიშნავს სიცოცხლის პროცესთან დაკავშირებულს. კოლოიდი (ბერძნ. Kollen წებო და eidos – სახე) – ნივთიერება (ცილა, სახამებელი, წებო და სხვ.), რომელიც არ კრისტალდება და რომლის ხსნარი არ გადის მცენარეულ და ცხოველურ აპკში.

**ბიოლოგი** – ბიოლოგიის სპეციალისტი.

**ბიოლოგია** – მეცნიერებათა კომპლექსი, რომელიც სწავლობს სიცოცხლისა და ცოცხალი ორგანიზმების განვითარების კანონზომიერებებს; მეცნიერება სიცოცხლის შესახებ. ბერძნული სიტყვაა: bios – სიცოცხლე და logos მოძღვრება.

**ბიოლოგიური ამროზოლი** – სიცოცხლისუნარიანი მიკროორგანიზმების ან მათი ტოქსინების შემცველი აეროზოლი.

**ბიოლოგიური მემბრანა** – ცილოვანი (ორი) და ლიპოიდური (ერთი) შრისაგან შემდგარი მემბრანა, რომელიც უჯრედს მიჯნავს უჯრედგარე სივრცისაგან ან უჯრედის ერთ ნაწილს – მეორისაგან.

**„ბიოლოგიური ნული“** – ტემპერატურული პირობები, რომლის ქვევით ჩერდება ორგანიზმის ზრდა-განვითარება.

**ბიოლოგიური პროდუქტიულობა** – ცნება, რომელიც ასახავს მცენარეების, მიკროორგანიზმებისა და ცხოველების ბიომასის წარმოებას.

**ბიოლოგიური სინჯი** – 1. ინფექციური დაავადების დიაგნოსტიკის მეთოდი ლაბორატორიული ცხოველების დასნებოვნებით გამოწვევის აღმოჩენისა და იდენტიფიკაციისათვის. აგრეთვე, მათი ტოქსინების გამოყოფისათვის. 2. ვაქცინის, იმუნური შრატის ლაბორატორიულ ცხოველებში შეყვანა მათი ტოქსიკურობის, პათოგენურობისა და იმუნოლოგიური აქტიურობის განსაზღვრისათვის.

**ბიოლუმიინესცენცია** – ცოცხალი ორგანიზმის (ან უჯრედის) მიერ სინათლის გამოსხივება, ნათება. დამახასიათებელია ბეჭერი

სოკოსა და ბაქტერიისათვის. აგრეთვე, ზოგიერთი ცხოველისათვის. მაგ.: ზღვის მედუზა, ჭია, მოლუსკი, მწერი, თევზი.

**ბიომასა** – 1. ცოცხალ ორგანიზმთა ნივთიერებების რაოდენობა წონით გამოსახულებაში ფართობის ან მოცულობის ერთეულზე. 2. დედამიწაზე მობინადრე ყველა ცოცხალი ორგანიზმის ერთობლიობა.

**ბიომიტინი** – [ბერძნ. bios – სიცოცხლე და mykes – სოკო] – ანტიბიოტიკების ჯგუფის სამკურნალო პრეპარატი. ამჟამად ეწოდება ქლორტეტრაციკლინის ჰიდროქლორიდი.

**ბიონტი** – [ბერძნ. bion (biontos) მცხოვრები] – ცალკეული ორგანიზმი (ინდივიდი), რომელიც ევოლუციურ პროცესში გარკვეულ საცხოვრებელ გარემოს ეგუება.

**ბიოპოლიმერი** – მაღლამოლეკულური ნაერთი. მაგალითად: ცილები, ნუკლეინის მჟავები.

**ბიორეპროდუქტი** – ბიო – რთული სიტყვის პირველი შემადგენელი ნაწილი, რომელიც აღნიშნავს სიცოცხლის პროცესთან დაკავშირებულ მოვლენას. რეაგენტი – ქიმიურ რეაქციაში მონაწილე ნივთიერება. ბიორეაგენტებია: იმუნოგლობულინი, ფაგოციტი და კილერი უჯრედები, ლიზოციმი, კომპლემენტი და სხვა, რომლებიც ახორციელებენ უცხო ანტიგენებისაგან თავდაცვით ფუნქციას.

**ბიორიტმეზა** – სხვადასხვა ბიოლოგიური პროცესების (სისხლის მიმოქცევის, კუნთების მოქმედების, სუნთქვის) რიტმული ცვლილებები (კლება-მატება).

**ბიოსინთეზი** – [ბერძნ. bios – სიცოცხლე, synthesis – სინთეზი] – ნივთიერებათა ცვლის შედეგად სხვადასხვა ნივთიერებების წარმოქმნა ცხოველურ ან მცენარეულ ორგანიზმში. ორგანულ ნივთიერებათა სინთეზი ცოცხალ ორგანიზმში (უჯრედში). ბიოსინთეზის ყველა რეაქცია ენერჯიის შთანთქმით მიმდინარეობს.

**ბიოსფერო** – [ბერძნ. bios – სიცოცხლე და sphaira – სფერო] – დედამიწის გეოგრაფიული გარსი, რომელშიც გავრცელებულია ცოცხალი ორგანიზმები, ე. ი. სიცოცხლის გავრცელების არე დედამიწაზე. ბიოსფერო მოიცავს ატმოსფეროს ქვედა ნაწილს, ჰიდროსფეროს მთლიანად და ლითოსფეროს ზედაპირულ ნაწილს.

**ბიოტექნოლოგია** – მეცნიერების ახალი დარგი, რომლის მიზანია ბიოლოგიური მეთოდები გამოიყენონ ბიოტექნოლოგია-

ში და პირიქით, ტექნოლოგიური მეთოდები – ბიოლოგიაში. ბიოტექნოლოგიის ევროპული ფედერაცია ბიოტექნოლოგიას ასე განმარტავს: „ბიოტექნოლოგია განიხილება როგორც ბიოქიმიური, მიკრობიოლოგიური და ინჟინრული მეცნიერებების ერთობლიობა, ქსოვილთა კულტურისა და უჯრედთა შემადგენელი კომპონენტების ტექნოლოგიური გამოყენების მისაღწევად“.

**ბიოტინი** – [ბერძნ. biotos – სიცოცხლე] – ვიტამინი H, რომელიც შედის საფუვრებისა და სხვა მიკროორგანიზმების შემადგენლობაში. აგრეთვე, ღვიძლში, თირკმელებში, კვერცხის გულში, რძეში, ყვავილოვან კომბოსტოსა და სხვა მცენარეულ პროდუქტებში. ასევე – ცილოვანი და ცხიმოვანი ცვლის მარეგულირებელი ფერმენტების შემადგენლობაში. ხასიათდება მაღალი ფიზიოლოგიური აქტივობით. ბიოტინით მდიდარია ბოსტნეული.

**ბიოტოპი** – [ბერძნ. bio – სიცოცხლე, topos – ადგილი] – ცხოველთა და მცენარეთა სამყოფელი გარემოს უბანი, გარკვეულ ტერიტორიაზე მცხოვრები სხვადასხვა სახეობის ცხოველების, მცენარეებისა და მიკროორგანიზმების ერთობლიობა. ბიოტოპის ფაუნა და ფლორა შეადგენს ბიოცენოზს. ადამიანის ბიოტოპებია: პირის ღრუ, ნაწლავები და სხვა.

**ბიოტური ფაქტორები** – ცოცხალი ორგანიზმის გავლენა სხვა ორგანიზმების ცხოველმყოფელობაზე (ადამიანის, ცხოველების და მცენარეების ზეგავლენა). გავლენა ვლინდება კონკურენციაში, მტაცებლობაში, პარაზიტოზში, სიმბიოზსა და სხვა ფორმებში.

**ბიოზისია** – [ბერძნ. bios – სიცოცხლე და opsis – განხილვა] – ავადმყოფისათვის ქსოვილის პატარა ნაჭრის ამოკვეთა მიკროსკოპულად გამოკვლევის მიზნით.

**ბიოქიმიკა** – მეცნიერება, რომელიც სწავლობს ცოცხალი მატერიის ქიმიურ შედგენილობას და მასში მიმდინარე ნივთიერებათა ცვლის ქიმიურ პროცესებს.

**ბიოცენოზი** – [ბერძნ. bios – სიცოცხლე და koinos – საერთო] – იმ მცენარეთა და ცხოველთა ერთობლიობა, რომლებიც არსებობენ ერთგვარ პირობებში. მაგ., ამა თუ იმ ტბის, მდელის, სანაპირო ზოლის ცხოველები და მცენარეები. 2. ერთანაირი ტერიტორიისათვის (ხმელეთის ან წყლის ნაწილის) დამახასიათებელი მცენარეების, ცხოველებისა და მიკროორგანიზმების ერთობლიობა, რომლებიც

ხასიათდებიან ერთმანეთში განსახლდრული ურთიერთობით და შეგუებული არიან გარემო პირობებს.

**ბიოციდი** – პესტიციდები და შხამქიმიკატები, რომლებიც ტოქსიკურები არიან ბევრი ორგანიზმის მიმართ.

**ბიპოლარული** – ორპოლუსიანი.

**ბიპოლარული პოლიტრიპი** – ბაქტერიული უჯრედის ორივე პოლუსზე განლაგებული შოლტების კონა.

**ბირთვი** – უჯრედის ერთ-ერთი ძირითადი შემადგენელი ნაწილი, რომელიც აქტიურ მონაწილეობას იღებს უჯრედის განვითარების ყოველგვარ სასიცოცხლო პროცესსა და გამრავლებაში.

**ბისულფატი** – გოგირდმჟავას მჟავე მარილი ანუ ჰიდროსულფატი.

**ბისულფიტი** – გოგირდოვანი მჟავას მჟავე მარილი ანუ ჰიდროსულფიტი.

**ბიუჰეტი** – [ფრანგ. burette] – დანაყოფებიანი მინის მილაკი მცირე რაოდენობის სითხის გადამსწავლად.

**ბიუტნეს რეაქცია** – ბიურნეს კანშიდა ალერგიური სინჯი, რომელიც გამოიყენება ბრუცელაზის დიაგნოსტიკაში. ამ დროს კანში შეჰყავთ ბრუცელინი. შეყვანის ადგილზე დაავადების არსებობის შემთხვევაში 18-24 სთ-ის შემდეგ ვითარდება შეშუპება და შეწითლება. ჯანმრთელი ადამიანის კანზე ცვლილება არ აღინიშნება.

**ბიზიპოლი** – დისბიოზის სამკურნალო საშუალება. ის ხელს უწყობს ნორმალური მიკროფლორის აღდგენას. არის ყველაზე გავრცელებული პრობიოტიკი.

**ბიზილუმბაქტიონი** – ბიოპრეპარატი, რომელსაც იყენებენ დისბაქტერიოზებისას ადამიანის მიკროფლორის შემადგენლობის ნორმალიზაციისათვის.

**ბიზილუმბაქტიონი** – მიკროორგანიზმთა ჯგუფები, რომლებიც ადამიანის ობლიგატური მიკროფლორის შემადგენლობაში შედიან.

**ბიქრომატი** – (ლათ. bis – ორჯერ) ქრომატი – ქრომის მჟავას მარილი. გოგირდმჟავასა და ბიქრომატის ნარევის იყენებენ ლაბორატორიებში ქიმიური ჭურჭლის გასარეცხად.

**ბიჰსი** – მეტალის ყუთი გადამსხვევი მასალის სტერილიზაციისათვის. გამოიყენება ბიოლოგიაში, მედიცინასა და ვეტერინარიაში.

**ბიცოზი ნიადაგში** – იგივე დამლაშებელი ნიადაგები. შეიცავენ ნატრიუმის მარილებს.

**ბლასტიმა** – [ბერძნ. blastema – ნაზარდი, შთამომავალი] – ორგანოს მოკვეთის შემდეგ ჭრილობის ზედაპირზე წარმოქმნილი ერთგვაროვანი უჯრედების გროვა, რომელთაგან შემდეგ ახალი ორგანოს ქსოვილები ვითარდება.

**ბლასტომა** – [ბერძნ. blastos ყლორტი] – სიმსივნე.

**ბლასტომიკოზი** – [ბერძნ. blastos – ჩანასახი, ყლორტი და meros ნაწილი] – მრავალუჯრედიანი ცხოველების განაყოფიერებელი კვერცხუჯრედის დაყოფის პროცესში წარმოქმნილი უჯრედები.

**ბლასტომიცეტი** – [ბერძნ. blastos – ჩანასახი, ყლორტი და mykes (muketos – სოკო)] – საფუარა სოკოების საერთო სახელწოდება.

**ბლოკადა** – რომელიმე ორგანოს ან სისტემის ფუნქციის გამოთიშვა.

**ბლოკირებული ანტისხეულები** – არასრული ანტისხეულები. ისინი უერთდებიან ანტიგენს და პასიური ჰემაგლუტინაციის რეაქციით ვერ გამოვლინდებიან. ხდება ანტისხეულების ბლოკირება (ბლოკადის მოწყობა).

**ბლოკი** – კავშირი, გაერთიანება.

**ბოტანტი** – ბორძეგას მარილები. იყენებენ წყლის დასარბილებლად.

**ბორელიები** – სპიროქეტოზების (შებრუნებითი ტიფი – *Borrelia recurrentis*) გამომწვევები. ინფექციის წყაროს წარმოადგენს ადამიანი, ხოლო გადამტანია ტილი. თუ დაავადებას იწვევს *Borrelia casucasica*, მაშინ ინფექციის წყარო არიან მღრღნელები, ხოლო გადამტანი – ტკიპა.

**ბრომატონი** – მომწამვლელი (ცრემლსადენი) ნივთიერება.

**ბოტანიკა** – [ბერძნ. botane მცენარე] – მცენარეთა შემსწავლელი მეცნიერება.

**ბოტანიკოსი** – ბოტანიკის სპეციალისტი. ე. ი. მცენარეთა შემსწავლელი მეცნიერების სპეციალისტი.

**ბოტულიზმი** – [ლათ. botulus – ძეხვი] – მძიმე მოწამვლა ძეხვეულის, თევზით, ხორცის ან ბოსტნეულის კონსერვით. მწვავე ინფექციური ტოქსიკური დაავადება, რომელსაც იწვევს საკვებში მოხვედრილი ანაერობული ბაქტერია და მისი ტოქსინი.

**ბოტულიზმი ტოქსინი** – ძლიერი ბიოლოგიური ტოქსინი, რომელსაც გამოიმუშავენს ბაცილა – *Clostridium botulinum*. ადამიანის საჭმლის მომწველელ ტრაქტში მოხვედრის შემდეგ ბოტულიზმის ტოქსინი შეიწოვება, გადადის სისხლში და ამ უკანასკნელთან ერთად აღწევს თავის

ტვინის ნერვულ ბირთვებს. ავადმყოფს ეწყება თავბრუს, საგნებს ბუნდოვნად ხედავს, ზოგჯერ – გაორებულად, პირი უშრება, უჭირს ყლაპვა, ლაპარაკობს გაურკვეველად, სიკვდილს იწვევს გულის ან სასუნთქი ცენტრის დამბლა. ბოტულიზმი ტოქსინი ყველა ბიოლოგიურ ტოქსინზე ძლიერია.

**ბოქსი** – [ინგლ. box – ყუთი, კოლოფი] – 1. ლითონის კოლოფი შპრიცის გამოსახარშავად; 2. საავადმყოფოს ინფექციურ განყოფილებაში პალატის იზოლირებული მინიწული ნაწილი, რომელსაც ცალკე შესასვლელი აქვს; 3. ტიხრებით გამოყოფილი შემინული ადგილი ავადმყოფის ცალკე მოსათავსებლად. იგი განკუთვნილია, აგრეთვე, ავტოკლავში შესახვევი მასალისა და თეთრეულის სტერილიზაციისა და საოპერაციოში ან შესახვევში მათი შემდგომი შენახვისათვის. მიკრობიოლოგიაში იყენებენ მიკროორგანიზმთა დასათესად.

**ბრმა ნაწლავი** – მსხვილი ნაწლავის საწყისი, პატარა ტომრის მსგავსი ნაწილი, რომელიც მდებარეობს წვერილი ნაწლავის მსხვილ ნაწლავთან შეერთების მახლობლად. მისგან ქვევით წაზრდილია ე. წ. ჭიანაწლავი – აპენდიქსი. იხ. აპენდიქსი.

**ბრომი** – [ბერძნ. bromos ცუდი სუნი, სიმყრალე] – ქიმიური ელემენტი, მწვავე სუნის მქონე რუხ-მოწითალო სითხე. ბრომის ნაერთებისაგან ამზადებენ წამალს, რომელსაც ნერვების დასამშვიდებლად იყენებენ.

**ბრონქები** – [ბერძნ. bronchos სასუნთქი მილი] – სასუნთქი მილის განშტოებები, რომლებითაც ჰაერი ჩადის ფილტვებში.

**ბრონქოლუბი** – ბრონქების უწყვილესი განშტოებები ფილტვებში.

**ბრონქიტი** – ბრონქების ლორწოვანი გარსის ანთება.

**ბრონქოადენიტი** – [ბერძნ. bronchos სასუნთქი მილი და aden – ჯირკვალი] – ბრონქული ჯირკვლების ანთება.

**ბრონქოექტაზია** – ქრონიკული დაავადება, რომლისთვისაც დამახასიათებელია ბრონქების გაფართოება.

**ბრონქოპნევმონია** – [ბერძნ. bronchos – ბრონქები და pneumonia – ფილტვების ანთება] – ფილტვების ანთების ერთ-ერთი ფორმა. სხვანაირად – კეროვანი პნევმონია.

**ბრონქოექსპირატორი** – ბრონქების სეფსისური ან ლპობითი მდგომარეობა.

**ბრონქოსკოპია** – [ბერძნ. bronchos სასუნთქი მილი და skopeo – ვუყურებ] – სპეციალური აპარატის (ბრონქოსკოპის) საშუალებით სასუნთქი მილების გამოკვლევის მეთოდი.

**ბრონქიტი** – ბრონქიტთან დაკავშირებული.

**ბრუცელა** – ადამიანისა და რიგ ცხოველთა მწვავე ან ქრონიკულად მიმდინარე დაავადება, რომელსაც იწვევს პათოგენური ბაქტერიების, კერძოდ, ბრუცელის (*Brucella*) ზოგიერთი სახეობა. ადამიანზე ბრუცელაზი გადადის ბრუცელაზიანი საქონლის (მაგ., ძროხის, თხის, ცხვრის, ღორის და სხვა) რძისა და რძის ნაწარმით ან ხორციით კვების შედეგად, ან ასეთი საქონლის მოვლისას.

**ბუბონი** – [ბერძნ. bubon – საზარდული] – სიმსივნე, რომელიც ჩნდება ლიმფური ჯირკვლების ანთების შედეგად (საზარდულზე, ილიაში, კისერზე და სხვა).

**ბულიონი** – [ფრანგ. bouillon] – ხორცის ნახარში წყალზე.

**ბუნებრივი იმუნიტეტი** – ანუ სახეობრივი იმუნიტეტი. ერთი სახეობის ცხოველის ან ადამიანის მიუღებლობა იმ მიკროორგანიზმებისადმი, რომლებიც სხვა სახეობებში დაავადებას იწვევენ.

**ბუნებრივი კილინგები** – ადამიანისა და ცხოველების ორგანიზმში ლიმფოციტების მსგავსი უჯრედების პოპულაცია, რომლებიც „სამიზნე“ უჯრედების მიმართ ბუნებრივ ციტოტოქსიკურობას ფლობენ. მათ აქვთ სიმსივნის საწინააღმდეგო, ვირუსსაწინააღმდეგო და პარაზიტსაწინააღმდეგო აქტიურობა.

**ბუნებრივი რეპროდუქციის ინჰიბიციისა** – გარეული ცხოველები, რომელთა ორგანიზმში მუდმივად იმყოფებიან ადამიანის ან შინაური ცხოველების ავადმყოფობის გამომწვევები.

**ბუტადიონი** – [ბერძნ. ორგანული ნაერთი] – უჯერი ნახშირწყალბადი. იღებენ სპირტიდან ან ნავთობის აირებიდან.

**ბუტადიონი** – სამკურნალო წამლო პრეპარატი, ტკივილის გამაყუჩებელი, სიცხის დასაწვეი და ანთების საწინააღმდეგო საშუალება. იყენებენ ქრონიკული ფორმის რევმატიზმის, ნიკრისის ქარისა და ზოგი სხვა დაავადების სამკურნალოდ.

**ბუზარული ხსნარი** – ხსნარი, რომელიც შეიცავს მისი განზავების ან მასზე მცირე რაოდენობით ძლიერი მჟავას ან ტუტის დამატებისას pH-ის მუდმივი მნიშვნელობის შენარჩუნების უნარის მქონე წონასწორულ სისტემას.



**ბაზური ქრომატოგრაფია** – აიროვანი ქრომატოგრაფია – (ბერძნ. chromos – ფერი, grapho – ვწერ).

**ბალაქტოზა** – [ბერძნ. gala - galaktos რძე] – ორგანული ნივთიერება მარტივი შაქრებიდან. შედის ლაქტოზის (რძის შაქრის) შემადგენლობაში. მიიღება რძის შაქრის ჰიდროლიზით.

**ბალეპი** – მცენარის ორგანოთა ქსოვილების არანორმალურად ზრდის შედეგად წარმოქმნილი გამონაზარდები მეტეკტების, ნოტიოსა და სხვათა სახით, რაც გამოწვეულია პარაზიტი მცენარეებისა და ტკიპების, ზოგჯერ სოკოებისა და ბაქტერიებისაგან. მათ ცეციდიებსაც უწოდებენ. განსაკუთრებით ხშირად გვხვდება მუხისა და ტირიფის ფოთლებზე.

**ბალენური პრეპარატი** – სამკურნალო საშუალებანი (ნაყენები, ექსტრაქტები), რომლებსაც იღებენ მცენარეული და ცხოველური ნედლეულის ფარმაცევტული დამუშავებით. სახელი დარქმეულია ძველი რომაელი ექიმ კ. გაენუსის (ახ. წელთაღრიცხვით მე-2 ს.) სახელის მიხედვით.

**ბალვანოტაქსისი** – ზოგი ცხოველისა და მცენარეული ორგანიზმის, აგრეთვე, მიკრობების (მაგალითად, ნაწლავის ჩხირის) აქტიური მოძრაობა, რომელიც ელექტრული დენით არის გამოწვეული.

**ბალმჟავა** – [ლათ. gulla – მეღნის გუნდა] – ორგანული ნაერთი, მოიპოვება ზოგ მთრიმლაგ ნივთიერებაში, ჩაის ფოთლებსა და სხვა. იყენებენ მედიცინაში. აგრეთვე, მეღნისა და ზოგი საღებრის წარმოებაში.

**ბამა-პლოგუმიონი** – სისხლის შრატის ცილოვანი ფრაქცია. იმუნურ შრატში ასრულებს ანტისხეულების ფუნქციას.

**ბამა-თერაპია** – გამოსხივებით მკურნალობა.

**ბამამდიფრეპელი ნიადაგი** – გარკვეული ჯგუფის მიკრობების გამოყოფისათვის განკუთვნილი ნიადაგი.

**ბამაჰვიკივირუსი** – ინფექციური მონონუკლეოზის ვირუსი. ასეთი ვირუსები იწვევენ ატიპური ლიმფოციტების წარმოქმნას.

**ბამეძა** – ცხოველური ან მცენარეული ორგანიზმის სასქესო უჯრედი.

**ბამეტობენეზი** – მცენარეებსა და ცხოველურ ორგანიზმებში სასქესო უჯრედების (გამეტების) წარმოქმნის პროცესი. ბერძნ. gametes – მეუღლე და genesis – განვითარება.

**ბამოკვირტვა** – იხ. დაკვირტვა.

**ბამოსხივება** – სხივის სახით გამოსვლა, სხივური ენერჯის სახით გაფრცელება საიდანმე.

**ბამრავლება** – ცოცხალი ორგანიზმის მიერ თავისივე მსგავსი შთამომავლობის წარმოქმნა. არჩევენ სქესობრივ, უსქესო და ვეგეტატიურ გამრავლებას.

**ბანგლიონები** – ნერვული კვანძები – ganglii nervorum (ბერძნ. ganglion განგლიონი, ლათ. nervus ნერვი) – სხვადასხვა სიდიდის განცალკევებულ ნერვულ უჯრედთა გროვები, რომლებიც განლაგებული არიან ნერვული ღეროების გზაზე. ისინი ვითარდებიან უმთავრესად სასახსრე ჩანთისაგან, იშვიათად – მყესთა ბუდისაგან ხელისგულსა და ფეხისგულზე.

**ბანგრენა** – ნეკროზის ერთ-ერთი სახე, ცოცხალი ორგანიზმის რომელიმე ქსოვილის, ორგანოს ან სხეულის ნაწილის კედლმა სისხლის მიმოქცევის დარღვევის შედეგად, რომლის დროსაც ზიანდება არა მარტო ქსოვილები, არამედ – ძვლები და სახსრებიც. ამას თან სდევს ჩირქოვანი ინფექცია. განგრენა ვითარდება უმთავრესად სისხლძარღვთა დაავადების – ემბოლიის, ათერომატოზის, დიაბეტის, დამწვრობის, მოყინვისა და სხვათა შედეგად. არჩევენ განგრენის ორ ფორმას: მშრალსა და სველს.

**ბანგრენა აიროვანი** – ანაერობული ინფექცია, აიროვანი ინფექცია, ავთვისებიანი შეშუპება – მეტად მძიმე, მწვავე ინფექციური დაავადება, რომელიც ვითარდება ჭრილობის დაზიანებების და მასში ინფექციის გამომწვევის შეჭრის შედეგად. ჭრილობაში მოხვედრილი ინფექცია სწრაფად ვრცელდება სად ქსოვილებზე, იწვევს ქსოვილის ნეკროზს და მთელი ორგანიზმის მძიმე ინტოქსიკაციას. თუ დაავადებულია კიდური, უმჯობესია მისი სწრაფი ამპუტაცია. სხვა შემთხვევებში კი მკურნალობენ.

**ბასტრიტი** – კუჭის ლორწოვანი გარსის ანთება.

**ბასტროენტერიტი** – (ბერძნ. gaster – კუჭი, enteron – ნაწლავი, itis – ანთება) – კუჭისა და წვრილი ნაწლავების ლორწოვანი გარსის მწვავე ან ქრონიკული ანთება. დამახასიათებელია დისპეფსიური მოვლენები და ფალარათი.

**ბასტროენტეროკოლიტი** – კუჭის, წვრილი და მსხვილი ნაწლავების ერთდროული დაავადება. იწვევს მწვავე ინფექციასა და საჭმლით მოწამვლას.

**ბასტროენტეროლოზი** – გასტროენტეროლოგიის სპეციალისტი ექიმი.

**ბასტროენტეროლოზია** – [ბერძნ. gaster, gastros – კუჭი, enteron – ნაწლავი და logos – მოძღვრება] – მედიცინის დარგი, რომელიც შეისწავლის საჭმლის მომხელელებელ ორგანოებსა და მათ დაავადებებს.

**ბასტროსკოპია** – კუჭის ღრუს გასინჯვა სპეციალური ხელსაწყოთა – გასტროსკოპის საშუალებით. ეს ხელსაწყო გასინჯვის დროს შეჰყავთ პირიდან საყლაპავი მილით.

**ბასტროსტომია** – ქირურგიული ოპერაცია, რომლის მიზანია ხელოვნური გზის შექმნა საკვების შესაყვანად პირდაპირ კუჭში საყლაპავი მილის გვერდის ავლით.

**ბატიტრვა** – ბიურეტიდან ხსნარის გადასხმა მეორე ხსნარზე ერთ-ერთი მათგანის კონცენტრაციის გამოსარკვევად.

**ბაჯირჯვება** – 1. სითხით გაჟღენთვა და მოცულობაში მომატება. 2. გადატ. ჯირჯვები გაუჩნდება, გასივდება, შეშუპდება.

**ბელი** – დისპერსიული სისტემა (თხევადი ან გაზისებრი დისპერსიული არით), რომელსაც აქვს მყარი სხეულის ზოგიერთი თვისება: ფორმის შენარჩუნების უნარი, სიმკვრივე, პლასტიკურობა, დრეკადობა.

**ბენი || ბენები** – [ბერძნ. genos – გვარი] – მემკვიდრეობის ქრომოსომული თეორიის მიხედვით დისკრეტული ერთეულები, რომელთა საშუალებითაც მემკვიდრეობით გადადის ორგანიზმის ნიშან-თვისებები. გენი არის მთავარი ფაქტორი, რომელიც განაპირობებს მიკროორგანიზმსა და სხვა ორგანიზმებში მემკვიდრეობით თვისებებს.

**ბენეზისი** – [ბერძნ. genesis] – წარმოშობა, წარმოქმნა.

**ბენერალიზაცია** – (ლათ. generalis საერთო, ზოგადი) – ავადმყოფობის ან გამომწვევი აგენტის მთელ ორგანიზმში ან ორგანოში გაფრცელება. ავადმყოფობის გართულება. ინფექციის პროცესის გაფრცელება.

**ბენერაცია** – 1. თაობა, მოდგმა; მცენარეთა ან ცხოველთა ერთი გვარის ან სახეობის ყველა წევრი; 2. ცხოველის ან

მცენარის სასიცოცხლო პერიოდი დაწყებული მისი განვითარებიდან სქესობრივი სიმწიფის მდგომარეობამდე.

**გენეტიკის დრო** – ის დრო, რაც სჭირდება ახალი თაობის, მოდგმის მოცემას.

**გენეტიკა** – ბიოლოგიური მეცნიერების დარგი, რომელიც სწავლობს ორგანიზმთა მემკვიდრეობისა და ცვალებადობის კანონზომიერებებს.

**გენეტიკური კოდი** – დეზოქსირიბონუკლეინის მჟავას (დნმ) მოლეკულაში გენეტიკური ინფორმაციის „ჩანაწერი“.

**გენეტიკური ტაქსონომია** – დნმ-ის საშუალებით ორგანიზმებს შორის ურთიერთნათესაური დამოკიდებულების გარკვევა.

**გენის დრეიჯი** – შეჯვარებულ მცირე პოპულაციებში შემჩნეული ტენდენცია, როდესაც ჰეტეროზიგოტური ლოკუსი იდენიფიცირდება ამა თუ იმ ალელის ჰომოზიგოტური ლოკუსით.

**გენის ლოკუსი** – გენის ადგილსამყოფელი ქრომოსომაში.

**გენი ოპერატორი** – გენი, რომელიც განაპირობებს მემკვიდრული ინფორმაციის გადაცემის შეკავებას სტრუქტურული გენიდან ცილაზე.

**გენი რეპრესორი** – სტრუქტურული გენის მაკონტროლებელი.

**გენი სტრუქტურული** – გენი მატრიცა, რომელზედაც ხდება ინფორმაციული რნმ-ის სინთეზი.

**გენიტალია** – (geneitalia ლათ. gigno წარმოვშობ, ვბადებ) – სასქესო ორგანოები.

**გენიტალური** – სასქესო; სქესობრივი, სამშობიარო.

**გენური ინჟინერია** – მოლეკულური გენეტიკის დარგი, რომელიც მდგომარეობს გენეტიკური აპარატის მთელი გენომის შეცვლაში. გენური ინჟინერია ბიოტექნოლოგიის ქვაკუთხედი. გენური ინჟინერია მდგომარეობს ერთი გენის ან გენების კომპლექტის ცვლილებაში, რითაც რეციპიენტს ემატება ან ერთმევა რომელიმე ნიშანთვისება.

**გენომი** – [გერმ. Genom, ინგლ. genom(e), ბერძნ. genos – წარმოშობა] – გენების კომპლექსი მოცემული ცხოველური თუ მცენარეული უჯრედების ქრომოსომებში. ტერმინი შემოიღო გერმანელმა ბიოლოგმა პ. ვინკლერმა 1920 წელს.

**გენოტიპი** – (ბერძნ. genos გვარი, typos ნიშან-თვისება) – ორგანიზმის ქრომოსომებში ლოკალიზებული ყველა გენის ერთობლიობა. ფართო გაგებით გენოტიპი ორგანიზმის ყველა მემკვიდრული ფაქტორის – ბირთვულის, ციტოპლ

ლაზმურისა და პლასტიდურის ერთობლიობა. ის ურთიერთქმედებათა რთული სისტემა და შეიცავს გენეტიკურ ინფორმაციას ყველა შესაძლო ფენოტიპის, ე. ი. ორგანიზმის შინაგან და გარეგან ნიშან-თვისებათა ერთობლიობის შესახებ. უჯრედის გენეტიკური სტრუქტურა რთული სისტემაა, რომელსაც აქვს ავტორეპროდუქციის უნარი.

**გენოფონდი** – პოპულაციის გენთა ერთობლიობა.

**გენური მუტაცია** – მუტაცია, რომელიც ცალკეული გენის თვისობრივ ცვლილებას წარმოადგენს. დაკავშირებულია ქრომოსომების აგებულების ისეთ ცვლილებებთან, რომელთა დანახვა მიკროსკოპში არ შეიძლება. მას შიდაგენურ მუტაციასაც უწოდებენ.

**გენციანვიოლუტი** – ტრიფენილმეთანის ჯგუფის ლურჯ-იისფერი საღებავი, რომელსაც იყენებენ ბაქტერიების გრამის მეტოდით შეღებვისას.

**გეოსფეროები** – სხვადასხვა სიმკვრივისა და შედგენილობის კონცენტრული (დაახლოებით სფერული) გარსები, რომელთაგანაც შედგება დედამიწის სფერო (ასეთებია: ბაროსფერო, ლითოსფერო, ჰიდროსფერო, ატმოსფერო).

**გერმი** – ინფექციური ბაქტერიოფაგის ნაწილი, რომელიც წარმოადგენს მისი (ბაქტერიოფაგის) გენეზისური უწყვეტობის მატერიალურ საფუძველს. საგარაუდოდ ეს არის ბაქტერიოფაგის ნუკლეინის მჟავა.

**გერონტოლოგია** – მეცნიერება სიცოცხლის გახანგრძლივების შესახებ.

**გვამი** – გარდაცვილი ადამიანის სხეული.

**გიგანტური** – გიგანტის დამახასიათებელი, ძალიან დიდი, ბუმბერაზული.

**გინგივიტი** – [ლათ. gingivita – ღრძილი, ბერძნ. itis – ანთება] – ღრძილების ლორწოვანი გარსის ანთება.

**გლაუპერის მაროლი** – გოგირდმჟავა ნატრიუმის მარილი. იყენებენ მედიცინასა და ტექნიკაში. სახელი დარქმეულია გერმანელი ექიმ **გლაუპერის** გვარის მიხედვით.

**გლიკემია** – [ბერძნ. glykys – ტკბილი, haima – სისხლი] – სისხლში შაქრის არსებობა (ნორმა 4.44-6.66 მმოლ/ლ). ზოგიერთი დაავადების ან ავადმყოფური მდგომარეობის დროს შაქრის რაოდენობამ სისხლში შეიძლება იკლოს (ჰიპოგლიკემია) ან იმატოს (ჰიპერგლიკემია).

**გლიკოზმენეზისი** – (ბერძნ. glykys – ტკბილი, genesis – წარმოშობა) – გლიკოგენის წარმოქმნა.

**გლიკოზმენი** – (ბერძნ. glykys – ტკბილი, gennao – წარმოვშობ) – პოლისაქარიდი, ცხოველური სახამებელი, სამარაგო ნახშირწყალი. ადამიანსა და ცხოველებში წარმოიქმნება მონოსაქარიდი გლუკოზისგან და მარაგდება ღვიძლსა და კუნთებში. გლიკოგენი წარმოადგენს ენერგეტიკული ცვლის ძირითად კომპონენტს ორგანიზმში.

**გლიკოზურია** – [ბერძნ. glukus ტკბილი და uron – შარდი] – შაქრის გამოყოფა შარდთან ერთად. ასე შეიძლება მოხდეს შაქრიანი დიაბეტის დროს.

**გლიკოლიზი** – ნახშირწყლების (გლუკოზის) ანაერობული და შლა უფრო მარტივ შენაერთებად ნივთიერებათა ცვლის პროცესში. წარმოადგენს ყველა სახის დუდილის აუცილებელ პირველ საწყის ეტაპს და აგრეთვე, აერობული სუნთქვის პირველ (ანაერობულ) ფაზას.

**გლიკოპროტეინი** – რთული ცილები, რომლებიც თავის მხრივ წარმოადგენენ ცილების შენაერთს ნახშირწყლებთან.

**გლიომა** – სიმსივნე, რომელიც ვითარდება თავის ტვინში, იშვიათად კი ზურგის ტვინშიც.

**გლიცეროლი** – გლიცერინისა და ორგანული ან მინერალური მჟავების რთული ეთერები – ცხოველური და მცენარეული ცხიმების მთავარი შემადგენელი ნაწილი.

**გლიცერინი** – [გერმ. Clyzerin] – ორგანული ნაერთი, სქელი, ტკბილი სითხე, უსუნო და უფერო. იყენებენ ფარმაკოლოგიაში, მედიცინასა და ტექნიკაში.

**გლობინი** – (ლათ. globus – ბურთი) – რთული ცილის – გამა-გლობულინის ცილოვანი ნაწილი.

**გლობულინი** – (ლათ. globulus ბურთულა) – მცენარეული და ცხოველური ცილების (პროტეინების) ზოგადი სახელწოდება. იხსნება ნეიტრალური მარილების სუსტ ხსნარებში, გაზავებულ მჟავებსა და ტუტეებში. მოლეკულური მასა შეიძლება იყოს რამდენიმე ათასიდან მილიონამდე და უფრო მეტიც. უმაღლესი ცხოველებისა და ადამიანის ციტოპლაზმის, სისხლის პლაზმისა და ლიმფის შემადგენელი ნაწილია და განსაზღვრავს მათ ბუფერულ ტევადობასა და ორგანიზმის იმუნურ თვისებებს.

**გლომერულონეფრიტი** – glomerulonephritis (ლათ. glomus გორგალი, ბერძნ. nephros – თირკმელი, itis – ანთება) – თირკმლის გლომერულების (გორგლების) ანთება.

**გლოსიტი** – [ბერძნ. glössa – ენა] – ენის ანთება.

**გლუპაზონი** – კუჭუკანა ჯირკვლის ჰორმონი, რომელიც ხელს უწყობს გლიკოგენის დაშლას და სისხლში შაქრის მომატებას.

**გლუპოზა** – [ბერძნ. glukys – ტკბილი] – ყურძნის შაქარი, მეტად გავრცელებული მონოსაქარიდი ჰექსოზების ჯგუფიდან, რომელსაც აღდგენის ჯგუფი გააჩნია. თავისუფალი სახით გვხვდება ყველა მწვანე მცენარეში. შედის უჯრედის, სახამებლის, მალტოზის, საქაროზის და სხვა რთული ნახშირწყლების შემადგენლობაში. წარმოადგენს ძვირფას საკვებ ნივთიერებას. იყენებენ მედიცინაში.

**გლუპოპროტეინი** – რთული ცილები, რომლებიც თავის მხრივ, წარმოადგენენ ცილების შენაერთს ნახშირწყლებთან. გლუკოპროტეინებს მიეკუთვნება, მაგალითად, მუცინები.

**გლუტამინი** – გლუტამინოვანი მჟავას ამიდი, რომელიც, ასპარაგინის მსგავსად, დიდ როლს ასრულებს აზოტოვანი ნივთიერებების გარდაქმნაში.

**გლუტინი** – [ლათ. gluten – წებო] – ცხოველური წებო, რომელიც ხრტილების, მყესებისა და მისთანების მოხარშვით მიიღება.

**გობირაპატემია** – ბაქტერიები, რომლებიც გოგირდწყალბადს ჟანგავენ გოგირდმჟავამდე.

**გობირაფქვალბადი** – H<sub>2</sub>S უფერო, არასასიამოვნო სუნის მქონე აირი, ჰაერზე მძიმე. ერთ მოლეკულა წყალში იხსნება 2.5 მოცულობა H<sub>2</sub>S. საკმაოდ ძლიერი საწამლაია.

**გოლჯის აპარატი** – უჯრედის ორგანოიდი, რომელიც შედგება ორმაგი მემბრანების წყებისაგან, რომელთა შორის ლოკალიზებულია ცისტერნები, ხოლო ორგანოიდის პერიფერიაზე – სხვადასხვა ზომის ვაკუოლების მცირე რაოდენობა. მონაწილეობს სეკრეტორულ პროცესში. პირველად აღწერა იტალიელმა პისტოლოგმა **კამილო გოლჯიმ** 1898 წელს.

**გონიტი** – [ბერძნ. gong – მუხლი] – მუხლის სახსრის ანთება.

**გონოკოკი** – Gonococcus (ბერძნ. gonos თესლი, kokkus კურკა) – ცერცვის ფორმის უძრავი, უსპორო, ჩირქმადი ბაქტერია, ადამიანის სპეციფიკური პარაზიტი. აღმოაჩინა გერმანელმა მეცნიერმა ა. ნეისერმა 1879 წელს. იწვევს შარდსასქესო ორგანოებისა და თვალის ჩირქოვან ანთებას. ზოგჯერ აზიანებს სახსრებს, ჯირკვლებსა და ენდოკარდიუმს.

**გონოკოკემია** – gonococcaemia (ბერძნ. gonokokkos იხ. გონოკოკი, haima – სისხლი) – გონოკოკი სისხლში, ორგანიზმის ზოგადი გონოკოკური დაავადება, გონოკოკური სეფსისი. ვითარდება როგორც მწვავე, ისე ქრონიკული გონორეის შედეგად.

**გონორეა – სუსუნატი** – (ბერძნ. gonos თესლი, rheo მოვედინები) – ინფექციური ვენერიული დაავადება. გამოიწვევი გონოკოკი. დაავადების წყაროა გონორეით დაავადებული ადამიანი. თითქმის მუდამ სქესობრივი გზით ვრცელდება. არასქესობრივი გზით იშვიათად ავადდებიან მცირეწლოვანი გოგონები. გონოკოკი შეიძლება მოხვდეს ნაყოფს თვალის ლორწოვან გარსზე და ბლენორეა გამოიწვიოს. შარდ-სასქესო ორგანოების ლორწოვან გარსზე მოხვედრილი გონოკოკი სწრაფად მრავლდება და იწვევს ანთებას. გონორეის ადრეული ნიშნებია წვა და ქავილი მოშარდვისას, რასაც მალე დაერთვის ანთებითი ინფილტრაცია და ჩირქის გამოყოფა. შემდგომ ინფილტრატის ადგილზე ვითარდება ნაწიბური, რომელიც ზოგჯერ ავიწროებს შარდსადენს. თუ ნაწიბური მამაკაცის სათესლეების დანამატებსა და ქალის ფალოპის ღულებში განვითარდება, მას ამ ორგანოთა გაუვალობა მოსდევს, რაც ხშირად უნაყოფობის მიზეზი ხდება. გონოკოკების სისხლში მოხვედრამ შეიძლება დააზიანოს სახსრები, კუნთები, ძვლები და ნერვული სისტემა. დაავადებული ან არასწორი მკურნალობის და რეჟიმის დარღვევის შედეგად პროცესი ქრონიკულ ხასიათს იღებს.

**გრადიენტი** – (ლათ. gradient – მოსიარულე) – რომელიმე ფიზიკური სიდიდის სივრცეში ზრდის ან კლების საზომი (სიგრძის ერთეულით გადანაცვლების პირობებში).

**გრამფაღებოთი** – ბაქტერია, რომელიც გრამის მეთოდით იღებება. გრამის მეთოდი არის ბაქტერიების შეღებვის მეთოდი, რომელიც შემოიღო ქრისტინა გრამმა 1884 წელს.

**გრამი** – ფრანგ. gramme ლათ. და ბერძნ. gramma – 1. მასის წილობითი ერთეული (0.001 კგ.) ერთეულთა საერთაშორისო სისტემაში. 1 კგ. უდრის 1სმ<sup>3</sup> ქიმიურად სუფთა გამოხდილი წყლის მასას მისი უდიდესი სიმკვრივის ტემპერატურაზე (დაახლ 4°C); 2. გრამი მეცნიერის გვარია (ქრისტინა გრამი). მან შემოიღო ბაქტერიების უჯრედის კედლის შეღებვის წესი, რომელიც გრამის მეთოდის სახელწოდებითაა ცნობილი.

**გრამის მეთოდი** – ბაქტერიების შეღებვის მეთოდი, რომელსაც მეცნიერის პატივსაცემად გრამის მეთოდი უწოდეს. ეს მეთოდი ძალიან რთულია. გამოიყენება ბაქტერიების გრამდადებითად და გრამუარყოფითად დიფერენცირებისათვის.

**გრამიციდინი** – ანტიბიოტიკი, რომელსაც წარმოქმნიან ნიადაგის ბაქტერიები.

**გრამუარყოფითი** – ბაქტერია, რომელიც გრამის მეთოდით არ იღებება.

**გრანულა** – პატარა მარცვალი – 1. უჯრედის ციტოპლაზმის მარცვლები; 2. მცირე სამკურნალო ფორმა – აბები.

**გრანულა** – (ლათ. granula იხ. გრანულა) – ახალგაზრდა უმწიფარი შემადგენელი ქსოვილი; ვითარდება ჭრილობებისა და წყლულების შეხორცების, სხვადასხვა დანეკროზებული ქსოვილის წარმოქმნის, უცხო სხეულის ინკაფსულაციისა (იხ. ინკაფსულაცია) და ანთების ზოგიერთი ფორმის შემთხვევაში.

**გრანულოზა** – სამარაგო პოლისაქარიდი, რომელიც ახლოს დგას სახამებელთან; გვხვდება წვრილი მარცვლების სახით ზოგი ბაქტერიის უჯრედში.

**გრანულომა** – (ლათ. granulum (კნინ.) პატარა მარცვალი, ბერძნ. oma სიმსივნე) – ლოკალურად მაკროფაგების დაგროვება. დამახასიათებელია გიგანტური უჯრედების წარმოქმნა, ზოგჯერ ლიმფოციტებისა და პლაზმური უჯრედების დაგროვებაც, აღინიშნება ქრონიკული ინფექციების, მაგალითად, ტუბერკულოზის, სიფილისის, ბრუცელოზის და სხვათა დროს.

**გრანულოციტები** – სისხლის თეთრი სხეულაკების ანუ ლეიკოციტების ერთ-ერთი ჯგუფი, რომლის პლაზმა შეიცავს გრანულებს (მარცვლებს). გრანულების სიდიდისა და მათი საღებავებისადმი დამოკიდებულების მიხედვით არჩევენ ნეიტროფილურ (ნეიტროფილები), ეოზინოფილურ (ეოზინოფილები) და ბაზოფილურ (ბაზოფილები) ლეიკოციტებს.

**გრაცილიკუტები** – ბაქტერიები, რომლებიც არ იღებებიან გრამის მეთოდით.

**ბრიპი** – მწვავე ინფექციური დაავადება, რომლისთვისაც დამახასიათებელია სასუნთქი ორგანოების ანთება.

**ბუნინი** – აზოტის შემცველი ორგანული ნაერთი; შედის გუანინოვანი ნუკლეოტიდის შემადგენლობაში; გროვდება თევ-

ზის ქერცლში, რის შედეგადაც ქერცლს ეძლევა მოვერცხლისფრო-სადაფისებრი ელვარება.

**ბუანი-ციტოზინი** – აზოტოვანი ფუძეები.

**ბული** – ძუძუმწოვრების სისხლის მიმოქცევის სისტემის ორგანო, რომელიც თავისი რიტმული მუშაობით უზრუნველყოფს ორგანიზმში სისხლის განუწყვეტელ მოძრაობას.

**ბულის ციკლი** – გულის რიტმული მუშაობის პერიოდი, რომელიც მოიცავს სამ ფაზას: წინაგულების შეკუმშვას, პარკუჭების შეკუმშვასა და საერთო მოდუნებას – პაუზას.

**ბუტაცია** – [ლათ. gutta – წვეთი] – წყლის გამოყოფა წვეთებად მცენარის ფოთლებიდან. გუტაციის დროს მცენარე გამოყოფს ზედმეტ მარილებს. ძირითადად კი – კალციუმს.



**დადებითი პოლარობა** – ვირუსებში რნმ შეიძლება იყოს პლუსჯაჭვიანი ან მინუსჯაჭვიანი. პლუსჯაჭვიანი რნმ გამოიყენება ინფორმაციის წყაროდ, ხოლო მინუსჯაჭვიანი რნმ ინფორმაციის წყაროდ არ გამოიყენება. პლუსჯაჭვიან რნმ-ს დადებითი პოლარობის ერთჯაჭვიან რნმ-ს უწოდებენ, ხოლო მინუსჯაჭვიან რნმ-ს – უარყოფითი პოლარობის რნმ-ს.

**დაინფიცირება** – მიკროორგანიზმის (ბაქტერია, ვირუსი) შეჭრა მაკროორგანიზმში.

**დაკვირვება** – უსქესო გამრავლების ერთ-ერთი სახე, რომლის დროსაც მშობლის სხეულის ზედაპირზე ჩნდება მცირე ზომის გამონაზარდი (კვირტი), საიდანაც ვითარდება ახალი ინდივიდი. ეს უკანასკნელი შეიძლება მოწყდეს მშობლის სხეულს და დამოუკიდებლად დაიწყოს ცხოვრება ან დარჩეს დედის სხეულზე.

**დალტონიზმი** – მხედველობის ნაკლი, რომლის დროსაც ადამიანი ვერ არჩევს ერთმანეთისაგან ზოგიერთ ფერს, მეტწი-

ლად მწვანესა და წითელს; ნაწილობრივი ფერთი სიბრმავე (ინგლისელი მეცნიერის დ. დალტონის გვარის მიხედვით, რომელსაც მხედველობის ეს ნაკლი ჰქონდა და რომელმაც პირველმა აღწერა ის).

**დალტონიკი** – ადამიანი, რომელსაც დალტონიზმი სჭირს.

**დამბლა** – (ბერძ. paralyo ვასუსტებ) – მამოძრავებელი ან შეგრძნების ფუნქციების სრული ამოვარდნა, ან შესუსტება, რომელიც ვითარდება ცენტრალური ან პერიფერიული ნერვული სისტემის მამოძრავებელი ცენტრებისა და გამტარი გზების დაზიანებისას.

**დასრულებული ფაგოციტოზი** – ფაგოციტების მიერ ბაქტერიების, სოკოების, ვირუსების მონელება, ე. წ. დასრულებული ფაგოციტოზი.

**დაშთავრებელი (არასრული) ფაგოციტოზი** – შთანქმული ბაქტერიების მიერ ფაგოციტების ბლოკირება, რის შედეგადაც მიკრობები მრავლდებიან კიდევ.

**დაფნია** – [ბერძ. dafne (ნიფა) დაფნე] – ერთგვარი, ძალიან წვრილი (5 მმ-მდე სიგრძის) კბო. გვხვდება მტკნარ წყლებში. წყლის რწყილი.

**დაქტილიტი** – (ბერძ. daktylos თითი, -itis ანთება) – თითის ანთება.

**დაბინძურება** – ცოცხალი ორგანიზმის უჯრედის ან ორგანოს დაშლის პროცესი.

**დაბრადება** – (ლათ. de უარყ. ნაწილაკი, gradus საფეხური) – თანდათანობითი გაუარესება რაიმე თვისებისა; დაქვეითება, დაცემა. მაგ., ფსიქიკური დეგრადაცია – ეგზოგენური და ენდოგენური ფაქტორების ზემოქმედების შედეგად პიროვნების შეცვლა.

**დაზამინიება** – ამინოჯგუფის (NH<sub>2</sub>) მოცილება ამინომჟავას და სხვა ორგანული შენაერთის მოლეკულიდან.

**დაზინფიცია** – (ლათ. des უარყ. ნაწილაკი, infectio დასენიანება) – ინფექციურ დაავადებათა გამოწვევე (ბაქტერიების, ვირუსების და სხვ.) ან მათი გადამტანი ცოცხალი ორგანიზმების (პარაზიტების და სხვ.) მოსპობა ფიზიკური და ქიმიური საშუალებების გამოყენებით.

**დაზინფიციატი** – (ფრანგ. des უარყოფა, მოშორება, ლათ. infectio დასენიანება) – გარემოში პათოგენური მიკროორგანიზმების მოსასპობად განკუთვნილი ქიმიური საშუალება.

**დაზინფიცირება** – დეზინფექციის ჩატარება.

**დაზოქსიგლუკონატიზმი** – ანუ ენტერ-დუდოროვის გზით ნახშირწყლების დაჟანგვა ზოგიერთ ფსევდომონადსა და ძმარ-

მჟავა ბაქტერიისში. საბოლოო პროდუქტებია: ატფ, ნადფ, H<sub>2</sub>, ნად. H<sub>2</sub> და გლუკონოვის მჟავა.

**დეზოქსირიბოზიდოზინი** – ვირუსები, რომლებშიც გენეტიკურ მასალას წარმოადგენს დნმ.

**დეზოქსირიბოზა** – მარტივი შაქარი პენტოზას ჯგუფიდან. წარმოადგენს რიბოზის ალდგენის პროდუქტს. შედის დეზოქსირიბონუკლეინის მჟავას (დნმ) შემადგენლობაში.

**დეზოქსირიბონუკლეაზა** – ფერმენტი, რომელიც აჩქარებს დეზოქსირიბონუკლეინის მჟავას დაშლას. არის ცხოველის, მცენარის და მიკროორგანიზმის უჯრედებში. ფართოდ იყენებენ ბიოქიმიურ კვლევებსა და გენურ ინჟინერიაში.

**დეზოქსირიბონუკლეინმჟავა** – (დნმ) – რთული ორგანული ნაერთი. ერთ-ერთი ნუკლეინმჟავა, რომელიც მთავრდება ყოველ ორგანიზმში და ყოველ ცოცხალ უჯრედში, უპირატესად, მის ბირთვში. დიდ როლს ასრულებს ორგანიზმის ნიშან-თვისებათა მემკვიდრულ გადაცემაში. დეზოქსირიბონუკლეინმჟავა შემოკლებულად – დნმ; მისი მოლეკულური სტრუქტურა შედგება ორი სპირალურად დახვეული ჯაჭვისაგან, რომელიც თავის მხრივ წარმოადგენს პოლიმერს, რომლის მონომერებია ე. წ. ნუკლეოტიდები.

**დეზოქსირიბონუკლეოპროტეინი** – ვირუსის ანტიგენები, რომლებიც იხსნება წყალში და აღინიშნება, როგორც S ანტიგენი (ინგ. souluble – ხსნადი).

**დეიტერომიციტები** – ობის სოკოს ერთ-ერთი გვარი – Deuteromyces.

**დეკალცინაცია** – კალციუმის მარილების გამოცლა ორგანიზმიდან (ძვლებიდან, კბილებიდან) პათოლოგიური პროცესის შედეგად.

**დეკანტაცია** და **დეკანტირება** – [ფრანგ. decanter – გამოწურვა] – სითხიდან ნალექის გამოყოფის ლაბორატორიული და ტექნიკური ხერხი. დაწდომა.

**დეკარბოქსილირება** – მჟავას მოლეკულიდან კარბოქსილის ჯგუფის გამოყოფა.

**დელუცია** – ამა თუ იმ ზომის მონაკვეთის ამოვარდნა ქრომოსომიდან.

**დელტავირუსი** – D ჰეპატიტის ვირუსი, რომელიც პირველად გამოყვეს 1977 წელს B ჰეპატიტის ქრონიკული ფორმით დაავადებული ადამიანის ჰეპატოციტების ბირთვიდან.

**დენატურანტი** – ნივთიერება, რომელსაც ურევენ სპირტში სასმელად გაუფარვისების მიზნით.

**დენატურატი** – (ლათ. denaturatus) – დენატურირებული სპირტი.

**დენატურაცია** – (ლათ. de გამოყოფა, გამოცალკეება, nature ბუნება) – ცილების, ნუკლეინის მჟავების და სხვა ბიოპოლიმერების ბუნებრივი სტრუქტურის, კონფიგურაციის რღვევა სხვადასხვა ზემოქმედების გავლენით. ამის შედეგად ადგილი აქვს ნივთიერებების ბიოლოგიური აქტივობის დაქვეითებასა და დაკარგვას. დენატურაცია (ფრანგ. denaturation) და დენატურირება – რაიმე ნივთიერებების მოქმედებით ცილის თვისების შეცვლა. სპირტის დენატურაცია – სპირტის სასმელად გაუფარვისება მასში შესამიანი ან ცუდი გემოს, ცუდი სუნის ნივთიერებების შერევით.

**დენატურაცია ცილით** – ცილის ბუნებრივი თვისებების შეცვლა გარემო პირობების ცვლილებით და სხვადასხვა აგენტების მოქმედებით; დენატურაციას იწვევს ტემპერატურის გადიდება, მძლავრი მჟავას ან ტუტის და სხვათა მოქმედება.

**დენატურირება სპირტი** – სპირტი, რომლის დენატურაციაც მოახდინეს; სასმელად გაუფარვისებული სპირტი.

**დენემს ცხელეა** – დაავადება, რომელიც გავრცელებულია აფრიკისა და სამხრეთ ამერიკის ქვეყნებში, იმ რეგიონებში, სადაც გვხვდება დენგის ცხელეების ვირუსი. არაა დაფიქსირებული ყვითელი ცხელეების ვირუსი. როგორც ჩანს, ეს ორი ვირუსი ვიკარულია ანუ ურთიერთგამომრიცხავია, რაც განპირობებული უნდა იყოს გადამტანი კოლოს უჯრედული რეცეპტორებისადმი კონკურენტით.

**დენდრობაზა** – ხის მსგავსი, ხესავით განშტოებული.

**დენიტრიფიკატორები** – ბაქტერიები, რომლებიც იწვევენ დენიტრიფიკაციის პროცესს, ე. ი. აზოტის ბმული ფორმის ალდგენას მოლეკულურ ფორმაში (N<sub>2</sub>).

**დენიტრიფიკაცია** – 1. ნიტრიფიკაციის საწინააღმდეგო პროცესი, რომელიც, ჩვეულებრივ, მიმდინარეობს ნიადაგში. ამ დროს ხდება აზოტმჟავას მარილების ალდგენა მოლეკულურ აზოტამდე ან ამიაკამდე; ეს პროცესი ხორციელდება ანაერობულ პირობებში სპეციალური ბაქტერიების მეშვეობით. დენიტრიფიკაცია იწვევს ნიადაგის ნაყოფიერების შემცირებას.

**დენტონი** – ძვლისმაგვარი ნივთიერება, რომელიც წარმოადგენს ხერხემლიან ცხოველთა კბილის მთავარ შემადგენელ ნაწილს. თავისი აგებულებით და ქიმიური შედგენილობით ახლოს დგას ძვლის ქსოვილთან.

**დებიზმენტაცია** – კანის ბუნებრივი ფერის დაკარგვა. გამოწვეულია ეპიდერმისის უჯრედებში პიგმენტის გაქრობით.

**დეპილაცია** – [ლათ. depilo – თმას, ბალანს მოვაცილებ] – თმის, ბალნის მოცილება სამკურნალო ან კოსმეტიკური მიზნით.

**დეკოლიმენტაცია** – მაღალმოკლეური ნაერთის პოლიმერის დაშლა მონომერებად.

**დეკრუსია** – ავადმყოფური მდგომარეობა, რაც გამოიხატება სულიერი დაძაბულობით.

**დეკროტიმინიზაცია** – მარტივი ცილის, პროტეინის ბუნებრივი სტრუქტურის დარღვევა.

**დერივატი** – (ლათ. derivatus გადაყვანილი, გადაგდებული) – ადრე არსებულიდან, პირველადიდან, საწყისიდან წარმოქმნილი. სხვა ორგანული შენაერთებისაგან წარმოქმნილი, წარმოებული ორგანული შენაერთი. რისამე პროდუქტი (მაგ., ნიტრობენზოლი ბენზოლის დერივატი).

**დერმონეკროზი** – [ბერძნ. derma (dermatos) კანი, ბერძნ. nekros მკვდარი] – ადამიანის და ხერხემლიან ცხოველთა კანის შემავრთებელქსოვილოვანი ნაწილის კვდომა ცოცხალ ორგანიზმში.

**დერმონეკროზული** – (ბერძნ. derma კანი, nekros მკვდარი) – ე. ი. კანის კვდომა ცოცხალ ორგანიზმში.

**დერმატიტი** – dermatitis (ბერძნ. derma კანი, -itis- ანთება) – კანის ანთება, რომელსაც იწვევს გარემოს სხვადასხვა აგენტის უშუალო მოქმედება. დერმატიტის გამომწვევი ზოგიერთი გამლიზიანებლის (ძლიერი მჟავების, ტუტეების, მაღალი და დაბალი ტემპერატურისა და სხვ.) ზემოქმედებით დაავადება შეიძლება განუვითარდეს ყველა ადამიანს. ზოგიერთი გამლიზიანებელი კი მხოლოდ იმ პირებსე მოქმედებს, რომელთაც მომატებული მგრძობელობა აქვთ ამ გამლიზიანებლისადმი (ე. წ. ალერგიული დერმატიტი). არსებობს დერმატიტის მწვავე და ქრონიკული ფორმები. მწვავე დერმატიტს ახასიათებს კანის სიწითლე და შეშუპება, წვის, ჩხვლეტის, ზოგჯერ ტკივილის ან ქავილის შეგრძნება. გაწითლებულ კანზე შეიძლება წარმოიქმნას ბუშტუკები, რომლებიც შემ-

დეგ სკდება და ნატყვევებს ტოვებს; უფრო იშვიათია კანის დაწყლულება ან ნეკროზი. ქრონიკულ დერმატიტს, რომელიც შედარებით სუსტი გამლიზიანებლის ხანგრძლივი მოქმედების შედეგად ვითარდება, ახასიათებს კანის მოღურჯო შეფერილობა და რქოვანი შრის შესქელება. გამლიზიანებლის მოქმედების შეწყვეტის შემდეგ დერმატიტი მალე ქრება.

**დერმატოზი** – [ბერძნ. derma კანი, sis – მდგომარეობა] – კანისა და მისი დანამატების (თმის, ფრჩხილების) სხვადასხვა ავადმყოფობის საერთო სახელწოდება.

**დერმატოლოგი** – კანის ექიმი.

**დერმატოლოგია** – [ბერძნ. derma (dermatos) კანი და logos მოძღვრება] – მედიცინის დარგი, რომელიც კანის სნეულებებს სწავლობს.

**დერმატომიკოზი** – (ბერძნ. derma კანი, mykes სოკო, osis მდგომარეობა) – კანის სოკოვანი დაავადებანი (მკრეჭელი სირსველი, ქეცი და სხვ.), რომელთაც იწვევენ დერმატომიცეტები.

**დერმატომიცეზი** – (ბერძნ. derma კანი, mykēs სოკო) – პათოგენური სოკოები და მათი საერთო სახელწოდება, რომლებიც პარაზიტობენ ადამიანისა და ცხოველის კანის ზედა ფენებში და მის დანამატებში (თმაში, ფრჩხილებში) და იწვევენ სხვადასხვა დაავადებებს.

**დერმატონეკროტოქსიზი** – [ბერძნ. derma (dermatos) კანი, ბერძნ. nekros მკვდარი, ბერძნ. toxinum (toxikon) შხამი] – კანის სიკვდილის გამომწვევი შხამი.

**დერმატოტროფული მოქმედება** – ვირუსის მოხვედრა კანის ეპითელიუმსა და ლორწოვან გარსებში, სადაც ვითარდება ტიპური ვეზიკულური გამონაყარი.

**დენსიბილიზაცია** – (ლათ. de უარყ. ნაწილაკი, sensibilis – გრძობიერი) – ორგანიზმის მომატებული მგრძობელობის (სენსიბილიზაციის) დაქვეითება ან მოსპობა მისთვის უცხო, უმეტესად ცილოვანი ბუნების ნივთიერების განმეორებით შეყვანისას. უცხო ცილის შეყვანის დროს ორგანიზმში წარმოიქმნება სპეციფიკური ნივთიერებანი – ანტისხეულები. ცილის განმეორებითი შეყვანისას ანტისხეულებთან მისმა ურთიერთქმედებამ შეიძლება გამოიწვიოს ალერგიული რეაქცია. დენსიბილიზაციის უნარი აქვთ გოგირდის პრეპარატებს, ალოეს, ანტიბიოტიკურ საშუალებებს და სხვ.

**დესკამაცია** – (ფრანგ. des უარყოფა, გაშორება, sguama ქერცლი) – კანის აქერცვლა. უჯრედების აქერცვლა, მოშორება კანის ზედაპირიდან, ლორწოვანი გარსიდან და სხვა ზედაპირებიდან.

**დესმოსტატიკა** – ძაფისებრი ბაქტერიები, რომლებიც მრავლდებიან მოძრავი, შოლტიანი უჯრედების მეშვეობით. ცხოვრობენ მტკნარ და მლაშე წყალსატევებში.

**დესტრუქცია** – (ლათ. destructio – დარღვევა) – ნორმალური ანატომიური სტრუქტურის დარღვევა, დაშლა.

**დესტრუქციული** – destructivus – დარღვეული.

**დესულფოზიკაცია** – სულფატების მიკრობული აღდგენა, რომელიც მიმდინარეობს ცუდი აერაციის ნივთიერებასა და წყლებში.

**დეტერგენტი** – (ლათ. detergents) – განმსაზღვრელი, რომელიც ახალ ფუძეს წარმოქმნის.

**დეტერმინანტი** – 1. ჩანასახის პლაზმის ჰიპოთეზური ერთეული, რომელიც აკონტროლებს მემკვიდრეობას და განვითარებას. 2. მცენარე, რომელიც განსაზღვრავს გარემოს პირობებს ფიტოცენოზში. დეტერმინანტებს, ამა თუ იმ ზომით, წარმოადგენს თანასახოვადობის ყველა მცენარე.

**დეტერმინირება და დეტერმინაცია** – განსაზღვრა, განპირობება.

**დეტოქსიკაცია** – ფერმენტაციული პროცესი, რომელიც ამცირებს ამა თუ იმ ნივთიერებების შხამიანობას.

**დეფიციტია** – ორგანიზმიდან ნარჩენი საჭმლის გარეთ გამოდენა სწორი ნაწლავის ან ანალური ხვრელის გზით; კუჭის განთავისუფლება, კუჭში გასვლა.

**დეფიციტია** – [ლათ. de – და ferrum – რკინა] – წყლის გაწმენდა რკინის მარილებისაგან.

**დეფექტი** – (ლათ. defectus) – ნაკლი, ნაკლოვანება, ხარვეზი.

**დეფექტური ინტერფერირებადი ნაწილაკები** – ვირიონები, რომლებიც შეიცავენ საწყისი ვირუსის გენეტიკური ინფორმაციის მხოლოდ ნაწილს. მათი რეპროდუქცია ხდება მხოლოდ მისი მონათესავე დამხმარე ვირუსის მონაწილეობით.

**დეფექტური ფაზი** – ფაზი, რომელიც არ იძლევა შთამომავლობას.

**დეფიბრინირება** – defibrinatio (ლათ. de უარყ. ნაწ., fibra ბოჭკო) – სისხლიდან ფიბრინის ხელოვნური მოცილება.

**დეფორმაცია** – სხეულის ფორმის ან მოცულობის შეცვლა.

**დემსტრინები** – სახამებლის ჰიდროლიზის შუალედი პროდუქტები. წარმოადგენენ წყალში ხსნად ამორფულ პოლისაქარიდებს (როულ ნახშირწყლებს).

**დემსტროზა** – [ლათ. dexster – მარჯვენა] – იგივეა, რაც გლუკოზა.

**დემიბრანი** – გრამის მეთაფი.

**დემპლენტიზაცია** – ბრძოლა მუცლის ჭიების წინააღმდეგ. ლონსიძობა, რომელიც მიზნად ისახავს პარაზიტული ჭიების განდევნას ორგანიზმიდან და მათ მოსპობას.

**დემიფრაზი** – ფერმენტები, რომლებიც ახდენენ დემიფრაზიას, ე. ი. ორგანული ნაერთისაგან წყალბადის წარმოების რეაქციის კატალიზს და წყალბადს გადასცემენ ჰაერის ჟანგბადს ან სხვა აქცეპტორს. დემიფრაზების ორ ჯგუფს არჩევენ: 1. ანაერობულ დემიფრაზებს, რომლებსაც არ შეუძლიათ წყალბადი გადასცენ სხვა აქცეპტორს. 2. აერობულ დემიფრაზებს, რომლებსაც შეუძლიათ წყალბადი გადასცენ უშუალოდ ჰაერის ჟანგბადს.

**დემიფრატაცია** – (ლათ. de – უარყ. ნაწილაკი, hydor წყალი) – გამოშრობა.

**დემიფრიკა** – ჟანგვის (დაჟანგვის) ფორმა, როდესაც მოლეკულიდან ხდება წყალბადის წარმოქმნა.

**დიაბეტი** – წყურტი diabetes (ბერძნ. diabaino გავლივარ, იგულისხმებოდა სითხის დიდი რაოდენობით გავლა თირკმელებში) – იმ დაავადებათა საერთო სახელწოდება, რომელთა დამახასიათებელია შარდის ჭარბად გამოყოფა.

**დიაბეტი უშაქრო** – diabetes insipidus – (ბერძნ. diabetes იხ. დიაბეტი, ლათ. insipidus in – უარყ. ნაწილაკი, sapidus გემრიელი) – უგემური – ენდოკრინული დაავადება, რომელიც დაკავშირებულია სისხლში ჰორმონ ვაზოპრესინის შემცირებასთან. ახასიათებს ძლიერი წყურვილი და უშაქრო შარდის დიდი რაოდენობით გამოყოფა. იწვევს ჰიპოთალამუსისა და ჰიპოფიზის უკანა ნაწილის დაზიანებას, რისი მიზეზიც შეიძლება იყოს ინფექცია, ანთება, სიმსივნე, ტრავმა და სხვა. მნიშვნელოვანი ფაქტორია მემკვიდრეობითობაც.

**დიაბეტი შაქრიანი** – diabetes mellitus (ბერძნ. diabetes იხ. დიაბეტი, ლათ. mellitus-in – თაფლივით ტკბილი, mel ნათ. mellis თაფლი) – ნეიროენდოკრინული ქრონიკული დაავადება, რომელსაც ახასიათებს ყველა სახის ნივთიერებათა (ცხიმოვანი, ცილოვანი, წყლის, განსაკუთრებით კი ნახშირწყლების) ცვლის მოშლა. იწვევს ორგანიზმში კუჭქვე-

შა ჯირკვლის ჰორმონის – ინსულინის ნაწილობრივი ან სრული უკმარისობა. ინსულინის უკმარისობის გამო ღვიძლი და კუნთები ვეღარ გარდაქმნიან შაქარს გლიკოგენად. ქსოვილები კარგავენ შაქრის ჟანგვის უნარს და ვეღარ იყენებენ მას ენერჯის წყაროდ. ვითარდება ნეოგლიკოგენეზი (შაქრის წარმოქმნა ცილებისა და ცხიმებისგან), რის გამოც შაქარი გროვდება სისხლში (ჰიპერგლიკემია), შაქრის ნაწილი ორგანიზმიდან გამოიყოფა შარდთან ერთად (გლიკოზურია). ჯერ სისხლში, შემდეგ კი შარდში წარმოიქმნება დიდი რაოდენობით აცეტონური სხეულაკები. ირღვევა ორგანიზმის ტუტე-მუავეური წონასწორობა, ვითარდება აციდოზი. ავადმყოფს აწუხებს წყურვილი და ხშირად შარდავს.

**დიაგნოზი** – (ბერძნ. diagnosis გამოცნობა) – ავადმყოფის ყოველ-მხრივ შესწავლაზე დაფუძნებული საექიმო დასკვნა, რომელშიც მიღებული სამედიცინო ტერმინებით არის გადმოცემული ავადმყოფობის არსი და ავადმყოფის მდგომარეობა.

**დიაგნოსტიკა** – (ბერძნ. diagnosis იხ. დიაგნოზი) – 1. მედიცინის დარგი, რომელიც სწავლობს ავადმყოფობის ნიშან-თვისებებს, დიაგნოზის დადგენის მეთოდებსა და პრინციპებს. 2. დიაგნოზის დასმა.

**დიაგნოსტიკუმი** – კორპუსკულარული ანტიგენი – ცოცხალი ან დახოცილი მიკრობების შენაწონი.

**დიათეზი** – [ბერძნ. diathesis] – ორგანიზმის მიდრეკილება ზოგიერთი დაავადებისადმი. ორგანიზმის პათოლოგიური რეაქცია ზოგიერთი ნივთიერებისადმი.

**დიარეა** – (ბერძნ. diarrhoea ვიცლები, ვიდვრები) – ნერვული, ტოქსიკური ან ბაქტერიული მიზეზებით ძლიერ ხშირი, მეტწილად თხიერი განავლის გამოყოფა გაძლიერებული პერისტალტიკის შედეგად.

**დიასტოლა** – გულის კუნთის მოდუნების ფაზა, რომელიც მოსდევს მის შეკუმშვას (სისტოლას). ამ დროს ხდება გულის სისხლით გაავსება.

**დიაფანოზი** – [ბერძნ. diaphaneia – გამჭვირვალე და skoneo – ვუყურებ] – ხელსაწყო, რომლითაც შიგნიდან ანათებენ რაიმე ღრუს (მაგ., ცხვირისას).

**დიაფრაგმა** – გუმბათისებრი კუნთოვანი ძვირე (ტიხარი), რომელიც ძუძუმწოვარი ცხოველების სხეულის ღრუს ყოფს ორ

ნაწილად: გულმკერდის ღრუდ და მუცლის ღრუდ. მას შუასაძგიდსაც უწოდებენ.

**დიფანოზი** – აივი-ის საწინააღმდეგო ეთიოტროპული სამკურნალო საშუალება, რომელიც ახდენს შებრუნებითი ტრანსკრიპტაზას ინჰიბირებას.

**დიეტა** – კვების გარკვეული რეჟიმი.

**დიეტოთერაპია** – სამკურნალო კვება დიეტით.

**დიფაქცინა** – ვაქცინა, რომლითაც შეიძლება ერთდროულად ორი დაავადების წინააღმდეგ აცრა. იგი წარმოადგენს ორი ვაქცინის (ასაცრელი პრეპარატის) კომბინაციას.

**დიზენტერია** – dysentery (ბერძნ. dysentery – ცუდი, enteron ნაწლავი) – მწვავე ინფექციური დაავადება. ახასიათებს მსხვილი ნაწლავის ანთება, ხანმოკლე ცხელება და ზოგადი ინტოქსიკაცია. ინფექციის წყაროა დაავადებული ან ბაქტერიამიტარებული ადამიანი, რომელიც განავალთან ერთად გამოყოფს დიზენტერიის მიკრობებს. დაავადებას ავრცელებენ ბუხებიც. საინკუბაციო პერიოდი საშუალოდ 2-3 (იშვიათად 1-5) დღეა. დაავადება იწყება მწვავედ, სიცხით, ინტოქსიკაციის მოვლენებით, რასაც დაერთვის შეტევითი ტკივილი მუცლის ქვედა არეში და სხვადასხვა ინტენსივობისა და ხასიათის (ლორწოვანი, სისხლიანი, ჩირქიანი) ფაღარათი. ზოგჯერ ფაღარათი წინ უსწრებს სიცხეს. ახასიათებს ცრუ ჭინთვები. ამჟამად გავრცელებულია ინტოქსიკაციის მოვლენების გარეშე გვხვდება უმძიმესი ფორმაც (განსაკუთრებით ავადდებიან მცირეწლოვანი ბავშვები), რომელსაც ახასიათებს ექსიკოზი (წყლისა და მარილების კატასტროფული დაკარგვა ან ინფექციური შოკი), რაც ხშირად სიკვდილის მიზეზი ხდება.

**დიზიუნქტიური** – (ლათ. disjunctivus განცალკევებული) – (ვირუსებისათვის დამახასიათებელი რეპროდუქციის ტიპი). ვირუსის შთამომავლობა ფორმირდება ნუკლეინის მუაგებისა და ცილოვანი სუბერთეულების შეკრების გზით, რომელთა სინთეზს მასპინძელი უჯრედი განცალკევებულად აწარმოებს. მაგალითად, ვირუსის კომპონენტების (ნუკლეინის მუაგების, ცილების) სინთეზი უჯრედის სხვადასხვა ადგილებში.

**დიზურია** – შარდზე გასვლის მოშლილობა.

**დიპარიონი** – ონკოგენური პოტენციის მქონე ორბირთვიანი უჯრედი.

**დივის რეაქცია** – კანზე სინჯი ქუნთრუშის დროს, რომელიც ცოლქმარ დიკების მიერ იქნა შემუშავებული. საკვლევი პირის კანში (წინა მხარში) ერთროგენული ტოქსინის მცირე დოზით შეყვანისას კანის გაწითლება და შესიება მიუთითებს იმუნიტეტის არარსებობას. ადამიანებს, რომელთაც სისხლში ანტიტოქსინები გააჩნიათ, ტოქსინის შეყვანისას ეს რეაქცია არ უვითარდებათ.

**დიოქსიდი** – სათბურის ელემენტი – CO<sub>2</sub>.

**დიოქსინი** – ბუნებრივი ტოქსინი.

**დიპეპტიდი** – პეპტიდები, რომლებიც შედგება ამინომჟავას ორი მოლეკულისაგან.

**დიპლობაცილა** – სიგრძეზე წყვილ-წყვილად განლაგებული ჩხირისებრი ბაქტერიები.

**დიპლოიდი** – [ბერძნ. diploos – ორმაგი, eidos – სახე] – უჯრედი ან ორგანიზმი, რომელიც შეიცავს ქრომოსომთა ორმაგ რიცხვს (ჰაპლოიდთან შედარებით). დიპლოიდურს წარმოადგენს ყველა ზიგოტა, რომელიც წარმოქმნილია განაყოფიერების შედეგად ორი გამეტის შერწყმით. ამათგან თითოეული გამეტა შეიცავს ქრომოსომთა ერთ ანაწყოებს. დიპლოიდურია, აგრეთვე, ასეთი ზიგოტიდან განვითარებული ყველა ინდივიდი.

**დიპლოიდი** – ქრომოსომთა ორი ანაწყოების არსებობა უჯრედში ან ინდივიდში.

**დიპლოიდიზაცია** – ქრომოსომთა რიცხვის გაორმაგება ჰაპლოიდურ უჯრედებში ან ჰიფებში.

**დიპლოიდური რიცხვი ქრომოსომებისა** – ქრომოსომების ორმაგი (ჰაპლოიდურზე ორჯერ მეტი) რიცხვი, რომელიც გვხვდება ზიგოტასა და ზრდასრული ორგანიზმის სომატურ უჯრედებში, აგრეთვე, სპოროფიტის (უსქესო თაობის) უჯრედებში.

**დიპლოკოკები** – Diplococcus (ბერძნ. diplos ორმაგი, kokkus კურკა) – სფერული წყვილ-წყვილად ან ძეწკვისებურად განლაგებული ბაქტერიები. ყველა დიპლოკოკი უმოლტოა და სპორებს არ წარმოქმნის.

**დისაქარიდები** – ნახშირწყლების (შაქრების) ჯგუფი, რომლის მოლეკულები აგებულია მონოსაქარიდების (მარტივი შაქრების) ორი, ერთმანეთთან შეერთებული, მოლეკულისაგან. მათ ეკუთვნის საქაროზა, მალტოზა და სხვ.

**დისბაქტერიოზი** – dysbacteriosis (ბერძნ. dys – თავს; აღნიშნავს მოშლას; bakteria იხ. ბაქტერია) – ადამიანის ან ცხო-

ველის ორგანიზმში ნორმალური მიკროფლორის შეცვლა.

**დისბიოზები** – (ბერძნ. dys მოშლა, გადახრა, bios სიცოცხლე) – ადამიანის ორგანიზმში ნორმალური მიკროფლორის შეცვლა ან გაქრობა.

**დისემინაცია** – პათოლოგიური პროცესის გავრცელება სისხლძარღვთა და ლიმფურ სისტემათა საშუალებით რაიმე კერძიდან, მაგ.: ტუბერკულოზის დისემინაცია, კიბოს დისემინაცია.

**დისკომიციტები** – [ბერძნ. dis – წრე და mykes – სოკო] – ერთგვარი ჩანთიანი სოკოები.

**დისკრეტული** – (ლათ. discretio განცალკევება, გამოყოფა) – ცალკეული ნაწილაკებისაგან შემდგარი. ახასიათებთ ვირუსებს.

**დისოლუცია** – [ლათ. dissolutio – დაშლა] – მყარი სხეულების გახსნა სითხეში.

**დისოციაცია** – dissociatio განცალკევება – დაშლა, გაყოფა, კავშირის დარღვევა: 1. ქიმიურ ნივთიერებათა დაშლა ელემენტარულად შემაღლებულ ნაწილებად (მოლეკულებად, ატომებად, ატომთა ჯგუფებად ან იონებად). 2. მიკრობიოლოგიაში – საწყისი ტიპიდან განსხვავებული მიკროორგანიზმების წარმოქმნა კულტურაში. 3. უჯრედების დისოციაცია – უჯრედოვანი ელემენტების დაშლა ალტერაციის დროს; 4. ფსიქიკური დისოციაცია – ფსიქიკური პროცესების კავშირის დარღვევა.

**დისპანსერია** – ჯანმრთელობის დაცვის ღონისძიებათა სისტემა, რომელიც ხორციელდება დისპანსერების (პოლიკლინიკების) საშუალებით.

**დისპერსია** – დაყოფა, დაქუცმაცება, დაშლა.

**დისპერსიული არე** – არე, რომელშიც ატივტივებულია დაქუცმაცებული, დაშლილი ნივთიერება.

**დისპერსიული შახა** – დაქუცმაცებული, წვრილად დაშლილი ნივთიერება, რომელიც გახსნილია დისპერსიულ არეში.

**დისპერსიულობა** – ნივთიერებების ნაწილაკებად დაქუცმაცების ხარისხი. რამდენადაც წვრილია ნაწილაკი, იმდენად მეტია დისპერსიულობა.

**დისპეზია** – [ბერძნ. dyspepsia] – კუჭ-ნაწლავის ნორმალური მოქმედების მოშლა, საჭმლის მონელების დარღვევა.

**დისტალური** – (ლათ. distare დაშორება) – შედარებით დაშორებული.

**დისტროფია** – ორგანიზმის კვების დარღვევა, რომელიც იწვევს ფუნქციონალურ მოშლილობას.

**დისულზანო** – უფერული წვრილი კრისტალური ფხვნილი. იყენებენ დიუნტერიისა და სხვა ინფექციურ დაავადებათა წინააღმდეგ.

**დისფუნქცია** – რაიმე ფუნქციის მოშლა, დარღვევა.

**დიუპტა-შენის ჩხირები** – რბილი შანკრის გამომწვევი, გრამუარყოფითი, ჰემოფილური ჩხირები. სისხლიან აგარზე წარმოქმნიან ჰემოლიზის ზონას.

**დიუპეზი** – [ბერძნ. diuresis] – შარდის გამოყოფა.

**დიუპეტინი** – [ბერძნ. diuretikos] – შარდსაღენი, სამკურნალო პრეპარატი – წვრილკრისტალური მოვარდისფრო ფხვნილი. იყენებენ სისხლძარღვების გასაფართოებლად და შარსაღენ საშუალებად.

**დიფენილამიდი** – ორგანული ნაერთი არომატული რიგისა, კრისტალური ნივთიერება, რომელიც მიიღება ანილინიდან. მისგან ამზადებენ საღებრებს, აგრეთვე, ფეთქებად ნივთიერებებს.

**დიფერენციატია** – [ლათ. differentia – განსხვავება] – 1. ორგანიზმის ინდივიდუალური განვითარების პროცესში ორგანული მასალის მრავალფეროვნების წარმოქმნა. 2. რაიმე მთელის დაყოფა, დანაწევრება მრავალ, ერთმანეთისაგან განსხვავებულ ნაწილად. 3. უჯრედების ან ქსოვილების სპეციალიზირება ორგანიზმის ინდივიდუალური განვითარების პროცესში.

**დიფერენციული** – differentialis (ლათ. differentia სხვაობა) – განსხვავებული (მაგ., დიფერენციული დიაგნოზი).

**დიფთერია** – [ბერძნ. diphtera – კანი] – მწვავე ინფექციური დაავადება (უპირატესად ბავშვებში), რომელსაც ახლავს ცხვირის, ხორხის, ტრაქეის, ლორწოვანი გარსებისა და ხახის ანთება, ორგანიზმის საერთო მოწამვლა. ძველად მას ხუნავს უწოდებდნენ.

**დიფთერიოიდი** – ბაქტერიები, რომლებიც გვხვდება პირის ღრუს, ცხვირ-ხახისა და შარდსასქესო სისტემის მიკროფლორაში.

**დიფილონტური კვილივის სისტემა** – კბილების სისტემა, რომელიც იცვლება ერთხელ სიცოცხლეში; შედგება სარძევე და სარძევე კბილების შემნაცვლელი, მუდმივი კბილებისაგან.

**დიფუზია** – (ლათ. diffundo ვაბნევ, ვაგრცელებ) – შემხებ ნივთიერებათა ურთიერთშეღწევა, რაც ნაწილაკების სითბური მოძრაობით არის გამოწვეული.

**დიფუზორი** – 1. სხვადასხვა ნაწილის შერწყმით წარმოქმნილი. 2. დაუნაწევრებელი, გაურკვეველი, ბუნდოვანი. 3. (ფიზ.) გაბნეული (ითქმის სინათლეზე).

**დიფუნდირება** – რაიმე სუბსტრატში შეღწევა. მაგალითად, თუ პიგმენტი იხსნება წყალში, მაშინ დიფუნდირებს, ე. ი. გადის სუბსტრატში.

**დიქობამია** – ორსქესიანი მცენარის ერთ ეგზემპლარზე მამრობითი და მდედრობითი ორგანოების არაერთდროული მომწიფება. აბრკოლებს თვითგანაყოფიერებას.

**დიქოტომური** – ორთითისებრი დატოტინება, როდესაც ძველი ზრდის წერტილი იყოფა ორ ახალ, ერთნაირი ტოტების მომცემ ზრდის წერტილად და ამგვარად ხდება ძველი ღერძის ორად გაყოფა.

**დიქრომატიზმი** – ზოგიერთი ხსნარის შეფერილობის მკვეთრი ცვლილება კონცენტრაციის შეცვლასთან ერთად.

**დნმ** – დეზოქსირიბონუკლეინის მუავას შემოკლებული აღნიშვნა.

**დნმ პოლიმერაზა** – განსაკუთრებული ფერმენტი რნმ-ზე დამოკიდებული. მას აგრეთვე რევერტაზას ან შებრუნებით ტრანსკრიპტაზას უწოდებენ. ეს ფერმენტი ზოგიერთ ვირუსს საშუალებას აძლევს თავისი რნმ გამოიყენონ მატრიცად და მასზე შექმნან დნმ-ის მოლეკულა, რომელიც ინკორპორირდება უჯრედის გენომში.

**დოზა** – [ბერძნ. dosis] – ერთ ჯერზე ან ერთ დღე-ღამეში მისაღები წამლის რაოდენობა. ან კიდევ: ზუსტი ზომა ნივთიერებისა, რომელიც შედის ნარევის შემადგენლობაში.

**დოზირება** – დოზებად დაყოფა; დოზის დადგენა.

**დორსალური** – (ლათ. dorsum – ზურგი) – ზურგისმხრივი, ზურგზე განლაგებული (ვენტრალურის საპირისპირო).

**დრენაჟი** – 1. დაჭაობებული ნიადაგის ამოშრობა (დაწრება) თხრილების, არხების ან მიწისქვეშა მილების სისტემის საშუალებით; ასეთი თხრილების, არხების, მილების სისტემა. 2. ჭრილობიდან ჩირქის, სითხის დაწრება სპეციალური მილის ან დოლბანდის გრძელი ნაჭრის საშუალებით.

**დონორი** – (ლათ. dono – ვაჩუქებ) – პიროვნება, რომელიც ნებაყოფლობით აძლევს ავადმყოფს საკუთარ სისხლს გადასას-

ხმელად, ქსოვილს (მაგ., კანს) ან ორგანოს (მაგ., თირკმელს) გადასანერგად.

**დუბლიკაცია** – ქრომოსომების უბნების გაორმაგება ქრომოსომათა ჰაპლოიდურ ანაწყობში.

**დუბლი** – მიკროორგანიზმებით განპირობებული ორგანული ნივთიერების დაშლა. საბოლოო პროდუქტების მიხედვით განასხვავებენ: ერბომჟავა, რძემჟავა, სპირტულ და სხვა სახის დუბლიებს.



**ეპოლას ვირუსი** – ფილოვირუსების ოჯახის ერთ-ერთი წარმომადგენელი. ის 1967 წელს გამოიყვეს ეპოლას რაიონში, ზაირში.

**ეპზემა (ქარცმცხლი)** – eczema (ბერძნ. ekzeo – ვდუღდება) – კანის ანთებითი არაგადამდები დაავადება; იწვევს გარეგანი და შინაგანი ფაქტორები. მის პათოგენეზს ნეფროგენული და ალერგიული მექანიზმებით ხსნიან. განარჩევენ ჭეშმარიტ, კონტაქტურ და მიკრობულ ეგზემას. დამახასიათებელია გამონაყარი, ბუშტუკები, ჩირქგროვა, ქავილი. მკურნალობა: უმეტესად სადესენსიბილიზაციო საშუალებანი – სხვადასხვა საფენი და მალამო. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა კვების რეჟიმს და კუჭ-ნაწლავის მოქმედებას.

**ეპზოგენური** – გარეშე მიზეზებით განპირობებული, გარეგანი (საპირისპიროა ენდოგენური). ბერძნ. exo – გარეშე, გარე, გარედან. genos გვარი წარმოშობა.

**ეპზოგენური ანტიბიოტი** – ორგანიზმში გარედან მოხვედრილი (სასუნთქი გზებიდან, კუჭ-ნაწლავის ტრაქტიდან, კანიდან და ლორწოვანი გარსებიდან) ანტიბიოტიკები.

**ეპზოგენური იმუნოგოლულატორები** – ორგანიზმისათვის უცხო ბუნების, სხვადასხვა ქიმიური შენაერთისა და წარმოშობის ნივთიერებათა დიდი ჯგუფი. ისინი იმუნურ სისტემაზე ახდენენ გამააქტივებელ მოქმედებას.

**ეპზოგენური ინფექცია** – გარემოდან ადამიანში საკვებით, წყლით, ჰაერით, ნიადაგით, ავადმყოფი ადამიანით, რეკონვალესცენტითა და მიკრობმტარებით პათოგენური მიკროორგანიზმების მოხვედრა.

**ეპზოთერმული** – რაც დაკავშირებულია სითბოს გამოყოფასთან. მაგ., ეგზოთერმული რეაქცია, რომელსაც თან სდევს სითბოს გამოყოფა.

**ეპზოსიმბიონტი** – გარედან მეორე სიმბიონტზე დასახლებული. სიმბიონტი – სიმბიოზში მყოფი ერთ-ერთი ორგანიზმი.

**ეპზოსაორიზმი** – მტვრის მარცვლის ან სპორის გარსის გარეთა შრე, რომელსაც ზედაპირზე ხშირად აქვს სხვადასხვა სახის (ბორცვისებრი, სავარცხლისებრი და სხვ.) დანამატები.

**ეპზოტოქსინები** – მეტად ძლიერი შხამები, რომლებიც გამოიყოფა ბაქტერიული უჯრედებისაგან მათ ირგვლივ მყოფ გარემოში.

**ეპზოფერმენტები** – იხ. ექტოფერმენტები.

**ეპზური პირობები** – ნიადაგობრივი პირობები, რომლებიც გავლენას ახდენენ მცენარეთა სიცოცხლესა და გავრცელებაზე.

**ეპზური ფაქტორები** – ნიადაგური პირობები, რომლებიც გავლენას ახდენენ ცოცხალი ორგანიზმების ცხოველყოფილობასა და გავრცელებაზე.

**ეპოლუცია** – ყველა ცოცხალი ორგანიზმის წარმოშობა წინაპრიდან დღემდე პოპულაციების თანდათანობით ცვალებადობით, რაც განპირობებულია ბუნებრივი შერჩევით.

**ეპრილაპტური ორგანიზმი** – ორგანიზმი, რომელიც შეგუებულია მრავალნაირ გარემო პირობებს.

**ეპრიბათული ორგანიზმები** – ორგანიზმები, რომლებიც ვერტიკალურად ვრცელდებიან.

**ეპრითერმული ორგანიზმები** – ორგანიზმები, რომლებიც ტემპერატურის დიდ ცვლილებას კარგად ეგუებიან.

**ეპრითული ზონა** – წყალსატევის კარგად განათებული ზონა.

**ეპტროფული მცენარეები** – იხ. ეუტროფული მცენარეები.

**ეთანო** – უფერო გაზისებრი საწვავი ნივთიერება, რომელსაც შეიცავს სანათი გაზი. იყენებენ სამაცივრო დანადგარებში.

**ეთანოლი** – იგივეა, რაც ეთილის სპირტი.

**ეთერი** – ორგანული ნივთიერება, რომელსაც იღებენ წყლის გამოხლეჩვით სპირტის ან ფენოლისაგან. წარმოადგენს უფ-

რო აქროლად სითხეს და აქვს დამახასიათებელი მწვავე სუნი.

**პითილი** – ნახშირბადისა და წყალბადის ატომების ჯგუფი, რომელიც შედის ბევრი ორგანული ნაერთის შემადგენლობაში.

**პითილაზინი** –  $C_2H_5 - NH_2$ , წყალში კარგად ხსნადი სითხე.

**პითილენგლიკოლი** –  $CH_2OH - CH_2OH$  გლიკოლების უმარტივესი წარმომადგენელი. იგი ბლანტი, ტკბილი გემოს მქონე სითხეა.

**პითილის სპირტი** – იყენებენ როგორც ორგანულ გამხსნელს. სხვაგვარად მას ეთანოლსაც უწოდებენ. იხ. ეთანოლი.

**პითიოლოგია** – 1. მოძღვრება დაავადების წარმომშობი მიზეზებისა და პირობების შესახებ. 2. ამა თუ იმ დაავადების გამომწვევი მიზეზები.

**პითიოტროპული თერაპია** – მედიკამენტური ღონისძიებები, რაც მიზნად ისახავს გამომწვევი მიზეზების დათრგუნვას, ბაქტერიოციდულ მოქმედებას.

**ეკლიფსი** – (ინგ. eclipse დაბნელება) – უჯრედში ვირუსის განვითარების ფარული ფაზა, როდესაც იგი არც ელექტრონული მიკროსკოპის და არც იმუნოლოგიური მეთოდების საშუალებით არ ვლინდება.

**ეკლიფს-ფაზა** – სტადია, როცა ფაგის ნაწილაკების აღმოჩენა არ ხერხდება. ბაქტერიული დნმ იშლება, რის შედეგადაც წყდება ბაქტერიული ცილების სინთეზი.

**ეპოკლიმატი** – გარეგანი გარემოს ფიზიკურ-ქიმიური პირობების ერთობლიობა, რომელიც აუცილებელია ორგანიზმის ნორმალური ცხოველმოქმედებისათვის (ტემპერატურა, წყალი, ჟანგბადი და სხვ.).

**ეპოლოგია** – (ბერძნ. oikos ადგილსამყოფელი, logos მოძღვრება) – ბიოლოგიის ნაწილი, რომელიც სწავლობს ორგანიზმებისა და მათი გარემოს ურთიერთდამოკიდებულებას.

**ეპოლოგიური იზოლაცია** – ერთსა და იმავე გეოგრაფიულ არეში არსებული ცხოველთა ჯგუფების მიერ სხვადასხვა ადგილის შერჩევა საცხოვრებლად.

**ეპოლოგიური ნიშა** – 1. ლოკალური ვიწროდ გამიჯნული ადგილსამყოფელი (საცხოვრისი), რომელიც გარემო პირობების სპეციფიკურობის გამო აქ დასახლებულ ორგანიზმებში იწვევს განსაკუთრებული შესაგუებელი ნიშნების წარმოქმნას. 2. გარემოსა და ორგანიზმს შორის ურთიერთდამოკიდებულების სპეციფიკური სისტემა, რომელიც მყარდება ყოველი სახეობისათვის გარემო პი-

რობებისადმი მის მოთხოვნილებასა და ადგილსამყოფელის პირობებს შორის ურთიერთქმედების შედეგად.

**ეპოლოგიური პოპულაციები** – პოპულაციები, რომლებსაც სახეობის არეალის ფარგლებში უკავიათ სასიცოცხლო პირობების მიხედვით მსგავსი უბნები.

**ეპოსისტემა** – იგივე ეკოლოგიური სისტემა, ბუნებრივი კომპლექსის ერთობლიობა წარმოქმნილი ცოცხალი ორგანიზმებისა და გარემოს (ატმოსფერო, ნიადაგი, წყალსაცავი და სხვა) მიერ, რომლებიც ერთმანეთთან დაკავშირებული არიან ნივთიერებებისა და ენერჯის ცვლით. ეს ტერმინი შემოიღო ინგლისელმა მეცნიერმა **ტენსელმა** 1935 წელს. ეკოსისტემას ზოგიერთი აიგივებს ბიოცენოზთან, ზოგიერთი კი – ლანდშაფტთან. სისტემაში მოწესრიგებულად ურთიერთმოქმედი და ურთიერთდამოკიდებული კომპონენტები, რომლებიც წარმოქმნიან ერთ მთლიანობას.

**ეპოსფერო** – იგივე ბიოსფერო, მოიცავს ატმოსფეროს ქვედა ფენას, ლითოსფეროს ზედაპირულ ფენას, ჰიდროსფეროს, სადაც ცხოვრობენ ორგანიზმები.

**ეპოციდი** – ეკოსისტემის სხვადასხვა ორგანიზმების მნიშვნელოვანი დაზიანება და დაღუპვა, რაც შეიძლება გამოწვეული იყოს ბუნებრივი ან ანთროპოგენური ფაქტორებით.

**ელასტინი** – ცილოვანი ნივთიერება, რომელიც შედის კანის იოგების, არტერიის კედლებისა და სხვა ელასტიკური ბოჭკოების შემადგენლობაში.

**ელემენტარული მემბრანა** – ანუ პლაზმური მემბრანა – დინამიური სტრუქტურა, რომელიც გამოდგმით იცვლება. თხევად-მოზაიკური მოდელის მიხედვით იგი შედგება ლიპიდების ბიოლექულური შრისაგან, რომელშიც ჩაფლულია გლობულარული ცილები. განარჩევენ პერიფერიულ, ინტეგრობურალურ და ტრანსმემბრანულ ცილებს.

**ელენთა** – ლიმფოიდური ორგანო, რომელიც მოთავსებულია მარცხენა ფერდქვეშა არეში.

**ელეფანტიასი და ელეფანტიასიზი** – [ბერძნ. elephas (elephantos) სპილო] – სხეულის ცალკეული ნაწილების (მაგ., ფეხების, სახის) მნიშვნელოვანი გადიდება კანის მკვეთრი გასქელების შედეგად, რაც გამოწვეულია ლიმფური გზების ქრონიკული ანთებით და ლიმფის შეგუბებით; სპილოვნობა.

**ელექსირი** – [არაბ. elixir სურნელვანი ზეთი, ესენცია] – მცენარეული ნივთიერებების ნაჟური ან სპირტით, ეთეროვანი ზეთით

და მისთანებით დამზადებული მაგარი ნაყენი; იყენებენ მედიცინაში, კოსმეტიკაში. მაგ., კბილის ელექსირი, სიცოცხლის ელექსირი; ჯადოსნური სასმელი, რომელსაც თითქოს ადამიანის სიცოცხლის გახანგრძლივება შეეძლო...

**ელექტიური** – (ლათ. electus – გამორჩევა, ამორჩევა) – ამორჩევითი, შერჩევითი.

**ელექტიური ბარემო** – ხელოვნური საკვები არე, რომელშიც შეიძლება განვითარდეს მიკროორგანიზმების მხოლოდ ერთი რომელიმე ჯგუფი, მაგ.: უახოტო საკვებ არეზე მხოლოდ აზოტის მაფიქსირებელ ბაქტერიებს შეუძლიათ განვითარება. ორგანულ ნივთიერებებს მოკლებულ არეზე შეუძლიათ განვითარდნენ მხოლოდ ავტოტროფული ორგანიზმები და ა. შ.

**ელექტიური კულტურები** – იხ. ამორჩევითი კულტურები.

**ელექტიური ნიადაგი** – ამორჩევითი ნიადაგი, რომელზედაც მხოლოდ ერთი ჯგუფის ბაქტერიები კულტივირდებიან.

**ელექტიური საკვები არე** – (ლათ. electus – ამორჩევა) – უზრუნველყოფს ერთი განსაზღვრული ჯგუფის მიკროორგანიზმების გამოზრდას.

**ელექტიური, სელექტიური** – ამორჩევითი ნიადაგები.

**ელექტროენცეფალოგრაფია** – [ბერძნ. encephalos თავის ტვინი და grapho ეწერ] – ადამიანებისა და ცხოველების თავის ტვინის მოქმედების გამოკვლევის მეთოდი.

**ელექტროთერაპია** – ელექტროდენის გამოყენება სამკურნალო მიზნით. ელექტრომკურნალობა.

**ელექტროლიზი** – (ბერძნ. elektron ქარვა და lysis დაშლა) – ნივთიერებების შემადგენელ ნაწილებად დაშლისა და ამ ნაწილების ელექტროდებზე გამოყოფის პროცესი ელექტროლიტში დენის გავლისას).

**ელექტრონული მიკროსკოპი** – გამადიდებელი ხელსაწყო, რომლის ოპტიკური სქემა შეესაბამება სინათლის მიკროსკოპის სქემას. მხოლოდ ელექტრონულ მიკროსკოპში ოპტიკური ელემენტი შეესაბამება ელექტრონულს.

**ელექტროფორეზი** – (ბერძნ. elektron ფისი, ქარვა, phoreo ვატარებ) – მუდმივი ელექტრული დენის მოქმედების შედეგად კოლოიდური ან დისპერსიული მყარი ნაწილაკების (მათ შორის უჯრედების) გადაადგილება თხევად ან აირის-მაგვარ გარემოში მუხტის მიხედვით.

**ელიმინაცია** – (ლათ. elimino – გარეთ გამომაქვს) – ორგანიზმიდან მანევ პროდუქტების, უჯრედების, ქრომოსომების გამოდევნა.

**ელონგაცია** – ცილის მოლეკულის აწყობა რიბოსომაზე. რაც უფრო მარჯვნივაა რიბოსომა გადანაცვლებული საინფორმაციო რნმ-ის ჯაჭვზე, ცილის მოლეკულის მით უფრო დიდი ნაწილია აწყობილი. ამ პროცესს ელონგაცია ეწოდება.

**ემალი** – [ფრანგ. email] – 1. მინის მსგავსი არაგამჭვირვალე მასა, რომლითაც ფარავენ ლითონის საგნების ზედაპირს დაჟანგვისგან დასაცავად, ასევე სილამაზისათვის; მინანქარი.

**ემალის ორბანოვები** – ემბრიონული ორგანოები, რომელთა უჯრედებიდან (ადამანტობლასტებიდან) ფორმირდება კბილის ემალი.

**ემალის საღებავი** – სქელი საღებავი, რომელიც გაქნილია სპეციალურ ლაქთან ერთად და გაშრობის შემდეგ ემალს მოგვავსებს. 2. თეთრი მკვრივი ნივთიერება, რომლითაც დაფარულია კბილის გარეთა ნაწილი.

**ემბოლია** – embolism [ბერძნ. embolon სოლი] – სისხლძარღვის სანათურის დაცობა სისხლის ნაკადით მოტანილი ნაწილაკებით (თრომბით, ცხიმის წვეთებით, ჰაერით, სიმსივნური უჯრედებითა და ბაქტერიებით). ემბოლიის შედეგად ემბოლიით დაცობილ სისხლძარღვებში სისხლის ნაკადი ჩერდება იმ უბანში, რომელსაც დაზიანებული სისხლძარღვი კვებას, ვითარდება ადგილობრივი სისხლნაკლებობა. ფილტვის არტერიის, თავის ტვინის არტერიებისა და გვირგვინოვანი არტერიების დაცობის შემთხვევაში ემბოლიამ შეიძლება უცვარი სიკვდილი გამოიწვიოს.

**ემბრიონენეზი** – ჩანასახის ჩამოყალიბების პროცესი. ემბრიონული განვითარების პროცესი.

**ემბრიონი, ჩანასახი** – embryo (ბერძნ.) ჩანასახი – ცხოველისა და ადამიანის ჩანასახი, ე. ი. ორგანიზმი განვითარების ადრეულ პერიოდში, განაყოფიერებული კვერცხუჯრედიდან დამოუკიდებელი კვებისა და აქტიური მოძრაობის უნარის შექენამდე.

**ემბრიოპათიური მოქმედება** – წითურას ვირუსისათვის დამახასიათებელი მოქმედება, რომელიც აღსორბირდება ემ-

ბრიონის ქსოვილის უჯრედებზე და იწვევს დეფექტებსა და ნაყოფის დაღუპვასაც.

**ემპირიული** – (ბერძნ. empeiria გამოცდილება) – ადამიანის გამოცდილებაზე დამყარებული.

**ემულსია** – emulsio – ნაღვლები – ორი ერთმანეთში გაუხსნელი სითხის ნარევი, რომელშიც ერთი სითხე შეტივტივებულია მეორეში წვერილ-წვერილი წვეთების სახით.

**ემფიზემა** – [ბერძნ. emphysema გაბერვა] – ჰაერის დაგროვება რომელიმე ორგანოში; ფილტვების მოცულობის ავადმყოფურად გადიდება.

**ენანთემა** – [ბერძნ. en-ზე და anthema გამოყრა] – გამონაყარი ლორწოვან გარსებზე.

**ენდემი** – (ბერძნ. endemos – ადგილობრივი) – მცენარე ან ცხოველი, რომელიც გავრცელებულია მხოლოდ ერთ განსაზღვრულ გეოგრაფიულ ოლქში.

**ენდემია** – (ბერძნ. endemos – ადგილობრივი) – გადამდები დაავადების მუდმივი არსებობა რომელიმე მხარეში.

**ენდემური** – (ბერძნ. endemos – ადგილობრივი) – მხოლოდ გარკვეული ადგილის, მხარის დამახასიათებელი, ადგილობრივი.

**ენდოგენური** – (ბერძნ. endon შიგნით, genos – წარმოშობა) – შინაგანი, ორგანიზმისეული მიზეზებით განპირობებული.

**ენდოგენური ანტიგენი** – ენდოგენური endogenes (ბერძნ. endon შიგნით, genos წარმოშობა) – შინაგანი ორგანიზმისეული მიზეზებით განპირობებული. ენდოგენური ანტიგენები წარმოიქმნებიან თვით ორგანიზმში უჯრედებისა და მოლეკულების მუტაციის შედეგად.

**ენდოგენური ინფორმაციული მატრიკალიზაცია** – იგივე ინტერლეიკინები, ინტერფერონები, თიმუსის პეპტიდები და სხვა.

**ენდოგენური ინფორმაცია** – ნორმალური მიკლოფლორის პირობითად პათოგენური წარმომადგენლებით ან მიკროორგანიზმებით გამოწვეული ინფექცია.

**ენდოფერმა** – მცენარის პირველადი ქერქის შიგნითა შრე, რომელიც ცენტრალურ ცილინდრზეა გარშემორტყმული. ენდოფერმა ყველაზე კარგად ვითარდება ფესვებში, განსაკუთრებით ერთლებნიანებში. შედგება პარენქიმული უჯრედებისაგან.

**ენდოთელიოციტები** – სისხლის კაპილარები.

**ენდოთელიუმი** – (ბერძნ. endon – შიგნით, thele ძუძუს თავი) – უჯრედების ფენა, რომელიც ქმნის სისხლისა და ლიმფის კაპილარების კედლებს, არტერიებს, ვენებისა და გულის კედლის შიგნითა შრეს.

**ენდობარდი** – გულის კედლის შიგნითა გარსი, რომლითაც ამოფენილია გულის ღრუ.

**ენდოკრინოლოგი** – ენდოკრინოლოგიის სპეციალისტი.

**ენდოკრინოლოგია** – [ბერძნ. endon – შიგნით, krino – გამოყოფა და logos – მოძღვრება] – მეცნიერება, რომელიც სწავლობს შინაგანი სეკრეციის ჯირკვლების აგებულებასა და ფუნქციებს.

**ენდოკრინული** – [ბერძნ. endon – შიგნით, krino – გამოყოფა] – რაც დაკავშირებულია შინაგანი სეკრეციის ჯირკვლებთან, მაგ., ენდოკრინოლოგიური დაავადებანი.

**ენდოკრინული ჯირკვლები** – შინაგანი სეკრეციის ჯირკვლები, რომელთაც გამოშვებული სადინარები არა აქვთ და რომლებიც ჰორმონებს გამოყოფენ სისხლში.

**ენდონუკლეაზა** – ფერმენტი, რომელიც დნმ-ის ჯაჭვის გახლეჩვას ახდენს.

**ენდოპლაზმითი** – პარაზიტები, რომლებიც ცხოვრობენ მასპინძლის სხეულში, მის შინაგან ორგანოებში.

**ენდოპეპტიდაზა** – ფერმენტი, რომელიც ახდენს ბაქტერიების L-ტრანსფორმაციას.

**ენდოპლაზმური ბადე** – უჯრედის ორგანოიდი, რომელიც მონაწილეობს იღებს ცილების, რთული შაქრებისა და ცხიმების სინთეზში. აგრეთვე, – უჯრედში სხვადასხვა ნივთიერებების ტრანსპორტირებასა და დაგროვებაში. არჩევენ ენდოპლაზმური ბადის ორ ტიპს: ხორკლიანს (წახნაგოვანს), რომელიც ზედაპირზე შეიცავს მრავალრიცხოვან რიბოსომებს და გლუვს, რომელიც მოკლებულია რიბოსომებს. პირველი ტიპის ენდოპლაზმურ ბადეს ერგასტოპლაზმასაც უწოდებენ. იხ. ერგასტოპლაზმა.

**ენდოპლაზმური რეტიკულუმი** – იგივე ენდოპლაზმური ბადე (იხ. ენდოპლაზმური ბადე), უჯრედის ორგანოიდი, რომელიც მონაწილეობს იღებს ცილების, რთული შაქრებისა და ცხიმების სინთეზში; აგრეთვე, უჯრედში სხვადასხვა ნივთიერებების ტრანსპორტირებასა და დაგროვებაში.

**ენდოს ნიადაგი** – სადიფერენციაციო-სადიაგნოსტიკო ნიადაგი ნაწლავთა ინფექციების გამომწვევებისათვის.

**ენდოსპერმი** – [ბერძნ. endon – შიგნით და sperma – თესლი] – ზოგი მცენარის თესლში არსებული ქსოვილი, სადაც გროვდება საკვები ნივთიერება.

**ენდოსპორა** – სპორა, რომელიც წარმოიქმნება უჯრედის ან სპორანგიუმის შიგნით (მაგ.: ბაქტერიების სპორა, ასკოსპორა და სხვ.).

**ენდოს საკვები არე** – სადიფერენციაციო-სადიანოსტიკო საკვები არე, რომელიც გამოიყენება ნაწლავთა ინფექციების გამომწვევების (ემერიხიების, შიგვლების, სალმონელაების) კულტივირებისათვის. ენდოს საკვები არე მზადდება ხორცპეპტონიანი აგარისაგან, რომელსაც დამატებული აქვს სუფთა ლაქტოზა ნატრიუმის სულფიტით გაუფერულებული ფუქსინის სპირტიანი ნაჯერი ხსნარით. ცხელი საკვები არე მკრთალი ვარდისფერია, გაცივებისას კი უფერული ხდება.

**ენდოტოქსინი** – [ბერძნ. endon – შიგნით და toxikon – შხამი] – შხამი, რომელიც გამოიყოფა ბაქტერიების (ქოლერის, მუცლის ტიფის და სხვ.) უჯრედებიდან მათი დაღუპვის შემდეგ.

**ენდოტროფული** – მასპინძლის ორგანიზმის შიგნით მცხოვრები.

**ენდოტროფული მიკორიზა** – მიკორიზა, რომლის დროსაც სოკოს ჰიფები უმაღლესი მცენარის ფესვის უჯრედების შიგნით არიან შეჭრილი, გვხვდება მანანასებრთა და ჯადვარისებრთა ოჯახების თითქმის ყველა წარმომადგენელში.

**ენდოფიტენტიზმი** – უჯრედის შიგნით მოქმედი ფერმენტები.

**ენდოციტოზი** – ნივთიერებათა შესვლა უჯრედში ან იქიდან გამოსვლა პინოციტოზის ან ფაგოციტოზის მეშვეობით (და არა დიფუზიის გზით). არჩევენ ენდოციტოზს (ნივთიერებათა შესვლას უჯრედში) და ექტოციტოზს (ნივთიერებათა გამოსვლას უჯრედიდან).

**ენზიმი** || **ენზიმიზმი** – იხ. ფერმენტები.

**ენზიმოლოგია** – ბიოქიმიის დარგი, რომელიც შეისწავლის ენზიმებს-ფერმენტებს.

**ენტერიტი** – enteritis [ბერძნ. enteron ნაწლავი, itis – ანთება] – წვრილი ნაწლავის ლორწოვანი გარსის ანთება. გამომწვევი მიზეზებია: კვებითი ტოქსიკოინფექცია, მწვავე მოწამელა, სხვადასხვა ინფექციური და ალერგიული დაავადებანი, ძნელად მოსანელებელი უხეში პროდუქტები და სხვ. განარჩევენ მწვავე და ქრონიკულ ენტე-

რიტს. მწვავე ენტერიტი იწყება უეცრად, ახასიათებს შეტევითი ტიპილი მუცლის არეში, ფაღარათი, გულისრევა ან ღებინება, ტემპერატურის აწევა და სხვ. ზოგჯერ მწვავე ენტერიტი ქრონიკულ ფორმაში გადადის.

**ენტერობაქტერიები** – ბაქტერიები, რომლებიც გაერთიანებული არიან ოჯახში Enterobacteriaceae. იწვევენ ნაწლავთა ინფექციებს.

**ენტერონი** **რუსები** – [ბერძნ. enteron ნაწლავი, ლათ. virus – შხამი] – ადამიანის კუჭ-ნაწლავში მობინადრე ვირუსების ჯგუფი. მათ მიეკუთვნება: ადამიანის პოლიომიელიტის ვირუსი, ადამიანის კოკსაკის ვირუსი, ადამიანის ECHO ვირუსი და სხვ. ენტეროვირუსები ადამიანებში იწვევენ ნეიროინფექციებს და სხვადასხვა ორგანოებისა და ქსოვილების დაავადებებს.

**ენტერონი** **ვახიზმი** – E. coli-ის O-124; O-144 და სხვა სეროჯგუფები, რომლებიც მოზრდილებსა და ბავშვებში იწვევენ დიზენტერიის მსგავს დაავადებას.

**ენტეროკოკი** – enterococcus (ბერძნ. enteron ნაწლავი, kokkos მარცვალი) – სტრეპტოკოკის სახეობა; ჩვეულებრივ ბუდობს ადამიანისა და ცხოველის კუჭ-ნაწლავის ტრაქტში.

**ენტეროკოლიტი** – (ბერძნ. enteron ნაწლავი, kolon – კოლინჯი, itis – ანთება) – წვრილი ნაწლავისა და კოლინჯის ერთდროული ანთება.

**ენტეროპათოგენური** – ნაწლავის ჩხირები, რომლებიც ენტერონვაზიურისა და ენტეროტოქსიგენურისგან განსხვავდებიან ანტიგენური სტრუქტურით და თითოეული მათგანი ნაწლავის გარკვეულ დაავადებას იწვევს, ენტეროპათოგენური E. coli-ის O-26, O-55, O-11 სეროჯგუფები კოლინფექციებს (კოლიენტერიტებს) იწვევენ ადრეული ასაკის ბავშვებში. ენტეროტოქსიგენური – E. coli-ის O-1; O-15; O-148 და სხვა სეროჯგუფები ბავშვებსა და მოზრდილებში იწვევენ ქოლერისმაგვარ დაავადებას.

**ენტეროტოქსინი** – ცილოვანი ბუნების შხამიანი ნივთიერება, რომელიც გამოიყოფა დაავადების გამომწვევი მიკროორგანიზმის მიერ და იწვევს ნაწლავის ლორწოვანი გარსის დაზიანებას.

**ენტეროციტი** – ნაწლავის ეპითელიური უჯრედი.

**ენტოდემა** – [ბერძნ. entos შიგნით, derma – კანი] – შიგნითა ჩანასახოვანი ფურცელი.

**ენცეფალიტი** – (ბერძნ. encephalos თავის ტვინი, -itis – ანთება) – თავის ტვინის ანთება, ინფექციური დაავადება, რომელიც ვითარდება თავის ტვინში ვირუსის მოხვედრის შედეგად. განარჩევენ პირველად (იწვევს ფილტვებში გამავალი ნეიროტროპული ვირუსი) და მეორეულ ენცეფალიტს, რომელიც შეიძლება განვითარდეს მწვავე ან ქრონიკული ინფექციური დაავადებების (გრიპის, ტიფის, წითელას, ქუნთრუშის, ცოფისა და სხვ.) ან ინტოქსიკაციის (მაგ., ბოტულიზმის) შედეგად. ენცეფალიტის დროს ანთებითი პროცესი ვითარდება ცენტრალური ნერვული სისტემის სხვადასხვა ნაწილში. მკურნალობა: მწვავე სტადიაში – ჰოსპიტალიზაცია, ანტიბიოტიკები, ქალის-შიგა წნევის დამწვევი საშუალებანი, ანტიჰისტამინური პრეპარატები, საგულე საშუალებანი და სხვა. იწვევენ B კოქსაის ვირუსები.

**ეოზინოფილი** – (ლათ. eosinum – ბერძნ. eos აისი, ეოზინი, ბერძნ. philon მიყვარხარ) – სისხლის თეთრი ბურთულების – ლეიკოციტების ერთ-ერთი სახე. აქვს სეგმენტირებული ბირთვი და ციტოპლაზმაში გაბნეული მცირე მარცვლები, რომლებიც იღებება მუავე საღებავით (ეოზინით). ჯანმრთელი ადამიანის სისხლში ეოზინოფილები ლეიკოციტების საერთო რაოდენობის 2-4 %-ს შეადგენენ.

**ეპიდემია** – [ბერძნ. epidemia] – რაიმე გადაამდები სენის ფართოდ გავრცელება.

**ეპიდემიოლოგია** – (ბერძნ. epidemia, იხ. ეპიდემია, logos მოძღვრება) – მედიცინის დარგი, რომელიც სწავლობს ეპიდემიათა წარმოშობას, განვითარებასა და მათთან ბრძოლის საშუალებებს.

**ეპიდემიური პარტიტის ვირუსი** – ყბაყურას გამომწვევი ვირუსი, რომელიც გაერთიანებული პარამიქსოვირუსების ოჯახში. ვირუსი შეიცავს -V და -S ანტიგენებს. ინფექციის კარიბჭეა ზედა სასუნთქი გზები.

**ეპიდემიური ჰეპატიტი** – ბოტკინი, ყველაზე გავრცელებული ვირუსული ჰეპატიტი.

**ეპიდემიისი** – ადამიანისა და ცხოველის კანის ზედა ფენა, რომელიც ფარავს სხეულის ზედაპირს.

**ეპიდემიოფიტი** – ადამიანის კანის დაავადება, რომელსაც იწვევს ეპიდერმოფიტების გვარის სხვადასხვა სახეობის სოკო. არსებობს ნაოჭების ანუ საზარდულის და ტერფების

ეპიდერმოფიტი. პროფილაქტიკა: პირადი ჰიგიენის დაცვა და ოფლიანობის მკურნალობა.

**ეპიდიასკოპი** – ოპტიკური ხელსაწყო, რომლის საშუალებითაც ეკრანზე მიიღება გამოსახულება (როგორც გამჭვირვალე ობიექტის – დიაპოზიტის, ისე არაგამჭვირვალე საგნების: ნახატის, ნახაზის, სურათისა).

**ეპიზოოტია** – [ფრან. epizootie] – გადაამდები სენის ფართოდ გავრცელება ცხოველთა შორის.

**ეპითელიუმი** – (ბერძნ. epi – ზედ, ზევიდან, thele – ძუძუს თავი) – მრავალუჯრედოვანი ცხოველისა და ადამიანის ქსოვილის ერთ-ერთი ტიპი, რომელიც უმთავრესად დაცვისა და შეწოვის ფუნქციას ასრულებს. ეპითელიუმით არის დაფარული სხეულის ზედაპირი, ამოფენილია ყველა შინაგანი ღრუ. ფუნქციის მიხედვით ეპითელიუმი შეიძლება იყოს მფარავი, შეწოვი, სეკრეციული, გამომყოფი და სხვა. უჯრედების ფორმის მიხედვით – ბრტყელი, კუბური, ცილინდრული. უჯრედების ფენებად განლაგების მიხედვით – ერთშიანი, მრავალშიანი და გარდამავალი. წარმოშობის მიხედვით კი – ექტოდერმული, ენტოდერმული ან მეზოდერმული.

**ეპილატია** – [ლათ. ex -იდან და pilus თმა] – თმის მოცილება, მოშორება.

**ეპილეპტიკოსი** – [ბერძნ. epileptikos] – ადამიანი, რომელსაც ეპილეფსია სჭირს.

**ეპილეფსია** – [ბერძნ. epilepsia] – ქრონიკული ნერვული დაავადება, რომელიც ხასიათდება პერიოდული მოულოდნელი შეტევებით. ამ დროს ავადმყოფს გონება ეკარგება და ემართება კრუნჩხვა, ბნედა, ავი ზნე.

**ეპილიმნიონური სტრატოზიკაცია** – წყლის ზედა ფენა, რომელიც გაზაფხულზე თბება და მისი სიმკვრივე მცირდება.

**ეპიტოპი** – (ბერძნ. epi – ზედ, ზევიდან, topos ადგილმდებარეობა) – ანტიგენის განსაზღვრული უბანი. ერთ ანტიგენზე შეიძლება მრავალი ეპიტოპი იყოს ლოკალიზებული.

**ეპიფიტები** – მცენარეები, რომლებიც სახლდებიან და ცხოვრობენ სხვა მცენარეზე (მეტწილად ღეროებსა და ტოტებზე, ზოგჯერ ფოთლებზე), მაგრამ კვებით კი დამოუკიდებლად იკვებებიან. მასპინძელ მცენარეს კი ისინი იყენებენ როგორც მისამაგრებელ ადგილს. ეპიფიტურ ცხოვე-

რებას ეწევა ბევრი მღიერი, ხავსი, გვიმრა და აგრეთვე, თესლოვანი მცენარე. ეპიფიტებს, რომლებიც დასახლდებიან არიან ფოთლებზე, ეპიფიტებს უწოდებენ. ეპიფიტები განსაკუთრებით მრავლად არიან ტროპიკებში.

**ერბომჟავა ღუღილი** – დუღილის ერთ-ერთი ტიპი, რომელსაც იწვევენ ერბომჟავა დუღილის ბაქტერიები. დუღილის საბოლოო პროდუქტია ერბომჟავა.

**ერბასტოპლასმა** – იგივე ხორკლიანი ენდოპლასმური ბადე. ის ენდოპლასმური რეტიკულუმი.

**ერიზიპელასი, წითელი ძარი** – erysipelas (ბერძნ. erythros წითელი, pella კანი) – მწვავე ინფექციური დაავადება, რომელსაც ახასიათებს კანის თავისებური ანთება. გამომწვევია წითელი ქარის სტრეპტოკოკი. ავადმყოფობა იწყება კანის შეწითლებითა და სიცხით. პროგნოზი კარგია.

**ერითემა** – (ბერძნ. erythros წითელი) – სისხლძარღვთა გაფართოების გამო კანის სიწითლე, შეიძლება იყოს ხანმოკლე – ნერვულ-ფსიქიკური განცდის (მდეღვარების, სირცხვილის, გაბრაზების) დროს ან ხანგრძლივი – კანის ანთების (ულტრაიისფერი სხივების მოქმედების, დამწვრობის, ხახუნის და სხვა), მოწამულის, ინფექციური დაავადებებისა (ქუნთრუშის, წითელას) და სხვა შემთხვევებში. ერთემის ზოგიერთი ფორმა (კვანძოვანი ერთემა, რგოლისებრი ერთემა, მცოცავი ერთემა) დამოუკიდებელი დაავადებაა.

**ერითროპლასტი** – სისხლის წითელი სხეულაკების – ერითროციტების განვითარების საწყისი სტადია.

**ერითროპენი** – მიეკუთვნება ტოქსინებს, რომელთაც წარმოქმნიან ქუნთრუშის გამომწვევი სტრეპტოკოკები.

**ერითროინი** – საღებავი.

**ერითრომიცინი** – ანტიბიოტიკი, რომელიც მიეკუთვნება მაკროლიდებს.

**კოლიბაქტერიინი** – დისბიოზების სამკურნალოდ რეკომენდებული პრეპარატი.

**კოლიბაცილოზი** – colibacillosis [ბერძნ. kolon კოლინჯი, bacillum იხ. ბაცილა, ბერძნ. osis მდგომარეობა] – ნაწლავის ჩხირებით გამოწვეული დაავადება.

**კოლიენტერიტი** – colienteritis [ბერძნ. kolon კოლინჯი, teron ნაწლავი, itis ანთება] – მსხვილი და წვრილი ნაწლავების ლორწოვანი გარსის ანთება.

**კოლი-ინფექსი** – საძიებელი მიკრობის რაოდენობა გამოსაკვლევი ობიექტის გარკვეულ მოცულობაში.

**კოლი-ინფექციები** – ინფექციური დაავადებები, რომლებიც გამოწვეული არიან ნაწლავის ჩხირის (Escherichai coli) პირობითად – პათოგენური და პათოგენური სეროტიპებით. უმეტესად გვხვდება ადრეული ასაკის ბავშვებში.

**კოლიტი** – colitis (ბერძნ. kolon კოლინჯი, -itis ანთება) – მსხვილი ნაწლავის ანთება. კუჭ-ნაწლავის ტრაქტის ყველაზე გავრცელებული დაავადება. მისი მიზეზი შეიძლება იყოს ინფექცია (დიზენტერიის ჩხირი, სალმონელა, ამებები, ბალანტიდიები და სხვ.), კვებითი ინტოქსიკაცია. შეიძლება გამოიწვიოს ურემიულმა თვითმოწამელამ და განვითარდეს, როგორც აუტოიმუნური დაავადება (მაგალითად, არასპეციფიკური წყლულოვანი კოლიტი). ზოგჯერ მუცრული კოლიტის მიზეზია კუჭსა და წვრილ ნაწლავში საჭმლის მონელების დარღვევა. განარჩევენ მწვავე და ქრონიკულ კოლიტს. მწვავე კოლიტი იწყება მოვლითი ტკივილით მუცელში, რომელსაც თან სდევს ყურყური, მუცლის შებერვა, დეფეკაცია 10-20-ჯერ დღეში და უფრო ხშირად. განავალი დასაწყისში თხელია, მყარალსუნია, ლორწოვანი, შემდეგ კი სისხლის მინარევით. ხშირია დეფეკაციის ყალბი სურვილი მცირეოდენი ლორწოსა და სისხლის გამოყოფით. ქრონიკულ კოლიტს ახასიათებს უმადობა, გულისრევა, საერთო სისუსტე, შეკრულობა ან ფაღარათი. ნაწლავთა მოქმედებამდე ავადმყოფს აწუხებს ყრუ ან მოვლითი ტკივილი მუცელში, რაც დეფეკაციის შემდეგ დროებით ჩაცხრება. კოლიტის დიაგნოზს ადგენენ რენტგენოლოგიურად, რექტომანოსკოპიით და განავლის ლაბორატორიული გამოკვლევით.

**კოლი-ტიტრი** – გამოსაკვლევი ობიექტის ის უმცირესი რაოდენობა, რომელშიც აღმოჩნდება საძიებელი მიკროორგანიზმი.

**კოლი-ვაბი** – კოლი-დიზენტერიული ფაგების T-ჯგუფი (ინგლ. Type – ტიპი).

**კოლიცინეზი** – იგივე ბაქტერიოცინები. მათ გამოყოფენ ის ბაქტერიები, რომლებიც შეიცავენ Col-პლაზმიდებს.

**კოლოიდი** – ბერძნ. kolla წებო და eidos ნივთიერება (ცილა, სახამებელი, წებო და სხვა), რომელიც არ კრისტალდება და რომლის ხსნარი არ გადის მცენარეულ და ცხოველურ აპკში.

**კოლონია** || **კოლონიები** – colonia 1. მიკრობთა თაობები. 2. ახალშენი ბაქტერიის ნამრავლი მკვრივ საკვებ ნიადაგში. 3. (ბიოლ.) ორგანიზმების რთული გაერთიანება. 4. (ბიოლ.) – ბაქტერიების თავმოყრა საკვებ გარემოში.

**კოლონია ბაქტერიებისა** – ერთი სახეობის ბაქტერიების გროვე-

ბი, რომელთაც აქვთ გარკვეული ფორმა, შეფერვა და წარმოქმნილია მკვირვ სუბსტრატზე.

**კოლონიზაცია** – მიკრობების გამრავლების შედეგად კოლონიების წარმოქმნა. ინფექციური პროცესის პირველ სტადიაში მიკრობები ეწევიან მათდამი მგრძობიარე უჯრედებზე, სადაც ისინი მრავლდებიან და წარმოიქმნება კოლონიები. მაგალითად, მიკრობების ნაწილი კოლონიზირდება სასუნთქ გზებზე, მეორე ნაწილი – ნაწლავის ტრაქტზე და ა. შ.

**კოლონიზაციური რეზისტენტობა** – ადამიანის ნორმალური მიკროფლორის წარმომადგენლების მიერ პათოგენების ზრდა-განვითარების დათრგუნვა, რაც კოლონიზაციური რეზისტენტობით გამოიხატება.

**კოლონიის კონსისტენცია** (ლათ. consistentia შემადგენლობა) – ნივთიერების სიმკვრივის ხარისხი (თხევადი და ნახევრად თხევადი, ფაფისებრი).

**კოლონიური ასციდიები** – (იხ. კოლონია) – ასციდიები – ქორდიანთა ტიპის ერთ-ერთი კლასი. ისინი ეწევიან კოლონიურ ცხოვრებას.

**კოლტი** – შედეგებული სისხლი.

**კომა** – (ბერძნ. koma ღრმა ძილი) – მძიმე, სიცოცხლისათვის სახიფათო უგონო მდგომარეობა, რომლის ნიშნებია გულის მუშაობის, სუნთქვის რითმის, მგრძობელობისა და რეფლექსების მოშლა.

**კომენსალიზმი** – სიმბიოზის ნაირსახეობა; ორი სახეობის თანაცხოვრება, რომლის დროსაც ერთი მათგანი იკვებება მეორე სახეობის საკვების ნარჩენებით და არავითარ ზიანს არ აყენებს მას.

**კომენსალისტი** – ორგანიზმი, რომელიც იკვებება მასპინძლის საკვების ნარჩენებით.

**კომპენსაცია** – ანაზღაურება, გაწონასწორება compensatio [ლათ. (სუპინ. compensatum) გაწონასწორება] – დარღვეული ფუნქციის აღდგენა – ფუნქციური უკმარისობის ანაზღაურება ფუნქციის გაძლიერების ან თვისებრივი შეცვლის გზით.

**კომპეტენცია** – (ლათ. competentia) – 1. საკითხთა წყება, რომელთა ჯეროვანი ცოდნა მოეპოვება ადამიანს. 2. სფერო, რაშიც უფლებამოსილია რომელიმე დაწესებულება ან თანამდებობის პირი.

**კომპლემენტი** – (ლათ. complemen – დამატება) – ორგანიზმის არასპეციფიკური დაცვის ჰუმორული ფაქტორი, წარმოდგენილია შრატის პროტეინების სისტემით. ის აქტივირდება კომპლექსით ანტიგენი-ანტისხეული. კომპლემენტი არის ბუნებრივი იმუნიტეტის ერთ-ერთი ფაქტორი და გამოიყენება დიაგნოსტიკურ იმუნოლოგიურ რეაქციებში. 2. სისხლის შრატის ცილების რთული კომპლექსი, რომელიც ინერტულ მდგომარეობაში იმყოფება და აქტიურდება მხოლოდ ანტიგენის ანტიხეულთან მიერთების პროცესში ან ანტიგენის აგრეგაციისას.

**კომპლემენტის ტიტრი** – კომპლემენტის ყველაზე მცირე გაზაფება, რომელიც იწვევს ერითროციტების სრულ ლიზისს ჰემოლიზური შრატის არსებობისას.

**კომპლემენტის შუბოჯვის რეაქცია** – იმუნოლოგიური რეაქცია, რომლის ავტორები არიან **ჟ. ბორდე** და **ო. ჟანგუ**. ამ რეაქციის არსი მდგომარეობს იმაში, რომ ანტისხეულებისა და ანტიგენების შესაბამისობის შემთხვევაში წარმოიქმნება იმუნური კომპლექსი, რომელსაც ანტისხეულის Fc-ფრაგმენტის მეშვეობით უკავშირდება კომპლემენტი, ანუ ადგილი აქვს კომპლემენტის შებოჯვას ანტიგენ-ანტისხეულის კომპლექსით.

**კომპლემენტურობა** – დამატება, რის გამოც ყოველ განსაზღვრულ ნუკლეოტიდს შეესაბამება მხოლოდ განსაზღვრული ნუკლეოტიდი. მაგ., გუანინი – ციტოზინი (გ-ც), ადენინი – თიმინი (ა-თ).

**კომპლექსი** – (ლათ. complexus კავშირი, შეხამება) – საგანთა, მოვლენათა ან თვისებათა ერთობლიობა, შეხამება.

**კომპლექსური ვაქცინები** – ვაქცინები, რომლებიც შეიცავენ რამდენიმე სხვადასხვა დაავადების ვირულენტობადაქვეითებულ გამომწვევებს ან ანატოქსინებს. მაგალითად, კომპლექსური ვაქცინა  $\Delta E \Delta N$  შეიცავს ყივანახველის ვირულენტობადაქვეითებულ მიკრობებს, ღიფთერიისა და ტეტანუსის ანატოქსინებს.

**კომპონენტი** – [ლათ. componens შემადგენელი] – რისამე შემადგენელი ნაწილი.

**კონბლომრაცია** – რაიმე ნაწილაკის ან საგნების შეკავშირება, რომლის დროსაც ისინი ინარჩუნებენ თავიანთ თვისებებს.

**კონდენსაციური წყალი** – წყლის ორთქლის სითხედ გადაქცევა.

**კონდენსორი** – ღინზა ან ღინზების სისტემა, რომელიც თავს უყრის სინათლის სხივებს და მიმართავს მათ გასანათებელი საგნისაკენ.

**კონდილომა** – კეთილთვისებიანი სიმსივნე (ბერძნ. kondyloma (kondylos – ხორცმეტი, სიმსივნე) – კანის ეპითელიუმის საფარის უჯრედებისა და მის ქვეშეშებარე შემაერთებელი ქსოვილის ჭარბი ზრდის პროდუქტი.

**კონვენციური ინფექციები** – განსაკუთრებით სახიფათო ინფექციები. მაგალითად, შავი ჭირი, ნატურალური ყვავილი.

**კონიდიოთეცარი** – იხ. კონიდიოფორი.

**კონიდიოფორი** – კონიდიუმის მატარებელი; ჰიფების განშტოებები, რომლებზედაც სხედან კონიდიუმები.

**კონიდიუმი** – უსქესო გამრავლების სპორა უმაღლესი სოკოების უმეტეს და უმდაბლესი სოკოების ზოგიერთ წარმომადგენელში. ის წარმოიქმნება მიცელიუმის ვერტიკალური განშტოების განსაკუთრებულ ბოლოებზე – კონიდიოფორებზე.

**კონიუგაცია** – (ლათ. conjugatio – შეერთება) – 1. გამეტების შეერთება განაყოფიერების პროცესში; 2. მიკროორგანიზმთა უჯრედების კონტაქტისას ერთი უჯრედიდან მეორეში გენეტიკური მასალის (დნმ) გადაცემა.

**კონიუნქტივა** – coniunctiva თვალის შემაერთებელქსოვილოვანი გარსი (ლათ. conjungo ვაერთებ).

**კონიუნქტივიტი** – conjunctivitis [ლათ. conjunctiva თვალის შემაერთებელქსოვილოვანი გარსი, ბერძნ. itis ანთება] – თვალის შემაერთებელქსოვილოვანი ანუ ლორწოვანი გარსის ანთება.

**კონკურენცია** – ორგანიზმებს შორის გარემოს საარსებო პირობებში უპირატესობის შესანარჩუნებელი მეტოქეობა.

**კონსერვანტები** – (ლათ. conservo ვინახავ) – სპეციალური ნივთიერებები, რომელთა საშუალებით შესაძლებელი ხდება რომელიმე ორგანოს, ქსოვილის, პროდუქტის შენახვა.

**კონსერვაცია** – (ლათ. conservo ვინახავ) – შენახვა-გაფუჭებისა და დაშლისგან დაცვა სპეციალური პირობების შექმნით. მაგ., სისხლის კონსერვაცია.

**კონსისტენცია** – ნივთიერების სიმკვრივის ხარისხი (თხევად ან ნახევრად თხევად ფაფისებრ სხეულებში).

**კონსტიტუციური ფერმენტი** – ფერმენტი, რომელიც სინთეზირდება მთელი უჯრედული ციკლის განმავლობაში.

**კონტამინაცია** – (ლათ. contamino ვსვრი, ჩირქს ვცხებ) – 1. ინფექციური ან მანე ნივთიერებებით ჭრილობის, ჰაერის და სხვათა დაბინძურება; 2. ფსიქიატრიაში – სიტყვებისა და გამოთქმების ერთმანეთში არევა თხრობის დროს; 3. რადიობიოლოგიაში – გარკვეულ უბანში რადიოაქტიური ნივთიერების სიცოცხლისათვის საშიში რაოდენობა. 4. ეს ტერმინი გამოყენებულია, აგრეთვე, ფონეტიკაში: ორი სიტყვის შეერთებით მესამე ახალი სიტყვის მიღება. ჰავა + აერი = ჰაერი.

**კონტაგიოზური ბზა** – contagiosus (ლათ. contagio გადადება) – გადამდები დაავადება, რომელიც გადაეცემა გადამდებ საწყისთან უშუალო შეხებით.

**კონტაქტი** – (ლათ. contactus შეხება, კავშირი, ურთიერთობა).

**კონფიგურაცია** – (ლათ. configuratio) – 1. რაიმეს გარეგანი მოხაზულობა, ფორმა. 2. რაიმე საგნების განლაგება ერთმანეთის მიმართ.

**კონცენტრაცია** – 1. ხსნარის გაჯერების ხარისხი; 2. რაიმეს დაგროვება, თავმოყრა, ერთად დაჯგუფება.

**კონცეფცია** – (ლათ. conceptio) – 1. შეხედულებათა სისტემა; მოვლენების ასეთი თუ ისეთი გაგება. 2. ნაწარმოების, თხზულების ძირითადი აზრი.

**კოპროკულტურა** – (ბერძნ. kopros – განავალი) – განავლისგან მიღებული მიკრობთა კულტურა.

**კოპრი || კოპრები** – სიმსივნური წარმონაქმნი ფესვთა სისტემაზე, რომელშიც მრავლდებიან მიკრობები.

**კოპრის ბაქტერიები** – პარკოსან მცენარეთა ფესვებზე მცხოვრები აზოტობაქტერიები, რომლებიც წარმოქმნიან კოპრებს; მათ აქვთ ატმოსფერული აზოტის შეთვისების უნარი, რის შედეგადაც ამდიდრებენ ნიადაგს აზოტის მარილებით. ეს კი აუცილებელია მცენარის ზრდა-განვითარებისათვის.

**კორექცია** – ორგანიზმის ცალკეულ ორგანოებსა და ნიშნებს შორის შეთანხმებული ურთიერთქმედება, რაც იმაში მდგომარეობს, რომ ერთი ორგანოს (ან ნიშნის) შეცვლა იწვევს მეორე ორგანოს (ან ნიშნის) შეცვლას.

**კორექცია** – (ლათ. correctio) – შესწორება, გასწორება.

**კორინეაბაქტერიები** – (ბერძნ. coryne – ქინძისთავი, ბაქტერია, ჩხირი) – ბაქტერიების ჯგუფი, რომლებიც ახლოს დგანან სხივისებრ სოკოებთან. კორინეაბაქტერიებიდან უმთავ-

რესად დიფთერიის გამომწვევი ბაქტერიები არიან ცნობილი.

**კოჩი** – მცენარის მეორეული მფარავი ქსოვილი, რომელიც შედგება სუბეპითი გაუდენილი გარსის მქონე მკვდარი უჯრედებისაგან. იგივე ფელემა.

**კოჩუსკული** – 1. შიშველთესლოვანი მცენარეების მდედრობითი სასქესო ორგანოს – არქეგონიუმის მოძველებული სახელწოდება; 2. მატერიის ნაწილაკი.

**კოჩუსკული** – (ლათ. corpusculum სხეულაკი) – ცოცხალი მატერიის უმცირესი, გაფორმებული ნაწილაკი (ბაქტერია, ვირუსი, უჯრედის ორგანოიდი და ა. შ.)

**კორტიქსი** – სპორის გარსის ყველაზე სქელი შრე, რომელიც შედგება ლიზოციმისადმი მგრძობიარე განსაკუთრებული პეპტიდოგლიკანისაგან.

**კორტიკოსტეროიდები** – corticosteroida (ლათ. cortex ქერქი, steroida ბერძნ. stereos მაგარი, -eidos მსგავსი – ჯგუფი ჰორმონებისა (მათი რიცხვი 40-ს აღწევს), რომელთაც გამოჰყოფს თირკმელზედა ჯირკვლების ქერქოვანი შრე. კორტიკოსტეროიდები იყოფა: გლუკოკორტიკოიდებად (მოქმედებენ ნახშირწყლოვან, ცილოვან და ცხიმოვან ცვლაზე) და მინერალოკორტიკოიდებად (არეგულირებენ მინერალურ ცვლას). სტეროიდული ჰორმონი, რომელიც გამოიშუშავდება თირკმელზედა ჯირკვლის ქერქოვან შრეში, მონაწილეობს ნივთიერებათა ცვლის რეგულაციაში, გააღებენას ახდენს სასქესო ნიშნების ფორმირებაზე.

**კორტიკული** – corticalis (ლათ. cortex ქერქი) – ქერქული, ქერქთან დაკავშირებული.

**კოფერმენტი** – ორგანული, დაბალმოლეკულური ნივთიერება, რომელიც ცილებთან ერთად შეადგენს ორკომპონენტიანი ფერმენტების მოლეკულას. კოფერმენტი დამახასიათებელია დენსოლიზის ბევრი ფერმენტისათვის და გარკვეულ როლს ასრულებს ფერმენტაციული რეაქციების მსვლელობაში. ბევრი კოფერმენტი მონაწილეობს ვიტამინების წარმოქმნაში.

**კონის აპარატი** – ორკედლიანი ლითონის ცილინდრული ფორმის ქვაბი. მასში სტერილდება ისეთი საკვები არეები, რომელთა თვისებები იცვლება 100°C-ზე მაღალ ტემპურატურაზე გაცხელებისას.

**კრემის ციკლი** – ტრიკარბომეფების ციკლი, რომელიც წარმოადგენს სუნთქვის აერობულ ფაზას.

**კრემაცია** – მიცვალებულის გვამის დაწვა სპეციალურ ღუმელში.

**კრიზი** – (ფრანგ. crise გარდაცვალება) – ავადმყოფის ორგანიზმში უეცრად განვითარებული უარყოფითი ხასიათის სხვადასხვა ცვლილებები.

**კრიპტოზოოტი** – სეფსისი, რომლის დროსაც ანთებითი ჩირქოვანი კერა უცნობია.

**კრიპტოკოკოზი** – დაავადება, რომლის გამომწვევია Cryptococcus neoormans. დასნეობუნება ხდება ჰაერწვეთოვანი და ჰაერმტვროვანი გზით. ჰემატოგენური გზით გავრცელებისას ზიანდება შინაგანი ორგანოები და ცენტრალური ნერვული სისტემა. ქრონიკულ კრიპტოკოკოზს ახასიათებს ტვინის, ტვინის გარსების, ფილტვებისა და შინაგანი ორგანოების დაზიანება. არანამკურნალები მძიმე ფორმები ყოველთვის მთავრდება ლეტალურად.

**კროსინგოზი** – მეიოზის დროს მიმდინარე პროცესი, როდესაც ჰომოლოგიურ ქრომოსომებს შორის ხდება ჰომოლოგიური მონაკვეთების გაცვლა.

**კრუპი** – (ინგლ. croup ხრინწიანი ჩხავილი) – ხორხის ლორწოვანი გარსის ანთება, რასაც თან ახლავს შეშუპება, სანათურის შევიწროება და სუნთქვის გაძნელება (დახრჩობამდეც კი). არჩევენ ნამდვილ და ცრუ კრუპებს.

**კუპრუს კროიტც-ნაპოზის დაავადება** – დაავადება, რომელსაც იწვევენ პრიონული ცილები, გადაცემა ხდება ალიმენტური გზით ან ინოკულაციურად.

**კულტივატორი** – აპარატი, რომელშიც ხდება მიკროორგანიზმების მოყვანა, გაშენება.

**კულტივირება** – 1. მცენარის მოყვანა-გაშენება, დარგვა. 2. მიკროორგანიზმის მოყვანა ლაბორატორიულ პირობებში.

**კულტურა** – 1. ლაბორატორიულ პირობებში რომელიმე საკვებ არეზე მოშენებული მიკროორგანიზმი. 2. რომელიმე მცენარის მოყვანა, გაშენება, კულტივირება. მაგ., შაქრის ჭარხლის კულტურა.

**კუმბის რეაქცია** – ანტიგლობულინური ტესტი – გამოიყენება სხვადასხვა ბიოლოგიური მდგომარეობის: რეზუს-კონფლიქტის, აუტოიმუნური დაავადებების (სისტემური წითელი მგლურას, პოლიართრიტის და სხვა კოლაგენოზების), ზოგიერთი ქრონიკული ინფექციის დროს წარმოქმნილი

მნილი არასრული ანუ მახლოკირებელი ანტისხეულე-ბის გამოსავლენად.

**კუმისი** – თურქ. სიტყვიდან Kumys – ქიმიზი – სასმელი, რომელსაც ამზადებენ ცხენის (ან აქლემის) დაღუღებული რძისგან. სვამენ ყაზახეთში, ყირგიზეთში, ბაშკირეთსა და სხვაგან.

**კუპფერის უჯრედები** – (K. W. Kupffer 1829-1902) – ადამიანის, ძუძუმწოვრებისა და სხვა რეტიკულო-ენდოთელიალური სისტემის უჯრედები, რომლებიც ასრულებენ მთავარ დამცველობით როლს. ეს პირველად აღწერა რუსმა მეცნიერმა **ვ. ვისოკოვიჩმა**.

**კუტიკულა** – ეპითელიუმის უჯრედების მიერ გამოყოფილი ნივთიერებებისაგან შექმნილი მკვრივი წარმონაქმნი, რომლითაც დაფარულია ცხოველების სხეული.



**ლაბა** – ხორცის ან თევზის გაცივებით შესქელებული ნახარში.

**ლაბილური** – არამტკიცე, მერყევი, არამდგრადი, მოძრავი.

**ლაბილურობა** – ორგანიზმის მერყეობა (არამდგრადობა) გარემო პირობების ცვლილებებისადმი.

**ლაბ-ზაზა** – (ინგ. lag. ჩამორჩენა, დაბრკოლება) – პერიოდი ბაქტერიების დათესვიდან გამრავლების დაწყებამდე.

**ლაკმუსი** – [ლათ. lacca musci – ლიქენის წვენი] – 1. საღებავი ნივთიერება, რომელსაც იღებენ ზოგი სახეობის წყალმცენარისა და მღიერისაგან. ლაკმუსის წყალხსნარს და ამ ნივთიერებით გაჟღენთილ საშრობის ქაღალდს, რომელსაც ლაკმუსის ქაღალდს უწოდებენ, იყენებენ როგორც ინდიკატორს. მას მჟავა აწითლებს, ტუტე კი – აღურჯებს. 2. იგივეა, რაც ლაკმუსის ნაყენით გაჟღენთილი საშრობი ქაღალდი, რომელსაც იყენებენ, როგორც ინდიკატორს.

**ლაკუნა** – lacuna (ლათ. lacuna ორმო, ფოსო) – მცირე ჩაღრმავება, ფოსო, ცარიელი ადგილი, დეფექტი.

**ლაკური სისხლი** – ჰემოლიზის რეაქციის დროს ჰემოლიზური შრატის მიერ კომპლემენტის მონაწილეობით შესაბამისი

ერთროციტების ჰემოლიზი, რომლის დროსაც ერთროციტების მღვრიე არაგამჭვირვალე ნარევი იცვლება და მიიღება გამჭვირვალე ღია წითელი ფერის სითხე, ე. წ. ლაკური სისხლი.

**ლამბლია** – უმარტივესი პარაზიტი, რომელიც ბუდობს თავგების, ბოცვრების, ადამიანების ნაწლავებში.

**ლამბლიოზი** – საჭმლის მომხელეებელი სისტემის დაავადება, რომელსაც ლამბლიები – მსხლისებრი ფორმის შოლტოსანი პარაზიტები იწვევენ. ლამბლიები ასენიანებენ წვრილ ნაწლავსა და ნაღვლის ბუშტს. ბოჰემიელი ექიმის **ლამბლიოზის** (1824-1895) პატივსაცემად დაერქვა სახელი დაავადებას.

**ლანგუანის კუნძულები** – კუჭკვეშა ჯირკვლის ქსოვილებში მდებარე უჯრედების ჯგუფი, რომლებიც გამოყოფენ ჰორმონ ინსულინს.

**ლანცეტი** – [ფრანგ. lancette] – სადასტაქრო ორპირიანი დანა, ნესტარი; ქირურგიული გასაკვეთი იარაღი.

**ლარინგიტი** – (ბერძნ. larynx – ხორხი, itis ანთება) – ხორხის ანთება.

**ლარინგოტრაქეიტი** – laryngotracheitis (ბერძნ. larynx (ლათ. laryngos ხორხი) trachea სასულე, -itis ანთება) – ხორხის და სასულის ერთდროული ანთება.

**ლათერალური** – გვერდითი.

**ლათენტური** – ფარული latens (ლათ. latens ფარული, მალული) – გამოუმჟღავნებელი. მაგალითად, პათოლოგიური პროცესი. იგივე არასიმპტომური ინფექცია.

**ლათენტური პერიოდი** – 1. ფარული, გამოუმჟღავნებელი პერიოდი პროცესის დაწყებიდან მის გამოვლინებამდე, მაგ., ავადმყოფობის ფარული სიმპტომის (გარეგნული ნიშნის) გამოვლინებამდე; 2. დროის მონაკვეთი კუნთის გაღიზიანების მომენტიდან მისი ხილვადი შეკუმშვის დაწყებამდე (0.01 წამი).

**ლაქოვანი ცხელება** – დაავადება, რომლის გამომწვევია Rickettsia sibirica. უჯრედში გამრავლების ადგილია ციტოპლაზმა და ბირთვი. გამომწვევის გადამტანებს წარმოადგენენ იქსოდური ტკიპები. ინფექციის წყაროა მდრღნელები (მინდურის თავგები, თრიები და სხვა). მეორე გამომწვევია R. akazi – უჯრედში გამრავლების ადგილია ციტოპლაზმა და ბირთვი. გამომწვევის გადამტანი არიან გამაზური ტკიპები. ინფექციის წყარო – სახლის თავგი,

რუხი ვირთავებები. იწვევს დაავადებას – ვეზიკულოზური (ყვავილის მსგავსი) რიკეტსიოზი.

**ლაქტაზა** – ფერმენტი, რომელიც ხელს უწყობს რძის შაქრის (ლაქტოზის) გახლეჩვას გლუკოზად და გალაქტოზად.

**ლაქტამი** – ზოგადი სახელი სხვადასხვა ორგანული ნაერთისა.

**ლაქტანიდები** – ბაქტერიოციდული ნივთიერებები, რომლებიც შედიან რძის შემადგენლობაში.

**ლაქტატები** – რძის მჟავას მარილები.

**ლაქტაცია** – lactatio (ლათ. lac რძე) – სარძევე ჯირკვლიდან რძის გამოყოფა, ძუძუს წოვება.

**ლაქტობაქტერიები** – ყველაზე გავრცელებული პრობიოტიკები.

**ლაქტობაქტერიონი** – რძის შემადგენელი და სამკურნალო თვისებების მიმნიჭებული ნივთიერება.

**ლაქტობაცილა** – [ლათ. lac. lactis – რძე და bacillum – ბაცილა] – რძემჟავა ბაქტერიის კულტურა, რომელიც თრგუნავს ნაწლავებში ლაზობით პროცესებს **ი. ი. მენიკოვის** მიხედვით.

**ლაქტოზა** – (ლათ. lac – რძე) – რძის შაქარი. იყენებენ მედიცინასა და ბაქტერიოლოგიაში. დისაქარიდი, რომლის შემადგენლობაში შედის გალაქტოზა.

**ლაქტოზაპეტონიანი არე ინფიკატორით** – საკვები არე ნაწლავის ჯგუფის ბაქტერიების დამაგროვებელი კულტურის მისაღებად.

**ლაქტომეტი** – რძის ხვედრითი წონის გამოსარკვევი ხელსაწყო.

**ლაქტოსკოპი** – რძის ცხიმინობის გამოსაკვლევი ხელსაწყო.

**ლემბონელები** – გრამუარყოფითი მოძრავი ჩხირები, დაავადების გამომწვევები. დაავადება ხასიათდება რესპირატორული ტრაქტის დაზიანებით და მძიმე პნევმონიის განვითარებით.

**ლემინის საკვები არე** – სადიფერენციაციო-სადიაგნოსტიკო ნიადაგი ნაწლავთა ინფექციების გამომწვევებისათვის.

**ლემიკემია** – თეთრსისხლიანობა. სისხლში ლეიკოციტების რაოდენობის მნიშვნელოვანი ზრდა – ერთ-ერთი ავთვისებიანი ქრონიკული დაავადება.

**ლემიკოზი** – (ბერძნ. leukos – თეთრი) – ჰემობლასტოზი, რომელიც წარმოიშობა სისხლმბადი უჯრედებისგან და, როგორც წესი, აზიანებს ძვლის ტვინს. ამჟამად დამტკიცებულია ლეიკოზთა დიდი ნაწილის კლონური ბუნება. აღმოჩნდა, რომ ყველა სიმსივნური უჯრედი კლონია. ლეიკოზის ავთვისებიანობა დამოკიდებულია სიმსივნური ანუ ბლასტური უჯრედების ბუნებაზე. ავადმყოფობის მიმ-

დინარეობისა და მორფოლოგიური და ციტოქიმიური თავისებურებების მიხედვით გამოყოფენ ლეიკოზის მწვავე და ქრონიკულ ფორმებს.

**ლემიკოპენია** – [ბერძნ. leukos – თეთრი, penia – სიღარიბე] – სისხლის თეთრი სხეულაკების – ლეიკოციტების რიცხვის შემცირება პერიფერიულ სისხლში.

**ლემიკოპოზი** – სისხლის თეთრი სხეულაკების (ლეიკოციტების) წარმოქმნა, განვითარება და მომწიფება.

**ლემიკოტოქსინი** – leucotoxinum (ბერძნ. leukos თეთრი, toxikon შხამი) – უჯრედის შხამი. წარმოიქმნება ცხოველის შრატში ლეიკოციტებით იმუნისაციის დროს.

**ლემიკოფორი** – სამკურნალო პრეპარატი.

**ლემიშმანიოზი** – leishmaniosis (W. B. Leishman ინგლისელი ექიმი, ბერძნ. -osis – მდგომარეობა) – ადამიანისა და ცხოველის პროტოზოული ინფექციური დაავადება, რომლის გამომწვევია ლეიშმანიები. არჩევენ კანის ლეიშმანიოზს, რომელიც ვითარდება მოსკიტის მიერ ნაკბენ ადგილზე და ვისცერალურ ლეიშმანიოზს – კალა-აზარს.

**ლემიციონი** – ორგანული ნივთიერება ამინომჟავების ჯგუფიდან, რომელიც წარმოადგენს ერთ-ერთ შეუცვლელ ამინომჟავას.

**ლემიკოციტი** – (ბერძნ. leukos თეთრი, Kytos უჯრედი) – სისხლის თეთრი სხეულაკი. ადამიანის სისხლი შეიცავს 4.0-8.8 10<sup>9</sup> /ლ ლეიკოციტს. ლეიკოციტის უმნიშვნელოვანესი ფუნქციაა ორგანიზმის დაცვა სისხლსა და ქსოვილებში შეჭრილი მიკროორგანიზმებისაგან. ლეიკოციტები იყოფა ორ დიდ ჯგუფად: მარცვლოვანად ანუ გრანულოციტებად და უმარცვლოდ ანუ აგრანულოციტებად. გრანულოციტები, თავის მხრივ, იყოფა სამ ჯგუფად: ეოზინოფილებად, ბაზოფილებად და ნეიტროფილებად. აგრანულოციტებს ეკუთვნის მონოციტები და ლიმფოციტები.

**ლემიკოციტოზი** – leucocytosis (ბერძნ. leukos თეთრი, ketos – უჯრედი, -osis – მდგომარეობა) – ლეიკოციტების რაოდენობის მომატება პერიფერიულ სისხლში (8.8 × 10<sup>9</sup> /ლ-ზე მეტად).

**ლემიკოციტური ფორმულა** – სხვადასხვა ფორმის ლეიკოციტების შემცველობის შეფარდება სისხლში.

**ლენტოვირუსების მემოჯანი** – ამ ქვეჯახს მიეკუთვნება ადამიანის იმუნოდეფიციტის ვირუსი, რომელიც იწვევს შემეხილი იმუნოდეფიციტის სინდრომს.

**ლეპრა** – **კეთრი** lepra (ბერძნ.) კეთრი – მძიმე ქრონიკული დაავადება. ცნობილია უძველესი დროიდან; გამომწვევები არიან პანზენის ჩხირები. კეთრის ინკუბაციური პერიოდი საშუალოდ 3-5 წელია, მაგრამ შეიძლება უფრო ხანგრძლივიც – 10 წლამდე. არჩევენ კეთრის ორ ძირითად ფორმას: ხორკლისებრს ანუ კვანძოვანს (კანის) და ანესთეზიურ-ლაქისებრს (ნერვული); კვანძოვანი ფორმის დამახასიათებელია სახეს ან კიდურებზე ხორკლები ან კვანძები. გრანულაციური ქსოვილის განვითარების გამო კვანძები წარმოიქმნება კანსა და კანქვეშა ქსოვილში, აგრეთვე, საყლაპავი მილის, ხორხის, პირის ლორწოვან გარსებსა და თვალის რქოვანაზე. ამიტომ ავადმყოფის დამახინჯებული სახე ლომის სახეს წააგავს. კეთრის ნერვული ფორმის შემთხვევაში ცენტრალური ნერვული სისტემა და პერიფერიული ნერვები ზიანდება. სხეულის ცალკეული უბნები კარგავენ მგრძობელობას, ირღვევა მათი კვება, წარმოიქმნება ტროფიკული წყლულები, რომლებსაც ხშირად დაზიანებული უბნების ნეკროზი და მოვარდნა მოჰყვება.

**ლეპროსორიუმი** – leprosorium (ბერძნ. lepra კეთრი) – კეთროვანთა სამკურნალო დაწესებულება ან კოლონია.

**ლეპტოსპიროზი** – [ბერძნ. leptos – ვიწრო, წვრილი და speira – ხვრელი] – მწვავე ინფექციური დაავადება.

**ლეტალური** – (ლათ. letalis სასიკვდილო) – სასიკვდილო, სიკვდილის გამომწვევი (მაგ.: დოზა, ჭრილობა).

**ლეტალური** – ავადმყოფთა, დაჭრილთა ან უბედური შემთხვევის მსხვერპლთა სიკვდილიანობის სისშირე.

**ლექტინური** – კომპლემენტის აქტივაციის გზა.

**ლექტინაზა** – ფერმენტი, რომელიც ხელს უწყობს ლექტინის დაშლას.

**ლიაზები** – ფერმენტები, რომლებიც ხელს უწყობენ ორგანული ნაერთების არაჰიდროლიზურ დაშლას.

**ლიბაზები** – ფერმენტები, რომლებიც აკატალიზებენ რთული ორგანული ნაერთების სინთეზს მარტივიდან. მაგალითად, ასპარაგინისინთეტაზა ახდენს ამიდი ასპარაგინის სინთეზს ასპარაგინის მუავადან და ამიაკიდან ატფ-ის მონაწილეობით.

**ლიბანდები** – 1. სამიზნე უჯრედის რეცეპტორები. არსებობენ მიკროორგანიზმის ზედაპირზე. 2. კომპლექსწარმოქმნელთან უშუალოდ დაკავშირებული ნაწილაკები.

**ლიბნინი** – [ლათ. lignum ხე] – 1. წყალში უხსნადი რთული ორგანული ნივთიერება არომატული რიგიდან, რომლითაც იქვინთება მცენარის უჯრედების გარსი მათი გახვევების დროს. 2. ჭრილობის შესახვევი მასალა სიფრიფანა ფურცლების სახით, რომელსაც უმთავრესად იღებენ წიწვოვანი მცენარეების მერქნისაგან; „ხის ბამბა“.

**ლიზინი** – (ბერძნ. lysis დაშლა) – ანტისხეულები, რომლებიც კომპლემენტთან შეერთებით შლიან იმ ბაქტერიებსა და უჯრედებს, რომელთა ორგანიზმში შეყვანის გამო წარმოიქმნებიან თვითონ.

**ლიზინი** – გახსნა, დაშლა – 1. სხეულის მაღალი ტემპერატურის ნელი დაწვევა, რასაც თან სდევს დაავადების სხვა სიმპტომების თანდათანობითი გაქრობა. 2. სპეციფიკური ლიზინის მოქმედების შედეგად მიკროორგანიზმების დაღუპვის პროცესი.

**ლიზობინია** – ბაქტერიული უჯრედის მიერ ბაქტერიოფაგის შექმნისა და გამოყოფის უნარი.

**ლიზობინიზაცია** – ზომიერი (არავირულენტური) ბაქტერიოფაგის პროფაგის მდგომარეობაში გადასვლის პროცესი.

**ლიზობინის ფანოზი** – ბაქტერიული უჯრედის სიმბიოზი ფაგთან.

**ლიზობინური ბაქტერიები** – ბაქტერიები, რომელთაც გააჩნიათ ბაქტერიოფაგის შექმნისა და გამოყოფის მემკვიდრულად გაპირობებული უნარი.

**ლიზობინური კონვერსია** – ფაგის არსებობის გამო ბაქტერიული უჯრედის თვისების შეცვლა. ეს მოვლენა პირველად აღწერა 1951 წელს ფრიმენმა.

**ლიზობინური ფაზა** – ბაქტერიები, რომლებიც შეიცავენ ზომიერ ფაგებს.

**ლიზობინური შტამი** – ბაქტერიული შტამი, რომლის თითოეული უჯრედი ლიზოგენურია, ე. ი. გააჩნია უნარი ფაგების შექმნისა და გამოყოფისა.

**ლიზოლი** – [ბერძნ. lysis გახსნა და oleum ზეთი] – გამჭვირვალე ზეთოვანი სითხე შავ-წითელი ფერისა. სადებინფექციო საშუალება.

**ლიზოსომები** – უჯრედის ორგანოიდები, რომლებშიც კონცენტრირებულია ფერმენტები. მონაწილეობენ საკვების შიდა-უჯრედულ მონელებაში. უმთავრესად დამახასიათებელია ცხოველური უჯრედებისათვის.

**ლიზოციმი** – (ბერძნ. lysis დაშლა, გახსნა, zyme საფუარი) – ჰიდროლაზების კლასის ფერმენტი. იწვევს ბაქტერიული უჯრედის ლიზისს. აღმოჩენილია ცრემლში, ნერწყვში, ლეიკოციტებში, ელენთაში, ზოგიერთ ბაქტერიასა და ფაგოში. ადამიანის ორგანიზმში თამაშობს არასპეციფიკური ანტიბაქტერიული ბარიერის როლს. აღმოჩენილია 1922 წელს მიკრობიოლოგ ა. ფლემინგის მიერ. არის თერმოსტაბილური მუკოლიზური ფერმენტის ტიპის ცილა. იწვევს მრავალი ბაქტერიის ლიზისს, მაგრამ არაა აქტიური ვირუსებისადმი.

**ლიზოსომური შერმენტები** – ფერმენტები, რომლებიც ლიზოსომებში არიან და მონაწილეობენ საკვების მონელების პროცესში.

**ლითოსფერო** – (ბერძნ. lethos ქვა და sphaira ბურთი) – დედამიწის მტკიცე ქვიერი გარსი, დედამიწის ქერქი.

**ლიმიფლინი** – აივის საწინააღმდეგო ეთიოტროპული ნივთიერება.

**ლიმფა** – უფერული გამჭვირვალე სითხე, რომელიც მოძრაობს ხერხემალიანი ცხოველებისა და ადამიანის ლიმფურ სისტემაში. წარმოიქმნება ქსოვილური ანუ უჯრედშორისული სითხიდან, რომლითაც ამოვსებულია უჯრედშორისი არეები. თავისი შემადგენლობით სისხლის პლაზმას მოგვაგონებს; შეიცავს ლეიკოციტებს.

**ლიმფადენიტი** – (ლათ. lymphა იხ. ლიმფა – aden ჯირკვალი, itis ანთება) – ლიმფური კვანძების ანთება.

**ლიმფადენოპათია** – (lymphა – ლიმფა, adenopathia ბერძნ. aden ჯირკვალი, pathis ტანჯვა) – ლიმფური კვანძების დაავადება.

**ლიმფანგიტი** – ლიმფური ძარღვების ანთება.

**ლიმფობენი** – (ლათ. – lymphა ანკარა წყალი, gennao წარმოვშობ) – ლიმფოიდური ტიპის უჯრედების წარმოქმნა.

**ლიმფობენური** – leymphogenes (ლათ. lymphა იხ. ლიმფა, ბერძნ. gennao წარმოვშობ) – ლიმფის ნაკადთან ერთად გავრცელებული.

**ლიმფობრანულომატოზი** – ლიმფური სისტემის ქრონიკული დაავადება, რომელიც უმთავრესად ხასიათდება ლიმფური კვანძების მკვეთრი გადიდებით.

**ლიმფოიდი** – ქსოვილი, რომელშიც დომინირებული უჯრედი ლიმფოციტია. ლიმფოიდურ ქსოვილს შეადგენს ლიმფა, ლიმფური კვანძები, ელენთა, თიმუსი, პეიერის ფო-

ლაქები, ფარინგული ჯირკვლები და ფაბრიციუსის ჩანთა.

**ლიმფომა** – (ლათ. lymphა – იხ. ლიმფა, ბერძნ. – oma – სიმსივნე) – ლიმფური ქსოვილის პირველადი ავთვისებიანი სიმსივნე. იყოფა ორ ჯგუფად: გრანულომატოზურ (ლიმფოგრანულომატოზი) და არაგრანულომატოზურ (ლიმფორეტიკულოსარკომა) სიმსივნეებად. ლიმფომის დიაგნოზს ადგენენ ლიმფური ჯირკვლის ან დაზიანებული ქსოვილის პისტომორფოლოგიური გამოკვლევის საფუძველზე.

**ლიმფოტროფული ვირუსი** – შიდსის აღმძვრელი რეტროვირუსი (აივ), რომლის გენიც (რიბონუკლეინის მუცა) „ჩაშენებულია“ ადამიანის უჯრედების, მაგალითად, ლიმფოციტების გენომში.

**ლიმფოციტა** – (ლათ. lymphა იხ. ლიმფა, ბერძნ. kytos უჯრედი) – ლიმფოიდური ქსოვილის ძირითადი უჯრედები, რომელთაც აქვთ ანტიგენის შეცნობის უნარი და მონაწილეობენ იმუნობიოლოგიური რეაქციების განხორციელებაში; მათთან დაკავშირებულია სპეციფიკური ჰუმორული და უჯრედული იმუნიტეტის განვითარება.

**ლიმფური კვანძები** – ლიმფური სისტემის ორგანოები, რომლებიც ლიმფური ძარღვების გაყოლებითაა განლაგებული. ისინი დიდ როლს ასრულებენ სისხლის წარმოქმნაში. მათში ხდება ლეიკოციტების, სახელობრ, ლიმფოციტების წარმოქმნა; მათივე საშუალებით იფილტრება ლიმფა.

**ლიმფური სისტემა** – ლიმფური ძარღვებისა და ლიმფური კვანძების ქსელი (ერთობლიობა), რომელშიც მოძრაობს ლიმფა. ასრულებს სისხლის წარმოქმნისა და დამცველის ფუნქციას. არის სისხლძარღვთა სისტემის დამატებით აპარატი.

**ლინზა** – გამჭვირვალე ოპტიკური მინა, რომელიც შემოსაზღვრულია ორი – უპირატესად სფერული ზედაპირით.

**ლიოზილიზაცია** – მიკრობების გაშრობა ვაკუუმში. გამოიყენება ბაქტერიების ხანგრძლივად შენახვისა და მათი თვისებების შენარჩუნებისთვის. ლიოფილიზებული მიკროორგანიზმები ლაბორატორიულ პირობებში ინახება ხანგრძლივად.

**ლიოზილური შრობა** – ტექნოლოგიური პროცესი, რომელიც გამოიყენება მიკრობების ხანგრძლივი დროით შენახვისათვის,

რისთვისაც კულტურალურ ბიომასას ყინავენ -50°C ტემპერატურაზე ვაკუუმის აპარატში.

**ლიპაზა** – ესთერაზების ჯგუფის ფერმენტი, რომლითაც ხდება ცხიმების დახლეჩვა (დაშლა) გლიცერინად და ცხიმის მჟავებად; მას შეიცავს კუჭის, კუჭქვეშა ჯირკვლისა და ნაწლავის წვენი. ფართოდაა გავრცელებული ცხოველებში.

**ლიპიდები** – ნივთიერებანი, რომლებიც არ იხსნება წყალში, მაგრამ იხსნება ორგანულ გამხსნელებში (ეთერი, ბენზინი, ბენზოლი, ქლოროფორმი და ა. შ.). ლიპიდებს ეკუთვნის ცხიმები და ცხიმისმაგვარი ორგანული ნივთიერებანი – ლიპოიდები.

**ლიპოიდები** – ცხიმისმაგვარი ორგანული ნივთიერებანი, რომლებიც, ცხიმების მსგავსად, არ იხსნება წყალში, მაგრამ იხსნება ორგანულ გამხსნელებში; ლიპოიდებიდან უფრო დიდი მნიშვნელობა აქვს ფოსფატიდებს, რომლებიც წარმოადგენენ პროტოპლაზმის აუცილებელ შემადგენელ ნაწილს.

**ლიპოზა** – კეთილთვისებიანი სიმსივნე ცხიმოვანი ქსოვილიდან, ცხიმოვანა.

**ლიპოპოლისაჰარიდები (ლპს)** – ენდოტოქსინები – ლოკალიზდებიან ბაქტერიის უჯრედის კედელში და მხოლოდ მათი დარღვევის შემდეგ თავისუფლდებიან. აქვთ ანტიგენური და ტოქსიკური თვისებები.

**ლიპოპროტეინები** – რთული ცილების ჯგუფი, რომლის შემადგენლობაში შედის ცხიმისმაგვარი ნივთიერებანი. ლიპოიდები გვხვდება პლასტიდებისა და ბიოლოგიური მემბრანების შემადგენლობაში.

**ლიქენი, სირსველი** – [ბერძნ. leichen სირსველი] – ქრონიკული ანთებითი დერმატოზი.

**ლიქორი** – liquor – სითხე.

**ლოგ-ზაზა** – ლოგარითმული ანუ ექსპონენციალური ფაზა, რომლის დროს ხდება ბაქტერიული უჯრედების გამრავლება მაქსიმალური სიჩქარით.

**ლოკალიზაცია** – (ლათ. localis – ადგილობრივი) – 1. შემოსახულვრული, გარკვეული მდებარეობა ან ადგილი; 2. რაიმე ადგილის (მაგ., ანთებითი პროცესის) შემოფარგვლა; გარკვეული ადგილიდან რაიმეს გავრცელებისათვის ხელის შეშლა.

**ლოკალური** – ლათ. localis ადგილობრივი – ადგილობრივი, განსახლვრული ადგილის დამახასიათებელი.

**ლოკომოტორული სტრუქტურა** – აქტიურად გადასადგილებული საშუალება. ახასიათებს ბაქტერიებს, აგრეთვე, ზოგიერთ წყალმცენარეს.

**ლოზოტრიძი** – შოლტების კონა, რომელიც მთლიანად ფარავს ბაქტერიულ უჯრედს.

**ლპობა, ზრუნა** – მიკროორგანიზმების მოქმედებით აზოტის შემცველ ნივთიერებათა (ცილების, ამინომჟავების) დაშლის პროცესი.

**ლპობის ბაქტერიები** – ბაქტერიები, რომლებიც იწვევენ ლპობას.

**ლუმინის ხსნარი** – გრამის მეთოდით ბაქტერიების შესაღები ხსნარი, რომლის დასამზადებლად იოდს ხსნიან კალიუმის იოდიდის წყალხსნარში.

**ლუმინესცენცია** – (ლათ. lumen სინათლე, essentia (სუსტი მოქმედების აღმნიშვნელი სუფიქსი) – რაიმე სხეულის ცივი ნათება, გამოსხედილი ელექტრული, ქიმიური და სხვა პროცესებით.



**მაგნიზია** – [ლათ. magnesia] – თეთრი ფხვნილი, მაგნიუმის ჟანგი ან მარილი. იყენებენ მედიცინაში.

**მაგნიტობიოლოგია** – ბიოფიზიკის ნაწილი, რომელიც შეისწავლის მაგნიტური ველების ზემოქმედებას ცოცხალ სისტემებზე (უჯრედებზე, ორგანიზმზე, პოპულაციაზე და სხვა).

**მაიონიზირებადი რადიაცია** – გამოსხივება, რომელიც თავისი ბუნებითა და თვისებების მიხედვით იყოფა ელექტრომაგნიტურ და კორპუსკულურ გამოსხივებად. მათი ერთმანეთისაგან მკვეთრად გამოიჯენა შეუძლებელია, რადგან სინათლე ორგვარი ბუნების მატარებელია, ზოგიერთ შემთხვევაში მქლავდება მისი ტალღური ბუნება, ზოგჯერ კი – კორპუსკულარული.

**მაინჰიბირებაელი მოქმედება** – დამთრგუნველი მოქმედება, რომელიც ორგანიზმში ფერმენტების აქტიურობას თრგუნავს.

**მაკროელემენტები** – ქიმიური ელემენტები, რომლებიც აუცილებელია მცენარეების, მიკროორგანიზმების ზრდა-განვითარებისათვის (კვებისათვის). მათ ეკუთვნის აზოტი, ფოსფორი, გოგირდი, კალიუმი, მაგნიუმი, კალციუმი, ნახშირბადი, ჟანგბადი, წყალბადი.

**მაკრომრბული ბმა** – ენერგიით მდიდარი ქიმიური ბმა ორგანულ ნივთიერებათა მოლეკულაში (მაგალითად, ფოსფატური ბმა ადენოზინტრიფოსფატში).

**მაკრომრბული ნაერთები** – ენერგიით მდიდარი ნაერთები. მაგალითად, ადენოზინტრიფოსფატი.

**მაკროკაფსულა** – კაფსულა, რომლის სისქე 0.2 მკმ-ზე მეტია და შეიძლება სინათლის მიკროსკოპით დაეინახოს. ახასიათებს *Azotobacter chroococcum*. პათოგენური ბაქტერიებიდან კი – *Streptococcus pneumoniae*.

**მაკროლიდები** – ანტიბიოტიკები, რომელთაც მიეკუთვნება ერთრომიცინი, ოლენდომიცინი. აქვთ მსგავსი ქიმიური აღნაგობა და ხასიათდებიან თავიანთი შემადგენლობაში მაკროციკლური ლაქტამური რგოლის არსებობით. მაკროლიდები ახდენენ ცილის სინთეზის დარღვევას.

**მაკრორბანიზმი** – [ბერძნ. makros დიდი, organizmus] – ყოველი ცოცხალი არსება, რომლის ძირითადი თვისებებია ნივთიერებათა ცვლა. მაკრორბანიზმი შეიძლება დაეინახოს შეუიარაღებელი თვალით.

**მაკრომეტრული ხრახნი** – სინათლის მიკროსკოპის ხრახნი, რომელიც გამოიყენება მცირე გადიდების დროს, ძლიერი გადიდების შემთხვევაში კი – წინასწარ მიახლოებითი დაყენებისათვის.

**მაკროსკოპული** – macroscopicus [ბერძნ. mucus დიდი, მაკროსკოპული, skopeo ვუყურებ] – რაც შეუიარაღებელი თვალით ჩანს, რაც შეუიარაღებელი თვალით წარმოებს. მაგ., მაკროსკოპული დაკვირვება (შდრ. მიკროსკოპული).

**მაკროსკოპა** – იგივეა, რაც მეგასკოპა. იხ. მეგასკოპა.

**მაკროზაბი** || **მაკროზაბები** – (ბერძნ. makros დიდი, phago – შთანთქმა) – უჯრედი, რომელიც აქტიურად აწარმოებს ფაგოციტოზს. შეიცავს სპეციფიკურ ფერმენტებს შთანთქმული მასალის მონელებისათვის. არჩევენ თავისუფალ და ფიქსირებულ მაკროფაგებს.

**მაკროზაბული უჯრედი** – ორგანიზმის ყველა ფაგოციტი უჯრედი, რომლებიც ი. მენნიკოვის მიხედვით, იყოფა მიკროფაგებად და მაკროფაგებად. მაკროფაგებს სისხლის პოლიმორფულბირთვიანი გრანულოციტები: ნეიტროფიციტები, იოზინოფილები და ბაზოფილები მიეკუთვნება.

**მაკროციტები** – დიდი ღიაშებრის მქონე ერთროციტები.

**მალარია** – ციება, ციებ-ცხელება, ადამიანისა და ზოგ ხერხემლიან ცხოველთა დაავადება, რომელსაც იწვევს მალარიის პლასმოდოიუმი (ერთუჯრედიან უმარტივესთა წარმომადგენელი, რომელიც სისხლში პარაზიტობს).

**მალარიის გამომწვევი პლასმოდოიუმი** – ერთუჯრედიან უმარტივესთა (სპორიანების კლასის) ერთ-ერთი წარმომადგენელი, რომელიც პარაზიტობს ადამიანის სისხლში და იწვევს მალარიას. მისი გადამტანია კოლო ანოფელესი.

**მალუსკო** – [იტალ. male დაავადება და secco მშრალი, გამხმარი] – ციტრუსების (უპირატესად ლიმონის) მძიმე სოკოვანი დაავადება; აზიანებს მერქანს, ნაყოფსა და თესლს. იწვევს მცენარის გახმობას.

**მალიგნიზაცია** – [ლათ. malignus მავნე, დამღუპველი] – სიმსივნის ავთვისებიანად გადაგვარება.

**მალტოზა** – ფერმენტი, რომელიც აჩქარებს მალტოზის ჰიდროლიზს (გახლეჩვას) ყურძნის შაქრად. მალტოზას შეიცავს, მაგალითად, ნერწყვი.

**მანანები** – პოლისაქარიდები, რომლებიც იმყოფებიან ზოგიერთი ხე მცენარის თესლში. მანანას შემადგენლობაში შედის D(+) მანოზა.

**მანიტი** – ნახშირწყალი.

**მანიტროფიციტობული ბაქტერიები** – ბაქტერიები, რომლებიც მონაწილეობენ ნიტრიფიკაციის პროცესში. ამ დროს ხდება ამიაკის დაჟანგვა აზოტოვან მჟავამდე (I-ლი საფეხური) და აზოტმჟავამდე (II საფეხური). მანიტროფიციტობული ბაქტერიებს მიეკუთვნება *Nitrosomonas* და *Nitrobacter*.

**მანიფესტაცია** – (ლათ. manifestus აშკარა) – აშკარად, ცხადად გამოხატული მოვლენა. მაგ., ავადმყოფობის სიმპტომების გამოვლინება ანუ მანიფესტაცია.

**მანიფესტური** – manifestus აშკარა, აშკარად გამოხატული, ცხადი.

**მანოზა** – ნახშირწყალი, რომელსაც აქვს ტკბილი გემო, იხსნება წყალში, კრისტალური ნივთიერებაა, ღლვება 132°C-ზე.

**მანომეტრი** – ხელსაწყო სითხის ან გაზის წნევის გასაზომად დასმულ სივრცეში (მაგ., ქვაბში).

**მარბუშბის ვირუსი** – ფილოვირუსების ოჯახში გაერთიანებული ვირუსი, რომელიც პირველად გამოყვეს 1967 წელს ქ. მარბურგში (მაინის ფრანკფურტის გარეუბანში).

**მარკერები** – მარკერებად გამოყენებულ გენეტიკურ გამოკვლევებში მუტირებული გენები.

**მარტივი ჰერპესვირუსი** – 1 – მიეკუთვნება ჰერპესვირუსების ოჯახს. მკვ-1 იწვევს გინგივოსტომატიტს, ფარინგიტს, ჰერპესულ ეგზემას და სხვ. ვირუსი პერსისტირდება სამწვერა ნერვის განგლიებში.

**მარტივი ჰერპესვირუსი** – 2 – მიეკუთვნება ჰერპესვირუსების ოჯახს, მკვ- 2 აზიანებს ზრდასრულებს. გადაეცემა სქესობრივი გზით.

**მასტიტი** – [ბერძნ. masto ძუძუ] – სარძევე ჯირკვლის ანთება. მაწავართი. წყლისა.

**მასტიდიტი** – [ბერძნ. masto eidēs, mastos ღვრილი, ძუძუს თავი, კერტი და eidos სახე] – საფეთქლის ძვლის ღვრილი-სებრი მორჩის ანთება. იგი შუა ყურის მწვავე ჩირქოვანი ანთების გართულების შედეგია ღვრილისებრ მორჩხე ანთებითი პროცესის გადასვლის გამო.

**მავოტოსინთეზირება** – ფოტოსინთეზის უნარის მქონე.

**მაჰმანიანი** – სახეებიანი თხელი ბადურა, ქსოვილი. ხმარობენ ტანსაცმლისა და თეთრეულის მოსართავად.

**მაღალკონტაგიოზური** – გადამდები დაავადება (შავი ნატურალური) ყვაილი, contagiosus (ლათ. contagio გადადება) – (მაგ., დაავადება, რომელიც გადაეცემა გადადებ საწყისთან უშუალო შეხებით).

**მაცერაცია** – ქსოვილის ურთიერთდაცილება (ბუნებრივად ან ხელოვნურად) უჯრედშორის ნივთიერებათა დაშლის შედეგად. მაცერაცია შეიძლება იყოს მთლიანი ან ნაწილობრივი. ნაწილობრივი მაცერაციის დროს უჯრედი მხოლოდ ზოგიერთ ნაწილში სცილდება მეზობელ უჯრედს.

**მბრძნობელობა** – ცოცხალი ორგანიზმის მიერ გაღიზიანებათა შეგრძნების უნარი.

**მეგაკოლონი** – [ბერძნ. megas დიდი და kolon მსხვილი ნაწლავი] – ადამიანის მსხვილი ნაწლავის ავადმყოფური გადიდება.

**მეგასპორა** – [ბერძნ. megas დიდი და spora თესლი] – ნაირსპოროვანი უმაღლესი მცენარეების მსხვილი სპორა.

**მეგასპოროზილი** – [ბერძნ. megas დიდი] – ფოთოლი, რომელზედაც ჩნდება ერთი ან ბევრი მეგასპორანგიუმი (სინონ. მაკროსპოროფილი).

**მედიკამენტი** – medicamentum წამალი – სამკურნალო ნივთიერებათა ზოგადი სახელწოდება.

**მედიკამენტოზური მკურნალობა** – წამლებით მკურნალობა.

**მედიკოსი** – [ლათ. medicus] – 1. მედიცინის სპეციალისტი; ექიმი. 2. სამედიცინო ინსტიტუტის (ფაკულტეტის) სტუდენტი.

**მედიცინა** – [ლათ. medicina] – მეცნიერება ადამიანის დაავადებათა, მათი მკურნალობისა და თავიდან აცილების შესახებ.

**მეზენტერიუმი, ვზრილი ნაწლავის ჯორჯალი** – (ბერძნ. mesos შუა, enteron – ნაწლავი) – პერიტონეუმის ორი ფურცელი, რომელთა თავისუფალ წინა კიდეში მდებარეობს წვრილი ნაწლავის ორი ნაწილი – მღივი და თემოს ნაწლავები, უფრო მოკლე უკანა კიდე, ე. წ. ჯორჯლის ფესვი კი მიმაგრებულია ხერხემალთან.

**მეზოთელიუმი** – mesothelium (ბერძნ. mesos შუა, thele ღვრილი) – სეროზული გარსების (მუცლის აკის, პლევრის, პერიკარდიუმის) ამომფენი ერთშირიანი ბრტყელი ეპითელიუმი.

**მეზოზილი** || **მეზოზილი** – ორგანიზმები, რომლებიც ცხოვრობენ ზომიერი ჰავის პირობებში და უკავიათ შუალედი ადგილი სითბოსა და სიცივისმოყვარულ ორგანიზმებს შორის.

**მეთანი** – [ფრანგ. methane] – უფერო აირი, ნახშირბადისა და წყალბადის ნაერთი.

**მეთანოლი** – იგივეა, რაც მეთილის სპირტი.

**მეთილი** – [ფრანგ. methule] – ერთი ატომი ნახშირბადისა და სამი ატომი წყალბადისაგან შემდგარი ჯგუფი, რომელიც შედის სხვადასხვა ორგანული ნაერთების შემადგენლობაში.

**მეთილამინი** – ორგანული ნაერთი, უმარტივესი ამინი. აქვს ამიაკის მძაფრი სუნი. წარმოიქმნება ხის მშრალი გამოხდის დროს და სხვა. იყენებენ ფარმაცევტული პრეპარატების წარმოებაში.

**მეთილენი** – [ფრანგ. methylene] – ერთი ატომი ნახშირბადისა და ორი ატომი წყალბადისაგან შემდგარი ჯგუფი, რომე-

ლიც შედის სხვადასხვა ორგანული ნაერთების შემადგენლობაში.

**მეთილენოლაუ** – [ფრანგ. methyle (იხ. მეთილი) და გერმ. blau ლურჯი] – ორგანული ნაერთი, გამოიყენება მედიცინაში.

**მეთილის სპირტი** – ხის სპირტი, უფერო სითხე, ხის მშრალად გამოსხვის ერთ-ერთი პროდუქტი. შხამიანია. გამოიყენება ტექნიკაში. უწოდებენ მეთანოლს.

**მეთილორანჟი** – [(იხ. მეთილი) და ფრანგ. orange – ფორთოხალი] – მეთილის ნარინჯისფერი საღებარი; იყენებენ უპირატესად ლაბორატორიებში (მოცულობითი ანალიზის დროს) როგორც მგრძობიარე ინდიკატორს მჟავიანობის ან ტუტეიანობის გასარკვევად.

**მეიოზი** – მცენარეთა და ცხოველთა სასქესო უჯრედების გამოყოფის პროცესი, რომლის შედეგადაც ქრომოსომათა რიცხვი ორჯერ მცირდება (ნახევრდება), რაც დამახასიათებელია ორგანიზმის სხეულის უჯრედებისათვის.

**მელანინი** – [ბერძნ. melas (melanos) შავი] – მცენარეული და ცხოველური ორგანიზმების შავი და მუქი ყავისფერი ან ყვითელი პიგმენტი, განსაზღვრავს კანის, თმის, ფრთის, ქერცლის და სხვათა შეფერილობას.

**მელანომა და მელანოგლასტომა** – [ბერძნ. melas (melanos) შავი და oma (დაბოლოება, რომელიც სიმსივნეს აღნიშნავს)] – ერთგვარი ავთვისებიანი სიმსივნე.

**მემბრანა** – membrana – აკი, გარსი ან თხელი ფორფიტა.

**მემბრანოტომინი** – ნივთიერებები, რომლებიც ამაღლებენ ერთობლივებისა (ჰემოლიზინებისა) და ლეიკოციტების (ლეიკოციტინების) ზედაპირული მემბრანის განვლადობას, იწვევენ პირველების ჰემოლიზს და მეორეების დაშლას.

**მემკვიდრული იმუნოდეფიციტი** – ნაკლოვანების მემკვიდრეობით გადაცემა.

**მენზურა** – [ლათ. mensura საზომი] – ჭიქის მსგავსი დანაყოფებიანი ჭურჭელი სითხის რაოდენობის გასაზომად. იყენებენ ლაბორატორიებში, ავთიაქებში.

**მენტოლი** – [ლათ. mentha პიტნა და oleum ზეთი] – გამჭვირვალე კრისტალური ნივთიერება. აქვს პიტნის მძაფრი სუნი, იყენებენ მედიცინაში, პარფიუმერიაში და სხვა.

**მენიერის დაავადება** – დაავადება, რომელსაც ახასიათებს თავბრუს დასხმის, გულისრევის, ღებინებისა და სხვათა შეგრძნებები. დაავადება ლაბირინთის (შიგა ყურის)

მოშლილობის შედეგია (ფრანგი ექიმის Meniere-ის (მე-19 საუკ.) სახელის მიხედვით).

**მენინგიტი** – meningitis (ბერძნ. menink ნათ. meningitos ტვინის გარსი, itis ანთება) – თავისა და ზურგის ტვინის გარსების ანთება. ტვინის რბილი გარსის ანთებას უწოდებენ ლეპტომენინგიტს, მაგარი გარსის ანთებას – პაქიმენინგიტს. შეიძლება გამოიწვიოს ტუბერკულოზის მიკობაქტერიებმა, პნემოკოკებმა, სტრეპტოკოკებმა, სტაფილოკოკებმა, მენინგოკოკებმა და სხვა. ახასიათებს შემაწუხებელი თავის ტკივილი, ღებინება, ტემპერატურის მომატება, კისრის კუნთების რიგიდობა, კიდურთა კონტრაქტურა, კრუნჩხვა, პარეზი და სხვა. თავ-ზურგ-ტვინის სითხის ხასიათის მიხედვით მენინგიტი შეიძლება იყოს სეროზული, ჩირქოვანი, ჰემორაგიული.

**მენინგოენცეფალიტი** – (ბერძნ. menink ტვინის გარსი, itis ანთება) – მწვავე ინფექციური დაავადება, გამოწვეული მენინგოკოკით – Neisseria meningitidis. ახასიათებს ენცეფალიტური მოვლენები, მოტორული აგზნება, კიდურებისა და თავის ქალის ნერვების პარეზი და დამბლები, ნათხემური ატაქსია, თვალის მოძრაობის დარღვევა და სხვა.

**მენინგოკოკი** – (ბერძნ. meninx ტვინის გარსი, kokkos იხ. კოკი) – ცერებროსპინალური ეპიდემიური მენინგიტის გამომწვევი დიპლოკოკი.

**მენინგოკოკემია** – გენერალიზებული ფორმა. პოსტინფექციური იმუნიტეტი დაძაბულია, განმეორებითი დაავადება ან რეციდივი იშვიათია. გენერალიზებული ფორმისას T-ლიმფოციტების შემცველობა კლებულობს, რაც კორელაციაში იმყოფება დაავადების სიმძიმესთან.

**მენინგომიელიტი** – (ბერძნ. meninx ტვინის გარსი, myelitis იხ. მიელიტი) – ზურგის ტვინისა და მისი გარსების ერთდროული ანთება.

**მერისტემა** – წარმომშობი ქსოვილი მცენარეში. არჩევენ კენწრულ, გვერდით და ჩართულ მერისტემებს; მერისტემას, სიტყვის ვიწრო გაგებით, ხშირად უწოდებენ წარმომშობი ქსოვილის ზრდის წერტილს, ე. წ. პრემერისტემას. წარმოადგენს არადიფერენცირებულ ქსოვილს, რომლის უჯრედები იმყოფება დაყოფისათვის მუდმივ მზადყოფნაში. მისი უჯრედები, დიფერენცირებული ქსოვილის უჯრედებთან შედარებით, ძალიან მცირე ზომისაა და თხელკედლიანია.

**მეოზოზოტა** – ბაქტერიების გენეტიკაში „ნაწილობრივი ზიგოტა“, რომელიც შეიცავს უჯრედი რეციპიენტის სრულ გენომს და უჯრედი დონორის ნაწილს. ეს უკანასკნელი შეიძლება სხვადასხვა ზომის იყოს.

**მეტაბიოზი** – სხვადასხვა სახეობის ორგანიზმთა ურთიერთკავშირი; ამასთან ეს ორგანიზმები ერთმანეთთან არც ისე მჭიდრო თანაცხოვრებაში არიან, როგორც ამას ადგილი აქვს სიმბიოზის დროს; მათი ურთიერთკავშირი მდგომარეობს იმაში, რომ ორგანიზმი წარმოქმნის აუცილებელ ნივთიერებას მეორე ორგანიზმისათვის ან ერთი ორგანიზმი ქმნის ხელსაყრელ პირობებს მეორე ორგანიზმის სიცოცხლისათვის.

**მეტაბოლიზმი** – (ბერძნ. metabole შეცვლა) – ორგანიზმში ნივთიერებათა ცვლა ანუ ასიმილაციისა და დისიმილაციის ერთობლიობა; მეტაბოლიზმი ცოცხალი ორგანიზმის ძირითადი თვისებაა.

**მეტაბოლიტები** – ორგანიზმის უჯრედების ცხოველყოფილობის (ნივთიერებათა ცვლის) შუალედი პროდუქტები.

**მეტაბენეზი** – [ბერძნ. meta შემდეგ და genesis წარმოშობა] – კანონზომიერი ცვლა ორი თაობისა, რომელთაგან ერთი მრავლდება სქესობრივად, ხოლო მეორე – უსქესოდ (ახსიათებს ზოგ ცხოველს).

**მეტაზოა** – [ბერძნ. meta შემდეგ და soa ცხოველები] – მრავალუჯრედიანი ცხოველების საერთო სახელწოდება (მდრ. პროტოზოა).

**მეტაკინეზი** – [ბერძნ. meta შემდეგ, გავლით და kinesis მოძრაობა] – უჯრედების გაყოფის ერთ-ერთი სტადიის (მეტაფაზის) საწყისი პერიოდი.

**მეტაკრილატები** – მეტაკრილმჟავას მარილები ანუ რთული ეთერები.

**მეტაკრილმჟავა** – მძაფრი სუნის მქონე უფერო სითხე. იყენებენ პოლიმერული პროდუქტების მისაღებად.

**მეტალიმნიონური** – ეპილიმნიონურ და ჰიპოლიმნიონურ შრეებს შორის გარდამავალი ფენა.

**მეტამერიზა** – სხეულის დანაწევრება ცალკეულ, ერთმანეთის მომდევნო მონაკვეთებად (მეტამერებად, სეგმენტებად), რომლებშიც ჩვეულებრივ ცოტად და ბევრად მეორდება ორგანოთა სისტემა. მაგ., რგოლიან ჭიებში. მას სეგმენტაციასაც უწოდებენ.

**მეტაპლაზია** – [ბერძნ. meta შემდეგ და plaza გარდაქმნა] – ცხოველური ან მცენარეული ორგანიზმის ქსოვილის უნარი, გარდაიქმნას სხვა ქსოვილად (მაგ., ხრტილოვანი ქსოვილის შემდეგ გარდაიქმნას ძვლოვან ქსოვილად).

**მეტასპაროზული ზონა** – ზომიერად დაბინძურებული წყალი, რომელშიც დაჟანგვისა და ნიტრიფიკაციის პროცესების თანხლებით აქტიურად მიმდინარეობს ორგანული ნივთიერებების მინერალიზაცია.

**მეტასტაზი** – 1. სისხლის ან ლიმფის ნაკადით ორგანული ნაწილაკების (მიკრობების, სიმსივნის უჯრედებისა და მარილებების) გადატანა, რაც დაავადების ახალ კერებს წარმოშობს; 2. სისხლის ან ლიმფის ნაკადით ორგანული ნაწილაკების გადატანის შედეგად გაჩენილი დაავადების მეორეული კერა.

**მეტაფაზა** – [ბერძნ. meta შემდეგ და ფაზა, phase (იხ. ფაზა)] – უჯრედის არაპირდაპირი გაყოფის (მიტოზის) ერთ-ერთი (სახელდობრ, მეორე) ფაზა.

**მეტაჰრომატული მარცვალი** – ვოლუტინი – სამარაგო ნივთიერება, რომელიც შედგება ნუკლეინის მჟავას, მეტაფოსფატისა და ცილისაგან. პირველად აღმოჩენილი იყო ბაქტერიის, სახელდობრ, *Spirillum volutans*-ის უჯრედში, შემდეგ კი სხვა ბაქტერიებში, საფუერებსა და ლურჯ-მწვანე წყალმცენარეებშიც კი.

**მეტიზაზონი (მარბორანი)** – ნატურალური ყვავილის ვირუსის ინჰიბიტორი.

**მეფაშული ბაქტერიები** – ბაქტერიების ჯგუფი, რომლებიც შეიცავენ წითელ და იისფერ პიგმენტებს.

**მეტჰემოგლობინი** – methaemaglobin (ბერძნ. meta ცვლილება, ha-ima (haema) სისხლი, ლათ. globus ბურთი) – ჰემოგლობინის მყარი ნაერთი; მეტჰემოგლობინის წარმოშობისას იცვლება რკინის ვალენტობა. ჰემოგლობინის მოლეკულაში შემაჯავალი ორვალენტოანი რკინა სამვალენტოანად გარდაიქნება. წარმოიქმნება ძლიერი დამჟანგველები: ფერიცინიდი (სისხლის წითელი მარილის), მანგანუმჟავა კალიუმის, ამილ- და პროპილნიტრიტების, ანილინის, ბერთოლეს მარილის, ფენაცეტინის მოქმედებისას.

**მზა ანტისხეულება** – შრატის ინუკულირება.

**მივლამარე ინფექცია** – ინფექცია, რომელიც უსიმპტომოდ არსებობს ანგენტის ორგანიზმში ლატენტური ინფექციიდან

დიდი ხნის მანძილზე ან გადატანილი ინფექციის შემდეგ.

**მიბრაცია** – განახლება, გადაადგილება, გადასახლება. 1. ცხოველთა ან მცენარეთა კანონზომიერი განახლება მის წარმოშობის კერიდან სხვა მხარეში, რაც მიმდინარეობს გარკვეული გზითა და გარკვეულ დროში მათი ისტორიული განვითარების პროცესში. 2. სხვა პოპულაციიდან მოცემულ პოპულაციაში გენოტიპის ჩართვა.

**მიელინი** – ცხიმისებურ ანუ ლიპოიდურ ნივთიერებათა ნაერთი, რომელიც შედის ნერვული ბოჭკოს გარსის შემადგენლობაში.

**მიელინის ბარსი** – ნერვული ბოჭკოს შიგნითა გარსი, რომელიც შეიცავს ცხიმს.

**მიელიტი** – [ბერძნ. myelos ტვინი] – ზურგის ტვინის ანთება.

**მიელოციტები** – ძეგლის წითელი ტვინის უჯრედები, რომლებიდანაც წარმოიქმნება გრანულოციტები.

**მიკოპლაზმური** – ჩხირისებრი ბაქტერიების ჯგუფი, რომლებიც ქმნიან გრძელ ძაფებს განშტოებებით, მრავლდებიან გაყოფით ან დაკვირვებით, აგრეთვე, ძაფის გაყოფით სფეროსებრ უჯრედებად, რაც მოგვაგონებს აქტინომიცეტების სპორებს; უმეტესი მათგანი მიეკუთვნება საპროფიტებს. გვხვდება პათოგენური ფორმებიც (მაგ., ტუბერკულოზისა და ღიფთერიის გამომწვევი ბაქტერიები).

**მიკოზი** – (ბერძნ. mykes სოკო, osis მდგომარეობა) – საერთო სახელწოდება ადამიანისა და ცხოველის სხვადასხვა დაავადებისა, რომელთაც პარაზიტი სოკოები იწვევენ.

**მიკოლოგია** – ბიოლოგიის დარგი, რომელიც სწავლობს სოკოებს, მათ სისტემატიკას, აგებულებას, განვითარებასა და სამეურნეო მნიშვნელობას.

**მიკოპლაზმა** || **მიკოპლაზმები** – მიკროორგანიზმთა ჯგუფი ან ჯგუფები, რომლებიც ბაქტერიებს შორის ყველაზე მცირე ზომისანი არიან და ვირუსების ზომას უახლოვდებიან. მიკოპლაზმები გარემოცული არიან პლაზმური მემბრანით. მათ უჯრედის კედელი არა აქვთ.

**მიკორიზა** – „სოკო-ფესვი“. სიმბიოზში მყოფი მრავალი მერქნიანი და ბალახოვანი მცენარის ფესვების დაბოლოებებისა და სოკოს მიცელიუმის ერთობლიობა. არჩევენ მიკორიზის ორ ტიპს: ენდოტროფულს და ექტოტროფულს.

**მიკოტრამიკოზი** – დაავადება, რომელიც გამოწვეულია მიკობაქტერიების პათოგენური ფორმებით.

**მიკოტროფული მცენარეები** – მცენარეები, რომლებიც იკვებებიან საკუთარ ფესვებზე დასახლებული სოკოების დახმარებით. მათ მიეკუთვნება მერქნიანი და ბალახოვანი მცენარეების უმრავლესობა. მიკოტროფულ მცენარეებად, სიტყვის ვიწრო გაგებით, ზოგჯერ თვლიან ისეთ უმაღლეს მცენარეებს, რომლებიც ყველა ნივთიერებას ნახშირბადის ჩათვლით იღებენ სოკოს დახმარებით.

**მიკროამროფილი** – (ბერძნ. micros პატარა, aer ჰაერი) – ობლიგატური აერობული პროკარიოტები, რომლებიც მცირე რაოდენობით მოითხოვენ ჟანგბადს და ზრდა შეუძლიათ ჰაერში, სადაც ჟანგბადის კონცენტრაცია 2%-ზე დაბალია.

**მიკრობების ანტაგონიზმი** – ერთი სახის მიკრობების შემაფერხებელი მოქმედება სხვა მიკროორგანიზმების ზრდასა და განვითარებაზე.

**მიკრობების ლიზატი** – მიკრობების დაშლის შედეგად მიღებული მასა.

**მიკრობენტონი** – ფსკერზე მცხოვრები უამრავი უწვრილესი (ათეული და ასეული მიკრონის ზომის) ორგანიზმი.

**მიკრობი** || **მიკრობები** – მიკროსკოპული ორგანიზმის საერთო სახელწოდება, რომლის მიხედვითაც მიკრობებს მიეკუთვნება ბაქტერიები, საფუარები, აქტინომიცეტები და სხვ. (იხ. მიკროორგანიზმები).

**მიკრობთა ასოციაცია** – სხვადასხვა სახის მიკრობთა გაერთიანება.

**მიკრობთა კულტურა** – იხ. მიკროორგანიზმების კულტურა.

**პირობენეზი** – (ბერძნ. pyr ცეცხლი, gennaო წარმოვქმნი) – ცხელების გამომწვევი ნივთიერებები.

**პირობენული** – pyrogenes (ბერძნ. pyr ცეცხლი, gennaო წარმოვქმნი) – 1. ცხელების გამომწვევი; 2. ცხელებით, ტემპერატურის მომატებით გამოწვეული.

**პირუპატი** – ორგანული მუავა – პიროყურძნის მუავა. ორგანიზმში ნახშირწყლების დაჯანგვის ერთ-ერთი პროდუქტი.

**პირუპატკინაზა** – ფერმენტი, რომელიც მოქმედებს პიროყურძნის მუავაზე.

**პლაზმა** – სისხლის თხელი, ჩვეულებრივ, უფერული ნაწილი, რომელიც განვითარებულია სისხლის უჯრედებისაგან. შეადგენს სისხლის საერთო მოცულობის 55-60%-ს.

**პლაზმიდები** – კრებითი ცნება იმ სტრუქტურებისა, რომლებიც წარმოადგენენ მემკვიდრეობის არაქრომოსომულ მატარებლებს.

**პლაზმოქსეზი** 1. პროტოპლაზმური თხელი ჭიმები, რომლებიც გადიან მცენარის უჯრედების გარსის არსებში და აკავშირებენ მეზობელი უჯრედების პროტოპლასტებს. 2. თხელი პროტოპლაზმური ძაფები, რომლებიც ერთმანეთთან აკავშირებენ ცხოველის სხვადასხვა ქსოვილის უჯრედებს და რომელთა გზით ხდება საკვები ნივთიერებებისა და გალიზიანების გადაცემა უჯრედიდან უჯრედში.

**პლაზმოდიუმი** – [ლათ. plasmodium] – უმარტივესი ორგანიზმი, რომელიც პარაზიტობს სისხლში. მალარიის გამომწვევი.

**პლაზმოკოპულაზა** – ფერმენტი, რომელიც შლის პლაზმას.

**პლაზმოლიზი** – პროტოპლაზმის მოცილება გარსიდან, რაც გამოწვეულია უჯრედის მიერ წყლის დაკარგვით.

**პლაზმური მემბრანა** – უჯრედის ცოცხალი მოქმედი ნაწილი, რომლის გზითაც ხდება უჯრედში საკვები ნივთიერებების შესვლა და უჯრედიდან დაშლის პროდუქტებისა და სეკრეტების გამოსვლა.

**პლანეტა** – (ბერძნ. planetes ცთომილი) – ციური სხეული, რომელიც მზის გარშემო ბრუნავს და არეკლილი მზის შუქით ანათებს; ცთომილი.

**პლაფერონი** – ცილოვან-პეპტიდური ბუნების პრეპარატი, რომელიც შეიცავს ფიზიოლოგიურად აქტიურ ნივთიერებებს, რაც ამ პრეპარატის ფარმაკოლოგიურ თვისებებს განსაზღვრავს.

**პლაცენტა** – placenta, კვერი – მომყოლი, აერთებს ჩანასახს დედის სხეულთან და უზრუნველყოფს ჩანასახის კვებასა და სუნთქვას.

**პლაცენტური იმუნოტეტი** – იმუნოტეტი, რომელიც განისაზღვრება ანტისხეულებით, რომლებიც დედის ორგანიზმიდან პლაცენტით ნაყოფს გადაეცემა.

**პლევრა** – pleura ბერძნ. pleura. სეროზული გარსი, რომელიც ფარავს როგორც ფილტვებს, ასევე სხვა ორგანოებსაც.

**პლემორფიზმი-პოლიმორფიზმი** – 1. ბიოლოგიაში – მცენარეთა, ცხოველთა ან მიკროორგანიზმთა ერთი და იმავე გვარის ან სახის ფარგლებში აგებულებით განსხვავებული მრავალი ფორმის არსებობა; 2. მედიცინაში – ავადმყოფური პროცესის მრავალსიმპტომიანობა; 3. ქიმიკაში – ნივთიერებების თვისება, დაკრისტალდნენ სხვადასხვა ფორმით.

**პლემტრიდიალური** – ბაქტერიულ უჯრედში ტერმინალურად ლოკალიზებული სპორა. ამ დროს უჯრედი ღებულობს დოლის ჯოხის ფორმას. ახასიათებს ტეტანუსის ანუ გაშეშების გამომწვევს.

**პლოსპირმის ნიადაგი** – სადიფერენციაციო-სადიაგნოსტიკო ნიღაბი ნაწლავთა ინფექციების გამომწვევებისთვის. პლოსპირმის ნიადაგში შედის შაქარი ლაქტოზა და ნატრიუმის სულფიტით გაუფერულებული ინდიკატორი ნეიტრალური წითელი. ის მიკრობები, რომლებიც არ გამოიმუშავენ ფერმენტ ლაქტაზას, ამ ნიადაგზე წარმოქმნიან უფერულ კოლონიებს (მაგალითად: მუცლის ტიფის, პარატიფის, დიზენტერიის ჩხირებს), ზოგიერთი მიკრობი კი ლაქტაზას შლის მჟავამდე. ასეთ შემთხვევაში ინდიკატორი აღდგება და კოლონია შეიფერება.

**პნევმოთორაქსი** – (ბერძნ. *pneuma* ჰაერი, *thorax* გულ-მკერდი) – ნეკნებისა და ფილტვების დაზიანების შედეგად ჰაერის ან სხვა რომელიმე აირის დაგროვება პლევრის ღრუში. პნევმოთორაქსი შეიძლება იყოს ღია, დახურული და სარქველოვანი. ღია პნევმოთორაქსის დროს პლევრაში დაგროვილი ჰაერი გულმკერდის ჭრილობით ან დიდი ბრონქით დაკავშირებულია ატმოსფეროსთან. დახურული პნევმოთორაქსის შემთხვევაში პლევრაში არსებულ ჰაერს ატმოსფეროსთან კავშირი არა აქვს. სარქველოვანი პნევმოთორაქსის დროს ფილტვების დაზიანებული ქსოვილის ნაფლეთი სარქველის მსგავსად ჩასუთქვის დროს ჰაერს უშვებს, ამოსუნთქვის დროს კი ხურავს ბრონქს და ჰაერი პლევრის ღრუში რჩება.

**პნევმოკოკები** – (ბერძნ. *pneumon* ფილტვი და *kokkos* მარცვალი) – პნევმონიის გამომწვევი მიკრობები. წაგრძელებული ფორმის გრამდადებითი დიპლოკოკები, რომლებიც იწვევენ კრუპოზულ პნევმონიას, მენინგიტს, ბრონქოპნევმონიას.

**პნევმოლიზი** – (ბერძნ. *pneumon* ფილტვი, *lysis* დაშლა) – ფილტვის ნაწიბურებისაგან განთავისუფლების ოპერაცია. ძირითადად მიმართავენ ფილტვის ტუბერკულოზის მკურნალობისას.

**პნევმოლიზინი** – ტოქსინი, რომელიც ფიქსირდება ქოლინის შემცველ რეცეპტორებზე.

**პნევმომიკოზი** – *pneumomycosis* (ბერძნ. *pneumon* ფილტვი, *mykes* სოკო) – სოკოთი ფილტვების დაავადება.

**პნევმონია** – *pneumonia* (ბერძნ. *pneumon* ფილტვი) – ფილტვების ანთება, თავისთავადი ინფექციური დაავადება ან სხვა ავადმყოფობის, უმთავრესად ინფექციური დაავადების, გართულება.

**პნევმონიის კლემსიელა** – *Klebsiella pneumoniae* – მოკლე მსხვილი გრამუარყოფითი ჩხირი, რომელსაც აქვს კარგად გამოხატული კაფსულა; იწვევს პნევმონიას.

**პოდაგრა** – [ბერძნ. *podagra*] – სახსრებისა და ქსოვილების დაავადება, რომელიც გამოწვეულია ორგანიზმში ნივთიერებათა ცვლის დარღვევით. ახასიათებს მარილების დალექვას, ნიკრისის ქარი.

**პოზიტიური** – 1. დადებითი (საპირისპ. ნეგატიური). 2. ცდაზე, ფაქტზე დამყარებული. მაგ., პოზიტიური მეცნიერებანი. 3. რაც პოზიტივს წარმოადგენს. მაგ., პოზიტიური გამოსახულება.

**პოლაკიურია** – [ბერძნ. *pollakis* ხშირად და *uron* შარდი] – შარდის გახშირებული გამოყოფა.

**პოლიართრიტი** – *polyarthritis* (ბერძნ. *poly* – ბევრი, *arthron* სახსარი, *-itis* ანთება) – ერთდროულად რამდენიმე სახსრის ანთება. დაავადებას იწვევენ ძირითადად სტრეპტოკოკები. ხელშემწყობი მიზეზებია სიცივე, ტენიანობა და სხვ.

**პოლიდიპსია** – [ბერძნ. *polydipsia* – დიდად მწყურვალი] – ავადმყოფურად გაძლიერებული წყურვილი (მაგ., დიაბეტის დროს).

**პოლიეთიოლოგიური** – [ბერძნ. *poly* – ბევრი, *eatiologia* (ბერძნ. *aitia* (aetia) მიზეზი, *logos* მოძღვრება)] – დაავადების წარმოშობის მრავალი მიზეზი.

**პოლივალენტური** – აღსორბირებული შრავი, რომელიც შეიცავს ავლუტინინების რამდენიმე სახეობას.

**პოლივალენტური შავი** – ბაქტერიების ვირუსები, რომლებიც ახდენენ მონათესავე სახეობის ბაქტერიების ლიზისს.

**პოლიმერაზები** – ფერმენტები, რომლებიც ხელს უწყობენ პოლიმერების სინთეზს.

**პოლიმერაზული ჯაჭვური რეაქცია** – სპეციფიკური ჯაჭვური რეაქცია, რომელსაც ატარებენ სპეციალურ აპარატურაში – ამპლიფიკატორში. ეს რეაქცია გამოიყენება ბაქტერიული და ვირუსული ინფექციების სადიაგნოზოდ.

**პოლიმერები** – ნივთიერებები, რომლებიც მიიღებიან ერთნაირი მოლეკულების უფრო დიდ მოლეკულებად შეერთების შედეგად.

**პოლიმორფიზმი** – მცენარეების, ცხოველების ან მიკროოგანიზმების ერთი და იმავე გვარის ან სახეობის ფარგლებში მორფოლოგიურად განსხვავებული მრავალი ფორმის არსებობა.

**პოლიმორფული** – მრავალფორმიანი, მრავალფეროვანი.

**პოლიმორფულ-პირთვიანი ლეიკოციტები** – ნეიტროფილები, რომელთა ძირითადი ფუნქციაა ფაგოციტოზისა და ანტისხეულის გამოყოფა.

**პოლიმორფული კოლონია** – კოლონია, რომელიც შედგება სხვადასხვა აგებულების ინდივიდთა ჯგუფებისაგან.

**პოლიმორფულიზა** – მრავალფორმიანობა, მრავალფეროვნება.

**პოლიმორფული სახეობა** – სახეობა, რომელიც მოიცავს მრავალ სახესხვაობასა და ფორმას.

**პოლიმერობი** – (ბერძნ. poly – ბევრი, neuron – ნერვი) – რამდენიმე ნერვის ერთდროული ანთება, გვხვდება სხვადასხვა სახის ინტოქსიკაციისა და ინფექციის დროს.

**პოლინუკლეოტიდი** – პოლიმერი, რომელიც შედგება მონონუკლეოტიდებისაგან. მონონუკლეოტიდი კი შედგება აზოტოვანი ფუძის (ადენინის, გუანინის, ციტოზინის, თიმინის, ურაცილის), ნახშირწყლისა (რიბოზის ან დეოქსირიბოზის) და ფოსფორის მჟავას ნაშთისაგან.

**პოლიომიელიტი** – ბავშვთა (მეტწილად 2-4 წლამდე) დამბლა – საშიში ინფექციური დაავადება, რომელიც უმთავრესად ნერვულ სისტემას აზიანებს. პირველად აღწერა გერმანელმა ექიმმა ი. გვინემ 1840 წელს. გამომწვევია ვირუსი.

**პოლიომიელიტის ვირუსები** – ჰაინე-მედინას დაავადების გამომწვევი ვირუსები. ამ ვირუსებისადმი განსაკუთრებით მგრძობიარენი არიან ბავშვები, თუმცა ავადდებიან მოზრდილებიც. ეს ვირუსი 1909 წელს გამოიყოფა კლანდშეინერმა და პოპერმა.

**პოლიორბანული ტროპიზმი** – ადამიანის ნებისმიერი ორგანოსა და ქსოვილის რეცეპტორებზე მიკრობების მიმაგრების უნარი.

**პოლიპეპტიდები** – პეპტიდები, რომლებიც შედგება მრავალი ამინომჟავას ნაშთისაგან.

**პოლიპლოიდი** – ორგანიზმი, რომლის უჯრედები შეიცავს ორზე მეტ სრულ ჰაპლოიდურ ქრომოსომათა რაოდენობას.

**პოლიპლოიდა** – უჯრედში ქრომოსომათა რიცხვის გადიდება (ორჯერ უფრო მეტჯერ, ნორმალურთან შედარებით), რაც

იწვევს ორგანიზმის მორფოლოგიურ და ფიზიოლოგიურ ცვლილებებს.

**პოლირიზოსომა** – საინფორმაციო რნმ-ის მოლეკულაზე ერთდროულად განლაგებული რიბოსომების ჯგუფი. შემოკლებით პოლისომა. იხ. პოლისომა.

**პოლისაპროპი** – ორგანიზმები, რომლებიც ცხოვრობენ ორგანული ნივთიერებების შემცველ, ადვილად ლპობადი მცენარეული და ცხოველური ახალი ნარჩენებით ძლიერ დანაგვიანებულ უსუფთაო წყლებში.

**პოლისაპროპული ზონა** – ჟანგბადით ღარიბი, ორგანული ნივთიერებებით მდიდარი, ძალზე დაბინძურებული ზონა.

**პოლისაპროპული წყალსატემი** – ძლიერ გაჭუჭყიანებული წყალსატემი.

**პოლისაქარიდები** – რთული ნახშირწყლები, რომელთა მოლეკულები შედგება მონოსაქარიდების (მარტივი შაქრების) ან მათთან ახლოს მდგომი ნივთიერებების (გლიკოგენის, უჯრედისის და სხვათა) რამდენიმე მოლეკულისაგან.

**პოლისომა** – იხ. პოლირიბოსომა.

**პოლიუზია** – შარდის დიდი რაოდენობით გამოყოფა.

**პოლივილმეტური** – ორგანიზმი ან ორგანიზმთა ჯგუფი, რომელიც რამდენიმე წინაპრიდანაა წარმოშობილი.

**პოლივიოლმენტურიზა** – კბილების ახლით შეცვლა მათი გაცვების შემდეგ.

**პოლივოსფატური ბრანშული** – ვოლუტინის მარცვლები, რომლებიც წარმოადგენენ სამარაგო ნივთიერებებს და ქმნიან ფოსფორის მარაგს ბაქტერიულ უჯრედში. პოლივოსფატური გრანულები მხოლოდ ბაქტერიებს ახასიათებთ და აქვთ სადიაგნოსტიკო მნიშვნელობა.

**პოლიცენოზი** – ფიტოცენოზი, რომლის შემადგენლობაში შედის უმაღლეს მცენარეთა დიდი რიცხვი; პოლიცენოზებს მიეკუთვნება მცენარეთა თანასახოგადობის უმეტესობა.

**პოპულაცია** – populatio (ფრანგ.) მოსახლეობა – გარკვეულ არეალში გავრცელებული ერთი სახის მცენარეთა ან ცხოველთა ერთობლიობა.

**პოპულაციის სიმპლოტიზმი** – ინდივიდთა საერთო რაოდენობა პოპულაციაში ფართობის ერთეულზე.

**პორფინი ანუ ჰემი** – (ბერძნ. porphyriz ძოწის საღებავი) – რკინის შემცველი პიგმენტი.

**პოსტინფექციური** – (ლათ. post შემდეგი. ლათ. infectio ვწამლავ, ვასენიანებ) – დასენიანების შემდეგ.

**პოსტინფექციური იმუნიტატი** – ინფექციის გადატანის შემდეგ, მაგალითად, ყბაყურის, დიფთერიისა და სხვ. ინფექციური დაავადების გადატანის შემდეგ შექმნილი იმუნიტეტი.

**პოსტინფექციური ბართულაზები** – ინფექციის გადატანის შემდეგ გართულებები.

**პოსტულატი** – (ლათ. postulatum) – მტკიცება, რომელიც აღიარებულია რაიმე თეორიის ამოსავალ დებულებად დასაბუთების გარეშე.

**პოტენცია** – (ლათ. potentia ძალა) – ფარული შესაძლებლობა, უნარი, რომელიც შეიძლება გამოვლინდეს სათანადო პირობებში.

**პრევენცია** – (ლათ. praeventio) – წინასწარი ზომების მიღება რაიმეს თავიდან ასაცილებლად.

**პრევენციული** – praeventivus – დამცველი – თავიდან ასაცილებელი, დაცვითი. მაგალითად, პრევენციული აცრა.

**პრევენციული** – ღონისძიებები – დაცვითი ღონისძიებები.

**პრეპარატი** – 1. მცენარის, ცხოველის ან მიკროორგანიზმის ნაწილი, რომელიც დამზადებულია გამოკვლევისა და სასწავლო მიზნისათვის და სხვა. 2. ქიმიური ანალიზისათვის მომზადებული ნივთიერება. 3. ქიმიური ან ფარმაცევტული პროდუქტი, დამზადებული ლაბორატორიული ან საფაბრიკო წესით.

**პრეპარატის ძიმიოთერაპიული ინდექსი** – პრეპარატის კლინიკური ვარგისიანობის ძირითადი მაჩვენებელი, რომელსაც საზღვრავენ სპეციფიკური ეფექტურობის ტოქსიკურობასთან შედარებით.

**პრეციპიტატი** – ნალექი.

**პრეციპიტაცია** – praecipitatio – (ლათ. praecipito ძირს) – 1. დალექვა. 2. იმუნური რეაქცია, რომელიც ექვემდებარება აგლუტინაციის კანონებს. მასში მონაწილეობს ორი ფაქტორი: პრეციპიტინი და შესაბამისი ანტიგენი პრეციპიტინოგენი, რომელთა შერევის შედეგად წარმოიქმნება ნალექი – პრეციპიტატი.

**პრეციპიტინი** – სისხლის შრატის ნივთიერება, რომელიც იწვევს ორგანიზმისათვის უცხო ცილების დალექვას.

**პრეციპიტირებული შრატი** – ანტისხეულების შემცველი შრატი, რომელიც სსნარში დისპერსიულ-კოლოიდურ მდგომარეობაში მყოფ ანტიგენებს აღმოაჩენს.

**პრეპროდრომი** – შიდსის წინა სტადია, როცა ავადმყოფს უვითარდება ამ დაავადების პირველი სიმპტომები და სისხლში მცირდება T4 ჰელპერების რაოდენობა.

**პროინფექციური** || **პროინფექციური** – ცილოვანი ინფექციური აგენტები (ინგლ. proteinaceous infectio) – ნიშნავს პროტეინულ ინფექციებს.

**პრობიოტიკები** – (ბერძნ. pro წინ, ნაცვლად, bios სიცოცხლე) – იმუნობიოლოგიური პრეპარატები, რომლებსაც იყენებენ დისბაქტერიოზის (დისბიოზების) შემთხვევაში. იყენებენ როგორც პროფილაქტიკური, ისე – სამკურნალო მიზნით.

**პრობუნატი** – პრობუნატი, რომელსაც გამოყოფს საკვებების ყვითელი სხეული; ხელს უწყობს განაყოფიერებულ კვერცხსუჯრედის განვითარებასა და ორსულობის შენარჩუნებას.

**პროგრესირებადი** – (ლათ. progressus წინსვლა) – რაც თანდათანობით იზრდება, ძლიერდება. მაგ., პროგრესირებადი დამბლა.

**პროგრესირებადი დამბლა** – ნევროსიფილისის პარენქიმული ფორმა. ვითარდება სიფილისური ინფექციის შეჭრიდან 8-15 წლის შემდეგ. ახასიათებს როგორც ნევროლოგიური, ისე ფსიქიკური სიმპტომები (ჰუასუსტობა, ბოდვა, ჰალუცინაცია, მეტყველების მოშლა და სხვ.). მკურნალობა დაწყებით სტადიაში ეფექტურია.

**პროდიგოზი** – ღია წითელი ფერის საღებავი, რომელსაც წარმოქმნის ზოგიერთი სერატია (*Serratia marcescens*).

**პროდრომული** – (ბერძნ. prodromos – მაუწყებელი) – მომასწავებელი, წინამორბედი, წინამავალი.

**პროდრომული პერიოდი** – studium prodromale (ლათინ. studium სტადია, პერიოდი) – ინფექციური დაავადების დამახასიათებელი სტადია, როდესაც ადამიანი შეუძლოდ გრძნობს თავს, მაგრამ დაავადების დამახასიათებელი ნიშნები ჯერ არ ჩანს.

**პროდუცენტები** – ორგანიზმები, რომლებიც არაორგანული ნივთიერებებიდან წარმოქმნიან ორგანულ ნივთიერებებს.

**პროვირუსი** – უჯრედულ გენომში ინტეგრირებული ვირუსი.

**პროთეზი** – prothesis (ბერძნ. pro – წინ, ნაცვლად, thesis – დადგმა) – სხეულის ხელოვნური ნაწილი (ფეხი, ხელი, კბილი და სხვ.), რომელიც გაკეთებული აქვთ დაკარგული სათანადო

დო ბუნებრივი ნაწილის ნაცვლად.

**პროტომობინი** – სისხლის პლაზმის შემადგენელი ცილოვანი ნივთიერება, რომელიც კალციუმის მარილებთან ერთად წარმოქმნის თრომბინს.

**პროკარინი** || **პროკარინობი** – ორგანიზმები, რომელთაც არ აქვთ ნამდვილი ბირთვი. პროკარინობებს მიეკუთვნებიან: ბაქტერიები და ციანობაქტერიები ანუ ლურჯ-მწვანე წყალმცენარეები.

**პროლიფერაცია** – (ლათ. proles შთამომავლობა, fero მომაქვს) – 1. უჯრედების დაყოფით გამრავლება რეგენერაციული პროცესის დროს. 2. სიმსივნური უჯრედების ინტენსიური გამრავლება.

**პროლიფიკაცია** – მცენარის ზრდადასრულებული ორგანოდან ახალი ორგანოს განვითარება. მაგ., ყვავილის ზევით წარმოქმნება შეფოთილი ფლორტი ან ახალი ყვავილი.

**პროპანოლი** –  $CH_3-CH_2-CH_2OH$ . სითხე, წყალში იხსნება ნებისმიერი პროპორციით. აქვს ღვინის სპირტის სუნი.

**პროპერდინი** – სისხლის ცილა; ბუნებრივი იმუნიტეტის შემქმნელი ერთ-ერთი ძირითადი ფაქტორი.

**პროსპორა** – სპორის ჩანასახი (კერძოდ, ბაქტერიებში).

**პროსტატა** – წინამდებარე ჯირკვალი (ბერძნ. prostates – წინმდგომი) – მამაკაცის დამხმარე სასქესო ჯირკვალი, წაბლისებრი ფორმის და ზომისა. მის სისქეში გაივლის შარდსადენის დასაწყისი ნაწილი.

**პროსტატექტომია** – prostatectomy (ლათინ. prostata – იხ. პროსტატა, ბერძნ. ektome ამოკვეთა) – გადიდებული წინამდებარე ჯირკვლის ამოკვეთა.

**პროსტატიტი** – prostatitis (ლათ. prostata – მამაკაცის დამხმარე სასქესო ჯირკვალი, ბერძნ. -itis ანთება) – წინამდებარე ჯირკვლის ანთება.

**პროსტატორეა** – prostaticorrhoea (ლათინ. prostata – იხ. პროსტატა, ბერძნ. rheo მოვედინები) – მოშარდვისა და დეფეკაციის დროს შარდსადენიდან წინამდებარე ჯირკვლის სეკრეტის გამოყოფა სპერმატოზოიდების გარეშე.

**პროტეაზები** – ფერმენტების ჯგუფი, რომელიც ხელს უწყობს ცილების ჰიდროლიზს (ამინომჟავათა სტადიამდე).

**პროტეიდები** – რთული ცილები, წარმოადგენენ ცილების სხვადასხვა (არაცილოვანი ბუნების მქონე) ნივთიერებებთან შეერთების პროდუქტს. პროტეიდებს მიეკუთვნება ზოგი ფერმენტი, ქსოვილთა და უჯრედთა ცილების მნიშვნე-

ლოვანი ნაწილი, სისხლის შრავი და სხვა.

**პროტეინი** || **პროტეინობი** – მარტივი ცილები; ნივთიერებანი, რომელთა მოლეკულები მთლიანად აგებულია ამინომჟავების ნაშთებისაგან. მათ საკუთრივ ცილებსაც უწოდებენ.

**პროტეინაზები** – ცილების ჰიდროლიზის პროცესის ხელშემწყობი (კატალიზატორი) ფერმენტები.

**პროტეინკინაზა** – პროტონკოგენის პროდუქტი, რომლის აქტიურობისა და სპეციფიკურობის დარღვევა განიხილება როგორც საწყისი გამწვები მექანიზმი ნორმალური უჯრედების სიმსივნურ უჯრედებად გარდაქმნისას. პროტეინკინაზა ახდენს უჯრედის ცილებში ზოგიერთი ამინომჟავას ფოსფორილირებას.

**პროტეუსი** – გრამუარყოფითი ჩხირი, რომელიც იწვევს საშარდე ტრაქტის ინფექციებს. ზოგიერთი სახეობა იწვევს პნევმონიას.

**პროტექტორი** || **პროტექტორული** – (ლათ. protector) – ანტისხეულები, რომელთაც დაცვითი თვისებები აქვთ.

**პროტისტები** – უმარტივესნი. უმდაბლეს მცენარეთა, მიკროორგანიზმთა და ერთუჯრედიან ცხოველთა საერთო სახელწოდება.

**პროტოზოა** || **პროტოზოები** – უმარტივესები, ერთუჯრედიანი ცხოველური ორგანიზმების საერთო სახელწოდება.

**პროტოზოლოგია** – ზოოლოგიის ნაწილი, რომელიც სწავლობს ერთუჯრედიან (უმარტივეს) ცხოველებს.

**პროტოზოული დაავადებანი** – დაავადებანი (მაღარია...), რომლებიც გამოწვეულია პარაზიტი უმარტივესი ცხოველები-საგან.

**პროტომერი** – ვირუსის სტრუქტურული ერთეული, წარმოდგენილია ცილებით.

**პროტონკოგენი** – გენის ოჯახი, რომელიც ნორმალურ უჯრედებში ასრულებს სიცოცხლისთვის მთავარ ფუნქციას. აუცილებელია მათი ზრდისა და გამრავლების რეგულაციისთვის.

**პროტოპლაზმა** – ცოცხალი უჯრედის ყველა შემადგენელი ნაწილის ერთობლიობა უჯრედის გარსის გამოკლებით. წარმოადგენს ბიოკოლოიდების უფერულ, ნახევრად თხევად, გამჭვირვალე მასას.

**პროტოპლასტი** – უჯრედის ცოცხალი მასა, რომელშიც ჩვეულებრივ გულისხმობენ ციტოპლაზმას, ბირთვსა და პლასტი-

დებს; უჯრედის შიგთავსი.

**პროტოტროფი** – ბაქტერიები, რომლებიც მათთვის საჭირო ყველა ნივთიერებას თვითონ აწარმოებენ და მზა ნივთიერებებს არ საჭიროებენ.

**პროტოტროფული ბაქტერიები** – ბაქტერიები, რომლებიც თვითონ აწარმოებენ ქემოსინთეზს ან ფოტოსინთეზს. ე. ი. არ საჭიროებენ მზა ორგანულ ნივთიერებებს. ხშირად მათ ავტოტროფულ ბაქტერიებსაც უწოდებენ, რაც უფრო მისაღებია.

**პროვაბი** – მასპინძლის გენომთან ასოცირებული ფაგის დნმ-ი.

**პროფილაქტიკა** – (ბერძნ. prophylatto ვიცილებ, ვუფრთხილდები) – ღონისძიებანი, რომელთა მიზანია დაავადების აცდენა.

**პროფილაქტიკური** – prophylacticus (ბერძნ. prophylaktikos დამცველი) – პროფილაქტიკასთან დაკავშირებული, გაფრთხილებითი, დაცვითი.

**პროფილაქტორიზმი** – სამკურნალო-პროფილაქტიკური დაწესებულება.

**პროფუნუმი** – (ლათ. profundo – ვღვრი) – უხვი, ძალიან ძლიერი (სისხლის დენა, ფაღარათი).

**პულპა** – რბილი (ხორცი) – 1. ფაშარი შემაერთებული ქსოვილი, რომლითაც ამოვსებულია კბილის გვირგვინისა და ფეხვის ღრუ. 2. ელენთის ძირითადი მასა, რომელიც შედგება რეტეკულური ქსოვილისაგან.

**პულპიტი** – pulpitis (ლათ. pulpa იხ. პულპა, ბერძნ. -itis ანთება) – კბილის პულპის ანთება.

**პულსაცია** – პულსის ქონა, გულის ცემა, სისხლძარღვების ძგერა.

**პულსი** – სისხლძარღვთა კედლების ძგერა, რომელიც გამოწვეულია გულის ყოველი შეკუმშვისას მისგან სისხლის გამოდენით (ისინჯება იქ, სადაც მსხვილი არტერიები სხეულის ზედაპირთან ახლოსაა. მაგ., მაჯის შიგნითა მხარეს, საფეთქლებზე და სხვ.).

**პულსი არტირიული** – pulsus ბიძგი – არტერიული კედლის რიტმული რხევები, განპირობებულია მარცხენა პარკუჭიდან აორტაში სისხლის გადასვლის შედეგად მისი კედლის შერხევით და ამ ტალღის სისხლძარღვის კედლის გასწვრივ გავრცელებით. ისინჯება მაჯაზე თითის დადებით (ამ შემთხვევაში ითქმის „მაჯისცემა“), საფეთქლებზე, ქვედა ყბის კუთხესთან, საზარდულის არეში და სხვ. სიმშვიდის დროს პულსის ნორმალური სიხშირეა 70-80 წუთში. ბავშვებს უფრო ხშირი პულსი აქვთ, ვიდრე –

მოზრდილებს. პულსის სიხშირე შეესაბამება გულის შეკუმშვათა რიცხვს.

**პუნქცია** – punctio – ჩხვლეტა – სხეულის რომელიმე ღრუს ან სისხლძარღვის გაჩხვლეტა სამკურნალო ან დიაგნოსტიკური მიზნით.

**პურიონი** – ორგანული ფუძე ნახშირბადისა და აზოტის ატომებისა ორი სპეციალური რგოლით; შედის ნუკლეინის მჟავას, ატფ-ისა და ბიოლოგიურად აქტიურ ნივთიერებათა შემადგენლობაში.

**პურიონული ვაქცინა** – აზოტ-შემცველი პეტროციკლური ნაერთები, პურინის ნაწარმები.

**პუსტულა** – pustula (ლათ. pus ჩირქი) – ჩირქოვანი ბუშტუკი, ჩირქოვანი კანზე.



**ჰანგვა-ალღბენითი რეაქციები** – ქიმიური რეაქციები, რომელთა დროს იცვლება ატომების დაჟანგვის ხარისხი.

**ჰელატიონი** – ცხოველური წარმოშობის ცილოვანი ნივთიერება, რომლის ხსნარი გაცივებისას იქცევა ლაბად (სქელ ფაფისებრ მასად). იყენებენ ტექნიკაში, მედიცინაში, კულინარიასა და მიკრობიოლოგიაში.

**ჰენზენი** – ბალახოვანი მცენარე. იზრდება შორეულ აღმოსავლეთში. იყენებენ მედიცინაში.



**ჰაბლოვირუსები** – ადამიანისათვის პათოგენური ვირუსები, რომლებიც გაერთიანებულია Rhabdoviridae-ს ოჯახში. ამ ოჯახში შედის ადამიანისათვის პათოგენური ვეზიკულური სტომატიტისა და ცოფის ვირუსები.

**რადიაქტიური ფონი** – ბუნებრივი და ხელოვნური რადიაქტივობის დონე ბიოგეოცენოზის პირობებში.

**რადიაქტიურობა** – ქიმიური ელემენტის ატომგულის თვითნებურად ან ხელოვნურად გამოწვეული დაშლა, რასაც თან სდევს ელექტრონების, პოზიტრონებისა და სხვა ელემენტარული ნაწილაკების გამოსხივება.

**რადიაცია** – [ლათ. radiatio]. რომელიმე სხეულის მიერ ელექტრომაგნიტური ენერჯის გამოსხივება. მაგალითად, მზის რადიაცია; რაიმეს გავრცელება ცენტრიდან რადიუსების მიმართულებით, სხვისებურად.

**რადიკალი** – (ლათ. radicalis ძირისა, ძირითადი) – 1. (მათემ.) ფესვის ამოღების, ამოფესვის ნიშანი. 2. (ქიმ.) ატომთა ჯგუფი, რომელიც ერთი ნაერთიდან მეორეში უცვლელად გადადის. რადიკალი არის უმუხტო ნაწილაკი გაუწყვილებელი ელექტრონით. მაგალითად, ნახშირბადოვანი რადიკალი –  $\text{CH}_3$ ;  $\text{C}_2\text{H}_5$ ; და სხვა.

**რადიკალების ტრანსლოკაცია** – (ლათ. trans იქით, იქითა, locus ადგილი) – გადატანა, მაგალითად, რადიკალების ტრანსლოკაცია.

**რადიკულიტი** – [ლათ. radícula პატარა ძირი, პატარა ფესვი] – ზურგის ტვინის ნერვთა ფესვების ანთება.

**რადიობიოლოგია** – მეცნიერება, რომელიც სწავლობს რადიაქტიული გამოსხივების მოქმედებას ცხოველებზე, მცენარეებსა და მიკროორგანიზმებზე.

**რადიოთერაპია** – რადიუმითა და სხვა ნივთიერებებით მკურნალობა.

**რადიოიზმური რეაქცია** – რეაქცია, რომელიც მიმდინარეობს ნიშანდებული ანტიგენების ან ანტისხეულების მონაწილეობით.

**რადიომბრძნობილობა** – ბიოლოგიური ობიექტების თვისება, შეიცვალონ მაიონიზებული რადიაციის გავლენით.

**რადიორეზისტენტობა** – ორგანიზმის ან ქსოვილის გამძლეობა სხვადასხვა მაიონიზებული ზემოქმედების მიმართ.

**რადიოსენსიბილიზაცია** – ბიოლოგიური სისტემების რადიომბრძნობიარობის ამადლების საშუალება მაიონიზებელ გამოსხივებათა მავნე ზემოქმედების მიმართ.

**რადიოტოქსიკა** – ორგანიზმის მოწამვლა რადიოაქტიური ნივთიერებებით.

**რასა** – ტაქსონომიური კატეგორია, რომლითაც ბოტანიკასა და ზოოლოგიაში გამოხატავენ ეკოლოგიურად, გეოგრაფიულად,

ზოგჯერ კი მორფოლოგიურად მეტ-ნაკლებად გამიჯნულ ინდივიდთა ჯგუფებს სახეობის ან ქვესახეობის შიგნით.

**რახიტი** – [ბერძნ. rhachis ხერხემალი] – ბავშვთა დაავადება, რომლისთვისაც დამახასიათებელია ძვლებისა და ნერვული სისტემის განვითარების დარღვევა. გამოწვეულია ორგანიზმში მინერალური მარილების ცვლის მოშლით.

**რახიტოზიზმი** – რახიტის ნიშნების ერთობლიობა.

**რაციონალური ბზა** – (ლათ. rationalis) – გონივრული, მიზანშეწონილი გზა.

**რბოლპრეპიტაციის რეაქცია** – სინჯარაში საპრეციპიტაციო შრატისა და ანტიგენის საზღვარზე წარმოქმნილი პრეციპიტის თეთრი რგოლი.

**რეაგენტების დიფუზია** – (ლათ. re – წინააღმდეგ და agens მოქმედი) – ქიმიურ რეაქციაში მონაწილე ნივთიერებების ატომებისა ან მოლეკულების თანდათანობითი ერთმანეთში შეღწევა მათი თბური მოძრაობის შედეგად.

**რეაქტიზმი** – ქიმიური ნივთიერება, რომელსაც იყენებენ ლაბორატორიაში სხვადასხვა სახის სამუშაოებისათვის. მაგალითად, სამედიცინო ანალიზისათვის.

**რეაქტივაცია** – reactivatio (ლათ. re – კვლავ, activus – მოქმედი) – 1. სამოქმედო მდგომარეობაში დაბრუნება. 2. ავადმყოფობის კვლავ დაბრუნება, გამწვავება.

**რეაქტობუნებრობა** – რეაქციის უნარის მქონე.

**რეაქცია** – 1. ორგანიზმის საპასუხო მოქმედება გარეგან ან შინაგან გაღიზიანებაზე. 2. ორი ან რამდენიმე ნივთიერების ურთიერთქმედება, რომლის შედეგად წარმოიქმნება ახალი ნივთიერება. 3. რომელიმე ზემოქმედების საპასუხო რეაქცია.

**რეზენერაცია** – ორგანიზმის მიერ დაკარგული ორგანოების ან მათი ნაწილებისა და ფუნქციის აღდგენა.

**რეგიონული** – (ლათ. regio მხარე, ხაზი, მიმართულება) – ადგილობრივი, რაც ეხება ცალკეულ მხარეს, მიდამოს, სხეულის რომელიმე განსაზღვრულ არეს ან ნაწილს.

**რელუბიკაცია** – გაორმაგება. მაგ., ქრომოსომის გარკვეული სეგმენტის გაორმაგება ქრომოსომთა პაპლოიდურ ანაწყოში.

**რელუცენტები** – ორგანიზმები, რომლებიც კვების პროცესში რთულ ორგანულ ნივთიერებებს გარდაქმნიან მინერალურ შენაერთებად. მათ მიეკუთვნება ზოგიერთი ბაქტერია. კერძოდ, ლპობის ბაქტერია.

**რევერსიონაცია** – განმეორებითი ვაქცინაცია.

**რევერსია** – (ლათ. *reversio* დაბრუნება) – ორგანიზმში ისეთ ნიშან-თვისებათა გაჩენა, რომლებიც არ ჰქონდათ უფრო შორეულ ეტაპებს.

**რევერტაზა** – (ლათ. *reversio* უკან დაბრუნება) – რნმ-ის შემცველ უჯრედში არსებული ფერმენტი, რომელიც ვირუსის რნმ-ის სიახლოვეს წარმოქმნის დნმ-ის მოლეკულას, ე. წ. პროდნმ-ს. ეს უკანასკნელი რნმ-იდან ინფორმაციის გადაწერის შემდეგ ინკორპორირდება უჯრედის გენომში. სინონიმები: რნმ-ზე დამოკიდებული დნმ-პოლიმერაზა და შებრუნებითი ტრანსკრიპტაზა.

**რევატიზმი** – [ბერძნ. *rheumatismos*] – გულისა და სისხლძარღვთა სისტემის, სახსრებისა და კუნთების დაავადება, რომელსაც თან ახლავს ტკივილი, ტეხა.

**რეპრეზენტაციის ინვარიანტი** – ცხოველები, რომლებიც შეიცავენ სხვა ცხოველთა დაავადებების უნარის მქონე ავადმყოფობის გამომწვევეებს.

**რეზიდენტი** – (ლათ. *residens* – მჯდომი) – ბიოლოგიაში აღნიშნულ ტერმინს უფრო ხშირად იყენებენ ე. წ. ფიქსირებული ანუ მჯდომარე მაკროფაგების აღსანიშნავად.

**რეზისტენტობა** – (ლათ. *resisto* – წინააღმდეგობას ვუწევ) – გამძლეობა (მაგ., ორგანიზმისა რაიმე დაავადების მიმართ).

**რეზისტენცია** – (ლათ. *resisto* – წინააღმდეგობას ვუწევ, წინააღმდეგობა) – 1. გარეშე ძალის მოქმედებისადმი წინააღმდეგობა; ქსოვილის გასინჯვის დროს წინააღმდეგობის შეგრძნება (გამკვრივების, სიმსივნის შემთხვევაში). 2. ინფექციისადმი ორგანიზმის გამძლეობა. ხმარობენ ტერმინ „იმუნიტეტის“ ტოლფასად. 3. მიკრობების გამძლეობა ანტიბიოტიკების, სულფამიდებისა და სხვა ქიმიოთერაპიული საშუალებების მიმართ.

**რეპროდუქციის ციკლი** – ერთ-ერთი სახე აგლუტინოგენებისა, ე. ი. ნივთიერებებისა, რომლებიც იმყოფებიან ერთთროციტებში და მონაწილეობენ სისხლის შედედების პროცესში.

**რეინფექცია** – ორგანიზმის განმეორებითი (მეორედ) დაავადება, ადრე გადატანილი ასეთივე ავადმყოფობით.

**რეკომბინაცია** – (ლათ. *re* კვლავ, *combinatio* გარკვეული სახის შეერთება შეხამება) – მშობლიური გენების გადაჯგუფება. ე. ი. მემკვიდრული მასალის მიმოცვლა.

**რეკონვალესცენცია** – *reconvalescens* მოკეთებული ავადმყოფი (ლათ. *re* – კვლავ, *coalesco* ვიკურნები, ჯანზე მოვლივარ) –

გამოჯანსაღების პერიოდში მყოფი. კლინიკურად ისეთი მდგომარეობა, როდესაც ავადმყოფობის ცხადი ნიშნები გაივლის, მაგრამ ორგანიზმის წინანდელი ჯანმრთელობა სრულად აღდგენილი არ არის.

**რეკონვალესცენცია** – ადამიანის გამოჯანსაღების პერიოდი; დამახასიათებელია დაავადების ნიშნების თანდათანობით გაქრობა და ორგანიზმის ნორმალური ცხოველმყოფელების აღდგენა.

**რელიქტი** – წარსული გეოლოგიური ეპოქებიდან შემორჩენილი მცენარე ან ცხოველი.

**რემანდატიზმი** – ვირუსის დეპროტეინიზაციის პროცესის დამრღვევი პრეპარატი. ის აქტიურია A გრიპის ვირუსის წინააღმდეგ.

**რემინერალისაცია** – (ლათ. *re* – კვლავ, *ხელახლა*) – ხელახლა ორგანულ ნივთიერებათა გარდაქმნა მინერალურ ნაერთებად.

**რემისია** – შემცირება, შესუსტება – ავადმყოფობის გამოვლინებათა დროებითი შენელება ან შეწყვეტა.

**რენტგენის სხივების სხივები** – უხილავი სხივები, რომელთაც სახელი დაერქვა გერმანელი ფიზიკოსის Rontgen-ის გვარის მიხედვით, რომელმაც 1895 წელს აღმოაჩინა უხილავი სხივები. იგივეა, რაც რენტგენის სხივები, რომლებიც მოკლე ელექტრომაგნიტური ტალღებია. აქვს არაგამჭვირვალე საგნებში შეღწევის უნარი.

**რეოვირუსები** – ვირუსების ერთ-ერთი გვარი, რომელიც გაერთიანებულია ოჯახში *Roeviridae*. სახელწოდება გამომდინარეობს ინგლისური სიტყვების *respiratory enteric orphan* პირველი ასოებიდან, რაც ნიშნავს რესპირატორულ, ნაწლავურ – ე. წ. „ობოლ“ ვირუსებს.

**რეპარაცია** – *reparatio* (ლათ. *reparo* აღვადგენ) – ქსოვილის ან ორგანოს დეფექტის შევსება ან აღდგენა ახლადწარმოქმნილი ქსოვილით.

**რეპარაციული** – *reparativus* (ლათ. *reparo* აღვადგენ) – აღდგენითი, მავალითად, რეპარაციული პროცესი.

**რეპლიკაცია** – (ლათ. *replicatio* განმეორება) – დნმ-ის ყოველ პოლინუკლეოტიდურ ჯაჭვზე ახალი კომპლემენტარული ჯაჭვის სინთეზირება.

**რეპლიკაციის ინჰიბიტორი** – რეპლიკაციის შემაყოვნებელი.

**რეპრესია** – სპეციფიკური ქიმიური ნივთიერებების გავლენით დათრგუნული ფერმენტების სინთეზი.

**რეპროდუციუმი ვერმენტი** – ნივთიერებების სინთეზი, დამთრგუნველი ფერმენტი კატალიზებული რეაქციის პროდუქტის ჭარბი დაგროვების შემთხვევაში.

**რეპროსორი** – ალსტერული ცილა, რომელიც უკავშირდება ოპერატორს ან იწვევს მისი აქტიურობის დათრგუნვას, ან არ უკავშირდება ოპერატორს, რითაც ხელს უწყობს მისი აქტიურობის გამოვლენას.

**რეპროდუციული განვითარება** – ონტოგენეზის პერიოდი, რომლის დროსაც ვეგეტატიური ორგანოების წარმოქმნასთან ერთად მიმდინარეობს რეპროდუქციული ორგანოების წარმოქმნა. რეპროდუქციული განვითარება მოიცავს სიმწიფისა და გამრავლების ეტაპს.

**რეპროდუციული ორგანოები** – ორგანოები, რომლებიც მონაწილეობენ ორგანიზმის როგორც სქესობრივ, ისე უსქესო გამრავლებაში, მაგ., ყვავილი მცენარეებში.

**რეპროდუცირება** – (ლათ. reproduce კვლავწარმოება) – ახასიათებს ვირუსებს.

**რესპის ნიადაგი** – საკვები ნიადაგი, ოჯახი Eterobacteriaceae-ს წარმომადგენლების კულტივირებისათვის.

**რესპირატორული** – (ლათ. respiro ვსუნთქავ) – სუნთქვითი.

**რესპირატორული დაავადებები** – ჰაერწვეთოვანი დაავადებები.

**რესპირატორული ვირუსული ინფექციები** – ჰაერწვეთოვანი გზით გადაცემული ვირუსული ინფექციები.

**რესპირატორულ-სინდითიალური ვირუსი** – ვირუსების ერთ-ერთი ჯგუფი, რომელიც გამოიყოფა მწვავე რესპირატორული დაავადების სიმპტომების მქონე ბავშვებისაგან. დასნებოვნება ხდება ჰაერწვეთოვანი გზით. ვირუსი რეპროდუცირდება სასუნთქი გზების ზედა და ქვედა განყოფილებების ლორწოვანი გარსის ეპითელიალურ უჯრედებში. იმუნიტეტი არ რჩება. ხშირია განმეორებითი დაავადებები.

**რესპირაცია** – იხ. სუნთქვა.

**რესტრიქტაზები** – ფერმენტები, რომლებიც ხელეჩენ დნმ-ს ნუკლეოტიდური თანმიმდევრობის სპეციფიკურ უბანში. იმ უბანში, რომელსაც შეიცნობენ. ეს ფერმენტები მრავალ ბაქტერიაში არიან აღმოჩენილი.

**რეტიკულა** – მგრძობიარე უჯრედების ჯგუფი, რომელსაც შეიცავს კიბოსნაირების რთული თვალის ომატიდები (თვალუკები).

**რეტიკულა** – ენდოთელური ქსოვილი – ორგანიზმში ფართოდ გაფანტული ნაკლებდიფერენცირებული შემაერთებული ქსოვილი, რომლის უჯრედებს გააჩნიათ ფაგოციტური თვისება.

**რეტიკულაციტიზმი** – მარცვლოვანი სტრუქტურის მქონე ერითროციტები.

**რეტიკულურ-ენდოთელური სისტემა** – შემაერთებული ქსოვილების უჯრედთა სისტემა, რომელიც იცავს ორგანიზმს შხამებისა და ბაქტერიებისაგან და ეხმარება იმუნიტეტის გამომუშავებაში.

**რეტროვირი** – თიმინის ანალოგი. მოქმედებს აივ-ის შებრუნებით ტრანსკრიპტაზაზე.

**რეტროვირუსები** – ვირუსების ერთ-ერთი ოჯახი, რომლის სახელწოდება დაკავშირებულია ვირიონის შემადგენლობაში შემავალ ფერმენტ ტრანსკრიპტაზასთან, რომელიც შებრუნებით ტრანსკრიპციის პროცესის კატალიზატორია.

**რეტროსპექტიული** – (ლათ. retro უკან, specto ვუყურებ) – წარსულისკენ მიმართული, წარსულის განხილვისადმი მიძღვნილი.

**რეცეპტორი** – (ლათ. receptor მიმღები) – 1. ორგანო, რომლითაც ხდება გარეგანი ან ორგანიზმის შინაგანი გარემოდან მიმდინარე გალიზიანების მიღება. 2. მგრძობიარე ნერვული ბოჭკოების დაბოლოება, რომელიც რეაგირებს განსაზღვრული ტიპის გამლიზიანებულზე. რეცეპტორებს მიეკუთვნება გრძობის ყველა ორგანო.

**რეცეპტორა** – 1. რეცეპტების გამოწერისა და წამლების დამზადების წესების ერთობლიობა. 2. რაიმეს დამზადების წესების ერთობლიობა.

**რეციდივი** – თითქოს გამქრალი მოვლენების დაბრუნება, განმეორება. მაგალითად, ავადმყოფობის შემობრუნება.

**რეციპინტი** – ადამიანი, რომელსაც სისხლს გადაუსხამენ ან რაიმე ქსოვილს გადაუნერგავენ.

**რეკონსტრუქცია** – წყლის დაკარგვა.

**რეპროდუციუმი** – რნმ-ის შემცველი ვირუსები. მათ მიეკუთვნება ადამიანისათვის პათოგენური ვირუსების უმრავლესობა.

**რიბოზა** – მონოსაქარდი პენტოზების ჯგუფიდან; შედის რიბონუკლეინმჟავას, ადენოზინისა და სხვა ნივთიერებების შემადგენლობაში. სინ. პენტოზა.

**რიზონუკლეინის მჟავა** – ნუკლეინის ერთ-ერთი მჟავათაგანი, პოლიმერი, რომელიც შედგება ნახშირწყალ-რიბოზის შემცველი ნუკლეოტიდებისაგან; მონაწილეობს ცილეზის სინთეზში; შემოკლებულად – რნმ.

**რიზონუკლეოპროტიმიდი** – რიზონუკლეინის მჟავას შემცველი პროტეინი.

**რიზოსომები** – მცენარის, ცხოველისა და მიკრობის უჯრედების უწვრილესი მარცვლოვანი ფორმის ორგანოიდები, რომლებიც გაბნეულია ციტოპლაზმაში, ასრულებენ ერთგვარი „ამწყობი კონვეიერის“ როლს. მათზე მიმდინარეობს ცილების მოლეკულების სინთეზი, შედგება რიბოსომული რნმ-ისაგან. თითოეული უჯრედი შეიცავს ათასობით და ათი ათასობით რიბოსომას.

**რიზოფლავინი** – (ლათ. riber ნაკადი, ჭავლი და flavus ყვითელი) – B<sub>2</sub> ვიტამინი. ყვითელი ფერის წყალში ხსნადი ნივთიერება, რომელიც შედგება რიბიტის სპირტისა და აზოტოვანი ფუძისაგან. მისი ნაკლებობა ორგანიზმში იწვევს ნერვული სისტემის მძიმე დაავადებას, კანისა და ღორწოვანი გარსების დაავადებებს.

**რიბიოზა** – ჩონჩხის კუნთების ფუნქციონალური (დაჭიმული) მდგომარეობა.

**რიზოიდეები** – წვრილი ძაფის ან ბეწვის სახის ფესვისებრი წარმონაქმნები, რომელთა საშუალებით ხდება მცენარის სუბსტრატზე მიმაგრება და იქიდან საკვები ნივთიერებების შეწოვა.

**რიზოპლანი** – მცენარის ფესვის ზედაპირი.

**რიზოსფერო** – ფესვთანური ზონა, რომელშიც თავმოყრილია ფესვთა გამონაყოფებით მიზიდული უამრავი მიკროორგანიზმი.

**რიკეტსიები** – მიკროორგანიზმთა ერთი ჯგუფი. ისინი არიან უჯრედშიდა პარაზიტები. (რიკეტსიები უწოდეს ამერიკელი პათოლოგის Rickettis გვარის მიხედვით). ზომით ბაქტერიებზე უფრო პატარა და ფილტრში გამავალ ვირუსებზე უფრო დიდი მიკროორგანიზმებია.

**რიკეტსიოზი** – რიკეტსიებით გამოწვეული დაავადებანი.

**რინიტი, სურფლი** – (ბერძნ. rhis – ცხვირი, itis – ანთება) – ცხვირის ღრუს ღორწოვანი გარსის ანთება. ახასიათებს ღორწოს დიდი რაოდენობით გამოყოფა და ცხვირით სუნთქვის მოშლა.

**რინოვირუსები** – ვირუსების ერთ-ერთი ჯგუფი, რომელიც გამოყვეს რინიტი დაავადებული ადამიანისგან. მათ აქვთ სფერული ფორმა და მჟავე გარემოში კარგავენ ინფექციურ თვისებებს. რინოვირუსები ლოკალიზდებიან ცხვირის ღორწოვანი გარსის ეპითელურ უჯრედებში, ხოლო ბავშვებში – ბრონქებშიც და იწვევენ სურდოს, ბრონქიტებს და ბრონქოპნევმონიებს. დაავადების გადატანის შემდეგ რჩება ხანმოკლე იმუნიტეტი.

**რინოსკლერომა** – rhinoscleroma (ბერძნ. rhis ცხვირი, ბერძნ. skieros მაგარი, – oma სიმსივნე) – ქრონიკული ინფექციური გრანულაციური წარმონაქმნები ცხვირსა და ცხვირსახაში.

**რინოციტოსკოპია (რინოსკოპია)** – rhinoscopia (ბერძნ. rhis (ნათ. rhinos) ცხვირი, (ბერძნ. skopeo ვუყურებ) – ცხვირის ღრუს გასინჯვა სარკეებით.

**რიზამფიციანი** – ნივთიერება, რომელიც სპობს ზოგიერთ ვირუსს. კერძოდ, ტრაქომის გამომწვევეს. შექმნა იტალიელ მეცნიერთა ჯგუფმა 1969 წელს.

**რიცინი** – ცილა ალბუმინების ჯგუფიდან. გვხვდება აბუსალათინის თესვებში. მძლავრი საწამლაგია ადამიანისა და ცხოველისათვის.

**რკინაბაქტერიები** – ბაქტერიები, რომლებიც რკინის ქვეყანგს ჟანგავენ რკინის ჟანგში. ამ დროს განთავისუფლებული ენერგია გამოიყენება კარბონატებიდან და CO<sub>2</sub>-დან ნახშირბადის შესათვისებლად.

**რნმ** – რიზონუკლეინის მჟავა. ცნობილია ინფორმაციული, სატრანსპორტო და რიბოსომული რნმ.

**როზეოლა** – (ლათ. roseus ვარდისა) – წითელი გამონაყარი კანზე ოსპისოდენა ლაქების სახით.

**რომანოვსკი-ბიოზას საღებავი** – ორგანული საღებავი, რომელიც მიღებულია აზურის, ეოზინისა და მეთილენის ლილის ნარევისაგან. გახსნილ მდგომარეობაში მოლურჯო იისფერია. იყიდება გამზადებული სახით.

**როტავირუსები** – (ლათ. rota ბორბალი) – ვირუსები, რომლებიც პირველად აღმოაჩინეს 1973 წელს მწვავე გასტროენტერიტით დაავადებული ბავშვის თორმეტგოჯა ნაწლავის ღორწოვანი გარსის ეპითელურ უჯრედებში. ვირუსს აქვს ორჯაჭვიანი ფრაგმენტირებული რნმ, რომელიც გარემოცულია გარეთა და შიგნითა კაფსლით.

**რუბივირუსები** – ადამიანის ვირუსული ინფექციის გამომწვევები. გაერთიანებული არიან ტოგავირუსების ოჯახში. მათ მიეკუთვნება წითურას ვირუსი. 1938 წელს იაპონელი მეცნიერების **პიროსა** და **ტასაკას** მიერ დადგენილი იქნა დაავადების ვირუსული ბუნება.

**რუბიმიენტი** – 1. იხ. რუბიმიენტული ორგანო. 2. რაიმე გამჭრალი მოვლენის ნაშთი, კვალი.

**რუბიმიენტული ორგანო** – ორგანო, რომელმაც ევოლუციის პროცესში დაკარგა თავისი პირვანდელი მნიშვნელობა და თანდათანობით ქრება.

**რძოვანა** – თვალის ცილოვანი გარსის – სკლერის წინა გამჭვირვალე ნაწილი.

**რძიანი საკვები არე** – საკვები არე, რომელსაც დამატებული აქვს რძე.



**საავტოკლავო** – ავტოკლავის სადგომი, სადაც ახდენენ ჭურჭლისა და საკვები ნივთიერების გასტერილებას.

**საარსებო პირობები** – პირობათა კომპლექსი, რომელიც ესაჭიროება ორგანიზმს და ახდენს პირდაპირ და არაპირდაპირ გავლენას მასზე.

**სადიფერენციაციო – სადიაგნოსტიკო არე** – არე, რომელიც გამოიყენება მიკროორგანიზმთა დიაგნოსტიკაში. ასეთებია ენდოსა და ლევინის საკვები არეები. სადიფერენციაციო – სადიაგნოსტიკო ნივთიერებები გათვალისწინებულია ბაქტერიების ცალკეული ტიპების, სახეობებისა და ჯგუფების ინდიკაციისათვის.

**საინფუზაციო პერიოდი** – ინფექციური დაავადების ფარული პერიოდი დასნეობების მომენტიდან დაავადების პირველი სიმპტომების გამოვლინებამდე. მაგალითად, ჰიდროფობიის დროს ეს პერიოდი ადამიანში ორიდან თექვსმეტ კვირამდე გრძელდება.

**საიტ-სპეციფიკური რეკომბინაცია** – სპეციფიკური უბნები დნმ-ის რეკომბინირებულ მოლეკულაში.

**საკვები არე** – არე, რომელზედაც ზრდიან ცოცხალ ორგანიზმებს. მაგალითად, ბაქტერიებს, სოკოებს.

**საკვინაშიტი** – ვირუსული ფერმენტის – პროტეაზის ინჰიბიტორი.

**საკონიუზაციო არე** – ბაქტერიებში სქესობრივი პროცესის – კონიუგაციისას წარმოქმნილი არის. მამრობით და მდედრობით უჯრედებს შორის საკონიუგაციო არხის მოვლევობას ასრულებენ ფიბრილები ანუ სასქესო პილები.

**სალვარსანი** – (გერმ. Salvarsan ლათ. salveo გადავარჩენ, მოვარჩენ და გერმ. Arsen დარიშხანა) – დარიშხანის პრეპარატი სიფილისის სამკურნალოდ (სხვანაირად: ერლიხ 606 ან მოკლედ 606; მიიღო გერმანელმა მეცნიერმა პ. ერლიხმა ექვსასმეექვსე ცდაზე 1907 წელს). ამ პრეპარატს იყენებენ, აგრეთვე, შებრუნებითი ტიფის სამკურნალოდაც.

**სალივაცია** – [ლათ. saliva ნერწყვი] – ნერწყვის მეტისმეტად გაძლიერებული დენა, ჭარბად დენა.

**სალიცილი** – [ლათ. salix (salicis) ტირიფი] – იგივეა, რაც სალიცილმჟავა. ორგანული ნივთიერება. იყენებენ სამკურნალო ნივთიერებათა და საღებრების წარმოებაში. სალიცილნატრიუმი – სალიცილმჟავას ნატრიუმი. იყენებენ მედიცინაში სიცხის დასაწვევ და რევმატიზმის საწინააღმდეგო საშუალებად.

**სალმონელა** || **სალმონელა** – ბაქტერიები, რომლებიც ბინადრობენ ადამიანების ნაწლავებში. ზოგი მათგანი იწვევს მუცლის ტიფსა და პარატიფს (ადამიანში). ამერიკელი პათოლოგის **დ. ე. სალმონის** (1850-1914 წ.წ.) გვარის მიხედვით აქვს სახელი დარქმეული.

**სალმონელოზი** – ადამიანების მწვავე ინფექციური დაავადება, რომელსაც იწვევენ სალმონელები ან იწვევს სალმონელას გვარის ბაქტერიებით ინფიცირებული საკვების მიღება.

**სალოლი** – სამკურნალო ნივთიერება, უფერული კრისტალური ფხვნილი. იყენებენ კუჭ-ნაწლავისა და საშარდე გზების სადეზინფექციოდ.

**სამკურნალო მცენარეები** – მცენარეები, რომლებსაც იყენებენ მედიცინასა და ვეტერინარიაში, მაგ., ბელადონა, აბუსალათინი, ძირტობილა და სხვა.

**სამრეწველო მიკრობიოლოგია** – მეცნიერება, რომელიც სწავლობს სამკურნეო-სასარგებლო მიკროორგანიზმების როლსა და მნიშვნელობას სახალხო მეურნეობაში და, კერძოდ, კვების მრეწველობაში.

**სანათურის ფლორა** – კუჭ-ნაწლავის ტრაქტის მიკროფლორაში გამოყოფილი სანათურის მიკროფლორა, რომელშიც ბიფიდუმი და ლაქტობაქტერიებთან ერთად ნაწლავის სხვა მულტიბიო ბინადრებიც გვხვდებიან.

**სანატია** – (ლათ. sanatio განკურნება) – განკურნება, გაჯანსაღება.

**სანჯღრემვა** – ხელსაწყო, რომელიც გამოიყენება მიკროორგანიზმთა სიღრმისეული კულტივირებისათვის.

**საპრეციპიტაციო შრატის** – გამოიყენება პრეციპიტაციის რეაქციისათვის.

**საპრო** – [ბერძნ. sapos დამპალი] – რთული სიტყვის პირველი შემადგენელი ნაწილი; ნიშნავს ცხოველური და მცენარეული ნაშთების ხრწნასთან, ლპობასთან დაკავშირებულს. მაგალითად, საპროფიტები.

**საპრობიო და საპრობიოტები** – [ბერძნ. sapos დამპალი და bios – სიცოცხლე] – ორგანიზმები (ბაქტერიები, ინფუზორიები და სხვა), რომლებიც ცხოვრობენ მცენარეული ან ცხოველური ნარჩენებით დანაგვიანებულ წყალსაცავებში.

**საპრობიოტიკი ბაქტერიები** – [ბერძნ. sapos დამპალი და genos წარმოშობა] – ლპობის გამომწვევი ბაქტერიები.

**საპრობიოტები** – გახრწნილ ორგანულ ნივთიერებებში მცხოვრები მიკროორგანიზმები.

**საპროზაბი** – ორგანიზმი, რომელიც იკვებება მკვდარი ორგანული ნივთიერებებით.

**საპროფიტები** – [ბერძნ. sapos დამპალი და phyton მცენარე] – ორგანიზმები, რომლებიც იკვებებიან გახრწნილი მზა ორგანული ნივთიერებებით (მრავალი სოკო და ბაქტერია).

**საპროფიტული კვება** – რთული ორგანული ნივთიერებებით კვება.

**საპროფიტული ტრეპონემა** – არაპათოგენური ტრეპონემა. მაგალითად, *Treponema macrodentum*, რომელიც ადამიანის პირის ღრუში გვხვდება.

**სარკომა** – (ბერძნ. sarx ნათ. sarkos ხორცი, oma სიმსივნე) – შემაერთებელქსოვილოვანი აუთისებიანი სიმსივნე. ხშირად ვითარდება კეთილთვისებიანი შემაერთებელქსოვილოვანი სიმსივნისგან (ფიბრომის, ლიპომისა და ქონდრომისგან). ჰისტოლოგიური აგებულებით არჩევენ მრავალუჯრედოვან და პიგმენტურ სარკომებს.

**სარტყლისებრი (ჰერპეს-ზოსტერის) ლიქენის ვირუსი** – ადამიანისთვის პათოგენური ვირუსი (*Varicella Zoster Virus*), რომელიც იწვევს კლინიკით და ეპიდემიოლოგიით განსხვავებულ დაავადებებს: ჩუტყვავილას (*Varicella*) და სარტყლისებურ ლიქენს (*Zoster*). ვარიცელა პირველადი დაავადებაა, ხოლო ზოსტერი – მეორეული ფორმა.

**სარტინები** – სფეროსებრი ბაქტერიების ჯგუფი შეერთებული 8-16 უჯრედიან პაკეტებად. წარმოიქმნება უჯრედის სამ ურთიერთპერპენდიკულარულ სიბრტყეში გაყოფით.

**სარქვი კბილები** – უმადლესი ძუძუმწოვრების პირველი კბილები, რომლებიც შემდეგ იცვლება ძირითადი კბილებით. ადამიანს აქვს 20 სარქვე კბილი, რომელიც ამოდის ექვსი თვიდან ორ წლამდე.

**სასიცოცხლო არე** – ყველა იმ ადგილმდებარეობათა მთლიანობა, სადაც ცხოველები, მცენარეები ან მიკროორგანიზმებია გავრცელებული.

**სასტირილიზაცია** – ჭურჭლისა და საკვები ნიადაგების გასასტერილებელი ადგილი.

**სასუნთქი გზების ეპითელიუმის მიკრობთა გროვები**, რომელთაც აქვთ გარკვეული ფორმა და შეფერვა.

**სასქესო ძროხოსომები** – ქრომოსომები, რომლებიც განსაზღვრავენ ორგანიზმის სქესს. აუტოსომებისაგან განსხვავდებიან ზომით, სტრუქტურით, ჰეტეროქრომატინის შემცველობით და სხვა ნიშნებით. მდებარი ძუძუმწოვარი შეიცავს 2 ჰომოლოგიურ X ქრომოსომას, მამრობითი – 1 X ქრომოსომას და 1 Y ქრომოსომას.

**სატელიზი** – მიკროორგანიზმთა ერთ-ერთი სახეობის ზრდის გაძლიერება მეორე სახეობის გავლენით. მაგალითად, საფუერები ასტიმულირებენ სხვა მიკროორგანიზმების კოლონიების ზრდას.

**სატელიტი** – ქრომოსომის მონაკვეთი.

**საფუძრები** – ეუკარიოტული მიკროორგანიზმები. აქვთ ცრუ მიცელიუმი. მრავლდებიან როგორც სქესობრივად, ასევე – უსქესოდ (დაკვირვით).

**საქარაზა** – ფერმენტი, რომელიც შლის დისაქარიდ საქაროზას.

**საქარი** – [ბერძნ. sakchar საქარი] – ძალზე ტკბილი თეთრი კრისტალური ნივთიერება – საქარის სუროგატი.

**საქაროზა** – [ბერძნ. sakcher საქარი] – მცენარეული წარმოშობის (ჭარხლის ან ლერწმის) საქარი; დისაქარიდი, რომლის

მოლეკულა შედგება გლუკოზისა და ფრუქტოზის მოლეკულის ნაშთებისაგან.

**საყლაპავი მილი** – (ლათ. esophagus ) – 25 სმ სიგრძის ვიწრო ცილინდრული მილი, რომელიც მდებარეობს ხახსა (კისრის VI მალა) და კუჭის შესავალს შორის (გულმკერდის X-XI მალეები). იყოფა სამ ნაწილად: კისრის – pars cervicalis, გულმკერდის -pars და მუცლის -pars abdominalis.

**საშვილოსნო** – (ლათ. uterus ) – კენტი ღრუ, კუნთოვანი ორგანო, მოთავსებულია მცირე მენჯის ღრუში, სწორ ნაწლავსა და შარდის ბუშტს შორის. ზრდასრული ქალის საშვილოსნოს მსხლისებრი ფორმა აქვს და მასზე არჩევენ საშვილოსნოს ძირს – fundus abdominalis.

**საცხროვრებელი ბარემო** – ყველა იმ პირობათა ერთობლიობა, რომელშიც ცხოვრობს ცხოველის, მცენარის ან მიკროორგანიზმის ესა თუ ის სახეობა; საცხოვრისი; ადგილსამყოფელი.

**სახამებელი** – რთული ნახშირწყალი, რომელიც უმთავრესად წარმოიქმნება პლასტიდებში, შემდეგ კი გროვდება თესვლებში, ღეროსა და მცენარის სხვა ნაწილებში მარაგ ნივთიერებათა სახით.

**სახეობა** – 1. მცენარეთა, ცხოველთა ან მიკროორგანიზმთა ერთ-ერთი ძირითადი ტაქსონომიური ერთეული. 2. მსგავსი მემკვიდრული ნიშან-თვისებების მქონე ინდივიდების (პოპულაციების) ერთობლიობა, რომელთაც აქვთ საერთო წარმოშობა, გავრცელების გარკვეული არეალი და ბუნებრივ პირობებში ერთმანეთთან შეჯვარებისა და ნაყოფიერი შთამომავლობის წარმოქმნის უნარი.

**საბინის ცოცხალი ვაჭვინა** – პოლიომიელიტის პროფილაქტიკისათვის გამოყენებული ვაქცინა.

**საბმენტაცია** – ცხოველური და მცენარეული ორგანიზმების სხეულის სიგრძივი ღერძის გასწვრივ თანმიმდევრულად განლაგებული, მსგავსი აგებულების ნაწილები, ნაწევრები. ცალკეულ ნაწევარს სეგმენტი ეწოდება.

**საბნების მარილი** – ღვინომუჟავას ორმაგი მარილი:  $(\text{KOOOC}(\text{CHOH})_2\text{COONa} \cdot 4\text{H}_2\text{O})$  აღმოაჩინა ფრანგმა მეაფთიაქე **სენიეტმა**. სახელი ეწოდა მის პატივსაცემად. უფერო კრისტალებია. იშლება  $55.6^\circ\text{C}$ , კარგად იხსნება წყალში. იყენებენ მედიცინაში. ახასიათებს განსაკუთრებული დიელექტრიკული თვისებები.

**სამკვნირება** – ერთი და იმავე დნმ-ის მოლეკულის 4 ნიმუშის ერთდროული „დაჭრა“ ოთხი ფუძის (ადენინის, გუანინის, ციტოზინის, თიმინის) უბანში და წარმოქმნილი ფრაგმენტების შემდგომ განცალკევება.

**სამკრები** – (ლათ. secretus გამონაყოფი) – ადამიანისა და ცხოველის ჯირკვლების მიერ გამოშუშავებული და გამოყოფილი ნივთიერებანი, რომელთაც ორგანიზმისთვის ფიზიოლოგიური მნიშვნელობა აქვთ (მაგ.: ნერწყვი, კუჭის წვენი, ნაწლავის წვენი, ნაღველი და სხვა).

**სამკრებირებული** – გამოყოფილი ნივთიერებები.

**სამკრებორული უჯრედები** – გამოყოფილი უჯრედები.

**სამკრებიცია** – უჯრედის მიერ ორგანიზმის ცხოველმომკმედებისათვის აუცილებელ ნივთიერებათა (სეკრეტების) გამოშუშავება და გამოყოფა.

**საქლენიტის ნიღაბი** – გამამდიდრებელი ნიღაბი. კარგია პათოგენური ენტერობაქტერიების, განსაკუთრებით სალმონელებისა და დიზენტერიის მიკრობების დაგროვებისთვის. ნატრიუმის სელენიტი ასტიმულირებს პათოგენური ბაქტერიების ზრდას, ხოლო თრგუნავს თანხლებ ფლორას.

**საქლემცია** – ცხოველთა ან მცენარეთა არსებული ჯიშების გამოყვანა ხელოვნური შერჩევით, შეჯვარებით, მყნობით და სხვა საშუალებებით.

**საქლემციური** – (ლათ. selectio გადარჩევა) – ახალი ჯიშები გამოყვანილი ხელოვნური შერჩევით.

**სამნიბილიზაცია** – ბიოლოგიური პროცესი, რომლის შედეგად იზრდება ცხოველური ორგანიზმის ან მისი ცალკეული ორგანოების მგრძობელობა გამაღიზიანებლის მიმართ.

**სამტიკოპიემია** – septicopyemia (ბერძნ. septikos ლაბობითი (sepsis ლაბობა, ხრწნა), ბერძნ. haima ჩირქი, სისხლი) – სეფსისის შერეული ფორმა, როდესაც აღინიშნება მეტასტაზური ჩირქგროვები.

**სამტირება** – დაყოფა, დანაწევრება.

**სამტირებული** – ცალკეულ ფრაგმენტებად დაყოფილი განივი ტიხრები.

**სამტიური** – ჩირქოვანი.

**სამტიცემია** – შავი ჭირის სეფსისური ფორმა; დამახასიათებელია ძლიერი ინტოქსიკაცია, ნერვული სისტემისა და გულის მუშაობის მოშლა.

**სეროლოგია** – (ლათ. serum შრატის, ბერძნ. diagnostikos გამოცნობის) – დიაგნოსტიკა სისხლის შრატის თვისებათა გამოკვლევის საფუძველზე. მაგ., ვასერმანის რეაქცია.

**სეროზარი** – (ლათ. serum შრატი) – ერთი და იმავე სახეობის ვარიანტები, რომლებიც ერთმანეთისაგან განსხვავდებიან ანტიგენური სტრუქტურით.

**სეროთერაპია** – [ლათ. serum შრატი და ბერძნ. therapia მკურნალობა] – ინფექციურ დაავადებათა მკურნალობა ანტიტოქსიკური შრატების შეყვანით.

**სეროიდენტიფიკაცია** – (ლათ. serum შრატი, ლათ. identifico – გაიგივება, გათანაბრება) – სისხლის შრატის იდენტიფიკაცია.

**სეროლოგია** – (ლათ. serum შრატი, ბერძნ. logos მოძღვრება) – მეცნიერება, რომელიც შეისწავლის სისხლის შრატის ფიზიკურ, ქიმიურ და ბიოლოგიურ თვისებებს.

**სეროლოგიური ბამოკვლევები** – (ლათ. serum შრატი) – სისხლის შრატის გამოკვლევები.

**სეროლოგიური მეთოდები** – სისხლის შრატის გამოკვლევაზე დამყარებული მეთოდები.

**სეროლოგიური რეაქციის სპეციფიკურობა** – ანტიგენისა და ანტისხეულის უნარი, იმოქმედოს სისხლის შრატის შემადგენელ მხოლოდ ჰომოგენურ ანტისხეულებთან ან შესაბამისად, ჰომოლოგიურ ანტიგენებთან.

**სეროლოგიური ტაქსონომია** – ტაქსონომიის ერთ-ერთი სახე, რომელიც დამყარებულია მიკრობულ უჯრედში დიაგნოსტიკური ანტიშრატებით შესაბამისი ანტიგენების განსაზღვრაზე.

**სერონეგატიური** – (ლათ. serum შრატი) – პირი, რომელსაც რომელიმე კონკრეტული ანტიგენისადმი შრატში ანტისხეულები არა აქვს.

**სეროპოზიტიური** – (ლათ. serum შრატი) – პირი, რომელსაც რომელიმე კონკრეტული ანტიგენისადმი ანტისხეულები გააჩნია.

**სერუმი** – [ლათ. serum] – სისხლის შრატი.

**სეპსისი** – (sepsis (ბერძნ.) ლპობა, ხრწნა) – ორგანიზმის საერთო დასნებოვნება ჩირქის წარმომქმნელი მიკრობებით და მათი ტოქსინებით, რომლებიც სისხლში მოხვდნენ.

**სიალის მჟავა** – მჟავა, რომელიც B სეროჯგუფის სტრუქტოკოკის უჯრედის კედლის შემადგენლობაშია და წარმოადგენს ანტიგენს.

**სიბრძნის კბილი** – ადამიანის დიდი ძირითადი კბილი; ჩვეულებრივ, სიბრძნის კბილი სხვა ძირითად კბილებზე უფრო გვიან (18 წლის ასაკის შემდეგ) ამოდის; ხშირად ის შეიძლება განუვითარებელი და დაუსრულებელი დარჩეს, რაც მისი რუდიმენტად გადაქცევის მაჩვენებელია.

**სიდეროზი** – [ბერძნ. sideros რკინა] – ადამიანის დაავადება, რომელსაც იწვევს რკინის შემცველი მტვრის დაღუპვა ფილტვებში.

**სიკოზი** – [ბერძნ. sykosis გამოცხადება] – ბალნით დაფარული ადგილების ანთება, რომელსაც იწვევენ სტაფილოკოკები.

**ფოტოსინთეზი** – არაორგანული ნივთიერებებიდან (ნახშირორჟანგი და წყალი) ორგანულ ნივთიერებათა წარმოქმნის პროცესი ქლოროფილის მიერ შთანთქმული სინათლის ენერჯიის მონაწილეობით.

**ფოტოტროფები** – ორგანიზმები, რომლებიც ენერჯიას იღებენ ფოტოქიმიური რეაქციის შედეგად.

**ფოტოტროფული მიკროორგანიზმები** – მიკროორგანიზმები, რომლებიც ნახშირბადს ითვისებენ ფოტოსინთეზის პროცესში. მათ მიეკუთვნება ბაქტერიოქლოროფილის შემცველი ყველა მიკროორგანიზმი.

**ფოტოფოსფორიზაცია** – ფოტოსინთეზის პროცესისას სინათლის ფაზაში ატფ-ის წარმოქმნა.

**ფრამბოზია** – framboesia (ფრანგ. framboise ჟოლო) – კანის ქრონიკული ინფექციური დაავადება. ახასიათებს კანზე დვრილოვან-აიროვანი წანაზარდები. გავრცელებულია ტროპიკულ ქვეყნებში.

**ფრონტიტი** – frontitis (ლათ. frons, ნათ. frontis შუბლი) – შუბლის წიაღის ანთება.

**ფსევდომონადი** – ცრუ მიცელიუმი.

**ფსევდომონადები** – გრამუარყოფითი ჩხირები, რომლებიც კაფსულას და სპორას არ წარმოქმნიან. მოძრავები, აქვთ რამდენიმე პოლარულად განლაგებული შოლტი. აერობები. პირობითად-პათოგენურები.

**ფსევდომუშრინი** – ცრუ მურეინი, რომელიც ახასიათებს არქებაქტერიებს. ფსევდომურეინი მურეინისაგან განსხვავდება აგებულებით.

**ფსევდოპლამა** – ციტოპლაზმური გამონაზარდები

**ფსევდოტუბერკულოზი** – pseudotuberculosis (ბერძნ. pseudē ცრუ, tuberculosis – ლათ. tuber კორძი, -osis მდგომარეობა) – დაავადება, რომელსაც ახასიათებს ტუბერკულოზისებრი მილიარული ხორკლების წარმოქმნა ორგანიზმში.

**ფსიქროფიტი** – მცენარეები, რომლებიც ხარობენ ნოტიო და ცივ ნიადაგებში.

**ფსორიაზი** – (ბერძნ. psora მუნი) – კანის არაგადამდები ქრონიკული დაავადება, ახასიათებს მოვერცხლისფრო-მოთეთრო ქერცლით დაფარული წითელი ლაქების განვითარება.

- ფუნქციონირება** – (ინგ. function შერწყმა, ბერძნ. geneia – წარმოქმნა) – სომატური უჯრედების შერწყმის პროცესი.
- ფუნქცია** – ორგანიზმის ან მისი ორგანოს სპეციფიკური მოქმედება; რომელიმე გარკვეული რეაქციის სასიცოცხლო გამოფლენა.
- ფუნქციური** – functionalis (ლათ. functio შესრულება) – 1. ფუნქციასთან დაკავშირებული; 2. რაც დამოკიდებულია რაიმეს მოქმედებასა და არა სტრუქტურაზე. მაგ., ფუნქციური (ე. ი. არაორგანული) დაავადება.
- ფურინგული** – ძირმაგარა, furunculus კერა, ბუდე – თმის ბუდის, ცხიმის ჯირკვლისა და მის ირგვლივ ქსოვილის მწვავე ჩირქოვანი ანთება.
- ფურუნკულოზი** – კანის სხვადასხვა ადგილას მრავლობითი ფურუნკულების განვითარება. ფურუნკულოზი ხშირად თვეობით გრძელდება, რადგან ერთი ფურუნკულის მორჩენისთანავე ვითარდება მეორე ფურუნკული.
- ფუძინი** – წითელი ფერის საღებავი.



- ქემოლოთოტროფები** – სინ. ქემოავტოტროფები. კვების ერთ-ერთი ტიპი. კვების ეს ტიპი ახასიათებს მიკროორგანიზმებს, რომლებიც არაორგანული ნივთიერებებიდან ახდენენ ორგანული ნივთიერებების სინთეზს ჟანგვითი ქიმიური რეაქციების დროს გამოყოფილი ენერჯის ხარჯზე.
- ქემოსინთეზი** – (ბერძნ. chemia – ქიმია, synthesix შეერთება) – ზოგიერთი ბაქტერიის მიერ ორგანული ნივთიერებების წარმოქმნის პროცესი, რომელიც მიმდინარეობს არაორგანული ნივთიერებების დაჟანგვის დროს გამოყოფილი ქიმიური ენერჯის ხარჯზე. აღმოაჩინა **ს. ვინოგრადსკიმ 1891 წელს.**
- ქემოსტატი** – ხელსაწყო, რომელშიც ხდება მიკროორგანიზმთა უწყვეტი კულტივირება.

- ქემოტაქსისი** – მოძრაობა, რომელიც განპირობებულია ქიმიური გამლიზიანების ზეგავლენით.
- ქემოტროფული ორგანიზმები** – ორგანიზმები, რომლებიც ნახშირბადს ითვისებენ ქემოსინთეზის პროცესში. მათ ეკუთვნიან მანიტრიფიცირებული ბაქტერიები.
- ქიმიოთერაპია** – [ბერძნ. chemia ქიმია, therapeia მკურნალობა] – ქიმიური ნივთიერებებით მკურნალობა.
- ქიმიოთერაპიული ინფექტი** – ამა თუ იმ სამკურნალო პრეპარატის მაქსიმალური გადასატანი დოზის შეფარდება მინიმალურ სამკურნალო დოზასთან. არ უნდა იყოს სამზე ნაკლები.
- ქიმიოპროფილაქტიკა** – chimio prophylactica (ბერძნ. chemia ქიმია, ბერძნ. prophylacticos – დაცვა) – ქიმიური ნივთიერებები, რომელთა მიზანია დაავადებების თავიდან აცილება.
- ქიმიური ბმა** – ატომთა ურთიერთქმედება, რის შედეგადაც ატომები ერთიანდებიან მოლეკულებად, იონებად ან კრისტალებად. ასეთ შემთხვევაში ამბობენ, რომ დამყარდა ქიმიური ბმა.
- ქიმიური ბამოსინეზა** – რადიოაქტიურ ნივთიერებათა მიერ გამოშვებული უხილავი სხივები, რომლებიც აღწევენ არაგამჭვირვალე საგნებში. შეიძლება იყოს  $\alpha$ ,  $\beta$ ,  $\gamma$ -გამოსხივება.
- ქირურგია** – [ბერძნ. cheir, chir – ხელი, ergon საქმე] – მედიცინის დარგი, რომელიც სწავლობს დაავადებათა ოპერაციული გზით მკურნალობის მეთოდებს. დასტაქრობა.
- ქიტინი** – (ბერძნ. chitton ქიტინი, ძველი ბერძნების ტანსაცმელი) – პოლისაქარიდი, წარმოადგენს საყრდენს უხერხემლოებისათვის. არის უჯრედის კედლის კომპონენტი სოკოებისა და ზოგიერთი მწვანე წყალმცენარისათვის.
- ქლამიდეზი** – უჯრედშიგა პარაზიტები. საკუთარი უჯრედული აქტივობისათვის საჭიროებენ მასპინძლის ატფ-ს. მათ ენერგეტიკულ პარაზიტებსაც უწოდებენ.
- ქლამილობაქტერიები** – ძაფნაირი ბაქტერიები, რომლებიც ან მიმარებული არიან სუბსტრატზე, ან თავისუფლად ცურავენ წყალში. მათ მიეკუთვნება *Sphaerotilus natans*. ისინი გვხვდებიან ორგანული ნივთიერებებით მდიდარ წყალში.
- ქლორი** – ქიმიური ელემენტი, მომწვანო-მოყვითალო ფერის მახრჩობელა გაზი. იყენებენ ტექნიკაში, სანიტარიაში და სხვა.
- ქლორამინი** – საღებოინფექციო საშუალება.

**ქლორატორი** – აპარატი წყლის ქლორირებისათვის.

**ქლორელა** – [ბერძნ. chloros მწვანე] – ერთუჯრედიანი მიკროსკოპული მწვანე წყალმცენარე, რომელიც უხვად შეიცავს ცილას, ცხიმს და მრავალდება სწრაფად.

**ქლორიდები** – ქლოროვანი მარილმჟავას მარილები. მაგალითად, ნატრიუმის ქლორიდი ანუ სუფრის მარილი.

**ქლორიდება** – ქლორის საშუალებით გაწმენდა. ქლორით დამუშავება; დაქლორვა.

**ქლორიტები** – ქლოროვანი მჟავას მარილები.

**ქლოროზი** – [ბერძნ. chloros მწვანე] – სისხლნაკლებობა – ჰემოგლობინის მნიშვნელოვანი დაქვეითება სისხლის წითელ ბურთულაში. სიმწვანის სენი. 2. მცენარის დაავადება, რომლის დროსაც ფოთლები და ყლორტები კარგავენ მწვანე შეფერილობას.

**ქლოროპლასტი || ქლოროპლასტები** – [ბერძნ. chloros მწვანე და plastos გამოძერწილი, წარმოქმნილი] – ქლოროფილის შემცველი მწვანე პლასტიდები ანუ სხეულაკები, რომლებშიც ხორციელდება ფოტოსინთეზის პროცესი. მათშივე ხდება პირველადი სახამებლის დაგროვება.

**ქლოროფილი** – [ბერძნ. chloros მწვანე და phyllon ფოთოლი] – საღებავი ნივთიერება (პიგმენტი), რომელიც მწვანე ფერს აძლევს მცენარის ფოთლებსა და სხვა ნაწილებს.

**ქლოროფორმი** – chloroformum (ბერძნ. chloros მწვანე, ლათ. (acidum) form (icum) ჭიანჭველმჟავა) – ქლორის შემცველი უფერული, გამჭვირვალე სითხე. იყენებენ სანარკოზე საშუალებად.

**ქოლერა (აზიური)** – cholerae (asiatica, ბერძნ. chlorelae, chole ნაღველი, rheo მოვედინები. ძველად ფიქრობდნენ, რომ დაავადებას იწვევს ნაღველის დიდი რაოდენობით გამოყოფა) – კუჭ-ნაწლავის ტრაქტის მწვავე ინფექციური დაავადება. გამოიწვევია ქოლერის ვიბრიონი, ახასიათებს დიარეა, ბრინჯის ნახარშისებრი განავალი, დებინება, ორგანიზმის მძიმე საერთო ინტოქსიკაცია და ძლიერ გამოხატული დეჰიდრატაცია. დაავადების გადადება ხდება ინფიცირებული საჭმელ-სასმლით.

**ქოლერიანა** – კუჭ-ნაწლავის მწვავე აშლილობა. პირველ დღეებში ქოლერას მოვარგონებს. სხვაგვარად მას ევროპულ ქოლერას უწოდებენ.

**ქოლერის ვიბრიონი** – Vibrio Cholerae, ნაწლავთა ინფექციის – ქოლერის გამომწვევი. იხ. ქოლერა.

**ქოლესტერინი** – cholesterinum (ბერძნ. chole ნაღველი, stear ქონი) – ლიპოიდი, რომელიც დიდი რაოდენობითაა თავის ტვინში, სისხლში, საკვერცხეში, თირკმელზედა ჯირკვალსა და ნაღველში. ქოლესტერინი ნაღველის ქვის ერთ-ერთი ძირითადი შემადგენელი ნაწილია.

**ქოლესტიტი** – [ბერძნ. chole ნაღველი და kystis ბუშტი] – ნაღველის ბუშტის ანთება.

**ქოლინი** – [ბერძნ. chole ნაღველი] – აზოტოვანი ფუძე. წარმოადგენს ბიოლოგიურად აქტიურ ნივთიერებას. ეკუთვნის ვიტამინებს. თვით არის B ჯგუფის ვიტამინი. ის პირველად ნაღველიდან გამოიყოფს. ხელს უშლის ღვიძლის ცხიმოვანი გადაგვარების შედეგად განხილ ღვიძლის მძიმე დაავადებებს.

**ქონდრიოზი** – (ბერძნ. chondros მარცვალი, soma სხეული) – ცოცხალი უჯრედის განსაკუთრებული ორგანოიდი მარცვლების, ჩხირებისა და სხვა პაწია სხეულაკების სახით, რომელიც აქტიურად მონაწილეობს უჯრედში მიმდინარე ნივთიერებათა ცვლაში.

**ქონდრომა** – chondroma (ბერძნ. chondros ხრტილი, -oma სიმსივნე) – კეთილთვისებიანი სიმსივნე, რომელიც ემსგავსება ხრტილს.

**ქონის ჯირკვალი** – ძუძუმწოვარ ცხოველთა კანში განლაგებული ჯირკვლები, რომლებიც სადინარით იხსნება თმის ჩანთებში; გამოყოფენ ცხიმს – კანის ქონს, რომელიც არბილებს კანსა და ბაღანს. მათ თებოს ჯირკვლებსაც უწოდებენ.

**ქორიონი** – chorion (ბერძნ.) კანი, გარსი – ძუძუმწოვართა ჩანასახის გარე ბუსუსოვანი გარსი.

**ქრომოსომათმოროსის ტრანსლოკაცია** – ქრომოსომის ერთი უბნის გადატანა მეორე ქრომოსომაზე.

**ქრომატობრაზია** – ნივთიერებათა და მათი ნარევების დაყოფის, ანალიზისა და კვლევის ფიზიკურ-ქიმიური მეთოდი. ქრომატოგრაფიული დაყოფა ხდება ნარევთა კომპონენტების აღსორბებისა (შთანთქმისა) და დესორბირების (გამოყოფის) პროცესების სინქარებს შორის განსხვავებით.

**ქრომოსომა** – chromosoma (ბერძნ. chroma ფერი, საღებავი, soma სხეული) – უჯრედის ბირთვის უმნიშვნელოვანესი ნაწილი, რომელიც შეიცავს მემკვიდრულობის ფაქტორებს – თაობიდან თაობას მემკვიდრეობით გადასცემს ორგა-

ნიშნის დამახასიათებელ ნიშან-თვისებებს. იგი მკვრივი ძაფისებრი ან ჩხირისებრი ფორმის წარმონაქმნია, რომელიც კარგად მოხანს უჯრედის გაყოფის დროს.

**ქრომოსომალი მუტაცია** – ქრომოსომათა სტრუქტურული ცვლილება, რომელიც შეიძლება მოხდეს ერთი ქრომოსომის სუბსტრუქტურული ცვლილებით, ქრომოსომის შიდა მონაკვეთის 180°-ით შემობრუნებით და ცალკეულ ქრომოსომათა ზოგიერთი სხვა სტრუქტურული ცვლილებით. მუტაციების განსაკუთრებულ ტიპს წარმოადგენს ქრომოსომების რიცხვის ცვლილება, რაც მდგომარეობს ზედმეტი ქრომოსომების წარმოქმნაში ანდა ზოგიერთი ქრომოსომის დაკარგვაში. ასეთი სახის ცვლილებები ხდება მეიოზის ნორმალური მსვლელობის რაიმე მიზეზის დარღვევის გამო.

**ქრონიზაცია** – (ბერძნ. chronios ხანგრძლივი) – ავადმყოფობის მწვავე ფორმის ქრონიკულში გადასვლა.

**ქრონიკული** – (ბერძნ. chronios – დრო, chronikos – დროსთან დაკავშირებული, ხანგრძლივი) – რაც დიდხანს გრძელდება, მიმდინარეობს ხანგრძლივად, მუდმივად, მაგალითად, ქრონიკული დაავადება.

**ქრონოლოგია** – (ბერძნ. chronos დრო და logos მოძღვრება) – ისტორიული მოვლენების თანამიმდევრობა დროის მიხედვით.

**ქსოვილი** – ერთნაირი ფორმის, აგებულების, წარმოშობისა და გარკვეული ფუნქციის შემსრულებელი უჯრედების ერთობლიობა.

**ქსნთოზა** – scarlatina (ბერძნ. scarlatum წითელი, ალისფერი ქსოვილი) – მწვავე ინფექციური დაავადება, უპირატესად ემართებათ ბავშვებს 3-6 წლის ასაკში. შემთხვევები მეტია შემოდგომა-ზამთრის თვეებში. იწყება მაღალი ტემპერატურით, ღებინებით, ანგიინითა და წინწყლოვანი წითელი გამონაყარით, რომელიც წარმოიქმნება დაავადების პირველი სიმპტომების გამოვლენიდან 12-14 საათის შემდეგ, უპირველეს ყოვლისა, კისერსა და გულმკერდის ზედა ნაწილზე. დამახასიათებელია „ჟოლოსებრი ენა“ (მე-3, მე-5 დღეს), ლოყების მკაფიო ჰიპერემია, მეორე კვირიდან – კანის აქერცვლა, გართულებები: ლიმფადენიტი, შუა ყურის ჩირქოვანი ანთება, გლომერულონეფრიტი, რევმატული სინდრომი და სხვა.

**ჭუ-ცხელვა** – (Q – შემოკლ. ინგლ. query – განუსაზღვრელი, ლათ. febris – ცხელება). სინ. **Q-რიკეტსიოზი**. მძაფრი ინფექციური დაავადება, რომლის გამომწვევები არიან ბერნეტის რიკეტსიები. დაავადება გადაეცემა ჰაერწვეთოვანი, ალიმენტური ან კონტაქტური გზით. კლინიკურად ახასიათებს ინტოქსიკაცია, ცხელება, რეტიკულო-ენდოთელიალური სისტემის დაზიანება. ხშირად თან ახლავს პნევმონია.



**ღვიძლი** – hepar – ადამიანის ორგანიზმის ყველაზე დიდი ჯირკვალი, რომლის წონა 1.5-1.6 კგ-ია. 3/4-ზე მეტი ნაწილით მდებარეობს მარჯვენა ფერდქვეშა მიდამოში. 1/4 ნაწილი კი – საკუთრივ მუცლის ზედა მიდამოში.

**ღრუბლისებრი პაპინოზა** – ფოთლის ფირფიტის რბილობის ერთ-ერთი შემადგენელი ქსოვილი, რომელიც ქვედა კანთან მდებარეობს და შედგება ქლოროფილის შემცველი, ფაშარად განლაგებული, მომრგვალო უჯრედების 2-7 შრისაგან. მას ფაშარ ქსოვილსაც უწოდებენ.

**ღრძილი** – [gingiva] – ღრძილ-პირის ღრუს ლორწოვანი ნაწილი, რომელიც ფარავს ყბის ალვეოლურ მორჩებს.



**ჭაპურას ვირუსი** – ადამიანის ინფექციური დაავადების (ეპიდემიური პაროტიტის) გამომწვევი ვირუსი, რომელიც პირველად გამოყვეს **კ. ჯონსონმა** და **ე. გუდპასჩერმა** 1934 წელს.

**ჭვითელი ცხელვა** – ენდემური, ბუნებრივ-კეროვანი ინფექცია, რომელსაც იწვევს ყვითელი ცხელების ვირუსი. ვირუსს ახასიათებს ვაზოტროპიზმი, აზიანებს შინაგანი ორგანოების სისხლძარღვებს.

**ჟივანახშვალა** – ბავშვთა ასაკის მწვავე გადამდები დაავადება. დასაწყის პერიოდში მიმდინარეობს ზედა სასუნთქი გზების კატარით. ამის შემდეგ ვითარდება კრუნჩხვითი ხველების შეტევები [ლათინურიდან წარმოშობილი სიტყვაა. tisis – ხველა].

**ჟითა** – იხ. ანუსი.



**შამბერლანის სანთელი** – ფილტრის ერთ-ერთი სახე, რომელსაც იყენებენ მიკრობიოლოგიაში. ეს ფილტრი პირველად შემოიღო და სითხე გაფილტვრით გაასტერილა ლ. პასტერის მოწაფე **შამბერლანმა**. მან დაამზადა ცილინდრის ფორმის ფაიფურის ფილტრი, რომელსაც ერთი ბოლო დახურული ჰქონდა. ის სანთელს წააგავდა და ამიტომაც შამბერლანის სანთელი უწოდეს.

**შარღოვანა** – სისხლში ცილოვანი ცვლის აზოტოვანი პროდუქტი. **შაბრუნაბითი ტრანსპრიპტაზა** – რნმ-ზე დამოკიდებული დნმ-პოლიმერაზა ანუ რევერტაზა.

**შამენილი იმუნიტატი** – ინფექციური დაავადების გადატანის ან ვაქცინაციის შედეგად ჩამოყალიბებული პოსტინფექციური და პოსტვაქცინალური იმუნიტეტი.

**შიბალა** || **შიბალაბი** – დიზენტერიის გამომწვევეები. გვარი Shigella-ს სახელწოდება დაკავშირებული **კ. შიგას** სახელთან, რომელმაც დეტალურად შეისწავლა დაავადების აღმძვრელი.

**შიფსი** – შექენილი იმუნოდეფიციტის სინდრომი Acquired immunodeficiency syndrom (ინგლ.) – პირველად რეგისტრირებულია აშშ-ში 1981 წელს. 1983 წელს დაადგინეს, რომ დაავადებას იწვევს T-ლიმფოციტოტროფული რეტროვირუსი LAV/HTLW-III, რომელიც გადაეცემა სქესობრივი გზით, არასტერილური ნემსებით და ინსტრუმენტებით, სისხლისა და სისხლის კომპონენტების გადასხმით. დაავადების ინკუბაციური პერიოდი რამდენიმე თვიდან 5-6 წლამდეა. შიდსის კლინიკური გამოვლინება იმდენად მრავალფეროვანია, რომ მისი დიაგნოსტიკა მხოლოდ კლინიკური სურათის მიხედვით თითქმის შეუძლებელია, ამიტომ აუცილებელია ავადმყოფის იმუნოლოგიური გამოკვლევა. ჯერჯერობით არაა შემუშავებული შიდსის საწინააღმდეგო სპეციფიკური მკურნალობა და პროფილაქტიკა (ვაქცინაცია). სამკურნალოდ იყენებენ სიმსივნისა და ინფექციის საწინააღმდეგო საშუალებებს, იმუნომოდულატორებს. აღნიშნული საშუალებებით მკურნალობა ხელს უწყობს ავადმყოფის ზოგადი მდგომარეობის გაუმჯობესებას.

**შიზოგონია** – [ბერძნ. schizo ვაპობ, gone შობა, მემკვიდრეობა] – უმარტივესთა უსქესო გამრავლების ფორმა, რომლის დროსაც ინდივიდი იყოფა მრავალ შვილედურ ორგანიზმად.

**შიპის რეაქცია** – რეაქცია, რომელსაც იყენებენ ბავშვებში დიფტერიის ანტიტოქსიკური იმუნიტეტის დაჭიმულობის დასადგენად. ამ მიზნით, წინამხრის მიდამოში, კანში, შესაბამისი ტოქსინის განსაზღვრული რაოდენობა (კანის დოზა) შეჰყავთ. ინფექციის ადგილზე სიწითლე და შესივება თუ არ გამოვლინდა, მაშინ ორგანიზმში მოცირკულირე ანტიტოქსინით განეიტრალებულა ტოქსინი.

**შოლტაბი** – გრძელი, პროტოპლაზმური ძაფები, რომლებიც წარმოადგენენ ზოგიერთი უმარტივესი ორგანიზმის (შოლტაინების) მოძრაობის ორგანოიდებს. შოლტები გააჩნია ზოგიერთი მრავალჯერადიანი ორგანიზმის უჯრედებს; შოლტები, აგრეთვე, აქვს ზოგიერთ ბაქტერიას. ისინი წარმოადგენენ ლოკომოტორულ სტრუქტურებს.

**შოკი** – schock (ინგლ.) დაკვრა, დარტყმა – სიცოცხლისათვის საშიში სიმპტომოკომპლექსი. ორგანიზმის თავისებური რეაქცია ძლიერი გამღიზიანებლის ზემოქმედების საპასუხოდ. ახასიათებს ცენტრალური ნერვული სისტემისა და სასიცოცხლო ფუნქციების მკვეთრი დათრგუნვა. არჩევენ მსუბუქ, საშუალო სიმძიმისა და მძიმე შოკს. შოკი შეიძლება იყოს პირველადი ან მეორეული. წარმოშობის მიხედვით არჩევენ ტრამულ, ოპერაციულ, ჰემოლიზურ, ანაფილაქსიურ, ჰემორაგიულ, ჰემორტანსფუზიულ, ფსიქიკურ, ტოქსიკურ, დამწვრობისმიერ შოკს.

**შპადელი** – მინის ჩხირისაგან დამზადებული სამკუთხა ბოლოიანი ხელსაწყო, რომელიც გამოიყენება მყარ საკვებ ნიადაგზე მიკრობების დასათესად.

**შპრიტი** – სამედიცინო ხელსაწყო, ღრუ ნემსის მქონე დეგუშიანი ცილინდრი, რომლითაც წამალი შეჰყავთ ორგანიზმში.

**შრატისანი საკვები არე** – საკვები არე, რომელსაც დამატებული აქვს სისხლის შრეტი.

**შრატის დაავადება** – (morbus seri) – ორგანიზმში შრატის პარენტერული შეყვანით გამოწვეული დაავადება, რომელსაც ახასიათებს შემცივნება, მაღალი ტემპერატურა, ქავილი და მთელ ტანზე უხვი გამონაყარი.

**შრატის ტიტრი** – შრატის ბოლო გაზაფება, რომელშიც აღინიშნება ავლუტინაცია.

**შტამი** – მიკროორგანიზმების სუფთა კულტურა, რომელიც გამოყოფილია დაავადებული ცხოველის ან ადამიანის ორგანიზმიდან.

**შტატივი** – (გერმ. stativ) – დასაკეცი სამფეხი, რომელზედაც ამარებენ ფოტოგრაფიულ ან კინოგადასაღებ აპარატს, ასტრონომიულ ან გეოდეზიურ ინსტრუმენტს ან მისთანებს.



**ჩანართი** – ბაქტერიული უჯრედის სამარაგო ნივთიერებები. ასეთები: პოლისაქარიდები, ცხიმები, პოლიფოსფატები და გოგირდი.

**ჩანთა** – იხ. ასკი || ასკები.

**ჩანთოსანი სოკოები** – სოკოების ერთ-ერთი კლასი, რომელთაც ახასიათებთ ასკების ანუ ჩანთების წარმოქმნა. ასკებში კი წარმოიქმნება ასკოსპორები.

**ჩაპების საკვები არე** – სინთეზური საკვები არე ობის სოკოებისათვის.

**ჩირქი** – [ბერძ. pyon – ჩირქი] – ჩირქოვანი ანთების ექსუდატი. ის მღვრიე ნაღებისებრი, მოყვითალო ან მომწვანო – ყვითელი ფერის, არცთუ იშვიათად მყრალი მასაა. შედგება ცილით მდიდარი სითხისგან. ასევე დიდი რაოდენობითაა შიგ ლეიკოციტები, ბაქტერიები, ფერმენტები და დაშლილი ქსოვილები.

**ჩირქმბადი კოკები** – Streptococcus pyogenes – პიოგენური კოკები. იწვევენ ანთებით პროცესებს, რასაც თან ახლავს ჩირქის წარმოქმნა.

**ჩონჩხი** – მკვრივი წარმონაქმნების სისტემა, რომელიც შეადგენს ცხოველური ორგანიზმის მტკიცე საყრდენს. ჩონჩხი უზრუნველყოფს სხეულის ფორმის შენარჩუნებას და ემსახურება მას საყრდენად ყოველგვარი მდგომარეობის დროს. მასზე მიმაგრებული კუნთებით ჩონჩხი მონაწილეობს სხეულის მოძრაობაში. გარდა ამისა, ის ასრულებს შინაგან ორგანოთა დამცველ ფუნქციას.

**ჩუტყვავილა** – [ლათ. varius – ნაირ-ნაირი, აჭრელეული] – ბავშვთა ასაკის ინფექციური დაავადება, რომელსაც იწვევს ფილტრში გამავალი ვირუსი. თან სდევს ცხელებითი რეაქცია და მთელი ტანის კანზე დამახასიათებელი ვეზიკულური გამონაყარი. ჩუტყვავილა გადადის ჰაერ-წვეთოვანი გზით, აგრეთვე, კონტაქტური გზითაც. შემთხვევათა უმრავლესობაში ჩუტყვავილა კეთილსასურველად მიმდინარეობს.



**ცელოზიოზა** – დისაქარიდი, რომელიც მიიღება ცელულოზის დაშლის პირველ ეტაპზე ფერმენტი – ცელულოზას მონაწილეობით.

**ცელულოზა** – 1. უჯრედანა, უჯრედისი, რთული ნახშირწყალი, რომელიც წარმოადგენს მცენარეული უჯრედის გარსის ძირითად შემადგენელ ნაწილს. 2. ნივთიერება, რომელსაც იღებენ ზოგიერთი მცენარის მერქნისაგან მისი ქიმიურად დამუშავების შედეგად; იყენებენ ქაღალდის, ხელოვნური აბრეშუმის, ასაფეთქებელი ნივთიერებებისა და სხვათა დასამზადებლად.

**ცელულოზის დაფუძელი ბაქტერიები** – თითისტარისებრი ჩხირები მახვილი ბოლოებით. მათ მიეკუთვნება Spirochaete cytophaga. ეს ბაქტერია პირველად აღმოაჩინა მეცნიერმა გუტჩინსონმა.

**ცენოზი** – თანასახოგადობა. იგივეა, რაც ბიოცენოზი. იხ. ბიოგეოცენოზი, ფიტოცენოზი, ზოოცენოზი.

**ცენტრალური** – centralis ცენტრალური – 1. ცენტრთან დაკავშირებული. 2. ცენტრში არსებული. 3. ყველაზე არსებითი, ძირითადი. 4. რაც მთელ სისტემას ამოქმედებს. მაგალითად, ცენტრალური ნერვული სისტემა – ნერვული სისტემის ძირითადი ნაწილი, რომელიც შედგება თავის ტვინისა და ზურგის ტვინისაგან.

**ცენტრიზუზა** – მანქანა, რომელიც ცენტრიდანული ძალების მოქმედებით მექანიკურად ყოფს ნარევს შემადგენელ ნაწილებად.

**ცეფალოსპორინი** – ანტიბიოტიკი, რომელსაც გამოიმუშავენ ობის სოკოს გვარი Cephalosporium.

**ცვალებადობა თვისობრივი** – ცვალებადობის ფორმა, რომლის დროსაც ინდივიდები შეიძლება მოცემული ნიშნის არსებობის ან არარსებობის შესაბამისად გამოყოფილი იყოს მკვეთრად გამოხატულ ჯგუფებად. მას წყვეტილ ან ალტერნატიულ ცვალებადობასაც უწოდებენ.

**ციანიდი** – [ბერძნ. kyanos მუქი-ლურჯი, ლაჟვარდოვანი] – ციანწყალბადმჟავას მარილები (HCN), მაგ., რკინის ციანიდი Fe(CN)<sub>6</sub>.

**ციანობაქტერია** – ლურჯ-მწვანე წყალმცენარე. მიეკუთვნება პროკარიოტებს.

**ცილა** – მაღალმოლეკულური ორგანული ნაერთი, რომლის რთული მოლეკულა აგებულია ამინომჟავებისაგან. არის ცოცხალი ნივთიერების მუდმივი და ყველაზე მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილი, მისი სტრუქტურისა და ფუნქციის საფუძველი.

**ცილის კონვოლუცია** – ცილის სტრუქტურის ცვლილება.

**ციმბირის წყლული** – ზოლიანთროპონოზული ინფექცია. გამოწვევაა Bacillus anthracis. გრამდადებითი სპორის წარმოქმნელი აერობული ჩხირია. სპორები ნიადაგში 50 წელზე მეტხანს ძლებს. არსებობს სხვადასხვა კლინიკური ფორმა: კანის, ფილტვების და ნაწლავების.

**ცირკულაცია** – circulatio – წრიული მოძრაობა (მაგ., სისხლის წრიული მოძრაობა).

**ცირკულირება** – ცირკულაცია, წრიული მოძრაობა.

**ციროზი** – (ბერძნ. kirros – ყვითელი, ლიმონისფერი) – რომელიმე ორგანოს შემავრთებელი ქსოვილის გაზრდა, რაც ამ ორგანოს ფუნქციას არღვევს. მაგ., ღვიძლის ციროზი.

**ცისტა** – cystis (ბერძნ. kystis ბუშტი) – მოსვენებულ მდგომარეობაში მყოფი უჯრედი, რომელიც დაფარულია ცოტად თუ ბევრად მკვერივი გარსით, რაც უზრუნველყოფს ორგანიზმის გადარჩენას არახელსაყრელ პირობებში.

**ცისტა** – cystis (ბერძნ. kystis ბუშტი (შარდის) – შარდის ბუშტის ანთება.

**ციტი** – [ბერძნ. kytos – სათავსი, გარსი, უჯრედი] – რთული სიტყვის ბოლო შემადგენელი ნაწილი. ნიშნავს სისხლის ბურთულებთან დაკავშირებულს. მაგალითად, ერითროციტები, თრომბოციტები, ლეიკოციტები.

**ციტოდეშტრუქცია** – (ბერძნ. kytos – უჯრედი, ლათ. destructio – დარღვევა, დაზიანება) – ბიოლოგიური, ქიმიური და ფიზიკური აგენტებით გამოწვეული უჯრედების დაზიანება მათ სრულ ლიზისამდე. იმავე უჯრედის სიკვდილი.

**ციტოზინი** – აზოტოვანი ფუძე, რომელიც შედის ნუკლეოტიდების შემადგენლობაში.

**ციტოლიზი** – უჯრედის სტრუქტურის რღვევის, დაშლისა და გახსნის პროცესი.

**ციტომეგალოვირუსი** – დნმ-ის შემცველი ვირუსი. კულტივირდება ადამიანის ფიბრობლასტებში. ვირუსს ხასიათებს ჩანართების ფიქონე გიგანტური უჯრედების წარმოქმნა.

**ციტოპათიური მომხმევა** – დეგენერაციური ცვლილებების განვითარება, რომელიც დაკავშირებულია უჯრედებში მეტაბოლიზმის დარღვევასთან და მკაცრად სპეციფიკურია ვირუსთა თითოეული სახეობისთვის.

**ციტოპლაზმა** – უჯრედის ნახევრად თხევადი ნაწილი, რომელშიც მდებარეობს ბირთვი და ყველა ორგანოიდი.

**ციტოპლაზმური მემბრანა** – უჯრედის ერთ-ერთი სტრუქტურა. 1953 წელს დოუსონმა და დანიელმა მოგვეცეს ციტოპლაზმური მემბრანის მოდელი, რომელთა მიხედვით ის შედგებოდა ორმაგი ლიპიდური შრისგან. ამ მემბრანის ორივე მხარეზე ცილოვანი შრეები იყო განლაგებული. ამჟამად აღიარებულია ციტოპლაზმური მემბრანის მოზაიკური მოდელი. ციტოპლაზმურ მემბრანას მრავალმხრივი ფუნქცია აქვს.

**ციტოპლაზმური ხილაკები** – სხვადასხვა უჯრედების ციტოპლაზმების შემავრთებელი უწვრილესი ციტოპლაზმური მემბრანული მილაკები.

**ციტოტოქსინები** – სპეციალური ანტისხეულები, რომლებიც აბლოკირებენ ცილების სინთეზს სუბუჯრედულ დონეზე. მაგალითად, დიფთერიის ტოქსინი, ლურჯ-მწვანე ჩირ-

ქის ჩხირის ტოქსინი და სხვა. მწყობრიდან გამოყავს ფერმენტი ტრანსფერაზა II, რომელიც რიბოსომებზე პოლიპეტიდური ჯაჭვის ელონგაციაზე (მიკერებაზე) არის პასუხისმგებელი.

**ციტოტროპიზმი** – მიდრეკილება გარკვეული ჯგუფის უჯრედებისადმი. ყვავილის, პაპილომისა და წითელას ვირუსები აზიანებენ კანს, ცოფის ვირუსი – თავისა და ზურგის ტვინს.

**ციტოზილურობა** – პოხიერი უჯრედებისა და ბაზოფილებისადმი მიდრეკილება.

**ციტოქიმიური** – უჯრედში ამა თუ იმ ნივთიერებების (პოლისაქარიდების, ლიპიდების, ცილების, ვოლუტინისა და სხვათა) აღმოჩენა მიკროქიმიური რეაქციებით.

**ციტოქოლი** – ანტიგენი, რომელიც გამოიყენება ზაქს-ვიტებსკის დალექვის რეაქციის დადგმისთვის.

**ციტოქრომი** – პიგმენტი, რომელიც, ჰემინის სხვა ნაწარმთა მსგავსად, შეიცავს რკინას, წარმოადგენს წყალბადის ატომის ელექტრონის გადატანს ჟანგბადის ატომებთან, რითაც დიდ როლს ასრულებს სუნთქვის პროცესში.

**ციტოქრომოსიდაზა** – ფერმენტი, რომელიც მონაწილეობს წყალბადის ატომის ელექტრონების გადატანაში ჟანგბადის ატომებთან.

**ციტრატები** – [ლათ. citrus – ლიმონის ხე] – ლიმონმჟავას მარილები.

**ციფი** – ჰიდროფობია, წყლის შიში. იხ. ჰიდროფობია.

**ციცხალი ვაქცინა** – ვაქცინის ტიპი, რომელიც მზადდება ვირუსულენტობადაქვეითებული მიკრობებისაგან, მაგალითად, ციციხალი ვაქცინა BCG – (Bacille Calmette Ceren), რომელსაც ტუბერკულოზის პროფილაქტიკისათვის იყენებენ.

**ცუცუბაგუზის ცილა** – ინფექციური დაავადება, რომელსაც იწვევენ რიკეტსიები, კერძოდ, R. tsitsigamusta გამომწვევი სისხლიდან გადადის სისხლძარღვთა ენდოთელიუმის უჯრედებში. ამ დროს წარმოიქმნება გრანულომები და პარენქიმულ ორგანოებში ჩნდება ანთებითი პროცესები. კანზე ჩნდება გამონაყარი.

**ცხელება** – ერთ-ერთი სიმპტომი, რომელიც ახასიათებს ეპიდემიურ შებრუნებით ტიფს. გამომწვევია ბორელიები. სისხლი, ჩვეულებრივ, სტერილურია. ბორელიები უჯრედებში შეღწევის შემდეგ მრავლდებიან ლიმფაში, აქედან კი ხვდუ-

ბიან სისხლის მიმოქცევის სისტემაში. სისხლს აქვს ბაქტერიოციდული მოქმედება. ამის გამო ბორელიები იღუპებიან, გამოთავისუფლდება ენდოტოქსინი, რაც იწვევს ცხელებას.

**ცხიმები** – ცოცხალ ორგანიზმში შემავალი ერთ-ერთი ძირითადი ორგანული ნივთიერებანი, რომლებიც წარმოადგენენ გლიცერინისა და უმაღლესი ცხიმოვანი მჟავების რთულ ეთერებს ანუ გლიცერიდებს.

**ცხოველუნარიანობა** – 1. ინდივიდის უნარი, გაძლოს სასიცოცხლო ციკლის გარკვეულ მომენტამდე. 2. გარკვეული ინდივიდის (ან პოპულაციის) გენეტიკურად განპირობებული უნარი, იცოცხლოს და მოგვეცეს შთამომავლობა.



**ძვლის ტვინი** – ქსოვილი, რომელიც მოთავსებულია ხერხემლიან ცხოველთა ძვლის ღრუში. ემბრიონალურ სტადიაში შედგება ძვლის წითელი ტვინისაგან და წარმოადგენს სისხლის წარმომქმნელ ორგანოს. შემდეგში ძვლის წითელი ტვინი ნაწილობრივ იცვლება ძვლის ყვითელი ტვინით, რომელიც შედგება ცხიმოვანი უჯრედებისაგან.



**წამალი** – [ბერძნ. pharmakon წამალი] – იმ საშუალებათა ერთობლიობა, რომელიც თავისი სპეციფიკური მოქმედებით სპობს ან ასუსტებს ავადმყოფობას ან მის შედეგებს.

**წამწამები** – 1. უჯრედის პროტოპლაზმატური მოკლე გამონაზარდები, რომლებიც წარმოადგენენ ზოგიერთი უმარტივესი ორგანიზმის (ინფუზორიის) მოძრაობის ორგანოიდებს. 2. ბეწვები, რომლებითაც ქუთუთოების კიდებია დაფა-

რული. წამწამები იცავენ თვალის ნაპრალს მტერის და სხვა წვრილი საგნების ჩაცვივისაგან.

**წითელა** – [ლათ. morbus დაავადება] – ძირითადად ბავშვთა ასაკის მწვავე ინფექციური დაავადება. ხასიათდება მაღალი სიცხით, სურდოთი, სასუნთქი ორგანოების კატარული მოვლენებითა და დამახასიათებელი გამონაყარით, რომელიც მესამე-მეოთხე დღეს იწყება სახიდან და ვრცელდება მთელ ტანსა და კიდურებზე. ინკუბაციური პერიოდი 7-10 დღეა. გადამდები დაავადებაა გარშემო მყოფთათვის. მოსალოდნელია გართულებები. განსაკუთრებით კი – ფილტვების ანთება.

**წითელას ვირუსი** – მწვავე ინფექციური დაავადების გამომწვევი ვირუსი. დაავადება ხასიათდება ტემპერატურის აწევით, ზედა სასუნთქი გზების კატარით, თვალის ლორწოვანის დაზიანებით, გამონაყარით.

**წითელი ძარბი** – იგივე ერიზიპელასი. მწვავე ინფექციური დაავადება, რომლის გამომწვევია სტრეპტოკოკი. ახასიათებს კანის ანთება.

**წითურა** – [ლათ. ruber წითელი] – გადამდები ინფექციური დაავადება. დამახასიათებელია პერიფერიული ლიმფური კვანძების გადიდება. გამონაყარი პირველად წარმოიქმნება ყურებთან, შემდეგ ვრცელდება მთელ სხეულზე. გამომწვევია დერმონეკროზული ვირუსი. იძლევა მყარ იმუნიტეტს.

**წინამღებარე ჯირკვალა** – proetana – კენტი ჯირკვლოვან – კუნთოვანი ორგანო.

**წყალმცენარეები** – მცენარეების ერთ-ერთი ჯგუფი, რომლის წარმომადგენლები უჯრედებში შეიცავენ ქლოროფილსა და სხვა პიგმენტს. ცხოვრობენ წყალსატევებსა და ხმელეთის ტენიან ადგილებში.



**ჰრილობა** – vilnus – მექანიკური ძალის გარეგანი ზემოქმედების შედეგად ქსოვილთა მთლიანობის დარღვევა.

**ჰურჯელ-გოჭკოვანი კონა** – გამტარი კონა (მცენარისა), რომელსაც თან ახლავს მექანიკური ქსოვილი.



**ხილაკები** ანუ პლაზმოდესმები – იხ. პლაზმოდესმები.

**ხორცპეპტონიანი აბარ-აბარი** – საერთო დანიშნულების მყარი საკვები ნიადაგი ბაქტერიებისათვის. მზადდება ასე: ხორცპეპტონიან ბულიონს გარკვეული რაოდენობით უმატებენ აგარ-აგარს და აცხელებენ გაღვლილად. გაცივების შემდეგ მყარდება.

**ხრწნა** – აზოტოვანი ორგანული ნაერთების (უმთავრესად ცილების) დაშლის პროცესი; განპირობებულია მიკროორგანიზმების ცხოველმოქმედებით, რასაც თან სდევს მყარალი სუნის ნივთიერებათა გამოყოფა.



**ჯენ-ძიუ** – [ჩინ.] ჩინური ხალხური კლასიკური მედიცინის მეთოდი – ნემსით ჩხვლეტა და მოწვა.

**ჯენ-ძიუ თერაპია** – ჯენ-ძიუს მეთოდით მკურნალობა.

**ჯილუხი** – იხ. ციმბირის წყლული.

**ჯორჯალი** – იხ. მეზენტერიუმი.

**ჯუნგლის (ტყის) ყვითელი ცხელება** – ენდემური, ბუნებრივი კეროვანი ინფექცია.



- ჰაიმორითიზმი** – ინფექციური დაავადების გადაცემის ერთ-ერთი გზა. გადაცემა ხდება ხველის, ლაპარაკის, ცემინების დროს და საყოფაცხოვრებო (ჭურჭელი, სათამაშოები) საგნებით.
- ჰაიმორითი** – highmoritis (N. Highmore – 1613-1685), ინგლისელი ანატომი, მან პირველმა აღწერა ზედა ყბის წიაღი. (itis ანთება) – ზედა ყბის წიაღის ლორწოვანის ანთება.
- ჰალობაქტერიოზი** – მარილამტანი ბაქტერიები, ე. ი. ბაქტერიები, რომლებიც შეგუებული არიან მარილით ჭარბ ნიადაგს.
- ჰალოზი** – (ბერძნ. hals (halos) მარილი და genos წარმოშობა) – ზოგი ქიმიური ელემენტი (ფთორი, ქლორი, ბრომი ან იოდი), რომელიც ბუნებაში მხოლოდ მარილების სახით გვხვდება.
- ჰალოზენური** – ჰალოგენთან დაკავშირებული.
- ჰალოფილი** – მარილისმოყვარული.
- ჰალუცინაცია** – hallucinatio – ბოდვა – ობიექტის გარეშე მცდარი მხედველობითი, სმენითი, ყნოსვითი ან შეხებითი აღქმა, რომელიც გამოწვეულია ტვინის მოქმედების დარღვევით (ეჩვენებათ არარსებული საგნები, ხმები და სხვა). ფსიქიკური დაავადების ერთ-ერთი ძირითადი სიმპტომი. გვხვდება შიზოფრენიის, ინტოქსიკაციური ფსიქოზისა და სხვათა დროს.
- ჰაპლოიდი** – ორგანიზმი, რომლის უჯრედები შეიცავს ჰაპლოიდურ ერთმაგ (დიპლოიდურზე ორჯერ მცირე) ქრომოსომათა რიცხვს.
- ჰაპლოიდური** – ქრომოსომათა ერთმაგი ნაკრები, რომელიც ვიწრო გაგებით იხმარება ქრომოსომათა ერთმაგი ანაწყობის მქონე უჯრედის ან ინდივიდის აღსანიშნავად, ე. ი. ისეთი ინდივიდის, რომელშიც თითოეული ქრომოსომა გვხვდება მხოლოდ ერთჯერ. ფართო გაგებით ტერმინ ჰაპლოიდურს ხმარობენ გამეტების ქრომოსომათა რიცხვის მქონე უჯრედების ან ინდივიდების აღსანიშნავად, ე. ი. იმ ინდივიდებისა, რომელთაც გააჩნიათ მოცემული სახეობისთვის სპეციფიკური ქრომოსომათა სომატური ანაწყობის მხოლოდ ნახევარი.

- ჰაპტენები** – ანტიგენები, რომელთაც ანტისხეულების წარმოქმნის ინდუცირება არ შეუძლიათ.
- ჰეიზერი** – გეიზერი – ვულკანური წარმოშობის ცხელი წყარო, საიდანაც პერიოდულად სცემს წყლისა და ორთქლის შადრევნები.
- ჰელმინთოზი** – ბერძნ. helmins ჭიები, რომლებიც პარაზიტობენ ადამიანისა და ცხოველის ორგანიზმებსა და ქსოვილებში.
- ჰელმინთოზი** – ადამიანის, ცხოველის, მცენარის დაავადებანი, რომლებიც გამოწვეული არიან ორგანიზმში პარაზიტული ჭიების (ჰელმინთების) შეღწევით და გამრავლებით.
- ჰელმინთოლოგია** – [ბერძნ. helmins – ჭია და logos – მოძღვრება] – მეცნიერება პარაზიტული ჭიებისა (ჰელმინთებისა) და მათ მიერ გამოწვეულ დაავადებათა შესახებ.
- ჰემაგლუტინაცია** – (ბერძნ. haima – სისხლი, ლათ. agglutino – მივაწყებ, მივაკრავ) – სითხეში შეწონილი ერთროციტების შეწყობა და დალექვა.
- ჰემაგლუტინაციის რეაქცია** – იგივე არაპირდაპირი ანუ პასიური ჰემაგლუტინაციის რეაქცია.
- ჰემაგლუტინინი** – ანტიგენი, რომელიც შედის გრიპის ვირუსის გარეთა ზედაპირის შემადგენლობაში, პასუხისმგებელია მის ანტიგენურობაზე და განსაზღვრავს ამა თუ იმ ქვეტიპის კუთვნილებას. ცნობილია ჰემაგლუტინინის 13 ქვეტიპი (H<sub>1</sub>-H<sub>13</sub>).
- ჰემატოგენური** – (ბერძნ. haima – სისხლი, genos – წარმოშობა) – სისხლისხეული, სისხლისა, სისხლის ნაკადთან ერთად გავრცელებადი.
- ჰემატოზოზი** – [ბერძნ. haima სისხლი და zoon ცხოველი] – ერთუჯრედიანი ორგანიზმები, რომლებიც პარაზიტობენ ხერხემლიანთა (მათ შორის ადამიანთა) სისხლში.
- ჰემატოლოგია** – [ბერძნ. haima – სისხლი და logos – მოძღვრება] – მეცნიერება, რომელიც სწავლობს სისხლის შემადგენლობასა და თვისებებს, აგრეთვე, სისხლით დაავადებებს.
- ჰემატომა** – (ბერძნ. haima, oma – სიმსივნე) – სისხლძარღვებიდან გამოდენილი სისხლის დაგროვება ქსოვილებში, რაც სისხლის ჩაქცევის შედეგად ხდება.
- ჰემატურია** – [ბერძნ. haima სისხლი და uron შარდი] – სისხლის არსებობა შარდში, რომელიც არის ზოგი დაავადების სიმპტომი. კერძოდ: თირკმელკენჭოვანი დაავადების, შარდსასქესო ორგანოების, ტუბერკულოზის, თირკმლებისა და

საშარდე გზების სიმსივნეებისა და სხვა დაავადებათა შედეგად არის გამოწვეული.

- ჰემი** – ჰემოგლობინის არაცილოვანი ანუ ჰემინოვანი ნაწილი.
- ჰემიანესთეზია** – [ბერძნ. hemi ნარევი და thesia (იხ. ანესთეზია)] – მგრძობელობის დაკარგვა სხეულის ერთ-ნახევარში.
- ჰემიციტოლოგია** – ცელულოზასთან ახლოს მდგომი ნივთიერება, რომელიც შედის უჯრედის გარსში, უმთავრესად სამარაგო საკვები ნივთიერების სახით.
- ჰემოგლობინი** – haemoglobinum (ბერძნ. haima სისხლი, ლათ. globus ბურთულა) – სისხლის წითელი ბურთულების (ერიტოროციტების) შემადგენელი ნაწილი (საღებავი ნივთიერება), რთული ქიმიური ნაერთი, შედგება ცილა გლობინისა და ჰემის ოთხი მოლეკულისგან. ჰემის მოლეკულას, რომელიც რკინის ატომს შეიცავს, ახასიათებს უნარი, შეიერთოს და გასცეს ჟანგბადის მოლეკულა. ორგანიზმში ჰემოგლობინი მნიშვნელოვან როლს ასრულებს; იგი ჟანგბადის გადამტანია.
- ჰემოდინამიკა** – haemodynamica (ბერძნ. haima (haema) სისხლი, dynamis ძალა) – ფიზიოლოგიის ნაწილი, რომელიც შეისწავლის სისხლძარღვებში სისხლის მოძრაობასა და კონფორმაციას.
- ჰემოკულტურა** – (ბერძნ. haima სისხლი, ლათ. cultura დამუშავება) – სისხლისგან მიღებული მიკრობთა კულტურა.
- ჰემოლიზი** – ერიტროციტების დაშლის პროცესი, რომლის დროსაც მისი შიგთავსი, სახელობრ, ჰემოგლობინი გადადის გარემოში, უმთავრესად, სისხლის ლიმფაში. ეს ხდება ზოგიერთი დაავადებისა და მოწამულის დროს.
- ჰემოლიზინი** || **ჰემოლიზინები** – ნივთიერება, რომელიც იწვევს ჰემოლიზს.
- ჰემოლიზური** – (ბერძნ. haima სისხლი, lysis დაშლა) – ჰემოლიზის გამოწვევი, ჰემოლიზით განპირობებული.
- ჰემოლიზური თვისება** – ჰემოლიზი – სისხლის ერიტროციტების (სისხლის წითელი ბურთულების) დაშლის პროცესი, რის შედეგად ჰემოგლობინი იშლება.
- ჰემოლიზური სტრეპტოკოკი** – ბაქტერია, რომელიც იწვევს სისხლის ერიტროციტების სრულ ჰემოლიზს.
- ჰემოლიზი** – ზოგიერთი ჭიის, მოლუსკისა და მწერის სხეულში არსებული სითხე, რომელიც მიმოქცევა ცხოველის სადინარებსა და უჯრედშორისებში; ხსნარის სახით შეიცავს ჟანგბადის გადამტან ამა თუ იმ პიგმენტს.

- ჰემორაგია** – haemorrhagia (ბერძნ. raima(haema) სისხლი, rhegnymi ვგლეჯ) – სისხლძარღვის მთლიანობის დარღვევის შედეგად სისხლის დენა ან სისხლის ჩაქცევა სხეულის რომელიმე ღრუსა და ქსოვილში.
- ჰემორაგიული კოლიტი** – colitis haemorrhagia (ბერძნ. haema – სისხლი, rhegnymi – ვგლეჯ ბერძნ. kolon – კოლინგი, itis – ანთება) – მსხვილი ნაწლავის ანთება, რომელიც მიმდინარეობს სისხლძარღვის მთლიანობის დარღვევით გამოწვეული სისხლის დენით.
- ჰემორაგიული ცხელება** – სისხლძარღვის მთლიანობის დარღვევით გამოწვეული ცხელება.
- ჰემოტრანსფუზია** – (ბერძნ. haima სისხლი, ლათ. transfusio – გადასხმა) – სისხლის გადასხმა ერთი ადამიანის ვენიდან (დონორი) მეორე ადამიანის (რეცეპიენტის) ვენაში.
- ჰემოზილია** – (ბერძნ. haima – სისხლი, philia – სიყვარული, მიდრეკილება) – მექვიდრული მიდრეკილება სისხლის დენისადმი, რომლის დროსაც სისხლის შედეგების უნარი დაქვეითებულია თრომბოპლასტინის წარმოქმნაში მონაწილე ანტიჰემოფილური გლობულინის (VIII ფაქტორი) სისხლში არარსებობის გამო. ჰემოზილია მამაკაცთა დაავადებაა, რომლის გადამცემია („ავადმყოფობის კონდუქტორია“) ქალი. ქალები ავადდებიან მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ავადმყოფი მამაკაცი დაქორწინდება „ავადმყოფობის კონდუქტორ“ ქალზე და შეერთდება ორი პათოლოგიური X-ქრომოსომა.
- ჰეპარინი** – [ბერძნ. hepar – ღვიძლი] – ნივთიერება, რომელიც ხელს უშლის სისხლის შედეგებას. პირველად გამოყვეს ღვიძლიდან. მცირე რაოდენობით მოიპოვება ფილტვებში, თირკმელებში და სხვა.
- ჰეპატიტი** – (ბერძნ. hepar – ღვიძლი, itis ანთება) – ვირუსული ინფექცია. ღვიძლის ანთებითი ხასიათის დაავადებათა საერთო სახელწოდება. მწვავე ფორმების შემთხვევაში ღვიძლის პარენქიმა ზიანდება, ქრონიკული დროს კი აღინიშნება ინტერსტიციული მეზენქიმური ქსოვილის პირველადი ანთება, მისი ჩაზრდა ხდება ღვიძლის ქსოვილში და აღინიშნება მეორეული დაზიანება.
- ჰეპატოცელულური ბაქტინოზა** – ღვიძლის კიბო.
- ჰეპატოციტების დაზიანება** – ღვიძლის უჯრედების დაზიანება.
- ჰეპატოციტოკოკული ვირუსები** – დნმ-ისა და რნმ-ის შემცველი ვირუსები, რომლებიც ღვიძლის უჯრედებს აზიანებენ.

**ჰერპანგინა** – ყელის უკანა კედელზე ჰერპესისმაგვარი გამონაყარი.  
**ჰერპესი, გუშუტკოვანი ლიმენი** – (ბერძნ. herpo ვსოხაე) – მწვავე, ციკლური მიმდინარეობის ვირუსული დერმატოზი ბუშტუკოვანი გამონაყარით განსაკუთრებით იმ ადგილებში, სადაც კანი გადადის ლორწოვან გარსში, უმეტესად ტუჩებზე, სასქესო ორგანოებსა და სხვაზე. ხშირად თან სდევს ცხელებით მიმდინარე დაავადებებს (კრუპოზულ პნევმონიას, ეპიდემიურ ცერებრო-სპინალურ მენინგიტს, გრიპს, ანგინასა და სხვ.).

**ჰერპესის ვირუსები** – ვირუსული ინფექციის ჰერპესის გამომწვევები, რომელთაც აქვთ სფერული ფორმა, ნუკლეოკაფსიდი გარშემორტყმულია გარეთა გარსით და აქვს ორჯაჭვიანი დნმ. ფიზიკური და ქიმიური ფაქტორების მიმართ ნაკლებად მდგრადი არიან.

**ჰერპეს-ზოსტერის ვირუსი, ჰეტეროზოზი** – (ბერძნ. heteros სხვა, წარმოგშობ) – შემაღენლოზით, წარმოშობით, თვისებებით სხვადასხვაგვარი.

**ჰეტეროზოზი შრავი** – შრავი, რომელიც მიღებულია ცხოველიდან და შეიცავს ადამიანისათვის უცხო ცილებს.

**ჰეტეროზოზული ბაქოვა** – ბინალური გაყოფის შედეგად წარმოშობილი ზომით განსხვავებული შვილეული უჯრედები.

**ჰეტეროპლოიდა** – (ბერძნ. heteros სხვა, ploos შეჯამება) – მოვლენა, რომელიც განაპირობებს გენური ბალანსის დარღვევას კომპლექტში ცალკეული ქრომოსომების არაჯერადი მომატებით ან შემცირებით.

**ჰეტეროტროფული ორგანიზმები** – ორგანიზმები, რომელთაც არ შეუძლიათ არაორგანული ნივთიერებებიდან ორგანულ ნივთიერებათა წარმოქმნა და იკვებებიან მზა ორგანული ნივთიერებებით (ყველა ცხოველი, სოკოები, ბაქტერიები).

**ჰემსოზები** – (იგივე გლუკოზები) – ექვსნახშირბადიანი ნახშირწყლები (გლუკოზა, ფრუქტოზა).

**ჰემსოზოზოზატი** – იგივე ფოსფორილირებული ჰექსოზა. მაგალითად, გლუკოზო-ნ ფოსფატი.

**ჰიალურონიდაზა** – ფერმენტი, რომელიც შლის შემაერთებული ქსოვილის შემაღენლობაში შემავალ ჰიალურონის მუკოსს.

**ჰიალურონის მუკოზა** – შემაერთებული ქსოვილის შემაღენლობაში შემავალი მუკოზა.

**ჰიბრიდიზაციის ხარისხი** – შეჯვარება მცენარეების ან ცხოველებისა, რომლებიც განსხვავდებიან ალელის თითო ან მეტი რიცხვით, ქორომოსომათა რიცხვით ან აგებულებით. ჩვეულებრივ, ჰიბრიდიზაციაში იგულისხმება მცენარეთა ან ცხოველთა სხვადასხვა სახეების, ფორმის ან ჯიშის ინდივიდთა სქესობრივი ან ვეგეტატიური შეჯვარება, რომლის შედეგადაც მიიღება ნაჯვარი – ჰიბრიდი.

**ჰიგიენა** – (ბერძნ. hygienos ჯანსაღი, ჯანმრთელი) – მეცნიერება, რომელიც სწავლობს გარემოს ზემოქმედებას ადამიანის ორგანიზმზე და შეიმუშავებს ჯანმრთელობის დაცვის უზრუნველყოფის პრაქტიკულ ღონისძიებათა ერთობლიობას.

**ჰიდრაზიდი** –  $H_2N - NH_2$  – ქიმიური ნაერთი, რომელიც წარმოიქმნება აზოტის ( $N_2$ ) ფიქსაციისას, როგორც შუალედური პროდუქტი.

**ჰიდროლიზი** – (ბერძნ. hydor – წყალი, lysis – დაშლა) – რთული ნივთიერების დაშლა წყლის ზემოქმედების შედეგად.

**ჰიდროსფერო** – წყლის გარსი (ოკეანეები, ზღვები, ტბები, მდინარეები), რომელიც აკრავს დედამიწას.

**ჰიდროფილური** – წყლის სიყვარული.

**ჰიდროფობია** – [ბერძნ. hydor – წყალი, fobos – შიში] ნიშნავს წყლის შიშს. არის მწვავე ინფექციური დაავადება ცენტრალური ნერვული სისტემის დამახასიათებელი დაზიანებებით, რასაც თან ახლავს მტანჯველი სიკვდილი. ამ დაავადების დროს ადამიანი წყლის შიშს გამოხატავს არა მარტო შეხებისას, არამედ მისმა ხმაურმა და სიტყვა „წყლი“-ს გაგონებამაც შეიძლება უდიდესი შეტევა გამოიწვიოს. ცოფის ვირუსი ადამიანს ცხოველისაგან გადაეცემა. ჩვენი წელთაღრიცხვით I საუჯუნეში ცოფი ადამიანში აღწერა პ. ცელსმა.

**ჰიდროფობური ნივთიერებები** – ნივთიერებები, რომელთაც წყალთან მოზიდვის ენერგია მეტად სუსტად აქვთ და შესაბამისად, მათი ხსნადობაც ძალიან დაბალია.

**ჰიოსტიამიდი** – [ბერძნ. hyoskiamos ლენცოფა] – ალკალოიდი, რომელიც შედის ბელადონას, ლენცოფას და ზოგი სხვა მცენარის შემაღენლობაში.

**ჰიპერაქტივაცია** – (ბერძნ. hyber – ზედმეტი, ჭარბი, ლათ. activus მოქმედი, რისამე ამოქმედება ან მოქმედების გაძლიერება) – ზედმეტად მოქმედების გაძლიერება.

**ჰიპერაზოტემია** – [ბერძნ. hypoer -ზე, ზევით და haima სისხლი] – სისხლში ცილოვანი ცვლის აზოტოვანი პროდუქტების (შარდოვანას, შარდმჟავას და სხვ.) რაოდენობის მომატება. ვითარდება თირკმლების მიძიმე დაავადების ან გულ-სისხლძარღვთა უკმარისობის დროს.

**ჰიპერბლიკემია** – შაქრის სიტარბე სისხლში.

**ჰიპერემია** – (ბერძნ. hyper ზედმეტი, ჭარბი, haima სისხლი) – სისხლის დიდი რაოდენობის დაგროვება ამა თუ იმ ორგანოში (მაგ., სახის ჰიპერემია).

**ჰიპერერგია** – hyperergia (ბერძნ. hyper ზედმეტი, ჭარბი, ergon მუშაობა, მოქმედება) – ზოგიერთი მავნე ტოქსინისა და აგენტის მიმართ ორგანიზმის რეაქტიულობის მკვეთრი გაძლიერება.

**ჰიპერიმუნია** – მრავალჯერადი, ინტენსიური იმუნიზაცია.

**ჰიპერიმუნია** – (ბერძნ. hyper ზედმეტი, ჭარბი, immunis – რაიმესაგან განვითარებული, რასაც იმუნიტეტი არ აქვს. ჭარბად იმუნური, ზედმეტად იმუნური.

**ჰიპერმემბრანოზოზა** – (ბერძნ. hypa-ზე, მეტისმეტი) – მემბრანის მგრძობელობა რაიმეს მიმართ.

**ჰიპერპლაზია** – ბერძნ. hyper ზედმეტი, ჭარბი, plasis წარმოქმნა) – ცალკეულ ქსოვილთა შემადგენელი ელემენტების რაოდენობრივი მატება მათი უჯრედების გამრავლების გზით. უჯრედოვანი ელემენტების ჭარბი წარმოქმნა.

**ჰიპერტონია** – [ბერძნ. hyper ზედმეტი, ჭარბი, tonos დაძაბვა] – 1. არტერიული წნევის მეტ-ნაკლებად მომატება, არტერიული ჰიპერტონია. 2. კუნთის ან ღრუს ორგანოს კუნთოვანი შრის ტონუსის მომატება.

**ჰიპერტონიკი** – ჰიპერტონიით დაავადებული ადამიანი.

**ჰიპერტონიული ხსნარი** – [ბერძნ. hyper ზედმეტი, ჭარბი] – სისხლის ოსმოსურ წნევაზე მაღალი ოსმოსური წნევის მქონე ხსნარი.

**ჰიპერტროფია** – რომელიმე ორგანოს მეტისმეტი გადიდება ავადმყოფობისა და სხვა მიზეზის გამო.

**ჰიპოგლიკემია** – შაქრის სიმცირე სისხლში.

**ჰიპოთალამუსი** – შინა ტვინის ნაწილი, რომელიც ქმნის ტვინის მესამე პარაკუჭის ფუძეს, სადაც მოთავსებულია ვისცერალური ფუნქციების (წყლის ბალანსი, სხეულის ტემპერატურა, ძილი და ა. შ.) მმართველი სხვადასხვა ცენტრი. შუამდებარე ტვინის ბორცვქვეშა განყოფილება.

**ჰიპოთეზა** – (ბერძნ. hypothesis ვარაუდი) – რაიმე მოვლენის ასახსნელად წამოყენებული მეცნიერული ვარაუდი, რომლის უეჭველობა ჯერ არ არის ცდით დამტკიცებული.

**ჰიპოტონია** – hypotonia (ბერძნ. hypotonia ქვევით, დაბლა, tonos დაძაბვა) – 1. არტერიული წნევის ნორმაზე დაბლა დაცემა; ნორმალურ პირობებში სისტოლური წნევის დაბლა საზღვარი ვერცხლისწყლის სვეტის 100-105 მმ, დიასტოლურ წნევისა და კი – 60-65 მმ. 2. კუნთის ან ღრუ ორგანოს კუნთოვანი შრის ტონუსის დაქვეითება.

**ჰიპოფიზი, ტჰიმის ღანაშატი** – (ბერძნ. hypa ქვევით, დაბლა, phisis წარმოქმნა) – შინაგანი სეკრეციის ჯირკვალი, მდებარეობს სოლისებრ ძვალზე – თურქული კეხის ჩაღრმავებაში, გამოიმუშავებს ჰორმონებს (მათი რიცხვი 30-მდეა), რომლებიც გავლენას ახდენენ ორგანიზმის ორგანოებისა და ქსოვილების ზრდაზე, რძის გამოიმუშავებაზე, ნივთიერებათა ცვლასა და შინაგანი სეკრეციის სხვა ჯირკვლების, მაგალითად, ფარისებრი, ფარისებრახლო, კუჭქვეშა, თირკმელზედა ჯირკვლებისა და სხვათა ფუნქციაზე.

**ჰისპოშეთაჰსიზი ანტიბიოტი** – ქსოვილთშეთავსების ანტიბიოტი.

**ჰისტორიციტიზი** – ხერხემლიანი ცხოველებისა და ადამიანის შემაერთებელი ქსოვილის უჯრედების, რომლებიც შთანთქვენ ორგანიზმში მოხვედრილ მიკროორგანიზმებსა და უცხო ნივთიერებებს.

**ჰისტოტომისინი** || **ჰისტოტომისინი** – (ბერძნ. histos ქსოვილი) – 1. ქსოვილთა ტოქსინები. 2. ცილოვანი ბუნების შხამიანი ნივთიერება, რომელიც ტოქსიკურად მოქმედებს ქსოვილზე.

**ჰიზა, ჰიზიზი** – ძაფუჯრედი; წვრილი, ჩვეულებრივ დატოტვილი ძაფები, რომლებისგანაც შედგება სოკოს სხეული – მიცელიუმი.

**ჰომოსტაზი** – (ბერძნ. homos მსგავსი, stasis დგომა, გაჩერება) – ადამიანისა და ცხოველის ორგანიზმის შინაგანი გარემოსა და ზოგიერთი ფიზიოლოგიური ფუნქციის დინამიკური მუდმივობა.

**ჰომოლოგია** – ერთნაირი წარმოშობისა და აგებულების, მაგრამ სხვადასხვა ფუნქციის მქონე ორგანოების მსგავსება.

**ჰომოლოგიური შრატა** – შრატა, რომლის მისაღებადაც იყენებენ გამოჯანმრთელებული ადამიანების (პაროტიტის,



## სარჩევი

რედაქტორებისაგან.....	3
წინასიტყვაობა.....	5
ლექსიკონი	
ა.....	7
ბ.....	35
გ.....	50
დ.....	60
ე.....	73
ვ.....	88
ზ.....	94
თ.....	95
ი.....	98
კ.....	107
ქ.....	121
ღ.....	130
ნ.....	147
ო.....	153
პ.....	157
ჟ.....	180
რ.....	180
ს.....	189
ტ.....	204
ყ.....	212
შ.....	214
ჩ.....	223
ც.....	228

ყ.....	228
შ.....	229
ჩ.....	231
ც.....	232
ძ.....	236
წ.....	236
ჭ.....	237
ხ.....	238
ჯ.....	238
ჰ.....	239
გამოყენებული ლიტერატურა.....	248

მანონ გაგელაშვილ-ბრეგვაძე  
იზოლდა რუსაძე

**მიკრობიოლოგიური ტერმინების  
განმარტებითი ლექსიკონი**

ტექნიკური რედაქტორი შაჰრო ბრეგვაძე  
ლიზიანი და კომპიუტერული უზრუნველყოფა  
ბიორბი ქეზულაძე

ნაბეჭდი ფორმა 15,75  
ქაღალდის ზომა 60X84. 1/16

ტირაჟი 300

**ფასი – სახელშეკრულებო**